

მეცნიერებათა აკადემიის გამომცემი

კოლხეთის

ძვ. წ. V-III სს.

სამეჭღვეო

-გეგმები



5 2 2 5 7 2 4 2 2 2  
4 9 7 5

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ  
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



არქეოლ.



МАРГАРИТА ЛОРДКИПАНИДЗЕ



# КОЛХИДСКИЕ ПЕРСТНИ-ПЕЧАТИ V-III ВВ. ДО Н. Э.


(ВОПРОС ВЗАИМООТНОШЕНИЙ С ГРЕЧЕСКИМИ МАСТЕРСКИМИ)

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1975

კთლსეითის კვ. წ. V—III სს.  
საბექლავი-ბექლავი

(ბეჩნულ სხბეღსნოებთან ურთიერტობის საკითხი)

ნაშრომი ეძღვნება ძველ კოლხეთში გამოვლენილი გლიბტიკური ნახელავის შესწავლას. მასალებს შორის გამოყოფილია სხვადასხვა დანიშნულების საბეჭდოები: უფლებრივი, საერთო დანიშნულებისა და ინდივიდუალური. საბეჭდოების ანალიზის საფუძველზე ავტორი ადგენს, რომ ადრეანტიკური ხანის კოლხეთში (ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებიდან — III სს.) ძირითადად გავრცელებული იყო ბერძნულ სახელოსნოებში ნაკეთები (მატერიალური საბერძნეთისა, დიდი საბერძნეთისა, აღმოსავლურ-ბერძნული) ლითონის ბეჭდები და, ამასთანავე, თანაარსებობდა ადგილობრივ — კოლხურ — სახელოსნოებში ნაკეთი ინტალიო-ბეჭდები.



## შმსავალი

ძვ. წ. VI—III საუკუნეები გლიპტიკის განვითარების ისტორიაში ორ მეტად საგულისხმო პერიოდს მოიცავს — არქაულსა (ძვ. წ. VI—V სს.) და კლასიკურს (ძვ. წ. V—IV სს.)<sup>1</sup>. ბერძნული არქაული გემების ძირითადი ნაწილი წარმოშობილია ძვ. წ. VI საუკუნის მეორე მეოთხედში<sup>2</sup>. ამ დროს ხდება ძირეული გარდატეხა გემათა კვეთის ხელოვნებაში: არსებული ტრადიციების საფუძველზე მუშავდება ახალი ჩვევები ტექნიკაში, იქმნება ახალი სტილი. ამ დროს საფუძველი ეყრება „დამოუკიდებელ“ (მ. ლ.) ბერძნულ გლიპტიკას, რომლის აღმავლობის ხანამ კლასიკური პერიოდიდან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, სახელდობრ, რომაულ ხანამდე, გასტანა.

ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბერძნული ხელოვნების დარგები, სხვადასხვა ფორმით, აღმოსავლური გავლენის ქვეშ ექცევიან<sup>3</sup>. VIII—VII სს. ბერძნული ხელოვნება ერთიანად ითვისებს და ბაძავს უცხო—აღმოსავლურ სტილს, იმ ზომამდე, რომ დროის ხსენებული მონაკვეთი აღმოსავლური სტილის პერიოდადაა წოდებული<sup>4</sup>. ამ დროსვე ჩაისახა „საკუთარი ბერძნული მხატვრული სტილი“<sup>5</sup>. VII საუკუნის შუა წლებში აღმოსავლურ მოტივთა და ფორმათა ასიმილაცია დასრულებულად ითვლება, ხოლო VII საუკ. ბოლოდან ჩამოყალიბდა შინაარსითა და ფორმით ბერძნული — არქაული სტილი<sup>6</sup> (მონუმენტურ არქიტექტურაში, სკულპტურასა და მხატვრობაში; ძირითადად ვაზების მხატვრობაში).

ხსენებული სტილის ჩამოყალიბებაში წვლილი იმ ბერძენ ოსტატებს მიუძღვით, რომელთაც შეძლეს მათ მიერ შეთვისებული უცხო მხატვრული ელემენტების ბერძნულ საფუძველზე გადამუშავება. ძვ. წ. VI საუკუნიდან ელინიზ-

<sup>1</sup> ამ ორი დიდი ეპოქის ნახელავის „გაერთიანება“ ჩვენს ნაშრომში იმითაა გაპირობებული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ჭერჯობით, ხსენებული პერიოდების მასალები მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. მხოლოდ მათი ერთიანად განხილვა შეგვექმნის მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ. ელინისტური ხანაც, ნაწილობრივ (ძვ. წ. IV ბოლო — III სს.), ქრონოლოგიურად ამავე მონაკვეთში ჩაირთვება.

<sup>2</sup> J. Boardman, Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical, London, 1970 გვ. 139.

<sup>3</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 139.

<sup>4</sup> Сб. Древняя Греция, Москва, 1956, стр. 485.

<sup>5</sup> Сб. Древняя Греция, იქვე.

<sup>6</sup> Сб. Древняя Греция, გვ. 486.

მის ეპოქამდე ბერძნული ხელოვნება უკვე თვით ახდენს გავლენას აღმოსავლეთის ხელოვნებაზე<sup>7</sup>.

აღმოსავლეთის გავლენითვე ხსნიან იმ ვითარებას, რომ რკინის ხანის საბერძნეთში კვლავ აღიძრა ინტერესი საბეჭდავთა კვეთის ხელოვნებისადმი<sup>8</sup>. ეს ხელოვნება, ერთ ხანს, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, დაქვემდებარებული იყო აღმოსავლურ გავლენას. „გარდატეხის პერიოდი“ გლიბტიკაში შედარებით გვიანი დროით (ძვ. წ. VI საუკ.) აღინიშნება.

ჭრილაფარაკებიანი ლითონის ბეჭდების შესწავლა დიდმნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია<sup>9</sup>. სახელდობრ ანტიკური ხანის ფარაკიანი ბეჭდების შესწავლას ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ ბორდმანმა რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა: — *Archaic Finger Rings (Antike Kunst, 10 Jahrgang, 1967, Heft I)*; — *Etruscan and South Italian Finger Rings in Oxford (Papers of the British School at Rome, v. XXXIV, New Ser. v. XXI, 1966)*; — *Greek Gems and Finger Rings. Early Bronze Age to Late Classical, London, 1970*.

ამ ნაშრომებში ავტორს წამოყენებული აქვს ახალი თეორია საბეჭდავ-ბეჭდების კლასიფიკაციისა და წარმომავლობის საკითხებთან დაკავშირებით. ჯ. ბორდმანს რიგი შესწორება შეაქვს ადოლფ ფურტვენგლერისა და ჯიზელა რიხტერის კლასიფიკაციაში<sup>10</sup>. სახელდობრ: მრავალი წლის ძიების შედეგად ძირეულად აქვს გადაამუშავებული და შეცვლილი არქაული ხანის ჭრილაფარაკიან ბეჭდთა და გემათა წარმოშობის საკითხი<sup>11</sup>.

ჯ. ბორდმანმა თავის ძიებებში დიდი ადგილი დაუთმო იკონოგრაფიის პრობლემის შესწავლას. თავისი ახალი კლასიფიკაცია მკვლევარმა ააგო გამხატვლებათა შინაარსისა და ფარაკიან ბეჭდთა ფორმის ღრმა ანალიზის საფუძველზე.

აჯგუფებს რა, დაწვრილებით, ბეჭდებს მრავალი სახის ფორმების მი-

<sup>7</sup> Boardman, დასახ.ნაშრ., გვ. 139; Древняя Греция, стр. 486.

<sup>8</sup> Boardman, დასახ.ნაშრ., გვ. 139.

<sup>9</sup> ბოლო ხანებში უცხოელ მეცნიერთა ყურადღება გამახვილებულია გლიბტიკისა და ლითონის საბეჭდავთა კვეთის საკითხების შესწავლისადმი. ამ მიმართულებით, უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე, მეტად საგულისხმო გამოკვლევები გამოქვეყნდა: J. Boardman *Archaic Greek Gems. Schools and Artists in the Sixth and Early Fifth Centuries B. C.*, London, 1968; — მის ივე: *Engraved Gems, The Ionides Collection*, London, 1968; M.-L. Vollenweider, *Catalogue Raisonné des Sceaux, Cylindres et Intailles, v. I*, Genève, 1968. — მის ივე: *Die Porträtgemmen der römischen Republic*; — G. Richter, *Engraved Gems of the Greeks and Etruscans. A History of Greek Art in Miniature*, London, 1968.

<sup>10</sup> A. Furtwängler, *Die Antiken Gemmen*, Leipzig, 1900; — G. Richter, *Catalogue of Engraved Gems, Metropolitan Museum, New York, 1920 წლის გამოცემა I და Roma, 1956 წლის გამოცემა II*.

<sup>11</sup> ა. ფურტვენგლერი ფუნდამენტალურ ნაშრომში — *Die antiken Gemmen, I*, ფარაკიანი ბეჭდების განხილვისას მცირე ადგილს უთმობს. (ტომი I, გვ. 3, 83—90) გამოყოფილი აქვს მხოლოდ ეტრურიის „ძველიონური“ ბეჭდების მცირე ჯგუფი.

ბეჭდების ფორმათა საფუძვლიანი კლასიფიკაცია მხოლოდ ფ. მარშალს აქვს შემუშავებული (იხ. *Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman. British Museum, London 1907*), ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ანტიკური ხანის ბეჭდების მიხედვით.

ხედვით, იზილავს მათი წარმომავლობისა და ევოლუციის საკითხს, გამოპყობს ახალ ქრონოლოგიურ ჯგუფებს<sup>12</sup>.

ჯ. ბორდმანის მიზანია არქაული პერიოდის ხელოვნებაში განასხვავოს და ერთმანეთისაგან (ცალ-ცალკე) გამოპყოს ბერძნული და ეტრუსკული ნახელავი. ამ დიდი საკითხის გასაშუქებლად მკვლევარი ამ თვალსაზრისით სწავლობს: კრილა ქვევს, ლითონის ფარაკიან ბეჭდებსა და მხატვრული ხელოსნობის რიგ დარგებს — როგორცაა: კედლის მხატვრობა, ბრინჯაოს ნაკეთობანი, ტორევიტიკა და ვაზთმხატვრობა.

ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკ. შუა ხანამდე (უფრო ადრეც), ვიდრე 500 წ-მდე (და გვიანაც) ეტრურიაში ყველა დარგის ბერძენი ოსტატები ჩადიოდნენ სამუშაოდ<sup>13</sup>. ჯ. ბორდმანი ვარაუდობს, რომ ოსტატების მეტი წილი აღმოსავლეთ საბერძნეთიდან იყო წამოსული. მისი აზრით, ამგვარი იმიგრაცია გამოწვეული იყო სპარსელთა შემოსევების შედეგად.

ბერძენ ოსტატთა შემოქმედებაზე — მათ ნახელავზე — ეტრურიაში გავლენას ახდენდა ის გარემო („ზაზარი“, როგორც ამას ჯ. ბორდმანი უწოდებს), რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ. მათი სახელოსნოები ნაწილობრივ, ხშირად, შეგვებული იყო ეტრუსკებით. ეტრუსკები, და ასევე ის ბერძენი ოსტატები, რომლებიც ადრე ჩავიდნენ ეტრურიაში სამუშაოდ — არ ავითარებდნენ ახალ არქაულ „მიმდინარეობას“<sup>14</sup>. ისინი დაკავშირებული იყვნენ, უფრო მკვიდროდ, აღმოსავლურსა და ბერძნული მატერიკის სუბგეომეტრიულ და ადრეული ხანის ორიენტალზირებული სტილის ხელოვნებასთან. ახალი იდეები შეითვისეს ახალმა ოსტატებმა, რომელთაც „ახალი“ ე. წ. არქაული ეტრუსკული ხელოვნება შექმნეს<sup>15</sup>.

ამრიგად, „ბერძნულისა და ეტრუსკული ნახელავის ერთმანეთისგან განსახვევებლად საჭიროა გვახსოვდეს, რომ ხსენებული ორი ხელოვნების განვითარების პერიოდში (რამაც ბერძნებს გარკვეული წვლილი მიუძღვით) არსებობს ისეთი სტადია, როცა ისინი დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ ბერძნული სამყაროს შიგნით. აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ეტრუსკების უშუალო მონაწილეობაც (ეტრუსკების „ხელის გამოყენება“). ამდენად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა გარკვეულიყო არა ის, თუ რა არის ეტრუსკების მიერ გაცემებული, არამედ — სახელდობრ რა არის ეტრურიაში შექმნილი“. შეფასდეს და განისაზღვროს — რამდენად მკვიდრო იყო ურთიერთკავშირი ზემოხსენებულსა და წარმომოთბთ ბერძნულ ნახელავთან (Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 3).

ჯ. ბორდმანმა თავის ნაშრომებში შეძლო არა მარტო ხსენებული საკითხების გადაჭრა და საეცებით ახლებურად გაშუქება, არამედ მასალის ყოველ-

<sup>12</sup> ძირითადად ფარაკიანი ბეჭდები, გამოცემული იყო ხოლმე მრავალრიცხოვან „სამაკაულთა კატალოგებში“, რომლებშიც მეტად მცირე ყურადღება ეთმობოდა ემბლემებსა თუ გამოხატულებებს. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ლითონის ბეჭდები გვმებთან ერთადაა გამოქვეყნებული, ხსენებული ნივთების თავისებური მხარე (ანუ სპეციფიკური მხარე) უგულვებელყოფილია.

<sup>13</sup> Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 3.

<sup>14</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>15</sup> ჯ. ბორდმანი არქაულ ეტრუსკულ ხელოვნებას ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ „შემადგენელ“ ნაწილად, კერძოდ — აღმოსავლურ-ბერძნული ხელოვნებისად, მიიჩნევს.





მხრივი ანალიზის შედეგად (სტილი, ტექნიკა, მასალა, ფორმა) გამოავლინა და დადგინა მთელი რიგი ახალი სკოლებისა და სახელოსნოების არსებობა ანუ მათი არსებობის შესაძლებლობა ნული სამყაროს სხვადასხვა ნაწილში.

ძველ საქართველოში გავრცელებულ საბეჭდავთაგან ძვ. წ. VI—III სს. ლითონის, თითზე შესაცმელი ბეჭდის სახე წარმოადგენს საბეჭდავის იმ ძირითად ტიპს, რომელიც ყოფაში ღრმადია შესული. მასალების ძირითადი ნაწილი, არქეოლოგიური მონაპოვარის მიხედვით, დასავლეთ საქართველოდან წარმოდგება<sup>16</sup>. აღმოსავლეთ საქართველოში, ჭერჭერობით, ხსენებული ნივთები შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი.

მასალა, ერთიანად მრავალფეროვანი და თავისებურია. საკმაოდ რთული განსასაზღვრავი და, ზოგჯერ, გასარკვევიც. ჭრილათარაკიანი ლითონის ბეჭდების უმრავლესობა, ჩვენი აზრით, ძველი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელოსნოებიდანაა გამოსული<sup>17</sup>. ტიპობრივად განსხვავებულ ბეჭდებს შორის ყურადღებას იპყრობს სტილისა და ტექნიკის მრავალგვარობა; კვეთის ხელოვნების განვითარებული დონე<sup>18</sup>.

რაც შეეხება უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ მასალებს — ისინი, როგორც წესი, მაღალმხატვრული ღირებულების ძეგლებს წარმოადგენენ და, უდავოდ, დიდ სახელოსნოებში მოღვაწე მჭრელების მიერაა შესრულებული.

სახელდობრ, რომელ სახელოსნო ცენტრებს უნდა მივაკუთვნოთ ცალკეული ნაწარმოები — ამის გარკვევას წინამდებარე გამოკვლევა ისახავს მიზნად.

ჩვენ თავდაპირველად განზრახული გვექნა ძვ. წ. VI—III სს. კოლხეთში მოპოვებული უცხო მასალების შესწავლა. კერძოდ — გამოვლენა (ჯ. ბორდმანის შრომებზე დაყრდნობით) გარკვეულ სახელოსნო ცენტრებსა და სკოლებში შექმნილი ნახელავისა. დაგვედგინა — რომელი ქვეყნიდანაა იგი შემოტანილი. მაგრამ ძიებრა პროცესში გაირკვა, რომ მარტოოდენ შემოტანილი ძეგლების მიხედვით (მათი მცირერიცხოვნობის გამო) ვერ წარმოვიდგენთ სრულად თუ რომელ სპეციალურ სახელოსნო „ბაზრებთან“ იყო დაკავშირებული კოლხეთი ხსენებულ ხანაში.

ამასთან დაკავშირებით გვეხდება ჩვენ მიერ გამოცემული ზოგიერთი მასალის (ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი, I) ახალი თვალსაზრისით განხილვა, მხატვრული ანალიზის ამ მიმართულებით გამახვილება.

ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად დავადგინოთ სხვადასხვა სახელოსნო ცენტრებიდან წამოსული ბერძნების „მონაწილეობა“ მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის — საბეჭდავთა კვეთის ხელოვნებასა და გლობტიკის — განვითარებაში ძველ საქართველოში. კერძოდ: რომელ სახელოსნო ცენტრებთან

16 მ. ა. გ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი, 1969, გვ. 39—48, 83—104.

17 ამის შესახებ იხ. მ. ა. გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39—48, 83—104.

18 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

ჰქონდა უშუალო კავშირი კოლხეთს და რა ზომამდე იყო აქაური სახელოსნოები დაქვემდებარებული ბერძნულ სკოლას.

კოლხეთის მასალები ამ მხრივ თვალსაჩინოდ გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ინტალიო-ბეჭდებისაგან. აშკარაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ხსენებული დარგის განვითარებაზე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, გავლენას ახდენდა, ძირითადად, მესოპოტამური და აქემენიდური გლიპტიკა. ძველ კოლხეთში წამყვანი — ბერძნული დიდი სკოლაა (ჩვენ „დიდ სკოლაში“ არა მარტო მატერიკის ბერძნულ სახელოსნოებსა და სკოლებს ვგულისხმობთ, არამედ მცირეაზიულსაცა და დიდ პერიფერიულ, ბერძნების მიერ დაარსებულ, სკოლებს).

მხატვრული ხელოსნობის დარგებიდან გლიპტიკა და მისი შესატყვისი — ფერად ლითონებზე ინტალიოების კვეთა, ერთ-ერთი მთავარი დარგთაგანია. იმისი შეფასებისათვის თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებდა ჭრილა ქვები და საბეჭდავები ძველი საქართველოს მოსახლეობის ცხოვრებაში და რამდენად ღრმად იყო ისინი შესული ყოფაში, საჭიროა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოვყოთ ადგილობრივი და იმპორტული მასალები. გავითვალისწინოთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნივთის სპეციფიკური მხარე — დავადგინოთ მისი პირდაპირი დანიშნულება.

იმპორტული მასალების ხასიათისა და რაოდენობის გამოვლენა, მათი სადაურთობის დადგენა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, გარდა სავაჭრო ურთიერთობებისა, საქმიანი კავშირი (იგულისხმება ქვისსაჭრელ სახელოსნოებსა და სკოლებთან უშუალო კავშირი) სპეციალურ სახელოსნო ცენტრებთან.

ზემოხსენებული საკითხების გარკვევა მხოლოდ ვანათხარი ნივთების მხატვრულ-ისტორიული ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი, რადგან, როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში ამ ნივთების ჩვენში კეთების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ჭრილაფარაკიანი ბეჭდები ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილსაა ნაპოვნი (სხვადასხვა ტიპის სამარხებში, კულტურულ ფენებში)<sup>19</sup>. ჭრილაფარაკიანი ბეჭდის ორი „სახეა“ ცნობილი: საბეჭდავი-ბეჭედი და ინტალიო-ბეჭედი, სამკაულად გამოყენებული. ჩვენში აღმოჩენილი ამ სახის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი საბეჭდავ-ბეჭდებს წარმოადგენს (უფრო ზუსტად: სამკაული ინტალიო-ბეჭდები მცირე ნაწილს შეადგენს).

ლითონის საბეჭდავ-ბეჭდებსა და ინტალიო-ბეჭდებს შორის ჩვენ გამოყოფილი გვაქვს ბეჭდის ოთხი ძირითადი ტიპი: რკალგახსნილი და რკალშეკრული ფარაკიანი ბეჭდები; რკალგახსნილი რგოლები და მასიური ბეჭდები<sup>20</sup>. აღნიშნული ტიპები ადგილობრივი ბეჭდების ფორმებადაა გამოყენებული. შემოტანილი ინტალიო-ბეჭდები სხვადასხვა სახის ფარაკიანი ბეჭდებითაა წარმოდგენილი.

ნივთიერი საბუთების მიხედვით ლითონის ფარაკიანი ბეჭდის გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში დამოწმებულია ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში

<sup>19</sup> თეთრი წყარო, აბელია, კამარახევი, ახალკორი-საძეგური, ყანჩაეთი, წალკა-აღვეთი, ვანი, დაფნარი, დაბლაგომი, ეშერა, გუაღიხუ და ა. შ.

<sup>20</sup> დაწვრილებით იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 8, 47—48.



(თეთრი წყარო, 1956 წელს გახსნილი ქვაყუთი)<sup>21</sup>. კოლხეთში — ძვ. წ. V ს. კოლხეთის უკუნის მიწურულში (ვანი, წარჩინებული კოლხი ქალის სამარხი № 6, 1961 წელი)<sup>22</sup>.

როგორც აღნიშნული გვქონდა, უმთავრესად „ჭრილა ბეჭდების“ დანიშნულება საბეჭდავი იყო; ამასთანავე ზოგიერთი მათგანი სამკაულის სახითაც იხმარებოდა. და, როგორც ჩანს, ზოგჯერ ავგაროზის მნიშვნელობითაც.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ კოლხეთში მოპოვებული რკალგახსნილი ბეჭდები მხოლოდ ბრინჯაოსგან არის გაკეთებული; დღემდე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ყველა „კოლხური“ (პირობითად ვხმარობთ „კოლხურს“, ამჯერად ჩვენ ცვლისხმობთ მოპოვების ადგილს და არა წარმოშობას) საბეჭდავი-ბეჭდები ფარაკიანი და რკალშეკრულია. აღმოსავლეთ საქართველოში რკალგახსნილი ბეჭდები კეთილშობილი ლითონიდანაც გვხვდება გაკეთებული (ყანჩაეთი, საძეგური, წალკა-ალგეთი)<sup>23</sup>.

კოლხეთში აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარის ლითონის ნაკეთობათა მრავალი სახის ნივთებს შორის, ყურადღებას იპყრობს ჭრილაფარაკებიანი ბეჭდების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი. როგორც მაღალი ფენის წარმომადგენლების სამარხებიდან წარმომდგარი მასალა, ასევე რიგითი სამარხებისა ერთნაირად საინტერესო და საგულისხმოა.

სტილისტური ერთიანობისა და განსხვავებულობის, შესრულების ტექნიკის იდენტურობისა თუ თავისებურების, სიუჟეტთა ორიგინალობისა და მსგავსების, და ბოლოს ფორმათა ტიპების მიხედვით შესაძლებელი ხდება იმპორტულისა და ადგილობრივი ბეჭდების გამოყოფა.

ადგილობრივ სახელოსნოებში ნაკვეთი ინტალიოთა თემატიკა, უცხო გავლენითაა შექმნილი თუ დამოუკიდებელი ნაწარმოებია, რთული განსასაზღვრავია. უფრო ხშირად ბეჭდებზე ამოჭრილი სიუჟეტი „უნიკალურია“, — მას შესატყვისი გამოხატულებები სახვითი ხელოვნების ძეგლებში ვერ ეძებნება, ამიტომ ახსნასაც ძნელად ექვემდებარება.

ადგილობრივ ჭრილა ბეჭედთა კვეთის ტექნიკური მხარე მოწმობს იმას, რომ ისინი არაბერძენი ოსტატების მიერაა შესრულებული (ამ საკითხს სპეციალურად განვიხილავთ შემდეგ, როცა შევეხებით ზოგადად ტექნიკის საკითხებს). ამასვე მოწმობს ნახელავის მხატვრული მხარე — გამოსახულებათა საერთო სტილი<sup>24</sup>.

უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი მასალაც არ წარმოადგენს რიგითსა და ფართო მომხმარებლის ბაზრისათვის განკუთვნილ ნივთებს. კიდევ მეტიც: იგი მაღალი მხატვრული ღირებულებით და კვეთის დახვეწილობით გამოირჩევა; ფორმათა სილამაზით სიუჟეტური მხარეც განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს.

ყველაზე მეტყველი მასალები, ამ მხრივ შესრულების ხელოვნებისა და მა-

21 მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 40—43, 83.

22 იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, ვანის გლბტიკური ძეგლები, ხელნაწერი; — წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6, სამარხიდან, ვანი II.

23 მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 43—44, 87—93.

24 ზემოხსენებული მოსაზრება გამოთქმული გვაქვს ჩვენს ნაშრომში, კორპუსი I, გვ. 47—48, 64—65.

ტერიალური ღირებულების თვალსაზრისით, ვანის გათხრებმა გამოავლინა<sup>25</sup>. აქ იმპორტულიცა და ადგილობრივი ნახელავიც შესრულების სრულყოფილი დონით ხასიათდება. იმპორტული საბეჭდავ-ბეჭედთა მეტი ნაწილი, ვანში, იონიდანაა შემოტანილი, რაც შეეხება ადგილობრივ საბეჭდავებს — უპირატესად აღმოსავლურ-ბერძნული სკოლების გავლენას განიცდიან<sup>26</sup>.

სქ არ შეეჩერდებით ვანის საბეჭდავი-ბეჭედებისა და ჭრილა ქვების დახასიათებაზე (მათ შესახებ ჩვენ სათანადო შემთხვევაში ვილაპარაკებთ). შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ისინი ძვ. VI—IV სს. მიეკუთვნებიან და მალაი ფენის წარმომადგენლების, სხვადასხვა დანიშნულების საბეჭდავებს წარმოადგენენ.

ვანის გარდა მნიშვნელოვანი მასალები — კოლხეთისა და ბერძნული სახელოსნოების ურთიერთობის გარკვევისათვის ქობულეთ-ფიჭვნარსა, გუადიხუსა, დაბლაგომსა და ბატნაოხორუშია მოპოვებული. მაგრამ ვიდრე ხსენებული მასალების ანალიზზე გადავიდოდეთ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ბერძნული ჭრილაფარაკიანი ლითონის ბეჭედების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

საბერძნეთის ბრინჯაოს ხანის ლითონის ფარაკიანი ბეჭედები უპირატესად ოქროსაგან არის გაკეთებული<sup>27</sup>. გამოხატულებები ხსენებულ ბეჭედებზე ოვალური ფარაკების ამობურცულ პირზეა ამოჭრილი. ფარაკი რკალს სწორი კუთხეებით უერთდებოდა, თითის გასწვრივ. გეომეტრიულ პერიოდში ბეჭდის ანალოგიური ფორმა გავრცელებულია, მაგრამ გამოხატულების „ტიპი“ „გასადავებელია“. ფარაკებზე უმნიშვნელო, „უბრალოდ“ ამოჭრილი ანდა დატვიფრული, რელიეფური ორნამენტისებრი სახეა გამოხატული. ამგვარმა ბეჭედებმა მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნემდე იარსება.

<sup>25</sup> მ. ა. გ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაოზირებული“ საბეჭდავი-ბეჭედები ვანიდან, ვანი II.

<sup>26</sup> თუ რა ზომამდე ფართოდ ვრცელდებოდა იმპორტული საქონელი ქვეყნის შიგნით, ჩვენთვის ჯერჯერობით არ არის ნათელი. ამასთანავე არ უნდა იყოს დასაშვები, რომ მხოლოდ ადგილობრივ სახელოსნოებს შეეძლოთ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საბეჭდავებზე.

<sup>27</sup> პირველი ჭრილაფარაკიანი ლითონის ბეჭედები კნოსში იქნა აღმოჩენილი (მართკუთხა ოვალური და მრგვალი ფარაკით). მათი უმრავლესობა, სტილისტური თავისებურების მიხედვით, დათარიღებულია ძვ. წ. XVIII და XVII სს. ასევე თარიღდება მესარაში მოპოვებული ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედები.

კნოსის ბეჭედების ერთი ნაწილი, უძველესად, თითზე შესაცემლად განკუთვნილ სამკაულებს (თუ ნივთებს) წარმოადგენდა. მაგრამ ზოგიერთი მათგანის ზედმიწევნით პატარა ზომა ზოგ მკვლევარს საბაბს აძლევს (მაგ. R. A. Higgins, Greek and Roman Jewellery, London, 1961, გვ. 66, 84) ივარაუდოს, რომ ისინი ბეჭდის ფორმის შესაქიდი საბეჭდავებია. ხსენებული ტიპის საბეჭდავები მიყენში ძვ. წ. XVI საუკ. მეორე ნახევარში იყო გავრცელებული (კერძოდ ეს მასალა კარგადაა წარმოდგენილი სამარხული ინვენტარის მიხედვით). აღნიშნული ბეჭედების კვეთის სტილი თანადროული ჭრილაფარაკიანი ბეჭედების უშუალო გველენის ქვეშაა მოქცეული (ბეჭედებისა, რომლებიც ხელზე სატარებლად იყო განკუთვნილი).

ოვალური ფარაკი ცნობილია გვიანწინოსური და მიკენური ბეჭედების მიხედვით. სახელოდობრ, აღნიშნული ფორმა საბეჭდავ-ბეჭედებს შორისაა გავრცელებული, რომლებიც ძირითადად მასიური ოქროსაგან არიან ხოლმე გაკეთებული. კვეთა ამ საბეჭდავებზე შესრულებულია გვერდის კვეთის ტექნიკით (ხსენებული ტექნიკით შესრულებული საბეჭდავი-ბეჭედები მიყენის აკროპოლისიდან წარმოსდგება). ბეჭედების ღიდი ნაწილი სხვა წესითაც არის გაკეთებული. კერძოდ: „ორფენოვანი“ ფარაკი ლითონის თხელი ფირფიტებისგან იყო შედგენილი. ფირფიტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებოდა რომელიღაც მედეგი



აღსანიშნავია, რომ ეგვიპტესა და ფინიკიაში ფარაკიანი ბეჭდის ტიპი სხვაგვარი იყო. იგი წარმოადგენს ე. წ. კართუშთან ბეჭედს ჭრილა ფარაკიანი ბეჭედის ფარაკები, როგორც წესი, წაგრძელებულია, მომრგვალებული ბოლოებითა და სწორი გვერდებით. კართუშთან ბეჭდის ტიპი ეგვიპტეში ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. VII საუკუნეში. როგორც ვარაუდობენ, ეს ფორმა ეგვიპტეში ფინიკიიდან იყო შემოტანილი<sup>28</sup>. იგი საბერძნეთშიც გავრცელდა.

ძვ. წ. VI საუკუნეში კვიპროსსა და ფინიკიაში ოვალურფარაკიანი ბეჭდის სახესხვაობებიდან აღსანიშნავია ის ტიპი, რომელიც თავისი მოყვანილობით ხოქოს „პირს“ უახლოვდება.

ანტიკური ბეჭედების გარკვეულ ნაწილს, ჯ. ბორდმანი აღმოსავლური კართუშთან ბეჭედებისგან განვითარებულ ფორმად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ოვალური ფარაკები სკარაბეების პირის მიზაძვითაა შექმნილი. ხოლო მრგვალი ფარაკები ძვ. წ. VII საუკუნისა და სპილოს ძვლის ბეჭედების ფორმებს იმეორებს<sup>29</sup>.

არქაული პერიოდის ჭრილაფარაკებიანი ბეჭედები, კლასიკური ხანის ანალოგიური მასალებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით, სტილების სხვადასხვაობით, შინაარსობრივი სიმდიდრითა და სირთულით.

არქაული ფარაკიანი ბეჭედები სტილისტურად და სიუჟეტური მხრით ზოგჯერ მეტად არიან დაკავშირებული თანადროულ ვაზთიმხატვრობასა და სკულპტურასთან, ვიდრე ქვის ჭრილა სკარაბეებთან<sup>30</sup>. რაც შეეხება კლასიკური პერიოდის მასალებს, ფარაკებზე წარმოდგენილ გამოსახულებებს ანალოგიები, ძირითადად, გლიბტიკურ ძეგლებს შორის ეძებნება<sup>31</sup>.

არქაულსა და კლასიკურ ხანებში ჭრილაფარაკიანი ბეჭედები არა მარტო

ნივთიერებით (თუ „შენაღნობით“), როგორც ფიქრობენ (იხ. R. Higgins, *Greek and Roman Jewellery*, გვ. 84) მაგნეტიტის „ფხვნილით“. ინტალიო ფარაკის ზედაფენაზე კეთდებოდა მანამდე, ვიდრე იგი ფარაკის ქვედა ფენას მიუკავშირდებოდა. გამოხატულება ასეთ შემთხვევაში ან ტეფარით დაიტეფერებოდა, ანდა ყალიბში ჩამოისხმებოდა ხოლმე. ამის შემდეგ გამოხატულება სპირით დამუშავდებოდა ამ ტიპის ბეჭედების რკალი მეტწილად დაკუთხული ანდა დეკორირებულია (Higgins, დასახ. ნაშრ., გვ. 84).

მრგვალფარაკიანი ბეჭედები უძველესი დროიდან ვიდრე ძვ. წ. VI საუკუნით არიან გავრცელებული. სხვა ტიპისა და სახის ფარაკები კი ძვ. წ. VI საუკუნიდან ჩნდება: მართლუხობის მოყვანილობის ფარაკიანი ბეჭედი ძვ. წ. VI საუკუნეშია გავრცელებული. ეს ფორმა ვერცხლის ბეჭედებს შორის მეტად გვხვდება, ვიდრე ოქროს ბეჭედებში.

ოვალურ-წაწვეტიებული ფარაკიანი ბეჭედები პირველად მოდაში ძვ. წ. VI საუკუნეში შემოდის. ამ ტიპის სახესხვაობები ძვ. წ. V—IV სს-ია ცნობილი (Higgins, დასახ. ნაშრ., გვ. 130). ერთ-ერთ გავრცელებულ სახესხვაობას ხსენებული ბეჭდის ტიპისას ბეოტიური ფიბულის ფორმის ფარაკიანი ბეჭედი წარმოადგენს (Higgins, დასახ. ნაშრ., იქვე).

გარდა ჩამოთვლილი ტიპებისა, ცნობილია აგრეთვე რელიეფურგამოხატულებიანი ფარაკებით (ლომებისა ან ხოქოების გამოხატულებებიანი) შემკული ბეჭედები. მსგავსი ბეჭედები ხსენებული ეპოქის (ძვ. წ. IV საუკ.) ბოლო წლებში ჩნდება (ისინი დიდი რაოდენობით „დიდი ბლიზნიცის“ სამარხებიდანაა ცნობილი, იხ. E. Minss, *Scythians and Greeks*, Cambridge, 1913, გვ. 208, 411, 427).

<sup>28</sup> Boardman, *Archaic Finger Rings*, გვ. 5.

<sup>29</sup> Boardman, *Greek Gems and Finger Rings*, გვ. 155—157, 212, 214.

<sup>30</sup> Boardman, *Greek Gems and Finger Rings*, გვ. 140—141, 158.

<sup>31</sup> Boardman, *Greek Gems and Finger Rings*, გვ. 189, 212.

საბეჭდავის მნიშვნელობით იხმარებოდა, არამედ სამკაულადაც იყენებდნენ ამგვარი ბეჭდები დიდი რაოდენობითაა შესული სატაძრო „განძეულობათა აღწერილობაში“. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პართენონისა და ჰეკატომპედონის საბუთები (Higgins, Greek and Roman Jewellery, გვ. 129).

ადრეკლასიკურ ხანაში, როგორც აღმოსავლეთში ასევე დასავლეთში, ბეჭდის გავრცელებულ ფორმას გვიანარქაული პერიოდის მომრგვალებულბოლოებიანი ოვალურფარაკიანი, მრგვალრკალიანი ბეჭდები წარმოადგენს<sup>32</sup>. ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება ოვალური ფარაკები, ხოლო IV საუკუნის ბოლოდან — მრგვალფარაკიანი და მძიმე მასიურრკალიანი ბეჭდები. ამის გარდა ოვალურ-მრგვალი ფარაკები შემოდის მოდაში, რკალები მეტწილად დაწახნაგებულია. IV საუკ. მეორე ნახევარში ვრცელდება აგრეთვე პატარა ზომის ოვალური ფარაკები.

საუკეთესო ბეჭდებისათვის მასალად ოქროსა და ვერცხლს იყენებენ, იშვიათად ელექტრუმს<sup>33</sup>. ბრინჯაოს, მალალი ღირებულების ნახელავი ბეჭდები გამოჩაყლისს შეადგენს.

ხსენებულ ჯგუფებში რამდენიმე ტიპის ბეჭდებია გაერთიანებული. მათ განხილვას აქ არ შევუდგებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ტიპებს შორის ჯ. ბორდმანი ორი კატეგორიის ბეჭდებს გამოჰყოფს. მსუბუქსა (ტიპი I—II) და მძიმე ბეჭდებს (ტიპი III). ყველაზე ადრეული მძიმე ბეჭდები V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიეკუთვნება<sup>34</sup>.

ძვირფასი ლითონებისაგან გაკეთებული ბეჭდების ზოგიერთი ფორმები ბრინჯაოშიც მეორდება. ძირითადად ეს არის უფრო „გასადაგებელი“ ტიპები. სიუჟეტების არჩევანიც თითქოს უფრო განსხვავებულია (ნაკლებად მრავალფეროვანი და მდიდარი) და შესრულების დონეცა და კვეთის ხარისხიც თვალსაჩინოდ განირჩევა ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებისაგან.

<sup>32</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 212—213

<sup>33</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 215. ელექტრუმის ბეჭდები სატაძრო „აღწერილობაში“ „თეთრ ოქროდაა“ წოდებული (Boardman, იქვე).

<sup>34</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 212—213, 219.

## 1. ქობულეთი-ფიჭვნარი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის მცირე, მაგრამ საკმაოდ დიდმნიშვნელოვანი პრილფარაკებიანი ბეჭდების პატარ-პატარა ჯგუფები, თუ ცალკეული ნივთებია აღმოჩენილი: ფიჭვნარსა, გუდიხუსა, ეშერაში. ხსენებულ მასალებს შორის, ქრონოლოგიურად, უძველესად ფიჭვნარში მოპოვებული ინტალიო-ბეჭდები მივიჩნით და ამდენად, პირველ რიგში, ამ ჯგუფის ნივთების ანალიზზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ფიჭვნარში, 1965—1968 წწ. არქეოლოგიური კამპანიების განმავლობაში, გამოვლენილია რამდენიმე დიდი სამაროვანი, სახელდობრ: ადგილობრივი, კოლხური მოსახლეობისა — „ნაპურვალას“ ბორცვზე ძვ. წ. VI—V სს. დათარიღებული; ბერძენ მოახალშენთა ძვ. წ. V საუკუნისა, ძვ. წ. IV საუკუნისა და ადრეელინისტური ხანისა<sup>1</sup>.

დარგობრივად მრავალრიცხოვანი მხატვრული ხელოსნობის ნივთებს შორის (შავ და წითელფიგურიანი ვაზთმხატვრობა, ოქრომპედლობის ნიმუშები, ტორეტიკა, ნუმისმატიკა და ა. შ.), რომელთა ძირითადი ნაწილი (ყველა თუ არა) მაღალი ღირებულების (ანდა თავისებურსა და განსხვავებულს) ნახელავს წარმოდგენს, გარკვეული ადგილი ჰქონდა პრილფარაკებიანი ბეჭდების მცირერიცხოვან ჯგუფს უჭირავს (სულ ხუთი ბეჭედი აღმოჩენილი). ბეჭდები ადგილობრივი კოლხური მოსახლეობისა და ბერძენ მოახალშენთა სამაროვნებში გამოვლენილ სამარხებსა (სამარხი № 14, 1965 წლის გათხრები; სამარხი № 6, სამარხი № 2, 1967 წლის გათხრები) და კულტურული ფენებიდან წარმოსდგება და, ზოგადად, კლასიკურ ხანას მიეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რომ მასალა ძალზე მცირეა იგი ნათლად იძლევა იმის წარმოდგენას თუ სახელდობრ ბერძნული სამყაროს რომელ სახელოსნოებთან ჰქონდა უშუალო კავშირი „ქობულეთის ქვეყანას“, კერძოდ ფიჭვნარის ნაქალაქარს კლასიკურ ხანაში.

მასალებში ერთი ოქროსი, ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი ინტალიო-ბეჭედი წარმოდგენილი. ყოველი ცალკეული ნივთი ყურადღებას იმსახურებს სტილისა და ნახელავის დახვეწილობით, შინაარსობრივად, თუ თავისი დანიშნულებით. იკონოგრაფიულად არც ერთ მათგანს პარალელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკურ მასალებსა და ლითონის საბეჭდავ-ბეჭ-

<sup>1</sup> ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი 1971, გვ. 15—17.

დებს შორის არ მოეპოვება (იხ. ანალიზი, გვ. 16—34). მსგავსი გამოხატულე ბებისათვის ჩვენ, ჭერჭერობით, არც უცხო და საბჭოთა მუზეუმებში დაცულ კოლექციებში მიგვიკვლივია<sup>2</sup>.

ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების „წარმოების“ ტრადიცია ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში დამკვიდრდა<sup>3</sup>. ლითონის ჭრილაფარაკიანი არქაული ბეჭდები ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა. კლასიკურ ხანაშიც ფართოდაა განვითარებული მხატვრული ხელოსნობის ხსენებული დარგი, მაგრამ ბეჭდების ტიპებში მეტი ერთგვაროვნება შეიმჩნევა. ჯ. ბორდმანი აღნიშნავს<sup>4</sup>, რომ „რეგიონალური განმასხვავებელი ნიშნების დადგენა, ლითონის ბეჭდებს შორის (ისევე როგორც ჭრილა ქვებში), რთული საკითხია“. ამისდა მიუხედავად, მკვლევარმა სტილის მსგავსების საფუძველზე, შეძლო გამოეყო დასავლურ-ბერძნული წარმოშობის ბეჭდების ჯგუფები.

სიუჟეტების შერჩევამი მჭრელები სრულ დამოუკიდებლობას იჩენენ და სავეებით გაემიჯნენ თავიანთ „დომოსავლელ წინამორბედებს“<sup>5</sup>. გამოხატულეების უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს. ღვთაებათა გამოსახულებებს, ნიკესა და აფროდიტეს (ეს უკანასკნელი ხშირად თავის ვაჟი შვილთან — ეროსთან ერთად არის ხოლმე წარმოდგენილი) გარდა, შედარებით იშვიათად გვხვდებით. ისევე როგორც თანადროულ სკულპტურასა და ვაზათმხატვრობაში ადამიანთა ცხოვრებისეულ მოვლენებს მეტად ანიჭებდნენ უპირატესობას ვიდრე ზესთაბუნებრივს. ოსტატებმა ინტერესი გამოიჩინეს ათლეტებისა და განსაკუთრებით ქალების მიმართ. გავრცელებულ სიუჟეტად იქცა მუსიკით გათული ქალი, ცხოველებთან მოთამაშე ქალი; ქალი, რომელიც იცვამს ან იხდის და ა. შ.<sup>6</sup> აგრეთვე მოთამაშე ბავშვი და ცალკეული პორტრეტები. ესაა ზოგადად ის თემები, რომლებიც ხსენებული პერიოდის ბერძნული გემებისათვისაა ხოლმე შერჩეული. ამასთანავე გვხვდება: მითოლოგიური სცენებიც ჰერაკლესი, პერსეოსისა, კასანდრასა და სხვათა მონაწილეობით; ურჩხულების სახეები. მაგალითად: მედუსასი კვლავ შემორჩენილია როგორც თემა, მაგრამ შედარებით იშვიათად არის წარმოდგენილი და მუდამ „შერბილებული სახისა“ — განკაცებულია<sup>7</sup>.

რაც შეეხება ცხოველების გამოსახულებებს, გარკვეული ადგილი თემატიკაში, მათაც აქვთ დათმობილი, მაგრამ ადრეული პერიოდისაგან განსხვავებით ისინი (ცხენები, ძაღლები, ირმები, ანტილოპები, ფრინველები, მწერები — ხოჭო და ბუზი) მარტო არიან ხოლმე გამოხატულნი<sup>8</sup>.

როგორც ჯ. რიხტერი აღნიშნავს, ეპოქის ისეთი სახელმძღვანელო სკულპტორების სტილი, როგორებიც იყვნენ მირონი, ფიდიასი, პოლიკლეტი, პრაქსიტელი, სკოპასი და ლისიპოსი, გავლენას ახდენდა ზოგიერთ გლობტიკურ ნახელაზე. ამასთანავე იმასაც ხაზს უსვამს, რომ გემების მჭრელები, ისევე რო-

<sup>2</sup> უცხო მასალებზე იმ უცხოური გამოცემების მიხედვით ვსჯელობთ, რაც ჩვენთვის მისაწვდომი იყო (იხ. მითითებული ლიტერატურა).

<sup>3</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 154.

<sup>4</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

<sup>5</sup> G. Richter, A History of Greek Art in Miniature, გვ. 76.

<sup>6</sup> Richter, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>7</sup> Richter, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>8</sup> Richter, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.



გორც ვაზათმხატვრები, არსებითად დამოუკიდებელი ოსტატები იყვნენ. მათი ხელოვნება შემოქმედებას წარმოადგენდა და არა მიმბაძველობას<sup>9</sup>.

ფიჭვნარის ყველა ბეჭედს ტიპიური ანტიკური — კლასიკურ ხანაში, ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ფორმა აქვს. — კერძოდ, ძვ. წ. V და IV საუკუნის დასაწყისისა. ეს არის რკალშეკრული, მეტ-ნაკლებად შევიწროებული ოვალურფარაკიანი ბეჭედები (იხ. ანალიზი, გვ. 16—30), რომელთა ინტალიონები ბერძნული კლასიკის ნიმუშებს წარმოადგენენ. ამათგან ყველაზე ადრეული № 6 სამარხში აღმოჩენილი ელექტრუმის ბეჭედი. ხსენებული ბეჭდის ტიპი, ისევე როგორც № 77<sup>9</sup>), ვერცხლის ინტალიონ-ბეჭედი (იხ. სურ. 2), არის ერთადერთი არქაული ფორმა, რომელიც მთელი V საუკუნის განმავლობაში შემორჩა, და ჯ. ბორდმანის კლასიფიკაციის მიხედვით კლასიკური ბეჭედების I და II ტიპს მიეკუთვნება<sup>10</sup>.

1. 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, IV უბანი, თბრილი III, ორმოსამარხი № 6 (ბერძენ მოახალშენთა სამაროვანი)<sup>11</sup>, საველე № 62. ინვ. № 19708<sub>6</sub> (ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში).

ბეჭედი-ინტალიონი, ელექტრუმისა, ლითონი ბაცი ყვითელი ფერისაა<sup>12</sup>. ოვალური მოყვანილობის საკმაოდ სქელი ფირფიტის ფარაკი ბოლოებისკენ შევიწროებულია. იგი თითქმის უშუალოდ გადადის ვიწრო და ქვევითკენ ჩამოგრძელებულ რკალში<sup>13</sup>. რკალი ქვედა ნაწილში მკვეთრად ფართოვდება — გასქელებულია და ამასთანავე შებრტყელებულიც. ამიტომ რკალის შიდაპირზე, ზედა ნაწილში გამოყვანილი წახნავი იმ ადგილებში, სადაც ბეჭდის „ბრტყელი“ ნაწილი იწყება, ქრება. უფრო ზუსტად — ნაკლებად მკვეთრია. ერთი შეხედვით რკალი მრგვალ-ბრტყელია. ბეჭდის ფარაკს შეუმჩნევლად ამოზნექილი პირი აქვს, პირისა და ზურგის შემაერთებელი წახნავი მცირედ დაქანებულია ზურგის მიმართულებით და ამასთანავე ორნამენტირებულია. იგი ოვების წყებითაა შემკული (ორნამენტი ამჟამად ადგილ-ადგილ შემორჩენილია)<sup>14</sup>. (სურ. 1, ტაბ. VIII, ვ).

პირზე გამოხატულია ნახევრად წამოწოლილი<sup>15</sup> ქალის ფიგურა, რომელსაც გარკვეული ნიშნებით აფროდიტედ მივიჩნევთ (იხ. ტაბ. II, 1). იგი მოკლესახელოებიანი, ნახევრად გამჭვირვალე, მრავალნაოჭიანი კვართით არის შემოსილი. გულამოღებული კვართი კისერს ქვემოთ, საკმაოდ ღრმად, მრგვალადაა ამოჭრილი; თეძოებთან მცირედ გადმოფენილი ქსოვილი რბილ ნაკეცს ქმნის. თეძოებსა და ნაწილობრივ ფეხებზე, ნაკუთალამდე, ჰიმატიონი აქვს შემოხვეული. ჰიმატიონი რელიეფური წინწკლებითაა დატრელებული, ოქროქსოვილი-

<sup>9</sup> Richter, Greek Art in Miniature, გვ. 77.  
<sup>10</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217.  
<sup>11</sup> ორმოსამარხში ხის კუბო ყოფილა ჩადგმული (იხ. საველე დღიური).  
<sup>12</sup> ბეჭედი სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იქ, სადაც მიცვალებულის მარცხენა ხელი უნდა ყოფილიყო.  
<sup>13</sup> შესაძლებელია რკალი მირჩილულია ფარაკთან და კარგადაა შემდგომ პოლირებული.  
<sup>14</sup> და ცუდობა: ბეჭედი კარგი შენახულია. ფარაკის პირი ოდნავ გადახეხილია, ხანგრძლივი ტარების შედეგი უნდა იყოს:  
ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 21 მმ, დიამ. — 16 მმ, პირის სიგრძე — 18 მმ, პირის განი — 9 მმ, ფარაკის სისქე — 2 მმ, რკალის სისქე — 3—2 მმ.  
<sup>15</sup> ერთი შეხედვით დახრილ ფიგურად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

სა უნდა იყოს (სავარაუდებელია, რომ ოსტატი ხსენებულ მხატვრულ ხერხს სავანებოდ ოქროქსოვილის გადმოსაცემად იყენებს).

ქალღმერთს ყურს უკან გადაწვეული, შუბლსა და საფეთქელზე ოდნავ ჩამოშლილი თმა კეფაზე, დაბლა ნასკვად აქვს შეკრული. ვარცხნილობაზე ორ წყებად, ვიწრო ტენიაა შემოჭერილი, რომელიც ნასკვზეა შემორტყმული და დამაგრებული. ღვთაების მარჯვენა ხელი არ ჩანს. მხოლოდ მხართანაა აღნიშნული; მაგრამ იმგვარადაა გადმოცემული, რომ მისი მდგომარეობის წარმოდგენა სავსებით შესაძლებელია: როგორც ჩანს, წამოწოლილი აფროდიტე იდაყვის ეყრდნობოდა. ქალღმერთს წინ გაწვდილი მარცხენა ხელი მასთან მოფრენილი პატარა ეროსის ხელისათვის წაუვლია. ეროსი პროფილში მარცხნივ, ზურგიტაა გამოხატული. იგი ინტალიოს მარჯვენა არეშია მოთავსებული.



სურ. 1.

აფროდიტეს თავი პროფილში მარჯვნივ არის მოცემული, ხოლო ტორსის ზედა ნაწილი (წელს ზევით) 3/4 მარჯვნივ მობრუნებული. ღვთაების მზერა ეროსისკენ არის მიმართული. ფართოდ გაღებული თვალის კაკალი რბილი რელიეფითაა გადმოცემული. ქუთუთოები წმინდა დარებიტაა შემოფარგლული. ცხვირი და პირი აფროდიტეს აღარ უჩანს. გადაშლილია, მაგრამ დახვეწილი ღაწვებისა, რბილი, შეუმჩნეველი რელიეფით გადმოცემული ყვრიმალის ძვლისა და მალალი, ნათელი შუბლის მიხედვით შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ მას ლამაზი სახის ნაკვთები აქვს. თავისა და კისრის აღნაგობაც ჰარმონიულად ერწყმის სხეულის უზადო პროპორციებს. აფროდიტესთან მიფრენილი ეროტი ღვთაებას გვირგვინს უნდა აწვდიდეს (ამჟამად გამოხატულების აღნიშნული ადგილი ბუნდოვანია, რადგან ინტალიო ამ ადგილას ვაკვეთილია). მჭრელს ფეხის ტერფები არც აფროდიტესათვის და არც ეროტისათვის არ გამოუხატავს, მაგრამ ეს იმდენად ოსტატურად არის გადაწყვეტილი, რომ გავუღლებით არ ამკირებს ნახელავის ღირსებას მხატვრული თვალსაზრისით. ქალღმერთის ლამაზად მოყვანილი მალალი წვივები საღდაც კოჭებთან ქრება, შემჩნეულად.


ინტალიოზე რომ აფროდიტეა გამოხატული ამაზე, უპირველეს ყოვლისა, გამოხატული ქალის ტიპი — მისი გარეგნობის დამახასიათებელი ნიშნები მეტყველებს (სავსე, ლამაზი აღნაგობის ზედმიწევნით პროპორციული სხეული). თვით კომპოზიციაც ამგვარ განსაზღვრას ადასტურებს. „დამატებით პერსონაჟს“ ეროტი წარმოადგენს.

ეროტის პატარა ფრთა და თმები ფაქიზად არის შესრულებული. მისი სხეულიც პროპორციულია. სახე შედარებით სუმარულადაა გადმოცემული<sup>16</sup>.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და მკაფიოდ, თითქმის ერთ სიბრტყეში არის ამოჭრილი. სუფთა და ზედმიწევნით ფაქიზი ნახელავია, დახვეწილი კვეთით შესრულებული.

მჭრელი კარგად არის დაუფლებული ადამიანის სხეულის ანატომიას. — ქალღმერთის სხეულის პროპორციები ლამაზი და მოქნილია, ზუსტად დაცუ-

<sup>16</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ — ინტალიო ეროსის თავთან მცირედ გადაშლილია. ადვილი დასაშვებია, რომ ზემოაღნიშნული „სუმარულობა“ ამის შედეგია.





ლი; მთელი ფიგურა პლასტიკურია. დიდი ოსტატობითაა შესრულებული აგურით. ვე თმა და ქსოვილი. მჭრელი სრულყოფილად აღწევს ქსოვილის გამჭვირვალობის ვადმოცემას. ტანზე მომდგარ კვართში ზომიერად გამოსჭვივის სხეულის ნაკვეთები. ხოლო კოპლებიან ჰიმატიონს, ღრმა და ფართო ტალღოვან ნაკვეთებად დაცემულს, ეტყობა, რომ იგი ან კლიტებითაა დაფარული, ან ოქროქსოვილისაა.

ღვთაების თმა და კვართი ბრინჯაოს წმინდა ნემსით არის ამოჭრილი, ჰიმატიონის „კოპლები“ ძალიან წმინდა, წამახული საჭრისით; ხოლო თვალი — პატარა *bouterolle*-სებრი საჭრისით. ეროსის სხეული ასევე პროპორციულია, მაგრამ თავი შედარებით სუპარული ნაკვეთია. თმა და ფრთის ძირი პაწია წერტილების წყებისაგანაა შედგენილი. — ზედმიწევნით წვრილწვერიანი წამახული საჭრისით უნდა იყოს ამოჭრილი. მკლავის ნაწილიც იდაყვამდე ამგვარი წერტილების რამდენიმე წყებითაა შემოვლებული. პირი და ნაწილობრივ გამოხატულება გაპრიანებულია: აფროდიტეს სახე, წელს ქვევით სხეული და წვივები. ქსოვილის ნაკვეთები, აფროდიტეს მაღალი მკერდი, თმა, ჰიმატიონის კოპლები და ეროტი, მთლიანად, ჩამუქებულია, რაც მჭრელის გარკვეულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. ოსტატი შესანიშნავად ფლობს ყველა საჭრისს, მისი ნახელავი მაღალმხატვრული კვეთით გამოირჩევა, ამასთანავე იგი სხეულის ანატომიის დიდ ცოდნასაც ამჟღავნებს. — ყველა ფორმა ხორცშესხმული და ცოცხალია. მოძრაობა და პოზა ძალდაუტანებელი, თავისუფალია. ნახატი ერთიანად ფაქიზი და დახვეწილია.

აფროდიტე (*Ἀφροδίτη*) თავდაპირველად ნაყოფიერების ღვთაებად იყო მიჩნეული და, როგორც ჩანს, იგი აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს<sup>17</sup>. შარავანდდით მოსილი, მაღალი, ტანადი, ფაქიზი სახის ნაკვეთებით, რბილი თმებით იგი ციური სილამაზისა და დაუქცნობელი სიჭაბუკის განსახიერებაა (სწორედ ასეთად არის ღვთაება წარმოდგენილი ფიქვანარის ინტალიოზზე).

ქალღმერთის დაბადების შესახებ ორი ვერსია არსებობს: პირველის მიხედვით იგი ზევსისა და დიონეს ქალიშვილია; მეორესი — ურანოსისა (ღვთაების სპერმისაგან წარმოიშვა) — ზღვის ქაფიდან წარმოიშვა<sup>18</sup>. ზღვიდან ამოსვლისთანავე აფროდიტე ზეფირებმა კუნძულ კითერაზე გააფრინეს, შემდეგ კვიპროსის სანაპირომდე. იქ იგი ყმაწვილ ორებმა მიიღეს, ოქროქსოვილით შემოსეს და შეამკეს; იმათვე გააცილეს იგი უკვდავებთან<sup>19</sup>.

ფილოსოფოსების, სახელდობრ პლატონის აზრით, ორი განსხვავებული აფროდიტე არსებობდა, ერთი ის, რომელიც ურანოსისაგან (ცისაგან) იშვა.—

17 D. Osborne, Engraved Gems, New York, 1912, გვ. 219.  
 18 P. Grimal, Dictionnaire de la Mythologie Grecque et Romaine, § Aphrodite (*Ἀφροδίτη*), გვ. 39b.  
 იმის გამო, რომ აფროდიტე უეტრად წარმოიშვა ზღვის ქაფისაგან, მას ანადიომენე—*Ἀναδιόμηνη* შეარქვეს (Тренчени-Вальдапфель Имре, Мифология, Москва, 1959, стр. 193).  
 19 Grimal, დასახ. ნაშრ., გვ. 39 b. აფროდიტეს პირველი ტაძარი კუნძულ კითერაზე იქნა აგებული (Тренчени-Вальдапфель Имре, დასახ. ნაშრ., გვ. 193). სესტოსში, ჰელესპონტის ნაპირზე, აფროდიტეს ტაძარი არსებობდა. ქალღმერთი ზღვაოსნობის მფარველადაც ითვლებოდა (Osborne, Gems, გვ. 220).

აფროდიტე ურანია, წმინდა სიყვარულის ქალღმერთი და დიონეს ქალიშვილი<sup>20</sup>. მეორე — აფროდიტე-პანდემე (ანუ აფროდიტე-სახალხო) ხორციელი სიყვარულის ღვთაება<sup>21</sup>.

აფროდიტე-ურანია, ციური აფროდიტე, მუდამ შემოსილია. ჩვეულებრივად ასე წარმოგვიდგება ქალღმერთი ადრეული ხანის ხელოვნებაში, ასეთივეა იგი გემებზედაც; ამასთანავე მისი გამოხატულება ერთიანად მოკრძალებულია. ჩვეულებრივ გემებზე ბერძნულ ხელოვნებაში გავრცელებული აფროდიტეა წარმოდგენილი. ეს სახე იყო გემების მკრელების „სულის ჩამდგმელი“. ელინისტურ ხანაში აფროდიტეს სამოსი უკვე ძალიან თხელია — გამჭვივრავი, ანდა სულ არ არსებობს; წამოსასხამი მხოლოდ ფეხებზედა აქვს შემოხვეული, სხეულის სხვა ნაწილი შეუმოსავია. ხშირად იგი წარმოგვიდგება მთლად ტიტველი, თითქოს წყლიდან ამოსული ანდა ზღვიდან დაბადებული მოდიოდეს<sup>22</sup>.

ბერძნულ და ბერძნულ-რომაულ ხელოვნებაში არსებობს აფროდიტეს მრავალნაირი გამოხატულებები, რომლებიც საყნარო სცენებად უნდა იყოს წოდებული. ეროსი და მისი ატრიბუტები (როგორცაა: მშვილდ-ისარი, კაპარკი, ჩირაღდანი და პეპელა) აფროდიტესთან ერთად სხვადასხვა სახით — სხვადასხვა კომპოზიციაში არის ხოლმე გამოხატული. აფროდიტეს სახე ანტიკური ეპოქის საუკეთესო ოსტატების ერთ-ერთი საყვარელი თემათაგანი იყო. ასევე ფართოდაა დამერტქალი წარმოდგენილი თავის ვაიჟვილთან ერთად, გლიბტიკურ ძეგლებზედაც (ჭრილა ქვებსა და ლითონის საბეჭდავ-ბეჭდებზე)<sup>23</sup>.

ფიჭვნარის ინტალიოზე წარმოდგენილ სცენას პირდაპირი ანალოგია, ჯერჯერობით, გემებსა და ჭრილაფარაკიან ბეჭდებს შორის ვერ მოვუძებნეთ. აფროდიტესა და ეროტს, მსგავს კომპოზიციაში, არც სახვითი ხელოვნების სხვა ძეგლებს შორის მივაკვლიეთ პარალელს. ამდენად ნივთის ანალიზისას საერთო სტილს, კომპოზიციას ზოგადად, ცალკეულ დეტალებსა და კვეთის ტექნიკას ვეყრდნობოდით.

მსგავს ძალდაუტანებელ პოზაში გამოხატულ წამოწოლილი ქალის ფიგურებს კლასიკური ხანის ოქროს ჭრილაფარაკიან ბეჭდებზე ვხვდებით, სახელ-

<sup>20</sup> აფროდიტეს სიმბოლური დაბადება ბუნებაში მარად მეორდება — ეს არის მარგალიტის შესაწინავე წარმოქმნა. ბუნების „ბერძნული ვაგებით“ ამას შემდეგნაირად ხსნიან: ქარიშხლის დროს ნიჟარა გაიხსნება და მიიღებს ელვას; ზღვის შეხვედრა ციურ ცეცხლთან მარგალიტს, რომელიც ნიჟარაშია, სიცოცხლეს ანიჭებს. მარგალიტს, რომელიც წმინდა და რბილი სხივით კიაფობს, რომელიც მზის, მთვარის და ვარსკვლავთა სხივებითაა გამსჭვალული. სადაც ეს მითი არ იციან, იქ სიყვარულის ღვთაებას ზევსისა და დიონეს ქალიშვილად მიიჩნევენ (Тренчени-Вальдапфель Имре, დასახ. ნაშრ., იქვე).

<sup>21</sup> პ. გრიმალი აღნიშნავს, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია უძველესი მითებისათვის უცხოა (Grimal, დასახ. ნაშრ., გვ. 39b).

<sup>22</sup> Osborne, Engraved Gems, გვ. 220.

<sup>23</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 291, 734, 736, 741, 742;—Furtwängler, Die antiken Gemmen, IX, 4. 48, X, 13;—G. Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, Stuttgart, ტაბ. 25, 1;—E. Coche de la Ferté, Les bijoux antique, Paris, 1956, ტაბ. 21, 4. ყველა შემოსხენებული ინტალიოს კომპოზიცია განსხვავებულია ფიჭვნარისეულ ინტალიოსაგან.



დობრ იმ ბეჭდებზე, რომლებიც ძვ. წ. V საუკ. შუა წლებით თარიღდება<sup>24</sup> V საუკ. ბოლომდე არსებობენ<sup>24</sup>.

შემოსილ აფროდიტეს, როგორც აღვნიშნავდით, ადრეული ხანის ძეგლებზე ვხვდებით. მსგავსი კვართი მრგვლად ამოღებული ვულით<sup>25</sup>, ტანსა და ხელებზე მომდგარი (ანუ ვიწროსახელოიანი) ადრეკლასიკური ხანის გემებზე ხშირად გამოხატულ სამოსს წარმოადგენს. ფაქიზად ნაკვეთი ქსოვილის ნაკეციები დექსამენის თანამედროვე ოსტატების ნახელავთან ამკლავნებს ახლო მსგავსებას, სახელდობრ, ძვ. წ. V საუკუნის ნახელავთან. ჰიმატიონის ქსოვილის შესრულების მანერა, კერძოდ „კოლებიანი“ სახის (რასაც ჩვენ ოქროქსოვილად მივიჩნევთ), გამოსახვის ტექნიკა ადრეკლასიკური ხანის (ძვ. წ. V ს. შუა წლები — IV საუკუნის დასაწყისი) ოქროს ბეჭდების შორის გვხვდება. კერძოდ: ამგვარ ქსოვილშია გახვეული ნიკე (ლონდონში დაცულ, ქერჩში აღმოჩენილი ინტალიონზე)<sup>26</sup>, თეტიდა ჰიპოკამპზე ამხედრებული (ბოსტონის ინტალიონი)<sup>27</sup>, აფროდიტე (ბოსტონის ინტალიონი)<sup>28</sup>.

აფროდიტეს თმის ვარცხნილობა მოდაში ბერძენ ქალთა შორის ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებში ჩანს გავრცელებული იმ გამოხატულებების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, რაც ძირითადად ვაზათმახატრობაში<sup>29</sup>, გემებსა და მონეტებზეა შემონახული. მსგავსი თმის ვარცხნილობა ძვ. წ. V საუკ. შუა წლებისა და IV საუკ. დამდეგის გემებსა და ჭრილაფარაკიან ბეჭდებზე გვხვდება<sup>30</sup>. ამთგან ყველაზე ახლოა ძვ. წ. V საუკ. შუა და უკანასკნელი მეოთხედით დათარიღებულ მასალებთან.

იგივე დროით თარიღდება თვით ბეჭდის ფორმაც. ზემოაღწერილი ბეჭდის ტიპი კლასიკური ხანის ხელის სამკაულთა იმ ჯგუფში თავსდება, რომელსაც ჯ. ბორდმანი II ტიპში აერთიანებს<sup>31</sup> და სახელდობრ ძვ. წ. V საუკ. შუა წლე-

24 შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 418, ტაბ. 683. (კურონში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი); აგრეთვე F. Marshall, Finger Rings Greek, Etruscan and Roman, ტაბ. 11, 61 (IV საუკ. დათარიღებული ოქროს ბეჭედი კვიპროსიდან).

25 შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 451 (ბერსეფონას სამოსი. კვიპროსი. ქალცელონი); 472 (ქალის სამოსი. საბერძნეთი. მთის ბროლი). იხ. აგრეთვე Furtwängler, Gemmen, ტაბ. IX 32; XIV. 20; — Lippold, დასახ. ნაშრ., ტაბ. 59, 10.

26 Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 724 (ძვ. წ. IV საუკ. დასაწყისის ბეჭედი).

27 Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 686 (ძვ. წ. V საუკ. უკანასკნელ მეოთხედის ბეჭედი); 742. — Hoffmann—Davidson, Greek Gold, № 111; — Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. IX, 72.

28 Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 666 (ძვ. წ. V საუკ. შუა წლები — V საუკ. უკანასკნელი მეოთხედი).

29 შდრ. А. А. Передольская, Краснофигурные аттические вазы в Эрмитаже, Ленинград, 1967. ანალოგიური თმის ვარცხნილობა კლასიკური სტილის (ზოგადად ძვ. წ. 450—425 წწ.) ვაზებზე გვხვდება. ტაბ. CLII, 5 (პელია); ტაბ. CLIV, 3, 6 (პელიკები) დაახლოებით 430 წ. თარიღდება ხსენებული თმის ვარცხნილობა ერთ-ერთი გავრცელებული ტიპთაგანია. იგი ოლიმპიის სკულპტურაში გვხვდება. ანალოგიური ვარცხნილობა აქვს ვენერა მილოსელსა და აფროდიტე კნიდელს (იხ. Daremberg—Saglio, Dictionnaire des Antiquités Grecques et Romaines, § Coma, გვ. 1360, გამ. 1819).

30 შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 666 (აფროდიტე), 686 (თეტიდა), 741 (აფროდიტე).

31 შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 217 (ტაბულა), ტიპი II; გვ. 212. ძვ. წ. V საუკ. შუა წლებით არის დათარიღებული. აგრეთვე, იმავე ტიპის, F. Marshall-ის მიერ გამოცემული ოქროს ბეჭდები, იხ. მისი Finger Rings, გვ. 10, გამ. 43 (ოქროს ბეჭედი ტარკენიიდან) და ბეჭდები №№ 44—47.

ბით ათარიღებს. ბეჭდის აღნიშნულმა ტიპმა ძვ. წ. V საუკუნის ბოლო წლებში დაიარსება.

ფიჭვნარის ინტალიოზე გამოხატული სილამაზის დემრთქალი აფროდიტე ურანიას უნდა წარმოადგენდეს. ღვთაების ამგვარ განსაზღვრას შემდეგი ნიშნები უწყობს ხელს: აფროდიტე ჩვენს ინტალიოზე ზემიწიერი გარეგნობისა, სახის სათნო გამომეტყველებისა, ამასთანავე მთლად შემოსილი (იხ. აღწერილობა, გვ. 16—17); სხეულის არც ერთი ნაწილი არ აქვს დემრთქალს მთლად გამოშვლებული.

ბეჭედი შინაარსის მიხედვით (ფარაკზე „ქალთა სიმბოლოა“ — ემბლემა, წარმოდგენილი) ქალის კუთვნილებას შეადგენდა<sup>32</sup>. ამგვარ განსაზღვრას ხელს უწყობს თვით ბეჭდის ფორმაც — მსუბუქი და დახვეწილი (ნივთი წონითაც მსუბუქია, ამდენად ადვილი მოსახმარი და სატარებელი)<sup>33</sup>.

მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ინტალიო კლასიკური ხანის ძეგლთა იმ წრეში თავსდება, რომლის მჭრელი ოსტატი დექსამენეს თანამედროვედ უნდა იქნეს მიჩნეული. „დექსამენეს თანამედროვეთა“ მოღვაწეობა ძვ. წ. V საუკ. შუა წლებიდან იწყება და ხსენებული პერიოდის საუკეთესო ნახელავი გემების უმეტესი ნაწილი საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიეკუთვნება<sup>34</sup>. კვეთის თავისებურებაცა და ოსტატობაც (დახვეწილი პროპორციები, ფაქიზად მოდელირებული ტანი, მოხდენილი ფორმები) ძვ. წ. V საუკუნის შუა წლების ბერძნული ჭრილაფარაკიანი ოქროს ბეჭდებისათვის დამახასიათებელ მანერაშია შესრულებული (იხ. ტექნიკა, გვ. 17—18).

ამრიგად, არსებული ანალოგიების, თმის ვარცხნილობის, ჩაცმულობის, ტექნიკისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებით თარიღდება (უფრო კი მეორე ნახევრის პირველი მეოთხედით)<sup>35</sup>.

2. ბერძენ მოახალშენთა სამაროვანი, 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, საალაპო მოედანი. კვადრატი მე-7, III საკონტროლო თხრილი. საველი № 77<sup>3</sup>.

ბეჭედი-ინტალიო ვერცხლისა, ფრაგმენტირებული. მრგვალი და ვიწრო რკალი ქვედა ნაწილში ოდნავ გასქელებულია, იგი ფარაკის მიმართულებით შეუმჩნეველად ვიწროვდება; თვით ფარაკთან ყველაზე წვრილია. ოვალური მოყვანილობის ფარაკი თხელი ფირფიტისგან არის გაკეთებული (რკალთან მიჩილულია, თუ ერთიანადაა ჩამოსხმული ჭერ ვერ გავარკვევთ, რადგან ლითონი დაზიანებულია)<sup>36</sup>. ფარაკი ბოლოებზე ვიწროებულია (შდრ. ვანის ოქროს ბეჭდების ფორმას; აგრეთვე: ფიჭვნარის ბეჭდებს — №№ 325, 326). (სურ. 2).

32 ცნობილია, რომ ქალებისათვის განკუთვნილ ჭრილაფარაკიან ბეჭდებზე გარკვეული ემბლემა გვხვდება. მათ შორის გავრცელებულია: ქალის სახე, აფროდიტე, ეროსი (Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 236).

33 არსებობს მოსაზრება, რომ ჭრილაფარაკიან ბეჭდებს ქალები უფრო თავიანთი განძეულობის (ძვირფასეულობის) დასაცავად — დასაბეჭდად იყენებდნენ, ვიდრე საბეჭდავებად (იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 236).

34 იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

35 ამავე სამარხიდან წარმოსდგება ელექტრუმის ქიზიკინი ნიშნა კლიტესა და თინუსის გამოხატულებით (№ 60 მუხ. ინვ. 197085). ა. კახიძე სამარხულ სხვა ინვენტარს ძვ. წ. 460—450 (თუ 445) წწ. ათარიღებს.

36 და ცულობა: რკალი ოთხად არის გატეხილი. ფარაკი ცალკეა; ვერცხლი რკარისტა-ლიზირებულია.

ფარაკის პირზე გამოხატულია მსრბოლი ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც მთელ ტანზე მოზრდილი ფორეჯი აქვს დაყრილი. ფორეჯი პაწია



სურ. 2.

კოპების საშუალებითაა გადმოცემული (ინტალიოზე გულ-ამოღებული, მოზრდილი წერტილებია). სხეულის აღნაგობის მიხედვით ცხოველი კურდღლად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ მისი ფორეჯიანი ტანი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ შესაძლოა მჭრელს ინტალიოზე ჭრელი ირმის ნუკრის გამოხატვა განუზრახავს<sup>37</sup>. (ტაბ. II, 2).

ცხოველი რბოლის იმ მომენტშია წარმოდგენილი, როცა იგი უკანა ფეხებით ეხება დედამიწას (ნიადაგის ზოლი არ ჩანს), ხოლო წინა ფეხები მიწის ზემოთ აქვს გაჭიმული. ცხოველის მთელი სხეული ერთ სიბრტყეშია მოცემული, ყოველგვარი მოდელირების გარეშე. მეტად გრძელი ყურები უკან აქვს გადაყრილი; პატარა თავზე ოდნავ ამოღრმავებულ უბეში ჩამჯდარი, რელიეფური მოზრდილი წერტილით გამოხატული თვალი მკაფიოდ გამოირჩევა. ფარაკის ბოლოებზე, ნუკრის (?) მკერდის წინ და უკანა ფეხებს უკან, პალმეტებია ამოჭრილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არაღრმად. ბრტყელი კვეთით შესრულებული ნახელავია. ცხოველის სხეული ერთ სიბრტყეშია ნაკვეთი (იმავე სიღრმეზეა „ამოღებული“ თავიც), ცალკეული ფორმები დაუმუშავებელია. სხეულს მხოლოდ ბეწვზე (თუ ბალანზე) დაყრილი ფორეჯი, ოსტატის მიერ საგანგებოდ ჩამუჭებული, გულამოღებული წერტილები აცოცხლებს. ფორეჯის ამოსაჭრელად წვეტიანი, წამახული საჭრისია გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ კვეთა ერთგვარი სუმარულობით ხასიათდება (ცალკეული დეტალები თუ ფორმები საგანგებოდ დამუშავებული არ არის) გამოხატულებას გარკვეული პლასტიკურობა გააჩნია. ოსტატს გამოყენებული აქვს შენდევნი იარაღი: ბრინჯაოს ნემსი, წვეტიანი-წამახული საჭრისი და, შესაძლოა, მომრგვალებული ფორმის საჭრისიც (ფეხების ამოსაჭრელად). წამახული საჭრისივეა ნახმარი თვალისათვის.

ზომები: ბეჭდის დიამ. — 18 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ, ფარაკის სიგრძე — 17 მმ, ფარაკის ვანი — 8 მმ, ფარაკის სისქე 1 1/2 მმ, რკალის დიამ. — 3 მმ.

37 ჩვენ ვერაფრით „ფორეჯიანი“ კურდღლის არსებობის შესახებ ცნობას ვერსად მივაკვლიეთ, რაც შეეხება ჭრელ ირემს — ჩემთვის აქამდე მისი ორი სახეობაა ცნობილი: ერთი მათგანი ფურირემია, (*Dama platyceros*), მეორე — „ღერძისებრი“ რქებიანი (*Axis Deer*) ირემი. ფურირემის ერთ-ერთ სახესხვაობას ფორეჯიანი „ჩიში“ წარმოადგენს; მას მოყვითალო ან მოწითალო-ყავისფერი ტყავი აქვს, რომელზედაც თეთრი ლაქები აყრია. მის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები ითვლება. „ღერძისებრი“ რქებიანი ჭრელი ირემი ინდოეთსა და ცეილონზე ბინადრობდა. მოყავისფრო ტყავზე თეთრი ლაქები აყრია, რქებს მცირე განშტოებები აქვს. მის ნუკრს აპრეხილი მოკლე კული და აცქვეტილი, უკან გადაყრილი ყურები აქვს. (იხ. Donald F. Hoffmeister, A golden Nature guide, Zoo Animals, New York, გვ. 70, 72, 74).

ვიღრე საბოლოოდ დავადგენდეთ სახელდობრ რა ცხოველია გამოხატული ბეჭედზე, პირობითად მას მაინც ნუკრს ვუწოდებთ.

ტყავის დაწინწკვლის ამგვარი ტექნიკა კლასიკური ხანის ბერძენ მკრელოს ნახელავეში გვხვდება. სახელდობრ, ლითონის ინტალიო-ბეჭედებს შორის, ჩვენი დაკვირვებით, ძირითადად ეს ხერხია გამოყენებული „ვიწრო ჩარჩო-ებთ შემოფარგულ“ გამოხატულებებისათვის. — სახელდობრ: ირმების ტყავის<sup>38</sup> დასაჭრელებლად, (ჩვენი ვარაუდით, ასეთ შემთხვევებში მკრელებს ფორეჯიანი ირმის ჯიში ჰყავთ ხოლმე გამოხატული)<sup>39</sup> ვეფხისა და ცნობილია შემთხვევა, როცა თხისა<sup>40</sup> და ვერძის<sup>41</sup> ტყავიც ანალოგიური ხერხითაა შესრულებული. აღნიშნული ტექნიკა ლითონის ინტალიოებზე თავს იჩენს ძვ. წ. V საუკ. მეორე მეოთხედიდან (Boardman, Greek Gems and Finger Rings, № 660) იშვიათი გამოჩენის სახით, ამ ხერხს ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ ბეჭედებს შორისაც ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ საერთოდ ხსენებული ტექნიკა არცთუ ფართოდ გავრცელებული ჩანს (გამოცემული მასალების მიხედვით ვასკვნით)<sup>42</sup> და უპირატესად დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოებსა თუ ცენტრებს უკავშირდება: ბერძნულ-პუნიკურსა<sup>43</sup> და სირაკუზულს<sup>44</sup>.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტყავის „დაჭრელების“ ანალოგიურ მანერას (შესრულების ტექნიკას), იშვიათი გამოჩენის სახით, გეომეტრიული და ადრეარქაული პერიოდის ჭრილა ქვებს შორისაც ვხვდებით. სახელდობრ, ხსენებული ხერხი თხებისა და ვერძების ტყავის გამოსახატავად არის გამოყენებული<sup>45</sup>. მსგავსი ტექნიკით შესრულებული საწმისი კვიპროსულ მონეტებს შორისაცაა ცნობილი<sup>46</sup>.

რაც შეეხება, სახელდობრ, ჩვენს ბეჭედზე ამოჭრილ გამოხატულებას პირდაპირი ანალოგიები ვერ მოვუძებნეთ თანადროულ ჭრილა ქვებსა და ფარა-

<sup>38</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 680 (ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ოქროს ბეჭედი. ძვ. წ. V საუკ.);—Hoffmann—Davidson, დასახ. ნაშრ., გვ. 252, გამ. 109a—109b, ძვ. წ. VI საუკ. ბოლოთი ათარიღებს.—Boardman, დასახ. ნაშრ., გამ. 694, (ოქროს ბეჭედი. „შვიდი ძმის ყორღანინად“. ლენინგრადი. ძვ. წ. V საუკ. მეორე ნახევარი); —Л. Галаннина, Н. Грач, И. Торнеус, Ювелирные изделия Эрмитажа (Особая кладовая) „альбом“, Ленинград, 1967, გამ. 40.

<sup>39</sup> შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, კვლავ № 694 ბეჭედს ვუთითებ.

<sup>40</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ. ტაბ. 660 (თაროსის მე-12 სამარხში მოპოვებული ოქროს ბეჭედი. ძვ. წ. V საუკ. მეორე მეოთხედი).

<sup>41</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., ტაბ. 785 (სირაკუზა, გელა. ოქროს ბეჭედი, ძვ. წ. IV საუკ.).

<sup>42</sup> მსგავს ტექნიკას — კერძოდ „ლაქებდაყრილ“ ირმებს ადრეანტიკური ტორეტიკის ზოგიერთ ნიმუშებზეც ვხვდებით. სახელდობრ, ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ პრენეს-ტემში მოპოვებულ ვერცხლის თასს ვვულისხმობთ (იხ. G. Becatti, Oreficerie antiche Dalla minoiche alle barbariche, Roma, MCMLV, გვ. 172, ტაბ. XXXIX, 218).

<sup>43</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 215, ტაბ. 660.

<sup>44</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 228, ტაბ. 785.

<sup>45</sup> შდრ. Boardman, Archaic Greek Gems ტაბ. XXXV, 518 (ძვ. წ. V საუკ. მეორე მეოთხედი. თეთრი იასპი, სკარაბეოდი. „იონიური კუნძულები“, ბრიესის ნახელავე);—Lippold, Gemmen und Kameen des Altertums, ტაბ. 91, 9;—Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 395. შესრულების ანალოგიური მანერა იხ. აგრეთვე Boardman, Archaic Greek Gems, ცკერის თავი (ნაწილობრივ), ტაბ. XXXIV, 516 (ქალცედონი, პელოპონესი, არკადია, დიპოსტანა. ერმოტიმოს ნახელავე); ვერძის თავი, 519 (სარდიონი, ცენტრალური საბერძნეთი).

<sup>46</sup> იხ. E. Babelon, Traité des Monnaies Grecques et Romaines, ტაბ. 26, 127, 1—8; —British Museum Catalogue, Cyprus, ტაბ. 9, 10.



კიან ბეჭდებს შორის<sup>47</sup>. მაგრამ კვეთის მანერა და გამოხატულების სტილი იმდენად მეტყველია, რომ ბეჭდის დათარიღებასა და განსაზღვრას აადვილებს.

პირველ რიგში შევეხებით ბეჭდის ფორმას: ბოლომეფეობის ოვალურფარაკიანი, ქვედა ნაწილში ოდნავ გასქელებული მრგვალი და ვიწრო-რკალიანი ბეჭდები (იხ. აღწერილობა, გვ. 21) წარმოადგენს კლასიკური ხანის ბეჭდების „I ტიპს“. ეს არის ბეჭდის ერთადერთი არქაული ფორმა, რომელიც სრულად სახით, მხოლოდ ძვ. წ. V საუკუნის შუაწლებამდე შემორჩა კლასიკურ ხანაში<sup>48</sup>.

ფარაკის „ბოლოებზე“ ამოჭრილ პალმეტებს ანალოგია ეტრურიაში მოღვაწე ბერძენ მჭრელთა ნახელავში ექვზებზე<sup>49</sup>.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე: კვეთის თავისებურების, სტილის ხასიათისა და აგრეთვე ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. V საუკუნის შუახანას მიეკუთვნება. ხოლო წარმოშობით, ექვზარეშე, ერთ-ერთ დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოს უკავშირდება<sup>50</sup>.

3. ბერძენ მოახალშენთა სამაროვანი, 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, IV უბანი, IV თხრილი, ორმოსამარხი (ხის კუბოთი)<sup>51</sup> № 2. საველე № 2.

ბეჭდის ჭრილა ფარაკი<sup>52</sup> ბრინჯაოსი. ოვალური მოყვანილობის, ბოლოებისკენ შევიწროებულ, ბრტყელობრიან ფარაკს ზურგი შედარებით სქელი, „მაღალი“ აქვს. უფრო ზუსტად: ზურგის ცენტრალური ნაწილი შემადღებულია და რბილი წახნაგით არის შემოფარგლული; შემოფარგლული ნაწილი ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი ზედაპირით, პირამდე მკვეთრად დაქანებული (ბეჭდის პირი იგულისხმება). რკალისაგან მხოლოდ უმნიშვნელო კვალია შემორჩენილი, უშუალოდ ფარაკთან (ანუ რკალის ძირი), მაგრამ ერთის დადგენა მაინც შესაძლებელი ხდება: რკალი წვრილი ყოფილა, როგორც ჩანს შიდაპირზე წახნაგი დაჰყვებოდა; ზედაპირი გლუვი უნდა ჰქონოდა.

პირზე ამოჭრილია მოზარდის თავი, პროფილში მარჯვნივ. (ტაბ. II, ვ). იგი პორტრეტს წარმოადგენს, მოზარდი ქალიშვილისას თუ ქაბუჯის ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ გვაქვს (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). მოზარდს

<sup>47</sup> მსრბოლი კურდღელი არცთუ იშვიათი თემა კლასიკური ხანის სიცილიურ მონეტებზე, სახელობარ, იხ. R. Regling, Die Griechischen Münzen der Sammlung Warren, Berlin, 1906, ტაბ. VI, 260, 262, 267; Grose, Greek Coins, I, ტაბ. 78, 1—14 (სიცილია. მესანა, ძვ. წ. 480—461 ტეტრადრაქმები); ტაბ. 79, 1—7 (მესანა, ტეტრადრაქმები); V. Head, Historia Numorum, გვ. 153 (მესანა, ძვ. წ. 480—461. მსრბოლი კურდღელი). სტილისტურად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონეტები განსხვავდება ფიჭვნარის ინტალიისაგან.

<sup>48</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, 212, 217.

<sup>49</sup> Boardman, Archaic Finger Rings, ტაბ. 5, 8; მისივე, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 429 (ვერცხლის ბეჭედი, ძვ. წ. 500 წ. დათარიღებული).

<sup>50</sup> შტრ. Boardman. Greek Gems and Finger, Rings, 660, 785 და ა. შ.

<sup>51</sup> შემონახულია რკინის ლურსმნები.

<sup>52</sup> ფარაკი ნაპოვნია მიცვალბულის კისრის არეში, მიძივებთან ერთად.

და ც უ ლ ო ბ ა: ბეჭდისაგან დაჩენილია დაზიანებული ფარაკი. პირის კიდე ისე აქვს შემომტვრეული, რომ გამოხატულების ნაწილიც შიგ მოყოლია. ლითონი არაკეთილშობილი პატინის სქელი ფენით არის დაფარული, რის გამოც მყიდვეა და იშლება; ზოგან ლითონი ფენა-ფენა ასული. რკალისაგან, უშუალოდ ფარაკის წვერთან შემორჩენილია პაწია ნაშთი.

ზ ო მ ე ბ ი: ფარაკის სიგრძე — 16 მმ, ვანი — 10 მმ.

დამახასიათებელი, საკმაოდ მკვეთრი, და ამავე დროს სწორი სახის ნაკვთები აქვს, იგი მაინცდამაინც არ გამოირჩევა სილამაზითა და მომხიბვლელით. — ფართო ამობერილი შუბლი უშუალოდ გადადის დიდი ზომის მალა, მკვეთრად შემოფარგლულნესტოებიან, სწორ ცხვირში. ცხვირის ძვალი მკრთალადაა გამოხატული; პატარა, მსუქანი ბაგეები თითქოს ოდნავ გააბიბილი აქვს. მსუქანი, წინ წამოწეული ნიკაპი, სახეს შედარებით ღამაზი ღაწვები ოდნავ აფაქიზებს. ფართოდ გაღებული თვალი მალა ზის თვალის ღრმა ფოსოში, რაც ფართო ჩაღრმავებული სამკუთხედითაა გადმოცემული. გუგა თვალის კაკალზე გულამოდებული წერტილითაა აღნიშნული, რაც ერთობ აცოცხლებს გამომეტყველებას; ხოლო კილოები — ორმაგი ფაქიზი ხაზებით. მოზარდი სივრცეს გასცქერის. შუბლთან „კოპივით“ შეკეცილი, ყურზე გადაწეული და ამასთანავე ნაწილობრივ საფეთქელზე ჩამოვარცხნილი თმა ერთ კონადაა შეკრული თხემზე. თმა სწორი სქემატური ხაზებითაა გადმოცემული. მოზარდილი ყურის ბიბილა მკაფიოდ გამოირჩევა თმებში. სქელ კისერზე ხვანჩი მსუბუქი რელიეფითაა გამოყოფილი. თავისუფალი არე ფარაკზე მხოლოდ მოზარდის კეფის გასწვრივაა დატოვებული. სხვამხრივ გამოხატულება კიდიდან-კიდედმდე ავსებს ინტალიოს პირს და ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და მკაფიოდ არის ამოჭრილი; გულმოდგინე, ზუსტი კვეთით შესრულებული კარგი ნახელავია. ოსტატი დახელოვნებული მჭრელი ჩანს იმისდა მიუხედავად, რომ მისი პორტრეტი ერთგვარად სქემატურ ხასიათს ატარებს. სქემატურობა ძირითადად თმის გადმოცემაში შედგენდება და ამდენად, მთლიანობაში გამოხატულებას სქემატურს ვერ ვუწოდებთ. — დამახასიათებელი სახის ნაკვთები კარგად არის მიგნებული და გადმოცემული.

გამოხატულების ამოსაკვეთად რამდენიმე, უფრო სწორად, სამი საჭრისია გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, წამახული საჭრისი და ფართო მომრგვალებულპირიანი საჭრისი. კვეთის დამთავრების შემდეგ ნახატი კარგად არის დამუშავებული და მოპირკეთებული. გამოხატულება ფარაკზე გარდიგარდმოა ამოჭრილი.

იყო თუ არა გაპრილებული ფარაკი გამოხატულებითურთ ნაჭედი თუ ჩამოსხმული ბეჭედი, ამჟამად ძნელი დასადგენია, რადგან ლითონს, როგორც აღენიშნეთ, არაკეთილშობილი პატინის ფენა გადაკვრია.

ინტალიოზე ამოჭრილი მოზარდის სახის ნაკვთების დამახასიათებელი ნიშნებისა და ინდივიდუალური თვისებების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ ოსტატმა რომელიმე გარკვეული, ჩვენთვის უცნობი მოზარდის რეალისტური პორტრეტი გამოხატა და არა წარმოსახული სახე ადამიანისა. თმის ვარცხნილობის ტიპმა საშუალება მოგვცა გავვერკვია, რომ ინტალიოზე. მოზარდი ბავშვია გამოხატული<sup>53</sup>.

როგორც ცნობილია, ბერძენთა თმის ვარცხნილობის მოდაში გამოყოფილია ორი დიდი პერიოდი<sup>54</sup>. სახელდობრ, პირველი პერიოდი ბერძენ-სპარსელ-

<sup>53</sup> Daremberg—Saglio, Dictionnaire, fas. VIII, Coma (Κόμη), გვ. 1358—1365.

<sup>54</sup> Daremberg—Saglio, დასახ. ნაშრ., გვ. 1354.

თა ომამდელ ხანას (ანუ ძვ. წ. V საუკუნემდე) მოიცავს; როცა ბერძენთა მთავარცხნილობის მოდაში აღმოსავლეთის დიდი გავლენა შეიმჩნევა.

მეორე პერიოდის დასაწყისიდან ძველი თმის ვარცხნილობის თავისებური ჩასაითი, განუჩევილად — მამაკაცთა თუ ქალთა შორის, თანდათანობით ქრება. ქალები ხელს იღებენ თმის ჩაშლილ სიმეტრიულ კულულებად დახვეულ „დალაგებზე“. ჩნდება ახალი, თავისუფალი და საკმაოდ მრავალფეროვანი ვარცხნილობა, ინერგება ახალი მოდა (ისევე როგორც ტანსაცმლის, იარაღის, საჭურავლისა და სამკაულის მიმართ)<sup>55</sup>. დროთა ვითარებაში ვარცხნილობა სახეს იცვლის, ყოველ ახალ პერიოდს ვარცხნილობაშიც სიახლე შეაქვს.

ქალებისა და ქალიშვილების თმის ვარცხნილობაში გარკვეული განსხვავება არსებობს. ზოგიერთ ვარცხნილობას მხოლოდ ქალიშვილები ატარებდნენ, სახელდობრ: ავარცხნილი და თხემზე ერთ კონად შეკრული თმა<sup>56</sup> (ანუ ქოჩრიანი ვარცხნილობა). ხსენებული ვარცხნილობა ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეა წლებამდე გვხვდება, უპირატესად სირაკუზულ მონეტებზე გამოხატულ ქალთა შორის<sup>57</sup>; აგრეთვე ტერინას ძვ. წ. V საუკუნე უკანასკნელი მეოთხედით დათარიღებულ სტატერებზე<sup>58</sup>. ვარცხნილობის ტიპი სინქრონულ გემებზედაც გვხვდება<sup>59</sup>, კერძოდ ლენტინელოში (სირაკუზას მახლობლად) მოპოვებული.

ხსენებულმა ვარცხნილობამ დიდი პოპულარობა ხელახლა უფრო გვიან მოიპოვა. იგი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. IV საუკუნეში<sup>60</sup>. ქოჩრიანი ვარცხნილობას (მცირედენი განსხვავებით) ბავშვებს შორისაც ვხვდებით. სახელდობრ ეტრუსკ ბავშვებს შორის<sup>61</sup>.

ეტრურიაში როგორც მამაკაცთა ასევე ქალთა შორის, მეტი მოწონებით ბერძნული, ყველაზე ძველი ვარცხნილობა სარგებლობდა. ამას გარდა, ვხვდებით, აგრეთვე, თხემზე ერთ კონად შეკრული თმის „ქოჩრიანი“ ვარცხნილობასაც (ქალების, მოზარდების, გენიებისა და განსაკუთრებით ეროსების გამოსახულებებზე)<sup>62</sup>.

სახელდობრ, ჩვენ მიერ განხილულ ინტალიოზე მოცემული ვარცხნილობა, სპეციფიკური დეტალების მიხედვით (თმის კონა უფრო კენძს წააგავს, „კენძისადა გამოსკვნილი“, შუბლთანაც შემოკეცილია და კობივით ადევს შუბლის ძვალს), ბავშვებისთვის შემოღებულ ტიპს წარმოადგენს<sup>63</sup>. ვარცხნილო-

<sup>55</sup> იხ. Daremberg—Saglio, დასახ. ნაშრ. გვ. 1354.

<sup>56</sup> იხ. Daremberg—Saglio, § Coma, გვ. 1361, გამ. 1822.

<sup>57</sup> შდრ. Grose, Greek Coins, v. I, ტაბ. 93, 9 (ტეტრადრაქმა—ძვ. წ. 418—413).

<sup>58</sup> შდრ. Grose, დასახ. ნაშრ., ტაბ. 62, 15 (ძვ. წ. 425—400 წწ.).

<sup>59</sup> შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 314 (აქატის სკარაბები, ძვ. წ. V საუკუნე); — Walters, Gems, ტაბ. IX, 509. — Boardman, Greek Gems and Finger Rings, 447, 448. (ძვ. წ. V საუკუნე. შუა წლები); — Furtwängler, Gemmen, ტაბ. XIV, 37; — H. Walters, Catalogue of the Engraved Gems and Cameos Greek, Etruscan and Roman, London, 1926, ტაბ. IX, 509, 510.

<sup>60</sup> Daremberg—Saglio, გვ. 1361; — შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 632 (ძვ. წ. IV ს. II ნახევარი, ქალედიონის სკარაბეოიდი, ქალის გამოსახულება); M.-L. Vollenweider, Une nouvelle bague en or au Musée d'art et d'histoire de Genève, Geneva, XII, 1964, ტაბ. I, 1 (ძვ. წ. IV საუკუნე. II ნახევარი. არტემიდა).

<sup>61</sup> Daremberg—Saglio, § Coma, გვ. 1363, გამ. 1843.

<sup>62</sup> Daremberg—Saglio, გვ. 1362—1364.

<sup>63</sup> Daremberg—Saglio, გვ. 1358, გამ. 1809, გვ. 1365, 1843.

ბა და საკუთრივ თმის ბეწვის გადმოცემის მანერა ძვ. წ. IV საუკ. დასაწყისში  
სათვის არის დამახასიათებელი<sup>64</sup>.

შედარებამ, გლიპტიკურ და ნუმიზმატიკურ მასალებთან, დაგვანახა, რომ ჩვენი ინტალიო, სტილისტურად თუ კვეთით, ახლო მსგავსებას ავლენს დასავლურ-ბერძნულ ნახელავთან. ჩვენი ვარაუდით, იგი დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოს უკავშირდება, შესაძლებელია სირაკუზულს. ხოლო ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ გვაქვს მოზარდი ქალია თუ ქაბუკი<sup>65</sup>.

4. „ნაპურვალა“, ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვანი, 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, ამონაყარ მიწიდან. საველე № 172.

ჭრილა ფარაკი, ბრინჯაოს ბეჭდისა. ფარაკი ბრინჯაოს თხელი ფირფიტოდან არის გაკეთებული, ოვალური მოყვანილობისაა, ბოლოებზევიწროებული და ბრტყელი. ჩანს ბეჭედს წვრილი რკალი ჰქონია (ამჟამად მისგან უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი, უშუალოდ ფარაკთან), გარედან მკაფიოდ გამოყვანალი წახნაგი დააყვებოდა (სურ. 3).

ფარაკი ორი, ოქროსა და ვერცხლის, „ბურთულით“ არის შემკული: ბურთულები ინტალიოზე პირის კიდესთან, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეზეა ჩასმული — ფარაკშია ჩაჭედილი. ოქროს სამსჭვავლი ბირთვი, რომელიც ზომით ვერცხლისას აღემატება, ფარაკის ზურგშია გასული<sup>66</sup>.



სურ. 3

ბრტყელ პირზე ყალყზე შემდგარი, თითქოს გადასახტომად მომზადებული, ნიამორი თუ კრეტული თხაა გამონახული, პროფილში მარჯვნივ — ვაცია. ვაცი ძლიერი და ღონიერი აღნაგობისაა: ამასთანავე ლამაზი. იგი ისეთი „მედიდური“ შესახედაობისაა, რომ „ნიამორთა წინამძღოლად“, „მეფედ“ შეიძლება მივიჩნიოთ (ტაბ. III, 4).

ნიამორს დიდი ზომის, ღრმად ჩაღარული, გახრილი და უკან გადაგდებული რქა აქვს (რქა ერთი უჩანს). რქის ძირი გასქელებულია, იგი უშუალოდ თხემიდან იწყება. გრძელი წვერი ტალღებად ეცემა კისერზე, ხოლო კონტა ყური ფაქიზადაა შემოფარგლული. მოგრძო დრუნჩხე ფართო და ღია ნესტო მკაფიოდაა გამოხატული, თვალი რელიეფური წერტილითაა აღნიშნული.

კონტა თავი მაღალი და ღონიერი კისრისაგან პაწია რელიეფური წერტილების ორი წყებით არის გამოყოფილი. ასეთივე წერტილების ერთი წყებით არის გარშემოვლებული — გამოყოფილი კისრის ძირი ტორისაგან. ხსენებული წერტილები, იმავე დროს, ბალნის აღსანიშნავადაც არის გააზრებული. კე-

<sup>64</sup> შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, 596 (დიომედი), 597 (ტიბეული მამაკაცი).

<sup>65</sup> ა. კახიძე სამარხს ინვენტარის მიხედვით IV საუკ. მეორე მეოთხედით ათარიღებს.

<sup>66</sup> ზოგბი: ფარაკის სიგრძე — 22 მმ, განი — 18 მმ, სისქე — 3—2 მმ.

დაკულობა: ბეჭდისაგან მხოლოდ ფარაკია დარჩენილი. ლითონი პატინის სქელი ფენით არის დაფარული ისე, რომ ნიამორის უკანა ფეხები დაზიანებულა, არ ჩანს. პირზე ძირითადად კეთილშობილი პატინაა, ზურგს — არაკეთილშობილი პატინაა გადაკვრია. ზოგან ფენა-ფენადაა ქცეული.

ფიდან მოყოლებული კისრისა და მთელი ზურგის გასწვრივ ბალანი ქდებისგან შედგენილი უწყვეტი რელიეფური ზოლითაა გადმოცემული. ნიამორი მკერდფართოა, კუნთიანი სხეული აქვს, მრგვალი ფორმები; კოხტად მოყვანილ ფეხებს ლამაზი ჩლიქები აბოლოებს.

შესანიშნავად დაცული პროპორციები იმაზე მეტყველებს, რომ მჭრელი ძალიან კარგად არის დაუფლებული ცხოველის სხეულის ანატომიას. სახსრებში მოხრილი წინა კიდურების მოხდენილი მდგომარეობა და მოძრაობის დინამიკურობა მჭრელის ხელოვნებას ღირსებას მატებს.

ნიამორის თავს უკან, ზურგის — უფრო კი წელის — გასწვრივ მნათობაა გამოხატული. მნათობის გამოსახულება შემდეგნაირად გამოიყურება (ჩვენ მას ფარაკიდან აღვწერთ, რადგან იგი თავისებურადაა გააზრებული): ფარაკში ჩასმულია ოქროს რელიეფური ბირთვი — სამსკვალე სფერული თავით (2 მმ დიამეტრისა), რომელსაც გარს ავლია წიწვისებური რკალი — ვეირგვინი, რაც სხივებს უნდა გამოხატავდეს და ერთიანად კი მზეს. მეორე მსგავსი ბირთვი, მხოლოდ ვერცხლისა, მოთავსებულია ნიამორის ფეხებს შორის, მუცლის გასწვრივ. აღნიშნულ ბირთვს რკალი არა აქვს შემოვლებული, იგი ალბათ მთვარის სიმბოლოა (ვერცხლის ფერიც მშვიდ და მჭრქალ ბზინვას იძლევა).

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, კიდით კიდემდე-ანაბეჭდზე მკაფიო და დაბალ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, არაღრმად. ზედმაწეგნით სუფთა და ფაქიზი ნახელავია. მაღალი ოსტატობით შესრულებული გამოხატულება ყურადღებას იპყრობს უზაღო კვეთით — ზუსტი, დახვეწილი ხელით. ოსტატის მაღალ დონეზე დეტალების გულმოდგინებითა და ცოდნით დამუშავება მეტყველებს, — ფორმათა ძალიან რბილი და ფაქიზი მოდელირება, ნიამორის სხეულის პროპორციული აღნაგობა.

ყურადღებას იპყრობს ბალნის გადმოცემის ოსტატური მანერაც. — მიუხედავად იმისა, რომ მჭრელმა ბალანი თავისებურად, აქა-იქ აღნიშნა, მაინც გარკვეულ მხატვრულ ეფექტს აღწევს. ოქროსა და ვერცხლის ბირთვების — სამსკვალეების გამოყენებაც, ნაწილობრივ მხატვრული ხერხის თავისებურებას უნდა მივაწეროთ.

გამოხატულების ამოსაჭრელად რამდენიმე საჭრისია გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, მომრგვალებულ-ფართობირიანი საჭრისი (სხეულის ფართო ფენების ამოსაჭრელად). წამახული საჭრისი (თვალის, ბალნის ამოსაჭრელად), საჭრისა ჰაჭარა სწორკუთხოვანი წვერით (ფეხებისა და ჩლიქების ამოსაჭრელად). გამოხატულება კარგად არის დამუშავებული — გაკრიალეული და „მოპირკეთებულია“, საჭრისების კვალი ნახელავს არ ეტყობა.

პირველ რიგში გვინდა შევეხოთ ბეჭდის ფარაკში „ჩაქედლი“ ბურთულებს, რომლებიც ამასთანავე მნათობთა გამოსახატავადცაა გამოყენებული. როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. აღწერილობა) მნათობთა „დისკოები“ სფეროსებრი მოყვანილობისანი არიან, ანუ სფერულთაფიან სამსკვალეებს წარმოადგენენ და ანაბეჭდზე ყოველი მათგანი ღრმა ღრუს იძლევა, და არა რელიეფურ გამოსახულებას.

მნათობთა დისკოების სფეროებით (მაღალ რელიეფში) გამოხატვის მაგალითს ბერძნულ არქაულ გემებზე — სახელდობრ, ეტრურიაში აღმოჩენილ

აქატის სკარაბეიზე ვხვდებით<sup>67</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოსახულება ანაბექლზე იძლევა რელიეფს, ამდენად, ქვაზე — „ღრუს“.

ადრეანტიკური ხანის საბერძნეთში (როგორც ჩანს საბერძნეთის გარკვეულ ნაწილში, მ. ლ.) მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო ფარაკიანი ბეჭდები, რომლებშიც ლითონის სამსჭვალეები იყო ჩაჭედებული<sup>68</sup>. ხსენებული ხერხი თუ ჩვეულება უპირატესად ბრინჯაოს ბეჭდებს შორისაა გავრცელებული. სამსჭვალეებად კი ოქროს ან ვერცხლის „დიდთავიანი“ ლურსმნებია გამოყენებული<sup>69</sup>. სამსჭვალეები თვით ფარაკში და მის გარედაც არის ხოლმე ჩასმული<sup>70</sup>.

როგორც ცნობილია, ბერძნები ზოგიერთ ბეჭედს სასწაულმოქმედ ძალას ანიჭებდნენ<sup>71</sup>. მათ სწამდათ, რომ ბეჭდებს, ისევე როგორც ჭრილა ქვეშ შესწევდათ ძალა დაეცვათ ადამიანი ავი თვალისაგან და ყოველგვარი უბედურებისაგან. ასეთსავე ძალას აწერდნენ ბერძნები სამსჭვალეებს (ლურსმნებს). ხოლო ამ ორი საგნის შერწყმა ნივთს, ერთიანად, მაგიურ თვისებას მატებდა<sup>72</sup>.

ამრიგად, ნაპურვალას სამაროვანში აღმოჩენილი ბეჭდის ფარაკზე სამსჭვალეები, პირველ რიგში, უდავოდ, მაგიური მნიშვნელობით გაკეთდა. ამასთანავე ისინი, ოსტატმა, მნათობებდაც — მზისა და მთვარის გამოსახატავდაც გამოიყენა. სფერულთავიანი სამსჭვალეების ამ შემთხვევაში მაგიური მნიშვნელობით გამოყენებაზე ისიც მიუთითებს, რომ ისინი თვით ფარაკიდან „იკითხება“, ხოლო ანაბექლზე — „ფოსოს“ იძლევა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ვასკენით, რომ ჩვენი ბეჭედი-ინტალიო ავი თვალის საწინააღმდეგე მაგიას წარმოადგენდა. მას ავგაროზის დანიშნულებაა ჰქონდა<sup>73</sup>.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ვახდა „თხის“ ჯიშის დადგენა. ბეჭდის ფარაკზე კრეტული თხა არის გამოსახული<sup>74</sup>. გარეული თხის გამოსახულებებს ჯერ კიდევ გვიანმინოსური და მიკენური პერიოდების გლიბ-

<sup>67</sup> Boardman, Archaic Greek Gems. Schools and Artists in the Sixth and Early Fifth centuries B. C., ტაბ. XXVIII, 384.

<sup>68</sup> F. Marshall, Catalogue of Finger Rings, გვ. XXXIII, Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 157.

<sup>69</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 157, 231.

<sup>70</sup> იხ. М. И. Максимова, Резные камни, Античные города Северного Причерноморья. Очерки истории и культуры, I. М.—Л., 1955, გვ. 439, გამ. 1 (ონიური ვერცხლის ბეჭედი, ძვ. წ. VI საუკ., ოლბიონიდან); Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 6; Boardman, Greek Gems and Finger Rings გვ. 157, 215.

<sup>71</sup> Daremberg—Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines, II. fas. G. Humbert, „Anulus“ ou „Annulus“, გვ. 294. ზოგიერთ ბეჭედს ატარებდნენ როგორც თილისმასა და თავის დასაცავ საშუალებას (*φραμακιστοι τελεσμοιστοι*), (Amuletum, Magia). იქვე; F. Marshall, Finger Rings, გვ. XXXIII.


<sup>72</sup> М. И. Максимова, დასახ. ნაშრ., გვ. 439; Marshall, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>73</sup> ფიქვენარში, ბერძენ მოახალშენთა და ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვანში, სახელდობრ, ძვ. წ. V საუკ. 30-იან წლებით დათარიღებულ სამარხებში (№ 12, 1968 წ. გათხრილი; № 23, 1972 წ. გამოვლენილი) გვხვდება სადაფარაკიანი ვერცხლის ბეჭდები, რომლებიც ოქროსა და ელექტრუმის პაწია ბირთვებითაა შემკული (№№ 173, 325, 326). — ოვალურ ფარაკებს, ჯვარედინად, ოთხი მხრივ: თავსა, ბოლოსა და ცენტრში, კიდევ თითო ბირთვი აქვს ჩასმული (სურ. 4) იმ ყაიდაზე როგორც ეს ოლბიონის ბეჭედზეა.

<sup>74</sup> თხის ჯიში შდრ. Walters, Catalogue of the Engraved Gems, ტაბ. II, 60, 61 (გვიან მინოსური და მიკენური), ტაბ. IV, 161, გეომეტრიული პერიოდი); Boardman, Archaic Greek Gems, ტაბ. XXVII, 374 (არქაული, VI საუკ. მეორე ნახევარი).



ტიკაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი<sup>75</sup>. ხსენებული მოტივი ფართოდ ვრცელდება მომდევნო პერიოდებისა და კერძოდ კლასიკური ხანის გრძელკაშიც. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ინტალიოზე წარმოდგენილ მოტივს — ყალუზე შემდგარ თხას — ანალოგია კლასიკური ხანის სკარაბეოიდებს შორის ეძებება, სახელდობრ, პარიზის ცისფერი ქალცედონის სკარაბეოიდზე ამოჭრილ გამოსახულებასთან<sup>76</sup>. ორივე თხა, ფიჭვნარისა და პარიზისა, ზუსტად ერთნაირ მდგომარეობაში არიან გამოხატულნი. ორთავეს ერთნაირი მძიმე სხეული, მოყვანილი ფეხები, წაგრძელებული, მკვეთრად გამოხატული დრუნჩი აქვთ. რქებაც ერთნაირად მოხდენილი და აზიდულია იმ განსხვავებით, რომ ფიჭვნარისეულ ინტალიოზე თხას ერთი რქა უჩანს, უფრო სქელი და დაღარული. ამას გარდა, განსხვავებულია ტყავი და წვერი ცხოველებისა: ფიჭვნარისეულ თხას გრძელი, ლამაზად ჩახვეული წვერი აქვს; უბანლო ტანი, უფრო ზუსტად პარიზის ინტალიოზე ბალანი წმინდა შტრიხებითაა გადმოცემული. ფიჭვნარისეულზე თავისებურად პირობითად, წერტილების სახით არის აქა-იქ აღნიშნული (იხ. აღწერილობა გვ. 27—28).



სურ. 4

ჩვენი გამოხატულების შესწავლის შედეგად დავინახეთ, რომ იგი სტილისტურად გემების იმ ჯგუფს უკავშირდება, იმ ჯგუფთან ამჟღავნებს მსგავსებას, რომლებიც ძვ. წ. V საუკ. მიწურულით თარიღდება და რომელთა რქოსან თუ ჩლიქოსან ცხოველთა გამოსახულებებისათვის ტიპიურია: წყლტუ მძიმე სხეული მოყვანილი ფეხები ხაზგასმით გამოხატული სახსრებითა და ჩლიქებით; მოხდენილად აზიდული რქა, საკმაოდ წაგრძელებული, მკვეთრად გამოხატული დრუნჩითა

და რელიეფური თვალით<sup>77</sup>. ინტალიო კლასიკურ, სახელდობრ, „დექსამენეს შემდგომ პერიოდად“ წოდებულ ხანას მიეკუთვნება და დექსამენეს სტილისაგან განსხვავებით ტენდენცია ჩანს დეტალების სუმარულად გადმოცემისადმი.

ბეჭდის ფარაცისა და რკალის უმნიშვნელო ნარჩენის მიხედვით აღდგენილი ფორმა ბეჭდების იმ ტიპს უკავშირდება, რომელიც ძვ. წ. V საუკ. მეორე ნახევარშია გავრცელებული, ხოლო სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით იგი უფრო ძვ. წ. V საუკ. ბოლო წლების ნახელავი უნდა იყოს. ჭერჭერობით სახელოსნოს სადაურობა საბოლოოდ დადგენილი არა ვგაქვს. ერთი კი აღსანიშნავია: ბრინჯაოს ინტალიო-ბეჭდების მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთიდან წარმოსდგება.

ხაზგასამელია შემდეგი: სტილისტურად და ასევე თხის ჯიში ძალიან ახლო მსგავსებას ბოულობს, უფრო ზუსტად — ანალოგიად მოსატანია კ. რეგ-

<sup>75</sup> იხ. Richter, A History of Greek Art in Miniature, ტაბ. 441 (ძვ. წ. V საუკ.), 442 (ძვ. წ. V საუკ. ბოლო — IV დამდეგი) — მთის ბროლის სკარაბეოიდები; 443 (ძვ. წ. V საუკ.) სარდონის სკარაბეოიდი; Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 571 (ძვ. წ. V საუკუნის ქალცედონის სკარაბეოიდი). G. Richter, Animals in Greek Sculpture, New Haven, 1930, გამ. 128, 131, გვ. 70.

<sup>76</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 205, სურ. 210.

<sup>77</sup> შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, გამ. 435, 436, 441 და ა. შ.

ლინგის მიერ გამოცემული თრაკიული მონეტის ტიპი თხის გამოსახულებით<sup>78</sup> (კონტად აზიდული რქა, ხვეული წვერი, ბალანის გამოხატვის მანერა წყლტუ-სხეული, ფეხები ჩლიქებითურთ სავსებით ერთ სტილშია ნაკვეთი). ესოდენ ახლო მსგავსება არ არის საკვირველი ჩვენი ბეჭდის გამოსახულებასა და მონეტებს შორის, რადგან ეს ის პერიოდია, როცა მონეტებისა და გემების ემბლე-მები თუ გამოსახულებები ძალიან ახლო კავშირშია ერთმანეთთან არა მარტო იკონოგრაფიულად, არამედ სტილისტურადაც<sup>79</sup>. ხოლო აღრეანტიკურ ხანაში, როგორც ცნობილია, ზოგიერთი ცნობილი თუ განთქმული მჭრელი ხშირად მონეტებსაც ჰქონდა ხოლმე.

ფიჭვნარში აღმოჩენილ მასალებიდან ყველაზე ადრე გამოვლენილი ინტალიო-ბეჭედი 1965 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს გათხრილი ელი-ნისტური სამაროვნის № 14 ორმოსამარხიდან წარმოსდგება<sup>80</sup>.

5. ბეჭედი-ინტალიო ვერცხლისაგან არის გაკეთებული. ბრტყელი და ვიწ-რო, გარედან ოდნავ ამობურცული რკალი ზედა ნაწილში გამსხვილებულია.

ბეჭდის გამსხვილებული ნაწილი ფარაკის მა-გვირობას ასრულებს (იგი უშუალოდაა გადა-სული რკალში); ინტალიოს ამობურცული პი-რი აქვს. ბეჭედი რკალშეკრულია, თითქოს ოდნავ ქვევით ჩამოგრძელებული<sup>81</sup>. რკალის შიდა მხარე შეუმჩნევლად ჩადრეკილია (სურ. 5; ტაბ. X, 33).



სურ. 5

პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარჯვნივ, ბოლოგამვერი-ლი და ფრთამოკეცილი. შედარებით დიდი თავი დაბალი კისრისაგან მკაფიოდ არის გამოყოფილი, ზედმიწევნით პატარა ნისკარტი „მოკაუტეებული“ შტრიხი-თაა აღნიშნული, ხოლო თვალი — პაწია სწორი ხაზით. ფრთის ძირი უშუ-ალოდ მომრგვალებული მკერდიდან იწყება, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი რელი-ეფითაა მისგან გამოყოფილი. ბოლოს ნაკრტენი სწორი, მკაფიო რელიეფუ-რი ხაზებითაა გამოხატული. ნაკრტენი აქა-იქ მცირედ დაშტრიხულია. (ტაბ. III, 5).

ფრინველის ზურგს ზემოთ, თავის გასწვრივ, პატარ-პატარა „სფერო-ბისაგან“ შედგენილი ვარდულისებრი სახეა (ცენტრში მოზრდილი სფეროა, მის ირგვლივ — ექვსი მომცრო) ამოტრილი, რომელიც ციურ მნათობს უნ-და გამოხატავდეს. იქვე მარცხენა არეში, ფრინველის ბოლოსთან, დელფინი

<sup>78</sup> K. Regling, Die Griechischen Münzen der Sammlung Warren, ტაბ. XII, 465 (Rv. გამოსახულია მიმავალი თხა მარჯვნივ). მიმავალი თხის გამოსახულებები იხ. აგრეთვე №№ 473, 475, 476; Grose, II ტომი, ტაბ. 143, (21 - 25. სამხრ. თრაკიის ვერცხლის ტეტრადრაქმები) Rv. ყველაზე ახლო ტიპია სტილისტურად 20 - 22. (22 ტეტრობოლია); იხ. აგრეთვე G. Hill, Select Greek Coins, pl. LVI, 2.

<sup>79</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 201, 237.

<sup>80</sup> მაღლობას მოვახსენებთ ალ. რამიშვილს, რომელმაც მასალა გადმოგვცა დასამუშავებ-ლად.

<sup>81</sup> ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 21 მმ, დიამ. — 16 მმ.

დაცულობა: ბეჭედი ფრამენტირებული, მაგრამ აღდგენილია. ლითონი რეკრის-ტალიზირებული იყო. თერმიულად დამუშავდა და გადაჩინა.





ყირაზე გადადის (თავდაყირაა გამოხატული). ფეხთით — რაღაც ბირთვებში გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბექტზე დაბალ, ძალიან მკაფიო რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: არაღრმა გამოხატულება ამჟამად დატევიფრული ნახელავის შთაბეჭდილებას ახდენს. ეს გარემოება იმიით არის გამოწვეული, რომ ლითონი თერმულად დამუშავდა და ამის შედეგად, ზოგიერთი დეტალი (კვეთის ტექნიკური მხარე ივლისსხმება) შესუსტდა და „გაუფერულდა“<sup>82</sup>.

ინტალიო საჭრისით არის ამოჭრილი; სქემატური კვეთით შესრულებული კარგი ნახელავია. გამოყენებულია: ფართო, მომრგვალებულიპირიანი საჭრისი, ბრინჯაოს ნემსი და bouterolle-სებრი საჭრისი (ბირთვისა და ვარდულისებრი სახის ამოსაკეთად).

ფრინველების გამოსახულებები ანტიკურ გლობტიკაში, ისევე როგორც ვაზათმხატვრობასა და ოქრომქედლობაში, ერთ-ერთი გავრცელებული თემატაგანია უძველესი ხანიდან<sup>82-83</sup>. ისინი როგორც ჭრილა ქვებზე, ასევე ლითონის საბეჭდავებსა და ინტალიო-ბეჭდებზე გვხვდება. ხშირად რომელიმე ფრინველი დამოუკიდებელი სახითაა წარმოდგენილი საბეჭდავსა თუ გემაზე; ამასთანავე — ფართოდაა მისი სახე შესული „რთულ კომპოზიციებში“: ხან როგორც რომელიმე ღვთაების საღმრთო ფრინველი, ღვთაების ატრიბუტი; ზოგჯერ მისი განსახიერება და ა. შ.

ის რომ ფრინველი „მნათობსა“ და დელფინთან ერთად არის წარმოდგენილი ინტალიოზე, ეს, ერთგვარად, საბაბს გვაძლევს სიუჟეტში სიმბოლური ხასიათის გამოსახულება დავინახოთ. ჯერჯერობით პირდაპირი ანალოგია ზემოთ აღწერილ ინტალიოს ვერ შევუარჩიეთ, მაგრამ ცალკეული დეტალების განხილვა შინაარსის გახსნაში დაგვეხმარება, ამდენად ეს საჭიროდ მიგვაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულება გარკვეული სქემატურობით ხასიათდება, თითქოს მაინც შესაძლებელი ხდება ფრინველის ჯიშის დადგენა. ფრთებისა და კუდის მოხაზულობის მიხედვით, იგი სხვაზე მეტად, ფრინველთა იმ ჯგუფთან პოულობს მსგავსებას, რომელიც წყლისა და ჭაობის ფრინველებად არიან ლიტერატურაში განსაზღვრული<sup>83</sup>. სახელდობრ კი გედთან<sup>84</sup>.

გედი ბერძნულ მითოლოგიაში მრავალ სხვადასხვა მითთანაა დაკავშირებული. იგი ხან ღვთაების ატრიბუტი, სიმბოლო ან განსახიერებაა, ხან „გარდაქცევის“ მთავარი „ბერსონაჟი“ და ა. შ.<sup>85</sup>.

<sup>82</sup> ბეჭდის თერმულად დამუშავებამდე მისი ხელის ხლება საშიში იყო, ვინაიდან ლითონი ძლიერ რეკრისტალიზაციას განიცდიდა.

<sup>82,83</sup> იხ. G. Perrot et Ch, Chipiez, Histoire de l'art dans l'antiquité, Grèce archaïque, vol. VII, Paris, 1898, წიგნები XII და XIII.

<sup>83</sup> Perrot et Chipiez, Histoire de l'art, ტ. VII, გვ. 157, 201, 211.

<sup>84</sup> პროტოტიპი ხსენებული გამოხატულებისა გეომეტრიული სტილის ეპოქის მოხატულ ვაზეზე უნდა ვეძიოთ შდრ. Perrot et Chipiez, დასახ. ნაშრ., ტ. VII, გვ. 157—211. შდრ. სტოკპოლმის გეომეტრიული სტილის ეპოქის ბრინჯაოს დისკოზე გამოხატულ წყლის ფრინველებს. Perrot—Chipiez, დასახ. ნაშრ., გვ. 201, გამ. 79.

<sup>85</sup> გარდაქცევასთან დაკავშირებით იხ. Grimal, Dictionnaire de la Mythologie... სტატიები: Βλέθη, გვ. 178-179; Νέμεσις, გვ. 312; Κήκισ, გვ. 108-110, Φήλις, გვ. 375; Αψίδα გვ. 255, გვ. 312.



მაგრამ ყველაზე მკვიდროდ იგი აპოლონის უკავშირდება: როცა აპოლონი სამყაროს მოეგლინა, კუნძულ დელოსზე (იგი ხსენებულ კუნძულზე ერთადერთი პალმის ხის ძირში დაიბადა) საღმრთო გედები მოფრინდნენ და კუნძულს შვიდჯერ შემოუარეს<sup>86</sup>, ზეესმა მამინვე დაასახუქრა თავისი ვაჟიშვილი: ოქროს მიტრით, ჩანგითა და გედებით შემბული ეტლით და უბრძანა, რომ დელფოში წასულიყო. მაგრამ გედებმა აპოლონი ჯერ თავიანთ ქვეყანაში — პიპერბორეელებთან გააფრინეს... ამიტომაც, რომ გედი (*Kύκλιος*) აპოლონის სავარელი საღმრთო ფრინველია<sup>87</sup>.

ზღვის ცხოველებიდან აპოლონის საღმრთო ცხოველია დელფინი, იმასთან დაკავშირებით, რომ აპოლონის მთავარი სამლოცველო-ტაძარი დელფოში იმყოფებოდა<sup>88</sup>.

ანტიკურ მითოლოგიაში დელფინი ადამიანის მეგობრად და მშველელად არის ცნობილი. მას მრავალი გმირი და ქალი გადაურჩენია ქარიშხლის დროს; ღეთაებებისათვის დახმარება აღმოუჩენია (იხ. §§ 'Αρίων, Τηλέμαχος, 'Ικάδιος, Grimal, Mythologie, გვ. 51, 224, 441).

რაც შეეხება ვარდულს, რომელიც შვიდი სფეროსაგან არის შედგენილი, — ხომლის სიმბოლოა. პლეადის-სიმბოლო ვარდულის სახით გამოხატული, სავსებით ისეთივე, როგორიც ფიჭვნარის ინტალიოზეა ამოჭრილი სამხრეთ სირიის ძვ. წ. VIII საუკ. დათარიღებულ მთის ბროლის სკარაბეოიდის პირზე ვხვდება (M.-L. Vollenweider, Scaux, Cylindres et Intailles, I, Genève 1967, გვ. 115, ტაბ. 60, 1, 145). ხსენებულ ინტალიოზე რთული კომპოზიციაა წარმოდგენილი<sup>89</sup> და, რა თქმა უნდა, იგი ანალოგიის სახით არ ვეაქვს მოტანილი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვარდულის გამოსახულების ასხნა გვიანტერესებს.

ანალოგიური ვარდული ცნობილია აგრეთვე ჰ. ვოლტერსის მიერ გამოცემულ ჰემატიტის სკარაბეოიდის მიხედვით. სკარაბეოიდი ეგვიპტეშია ნაპოვნი (ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება), (იხ. H. Walters, Catalogue of the Engraved Gems and Cameos. Greek, Etruscan and Roman in the British Museum, London, 1926, გამ. 308)<sup>90</sup>.

სავსებით ასეთივე ვარდული კოპენჰაგენის გეომეტრიული სტილის ლარნაკზეა გამოხატული (შდრ. A. Furtwängler, Kleine Schriften, II, 1913, ტაბ. 24, გამ. 2).

<sup>86</sup> Grimal, დასახ. ნაშრ., § 'Απόλλων, გვ. 41-43; — Osborne, Gems, გვ. 207-210.

<sup>87</sup> აპოლონის საღმრთო ფრინველებს აგრეთვე მიეკუთვნებიან: ქორი, მიმინო და ყვავი.

<sup>88</sup> Grimal დასახ. ნაშრ. §§ Apollon, გვ. 40-43 ab; Delphos, გვ. 119; 'Ικάδιος, გვ. 224.

იკადოსი, თქმულების თანახმად, აპოლონისა და ნიმფა ლიკიას ვაჟიშვილი იყო. იგი აზიში დაიბადა. ქვეყანას, სადაც იგი გაჩნდა, დედის სახელი (ლიკია) მისცა. შემდეგ იტალიაში გაემგზავრა, გზაში ქარიშხალში მოხვდა. დელფინმა იგი პარნასის ძირთან მიაყურა. აქ იკადოსმა ქალაქი დელფო დააარსა „დელფინის“ — ძეგლიც მისი გადამრჩენელის მოსაკონებლად.

<sup>89</sup> ხსენებულ სკარაბეოიდზე ფრინველიც არის ჩართული კომპოზიციაში, მაგრამ აქ უაჩიროა გამოხატული.

<sup>90</sup> ხსენებულ ვარდულებთან დაკავშირებით იხ. H. Frankfort, Stratified Cylinder Seals from the Diyala Region, Chicago, 1955. The University of Chicago Oriental Institute Publication, vol. LXXII; მისივე, Cylinder Seals, London, 1965.



ამრიგად, შეკრებილი მასალის მიხედვით ჯერჯერობით შესაძლებელია ნიგვანია თუნდაც ვარაუდით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ინტალიოზე ჩვენ აპოლონის კულტთან დაკავშირებულ ატრიბუტებთან გვაქვს საქმე მაგრამ ამ „სიმბოლოთა“ მნიშვნელობის მთლად უგულებელყოფაც არ იქნებოდა სწორი. ბეჭდის სიუჟეტის გარკვევისათვის ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მეცადინეობას.

ბეჭდის ფორმა და კვეთის სტილი ნივთის კარგად დათარიღების საშუალებას იძლევა. — ფრინველის სხეული და განსაკუთრებით ფრთები, სტრუქტურულად, იმ ჯგუფის ინტალიოთა გამოხატულებებთან ამქლავნებს მსგავსებას, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნის ე. წ. „უხეში სტილის“ ნახელავადაა მიჩნეული. ყველაზე ახლო პარალელები ამ მხრივ „ფიჭვნარის ფრინველს“ ხსენებული ჯგუფის ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულისა და III საუკ. დამდეგით დათარიღებულ ბერძნულ ინტალიოთა შორის ეძებნება<sup>91</sup>.

რაც შეეხება ბეჭდის ფორმას, იგი ბერძნული ბეჭდების იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც ჯ. ბორდმანმა „XVI ტიპად“ გამოჰყო. ბეჭდის ხსენებული ტიპი (იხ. აღწერილობა, გვ. 31) ძირითადად, ძვ. წ. IV საუკუნეშია გავრცელებული<sup>92</sup>. იგი, აგრეთვე, ადრეელისტიურ ხანაში, სახელდობრ, ძვ. წ. III საუკ. ადრეულ პერიოდშიც კვლავ მოღვაწეობდა<sup>93</sup>. ოდნავ შესამჩნევ ცვლილებას ფორმაში „ფარაკისებრი“ ნაწილი განიცდის, რაც მისი ზომის მეტ-ნაკლები სხვაობით იფარგლება<sup>94</sup>.

ნახელავისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო-ბეჭედს ძვ. წ. IV საუკ. მიწურულითა და III საუკ. დასაწყისით ვათარიღებთ<sup>95</sup>.

როგორც მასალის ანალიზიდან ჩანს, ფიჭვნარში მოპოვებული ჰრილაფარაკიანი ბეჭდები კლასიკური ხანის „კლასიკურ“ ნიმუშებს წარმოადგენენ. ამათგან მხატვრობის თვალსაზრისით, კვეთის დახვეწილი ტექნიკით, ნახატისა და კომპოზიციის პარმონიული შერწყმით, აგრეთვე თვით ბეჭდის ფორმის სიმსუბუქით № 6 სამარხში აღმოჩენილი აფროდიტეს გამოსახულებიანი ბეჭედი გამოირჩევა.

<sup>91</sup> იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 207, 294.  
<sup>92</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 217.  
<sup>93</sup> შტრ. F. Marshall, Catalogue of Finger Rings, გვ. 24, გამ. 126; — Richter, History of Greek Art in Miniature, გვ. 134.  
<sup>94</sup> Richter, Greek Art in Miniature, გვ. 134, გამ. m.  
<sup>95</sup> ამავე სამარხში მოპოვებულია სინოპური მონეტები—ტრიბოლები, რომელთაც გ. დუნდუა ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებს (იხ. გ. დუნდუა, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 1, გვ. 146).  
 საჭიროდ მიგვანია დამატებით შევნიშნოთ, რომ ზუთი სფეროსაგან შედგენილი ვარდულები დამღების სახით, როგორც სინჯი, ძვ. წ. 520—480 წწ. დათარიღებულ ეგინის მონეტებზე გვხვდება (იხ. E. Babelon, Traité des Monnaies Grecques et Romaines, II. II-e partie, Les pays du Centre Helléniques, გვ. 661).

აფროდიტეს მჭრელი საუკეთესო ბერძნული კლასიკური სკოლის წარმომადგენელი ჩანს, რომლის მოღვაწეობა, უდავოდ ბერძნული გლიბტიკის აღმავლობის პერიოდს ემთხვევა — ეპოქას, როცა ანტიკურმა ხელოვნებამ გაფურჩქვნის უმაღლეს სტადიას მიაღწია. ეპოქას, რომელიც შექმნეს სახელგანთქმულმა ოსტატებმა ფიდიასმა, პოლიგლოტმა და დიდი ღვაწლი შეიტანეს მის აყვავებაში: დექსამენემ, სოსიასმა, ათენადემ, ონატასმა.

ზემოსენებული იმაზე მიუთითებს, რომ ბეჭედი მდიდარი ფენის წარმომადგენლის კუთვნილებას შეადგენდა<sup>96</sup>. გამოხატულების შინაარსისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით — ქალისას<sup>97</sup>. ბერძნული მცირე ხელოვნების თანადროულ ძეგლებთან შედარებამ დაგვანახა, რომ ფიქვნარის ინტალიოსათვის შერჩეული თემის კომპოზიცია ერთ-ერთი უნიკალურთაგანი თუ არა, ზედმიწევნით იშვიათია გლიბტიკურ ძეგლებს შორის. და ისიც უდავოდ უნდა იყოს, რომ იგი დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია.

მისი მჭრელი, უეჭველად ბერძენი, მაღალი რანგის ოსტატია. მაგრამ ვიდრე კომპოზიციის წარმომავლობის დასადგენად ძიებას დავასრულებთ, ვფრთხილობთ იგი რომელიმე გარკვეულ სკოლას (ანტიკურსა თუ იონიურს) დავუკავშიროთ.

ფიქვნარის სამაროვანში მოპოვებული სხვა ინტალიო-ბეჭდები (როგორც ბერძენ მოახალშენთა, ასევე ადგილობრივი კოლხი მოსახლეობის სამარხებში მოპოვებული) „დიდი საბერძნეთის“ სახელოსნო ცენტრებიდან, დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოებიდან უნდა იყოს გამოსული და, ბერძენი მჭრელების მიერ შესრულებული<sup>98</sup>.

ძირითადი დანიშნულება ბერძენ მოახალშენთა სამაროვანის № 2 სამარხიდან წარმომდგარი ინტალიო-ბეჭდისა, რომლის ჩვენამდე მოღწეულ ფარაჯზე ვაცი ნიამორია ამოჭრილი, ფიქვნარში აღმოჩენილ სხვა ქრილაფარაკიანი ბეჭდებისაგან განსხვავებით, ავგაროზი უნდა ყოფილიყო. ამის დამადასტურე-

<sup>96</sup> იგივეს აღსატურებს მიცვალებულისათვის ჩატანებული მაღალი ღირებულების სხვა ნივთებიც: ვერცხლის თასი, ელექტრუმის ქიზიკინი ნიშნა კლიტესა და თინუსის გამოხატულებით წითელფიგურიანი ლეკითოსი და ა. შ. (იხ. საველე დავთარი № 2, 1967 წ.).

<sup>97</sup> ამის შესახებ იხ. გვ. 21.

<sup>98</sup> ცნობილია, რომ ბერძენი მჭრელი ოსტატები დროებით ჩადიოდნენ ან გადასახლდებოდნენ ზოლმე დასავლეთში. ისინი იქ სკოლებს აარსებდნენ. აღნიშნულ სკოლებში შემუშავებული იყო თავისებური ხასიათის სტილი (იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ხელოვნების სხვა დარგებშიც). რაც შეეხება ბეჭდების ფორმებს — ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ტიპებია აქაც შესული. მასალების შესწავლამ გამოავლინა, რომ ვერცხლის ბეჭდების უმეტესი ნაწილი, საერთოდ სხვებთან შეფარდებით, დიდი საბერძნეთის დასავლეთის მხარეს ყოფილა შემონახული და ისინი დასავლეთშივეა ნაკეთები (იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 226).



<sup>99</sup> ფიქნარში 1967—68 წწ. აღმოჩენილ №№ 1—4 ჭრილაფარაკებიან ბეჭდების შესახებ დაიბეჭდა ქ. რამიშვილის თეზისები „ადრეანტიკური ხანის გლობტიკური ძეგლები ფიქნაროდან (იხ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ასალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის ვეგმა და თეზისები, თბ., 1970, გვ. 55—56). თეზისებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების გამო რიგი შენიშვნები გვაქვს, რომელთაგან ზოგის აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია. პირველ რიგში შეეხებით ვერცხლის ბეჭედზე გამოხატული ცხოველის შესრულების ტექნიკას. ქ. რამიშვილი „ცხოველის ბეჭვის წინწყლებით გამოხატვას“, „რომელიც ანაბეჭდზე ბურცობებს ქმნის“ ე. წ. ბერძნულ-სპარსულ გლობტიკის თავისებურებად მიიჩნევს (იხ. თეზისები, გვ. 55). აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში არც ერთი ბერძნულ-სპარსული ფარაკიანი ბეჭედი არ არის ცნობილი, რომელზედაც თუნდაც მსგავსი ტექნიკით შესრულებული ანუ წამახული საჭრისით ამოჭრილი — „დაჭრელებული“ ტყავი ჰქონდეს ცხოველს. ანალოგიური ტექნიკით ნაკვეთი ყველა ინტალიო-ბეჭედი დასაეღლურბერძნული წარმოშობისაა“ (იხ. გვ. 38). რაც შეეხება გემებს, როცა ტყავზე ლაქები რამდენადმე გარკვეულ რელიეფს იძლევა, ასეთ შემთხვევაში, bouterolle-ი ან bouterolle-სებრი საჭრისია ხოლმე გამოყენებული. ხოლო წარმომავლობით, ხსენებული გემებიც არქაულ-ბერძნული და დასავლურ-ბერძნულია (იხ. Boardman, *Schools and Artists in the Sixth and Early Fifth Centuries B. C.*, გვ. 130—131), ბრინჯაოს ჭრილა ფარაკში თილისმის მნიშვნელობით ჩაქვილ სფერულთაგებიან ოქროსა და ვერცხლის სამსჭვალეებს ქ. რამიშვილი „ინკრუსტიაციად“ თვლის და დასძენს, რომ „ბეჭდის ასეთი ორნამენტაცია, ბერძნული გლობტიკისათვის დამახასიათებელი არ უნდა იყოს“. აქედან გამომდინარე შემდეგს ასკვნის: ბეჭედი... ორი სტილის (ბერძნულისა და აღმოსავლურის) შერწყმის მკაფიო მაგალითი—აო (იხ. თეზისები, გვ. 56).

ცნობილია, რომ ბეჭდის ფარაკში სფერულთაგებიანი სამსჭვალეების ჩასმა სახელდობრ ბერძნული ჩვეულებია. ბერძნები ლურსმნებსა თუ სამსჭვალეებს, როგორც აღნიშნული გეჰონდა, მაგიურ ძალას ანიჭებდნენ და ხსენებული წესის დაცვით მაგის ძალას მატებდნენ (იხ. გვ. 29; Marshall, *Finger Rings Greek, Etruscan and Roman*, გვ. XXXIII; Boardman, *Greek Gems and Finger Rings*, გვ. 157, 231; М. И. Максимова, *Резные камни, Античные города Северного Причерноморья*, I, გვ. 439). ამას გარდა, „ფარაკის პირი ინკრუსტირებულად“ თუნდაც იმიტომ ვერ ჩაითვლება, რომ სფერული თავების სიმადლე საგრძნობლად აღემატება ფარაკის, პირის, დონეს.

ამრიგად, ქ. რამიშვილის განსაზღვრა საფუძველს მოკლებულია.

დაბოლოს ფიქნარში 1976—68 წწ. განმავლობაში არც ერთი გემა ანუ ჭრილაქვა არ აღმოჩენილა. ყველა ნივთი ინტალიოა, ლითონზე ამოჭრილი.

## 2. გ უ ა დ ი ხ უ

1954 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში გუადიხუს სამაროვნის რამდენიმე ორმოსამარხში (№№ 16, 17, 18, 21, 81) კრილაფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭდების საკმაოდ დიდი რაოდენობა იქნა აღმოჩენილი<sup>1</sup>.

ხსენებულ სამაროვანში აღმოჩენილ ინტალიო-ბეჭდების ჯგუფს, რომელსაც ჩვენ, ზოგადად, ძვ. წ. V—IV სს. ვათარილებდით, ვარაუდით მცირეაზიულ სახელოსნო ცენტრებს ვუკავშირებდით<sup>2</sup>. მასალის ამგვარი დათარიღება გაპირობებულია პირველ რიგში ბეჭდების ფორმითა და გამოხატულებების საერთო სტილით. ბეჭდის ეს ფორმა (მხრებთან ოდნავ გამსხვილებული, მკრთალ-წახნაგიანი რკალი ოვალური მოყვანილობის ფარაკში გადადის. აღწერილობა დაწვრილებით იხ. გვ. 38—45) ძვ. წ. V საუკ. ბოლო წლებიდან — IV სს. ანტიკურ სამყაროში გავრცელებულსა და კარგად ცნობილ ბეჭდების ერთ-ერთ ტიპს იმეორებს<sup>3</sup>. რაც შეეხება სტილს, ამ მხრივ ნახელავი განვითარებული ბერძნული სტილისა და მისი გავლენით შექმნილი წრის გლიბტიკურ ძეგლებთან პოულობს საერთოს; — გარკვეულ კავშირშია ხსენებული ხანის სხვა მხატვრულ ნახელავთანაც.

ხსენებულ ბეჭდებს, ჩვენ, ერთი სახელოსნოდან გამოსულ ნახელავად მივიჩნევდით და კვეთის თავისებურების მიხედვით ორ სხვადასხვა ხელს ვაკუთვნებდით<sup>4</sup>.

ახალმა მეცადინეობამ (ბეჭდების ახალი თვალსაზრისით შესწავლამ) სხვაგვარად წარმოგვიდგინა მათი წარმომავლობისა და დაჯგუფების საკითხი. საქმე აქ მარტო „ორ ხელს“ კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ სხვადასხვა სახელოსნოსა და, შესაძლებელია, სხვადასხვა წარმოშობასაც კი.

გუადიხუს ინტალიოთა სტილი და დამუშავების ტექნიკა იმდენად თავისებურია, რომ ისინი განსაკუთრებული ხასიათის ნახელავად უნდა გამოვყოთ. ეს არის განცალკევებული ჯგუფი კრილაფარაკიანი ბეჭდებისა, რომლის მსგავსი სტილისტურად და შინაარსობრივად საქართველოს ტერიტორიაზე სხვა არ შეგვხვდებოდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჯერჯერობით პირდაპირ ანალოგიებს ვერც უცხო მასალებს შორის მივაკვლიეთ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> М. М. Трапш, Древний Сухуми, „Труды“, 2, Сухуми, 1969, გვ. 242-268.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 45—46, 59.

<sup>3</sup> შდრ. J. Boardman, Greek Gems and Finger Rings. ტიპები V-VII, გვ. 217.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 59 (ხსენებული ბეჭდები ჩვენ ზოგადად გეჟონდა შესწავლილი).

<sup>5</sup> მასალები შედარებული გვაქვს სახელმწიფო ერმიტაჟში, სახვითი ხელოვნების მუზეუმსა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული, ჩრდილოეთ შვიშღვისპირეთში მოპოვებულ (სახელდობრ: პანტიკაეონი, ქერსონესი, ფანაგორია, ტირამბა, კეპი, და ა. შ.) კრილაფარა-



გადავდივართ მასალის განხილვაზე: № 21 სამარხში ბრინჯაოს რვა ინტალიო ბეჭედი აღმოჩნდა<sup>6</sup>. ბეჭედების ზომებში (ძირითადად მათი დიამეტრი გვაქვს მხედველობაში) მცირე განსხვავებაა (იხ. აღწერილობა). მოყვანილობა ყველა ბეჭდისა ერთია; შინაარსი — სხვადასხვა:

1. თხრილი III, ორმოსამარხი 21. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ფირუზისფერი პატინით. ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალურ ინტალიოში. რკალს გლუვი ზედაპირი აქვს, შიდაპირზე ორი წახნაგი დაჰყვება. ბეჭედი ინტალიოსთან შევიწროებული და გასქელებულია.

პირზე გამოხატულია არწივი, რომელიც სამსხვერბლოზე ზის, პროფილში მარცხნივ. არწივი ფრთებმოკეცილია, თავი უკან აქვს მიბრუნებული, ბოლო — გაშვებული. კისერზე აღნიშნული ბუმბული მოკლე-მოკლე ხაზ-ღარებიტაა გადმოცემული; ნაკრტენი სხეულზე — წერტილებითაა აღნიშნული, ხოლო ბოლო სწორი ხაზებით.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ტ ე ქ ი კ ა: გამოხატულება არაღრმად და მკაფიოდაა ნაკვეთი. ვაბედუ-

კიან ბეჭედთან (აღნიშნულ მასალებზე მუშაობის ნებართვისათვის მადლობას მოვასხენებთ მეცნიერ თანამშრომლებს: ქ. გორბუნოვას, ნ. კუნინას, ნ. საროკინას, ა. კოროვინასა და ი. მარჩენკოს).

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ინტალიო-ბეჭედების დიდი ფონდი სპეციალური კვლევის საგნად (ძალიან მცირე გამოწაკისის გარდა) არ ვამზადარა. ამიტომ ნახევარი, ბუნებრივია, „სკოლებისა“ თუ „სახელოსნო ცენტრების“ მიხედვით გამოყოფილი არ არის. ეს სავსებით კანონზომიერიცაა, რადგან ქ. ბორდმანის უკანასკნელი შრომების გამოქვეყნებამდე (იხ. დასახ. ნაშრომები) მასალის ამ თვალსაზრისით კლასიფიკაცია, ბორდმანისეული სრულყოფილი სახით არავის უცდია.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ჩატარებულ სამუშაოს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ძიებისათვის. დგინდება, რომ კოლხეთში აღმოჩენილი იმპორტული ინტალიო-ბეჭედების ტიპის ანალოგიური მასალები (რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთრივ ადგილობრივად მიჩნეულ ინტალიოთა ჯგუფებზე. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებს ძირითადად გუადალხუსა და ბატანახორტუს ვგულისხმობთ) ზემოთ ჩამოთვლილ არქეოლოგიური ძეგლების განათხარ კომპლექსებში დღემდე არ აღმოჩენილა. ამას გარდა, ჩვენი საბეჭდავების ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალებთან შედარება დაგვცხადებდა ხსენებული საბეჭდავების გავრცელების არეალის დადგენაში.

უცხოური მასალებიდან შეჯერებული გვაქვს: An. Pierides, Jewellery in the Cyprus Museum, 1971, წიგნი 5; H. Hoffmann und V. von Clever, Antiker Gold und Silber Schmuck, Mainz am Rhein, 1958, § Fingerringe, გვ. 165-186; B. Segall, Museum Benaki Athen, Katalog der Goldschmiede-Arbeiten. Athen, 1938;—L. Breglia, Catalogo delle Oreficerie del Museo Nazionale di Napoli, § IV Anelli;—C. Waldstein, The Argive Heraeum, v. II, Boston—New York, 1905; სტატა ბრინჯაოს ბეჭედების შესახებ — H. Fletcher De Con; R. Raddotz, Die Schatzfunde der Iberischen Halbinsel, Berlin, 1969 (Museo Arqueológico National, Madrid).

<sup>6</sup> ბეჭედები სამარხის შუაგულში გროვად იღო (იხ. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 253).

ლი ხელით შესრულებული კარგი ნახელავია<sup>7</sup>. ძირითადად გამოყენებულია ბრინჯაოს ნემსი და ფართოპირიანი საჭრისი<sup>8</sup>.

2. ორმოსამარხი 21, თხრილი III. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ნაცრისფერი პატინით დაფარული. ვიწრო, გარედან და შიგნიდან წახნავიანი რკალი ოვალური მოყვანილობის ფარაკში — ინტალიოში გადადის. ფარაკი თავსა და ბოლოში შევიწროებული — წაწვეტებულია. ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს (სურ. 6).

პირზე გამოხატულია ტახტზე მჯდომარე გვირგვინოსანი ადამიანის ფიგურა, პროფილში მარჯვნივ. „გვირგვინოსანი“ გრძელი, ნაოჭიანი კაბითა და ჰიმატიონით არის შემოსილი. ჰიმატიონი მხრებზე აქვთ წამოსხმული, ფეხებს უფარავს გვირგვინი „სხივებიანია“ (ტაბ. VII, 6).



სურ. 6

თავი სახითურთ ძალიან სუმარულად არის გადმოცემული, ამდენად ძნელი გასარკვევია ქალისა თუ მამაკაცის გამოხატულებასთან გვაქვს საქმე. სახის ნაკეთებისა და ტანის აღნაგობის მიხედვით მამაკაცი უნდა იყოს; იგი წელში მოხრილია, მარჯვენა ხელში ხის ტოტები უჭირავს (შესაძლოა რალაც ინსიგნიას მნიშვნელობითაც კი). ნიდაგის ზოლი მკაფიოდ არის გამოხატული (ერთი პირობა სავარძლის ფეხის ნაწილად — გამირად მივიჩნიე).

გამოხატულება სქემატურობით ხსიათდება, რაც განსაკუთრებით ხაზგასმით ქსოვილის, სახელდობრ ნაოჭების გადმოცემაში მქლავნდება<sup>9</sup>.

ანალოგიური ფორმის დაბალზურგიან ტახტსა თუ სკამს ვერ მივაკვლიეთ. დასაჯდომელი ერთგვარ მსგავსებას ძვ. წ. V — ადრე IV საუკუნეებით დათარიღებულ სკამებთან — Κλίμαξ-ებთან პოულობს (შდრ. საბეჭდავი-ბეჭედებზე გამოხატულ სკამებს: Richter, A History of Greek Art in Miniature, გამ. 274, 276; მისივე, Ancient Gems, გამ. 37).

ვერც ხის ტოტებს ვუძებნით შესატყვის პარალელს, ამდენად რა სახის ატრიბუტია — ძნელი სათქმელია<sup>10</sup>. რაც შეეხება გვირგვინს — იგი აღმოსავლურ გვირგვინებად წოდებული თავსამკაულის ტიპისაა და რამდენადმე ტიპარას გვაგონებს (შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, 877, 878).

7 დ ა ც უ ლ ო ბ ა : ბეჭედი კარგად არის შენახული. ლითონი ფირფიტისფერი კეთილშობილი პატინით არის დაფარული. ეს ერთგვარად ხელს უშლის იმის დადგენას თუ რამდენი სახის საჭრისი აქვს ნახშირი ოსტატს.

8 ო მ ე ბ ი : ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ, დიამ. — 18 მმ, ინტალიოს სიგრძე — 9 მმ, გაწე — 8 მმ.

9 ნ ა კ რ ტ ე ნ ი ს წ ი რ ტ ი ლ ო ვ ა ნ ი გა დ მ ო ც ე მ ა ძვ. წ. VI საუკ. შუა წლებით დათარიღებულ სტეატიტის სკარაბეიზე გვხვდება (იხ. J. Boardman, Island Gems, London, 1963, 347; მისივე, Archaic Greek Gems, 344), იგი კუნძულებზე მოღვაწე ოსტატთა ნახელავს მიეკუთვნება და სტილისტურად გუადიხუს ბეჭდისაგან განსხვავდება.

9 დ ა ც უ ლ ო ბ ა : რკალს 1/3 მოტეხილი აქვს, ნაკულაია. ლითონი ნაცრისფერი პატინით არის დაფარული, კერძოდ ყველაზე მეტად გამოხატულება პატინიზირებული.

10 ო მ ე ბ ი : ინტალიოს სიგრძე — 15 მმ, განი — 11 მმ, რკალის განი — 3 მმ.

10 მ. ტრაპში ტოტს ხის ტოტად მიიჩნევს, ხოლო გვირგვინს — დაუნის გვირგვინად. გამოხატულებას ქალად საზღვრავს. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 255.



ტექნიკა: გამოხატულება ხელით არის ამოჭრილი, არაღრმად გამოხატულია. მკაფიოდ. კვეთა სუმატულობითა და სქემატურობით ხასიათდება; ტლანქი ნახელავია. — მჭრელი სხეულის ანატომიას დაუფლებული არ ყოფილა (ტორსის ზედა ნაწილი მძიმე აქვს, მხრებში ჩავარდნილი კისერი, დიდი თავი). იგი ვერც ქსოვილის ვადმოცემას ახერხებს. — სახელდობრ, ნაკეცები მეტად მოუხეშავია. გამოხატულების ამოსაჭრელად ძირითადად ნახმარია ფართობირიანი და სწორკუთხოვანი საჭრისები.

გვირგვინი იმაზე მიუთითებს. რომ ტახტზე მჯდომარე ფიგურა წარჩინებული პიროვნება, ანდა ღვთაება უნდა იყოს. რაც შეეხება ხის ტოტებს, ჩვენი ვარაუდით, მას მცენარეულ სამყაროსთან აკავშირებს.

3. ორმოსამარხი, 21. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ცისფერი პატინით დაფარული. წვრილი რკალი, რომელსაც მომრგვალებული კონტურიანი წახნაგი დაჰყვება, ოვალურ ფარაკში — ინტალიოში გადადის. ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს (ერთიანად კი ბეჭედი იმეორებს მე-5 და მე-6 ბეჭდის ტიპს)<sup>11</sup>.

პირზე გამოხატულია ფრთოსანი არსება — მასში შერწყმულია ცხოველის სხეული და ადამიანის — ქალის თავი. არსება სფინქსს წარმოადგენს, თავისებურად გააზრებულსა და წარმოსახულს. მას ლომის (?) სხეული აქვს, საკმაოდ მძიმე და მოუქნელი. ფრთოსანს განსხვავებული და საკმაოდ ორიგინალურად შესრულებული ფრთა აქვს: ნაკრტენის ნაწილი წერტილებითაა ვადმოცემული; ნაწილი—სქემატური, რელიეფური წვრილი ზოლებით. ფრთა დიდი ზომისაა, ძლიერი. ზედა ნაწილი მომრგვალებულია, ქვედა—მკვეთრად სწორხაზოვანი.

სფინქსი „ნიადაგზე“ ზის, რომელიც თევზის მოყვანილობისაა. მარჯვენა ტორით „ნიადაგს“ ეყრდნობა, მარცხენა — სახის წინ აღუმართია. ზევით ავარცხნილი თმა არსებას კეფაზე კონად აქვს შეკრული (შდრ. ამავე სამარხის ბეჭედზე ფრთოსანი ქალღმერთის თმის ვარცხნილობას, გვ. 44)<sup>12</sup>. თმის ბლუჯები (თუ თვით თმა) ურთიერთგადამკვეთი ხაზებით არის ვადმოცემული. სფინქსის გულმკერდი და მხრები ორი რკალური ზოლით არის ვადასერილი, რომლის ქვემოთ ფაფარი იწყება, სწორი რელიეფური ზოლების ხშირი წყებისაგან შედგენილი (ტაბ. IV, 7).

აღსანიშნავია ერთი მეტად თავისებური და განსხვავებული დეტალი, რაც ასხვავებს გუადიხუს სფინქსს სხვა ამ სახის გამოხატულებებისაგან. როცა ინტალიოს ანაბეჭდს ვუყურებთ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ არსებას ზურგზე რომელიღაც მტაცებლის პირამკმული თავი აქვს გამომბმული; იგი უშუალოდ ფაფარის ვაგრძელებას, მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს<sup>13</sup>. როგორც ჩანს ჩვენი სფინქსის სახით რთულ სინკრეტულ არსებასთან გვაქვს საქმე, რომლის ვარკვევა დროს მოათხოვს.

11 განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზემოაღწერილ ბეჭედს უფრო ვიწრო რკალი აქვს და უფრო თხელი ინტალიო.

12 თმის ვარცხნილობა შდრ. Richter, Gems, 1956 წლის ვამოცემა, № 180. სარდიონის სკარაბეის სფინქსის გამოხატულებით (ძვ. წ. IV საუკ. დასაწყისი).

13 თვით თავი, საერთო იერით, ცერბერის მეტად მკრთალად გამოსახულ ტიპს გვაგონებს (იმ განსხვავებით, რომ აქ იგი ერთთავიანია).

გამოსახულება სხვა მხრივაც იმსახურებს ყურადღებას: არსებისათვის „საყრდენ ნიადაგად“ მჭრელს სელაბის (თუ თინუსის) გამოხატულება გამოუყენებია. „ნიადაგის“ ამგვარად გამოსახვა, უფრო მკაფიოდ, მოცემულია ამავე სამარხში აღმოჩენილ № 4 ბეჭედზე. სხვა მსგავსი კომპოზიციის გლიბტიკურ მასალებს შორის ჩვენ, ჯერჯერობით არ გვევლება (ჟ. ბორდმანის მიერ სპეციალურად გამოყოფილ სფინქსების გამოსახულებებს შორის გუადიხუს ფანტასტიკურ არსებას შორეული ანალოგიაც კი არ ეძებნება. იხ. Boardman, *Greek Gems*, თავი IV)<sup>14</sup>.

ტ ე ქ ნ ი კ ა: გამოხატულება ღრმად და მკაფიოდა ამოჭრილი, კვეთა გარკვეული სტილიზაციით ხასიათდება; ამასთანავე სქემატური და ნაწილობრივ სუმარულიც არის. ფრთის ზედა ნაწილის ამოსაჭრელად *bouterolle*-ისებრი საჭრისია გამოყენებული (ანუ *bouterolle*-ითაა „დაჭრელებული“). ამას გარდა მჭრელს ნახმარი აქვს ბრინჯაოს ნემსი და ფართო, მომრგვალებულპირიანი იარაღი. სხეულის ცალკეული ნაწილები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. ტლანქი, მაგრამ ვულმოდგიენ ნახელავია<sup>15</sup>.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სფინქსთან დაკავშირებული ზოგიერთი თქმულების მოტანა — სფინქსი (Σφίγξ) მდებრობითი სქესის ურჩხულია; მას ქალის თავი აქვს; მკერდი, თითები და კუდი ლომისა, ფრთებითაა შემკული. იგი ეჭიდნასა და გერიონის ძაღლის ორთროსის ვაჟიშვილადაც არის ცნობილი (ამ შემთხვევაში ნემის ლომის ძმაც არის)<sup>16</sup>.

აგრეთვე ზოგი თქმულების მიხედვით მის მამად ურჩხული ტიფონია მიჩნეული<sup>17</sup>. ამას გარდა ზოგი ვერსიით სფინქსი თებეს მეფე ლაიოსის უკანონო ქალიშვილადაა აღიარებული<sup>18</sup>.

ხომ არ შეიძლება დაგვეშვა, რომ გუადიხუს სინკრეტული არსების სიმბოლური მნიშვნელობის დადგენისათვის ეაკთან (*Aiakós*) დაკავშირებული მითების მოშველიება დაგვეხმარებოდა.

<sup>14</sup> ჩვენ ანალოგიური ტიპის სფინქსებს ვერც მცირეაზიულ მონეტებს შორის მივაკვლიეთ (ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ აულოკის მიერ გამოცემული მცირეაზიული მონეტების კორპუსი იხ. V. Aulock, *Sammlung V. Aulock Syllog Nummorum Graecorum Deutschland*, Berlin, 1960—66, Heft: 4, 6, 10—13.

აღსანიშნავია, რომ დამატებითი ელემენტის სახით, სიმბოლური მნიშვნელობით, თუ გარკვეული ემბლემისა, სელაბი ფოკის მონეტებზე, ხოლო თინუსი კიზიკინებზე გვხვდება (იხ. A. H. Зорграф, *Античные монеты*, МИА, № 16, М.—Л., 1951, გვ. 60, 61, ტაბ. II 16—18 (სტატერები ძვ. წ. 450—400) და ტაბ. IX, 1—11 (ძვ. წ. 500—450, 450—400 და 400—350 დათარიღებული მონეტები).

შ ე ნ ი შ ე ნ ი ს ს ა ხ ი თ: ტორაწეული სფინქსი პანტიკაპონის (გლინიშჩე, ყორღანი, სამარხი № 51) მასალებს შორისაა წარმოდგენილი. სახელდობრ, ძვ. წ. V საუკ. დათარიღებულ ინტალიო-ბეჭედზეა ამოჭრილი (№ II 1859.28, სახელმწიფო ერმიტაჟი). სტილისტურად გუადიხუსა და „გლინიშჩეს“ სფინქსები სავსებით განსხვავებულნი არიან. საერთო მათ თმის ვარცხნილობაში აქვთ. ორივე ერთი ყადის ვარცხნილობითაა წარმოდგენილი. კვეთის მანერაც განსხვავებულია.

<sup>15</sup> დ ა ე უ ლ ო ბ ა: ბეჭედი კარგად არის შენახული; ლითონი პატინით არის დაფარული. ზ ო მ ე ბ ი: დიამ. — 29 მმ, ინტალიოს სიგრძე — 16 მმ, ვანი — 10 მმ.

<sup>16</sup> Grimal, დასახ. ნაშრ., § Sphinx, 428 a.

<sup>17</sup> იხ. Grimal, იქვე.

<sup>18</sup> იხ. Grimal, გვ. 428 b.



ეაკი, ზევსისა და ნიმფა ეგინას ვაჟი, ფსამათეს, ნერეის ქალიშვილს ეტროფოდა. ფსამათე გაურბოდა მითითური ბერძენი გმირის სიყვარულს და სელსად გარდაიქცა. როცა ვაჟიშვილი შეეძინა — მას, დედის „გარდაქცევის“ მოსაგონებლად, სახელად ფოკოსი დაარქვეს (იხ. Grimal, Mythologie, § Éaque, *Αἴαξ*; გვ. 131 a).

სხვა მითის მიხედვით ეაკი ტროას კედლის აგებაში მონაწილეობდა, აპოლონისა და პოსეიდონთან ერთად. როცა კედლის აგება დამთავრდა, ქალაქის გალავანზე სამი გველი აცოცდა, ორი მათგანი, რომლებიც პოსეიდონისა და აპოლონის მიერ აგებულ კედლებზე აცოცდნენ, იქვე დაწყდნენ; მესამემ — ქალაქში შეაღწია, რადგან მან მომაკვდავის მიერ აგებული კედლიდან გაიკვლია გზა (იხ. Grimal, დასახ. ნაშრ.. გვ. 131 b).

აპოლონმა ამის გამო შემდეგი იწინასწარმეტყველა: რომ ტროას ორჯერ აიღებდნენ. და, რომ პირველად ამას ეაკის შთამომავალნი შეძლებდნენ.

ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მეცადინეობას ამ რთული სიუჟეტის გარკვევისათვის.

4. ორმოსამარხი № 17, თხრილი III. საბეჭდავი-ბეჭედი ბრინჯაოსი, ოვალური მოყვანილობისა, ბრტყელი. იგი წინ აღწერილი ბეჭდების ტიპისა უნდა ყოფილიყო. (სურ. 7).



სურ. 7

პირზე გამოხატულია უჯანა თათებზე მჯდომარე ცხოველი, პროფილში მარჯვნივ, ლომი უნდა იყოს. მარჯვენა ტორი აწეული აქვს, თავის წინ. მარცხენა წინა თათით „ნიდავს“ ეყრდნობა. საყრდენ ნიდავად თინუხია გამოყენებული (შდრ. № 3 ბეჭედს)<sup>19</sup>. ლომს დიდი ფეფარი აქვს, რამდენიმე წყება ქდეული ხაზით გადმოკემული. ყელზე თითქოს საყელო

უნდა ჰქონდეს შებმული. მოკლე კუდი ზევით აუწევია (ტაბ. IV, 8). გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმად არის ამოჭრილი, ერთ სიღრმეშია ნაკვეთი. შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია. ტლანქი და ამავე ღროს გულმოდგინედ შესრულებული ნახელავია<sup>20</sup>.

გლიპტიკურ მასალებს შორის ანალოგიურ კომპოზიციას ვერ მივაკვლიეთ.

5. ორმოსამარხი 21, თხრილი III. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, მომწვანო-ფირუზისფერი პატინით დაფარული. ვიწრო და გლუვი რკალი მხრებთან

<sup>19</sup> ერთი პირობა იმის გამო, რომ კისერზე ლომს (?) საყელო აქვს შებმული, „მცველ“ ძალად მივიჩნით. ამგვარად თავის ადგილას პატინის სქელი ფენა გადაკრული, ამიტომ გამოხატულება ბუნდოვანია.

<sup>20</sup> დაკუთვნილია: ბეჭედს რკალი მოტეხილი აქვს, ლითონი პატინით არის დაფარული. ზომები: ინტალიოს სიგრძე — 19 მმ, განი — 12 მმ.

მსხვილდება და ოდნავ ფართოვდება, თითქოს მას მომრგვალებულკონტურის ანი წიბოც დაჰყვება. იგი ოვალური მოყვანილობის ფარაკში — ინტალიოს გადადის. ინტალიო ბრტყელია (სურ. 8).

პირზე გამობატულია მუხლმოდრეკილი ფრთოსანი ფიგურა, პროფილში მარჯვნივ, რომელიც რაღაც საქმითაა ვართული. იგი მარჯვენა მუხლზეა დაჩოქილი, ხელში გაურკვეველი საგანი უჭირავს; სუმართულად გადმოცემული თავი დახრილი აქვს. ნიადაგის ზოლს მსხვილი ხაზი გამობატავს (ტაბ. IV, 9). გამობატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა<sup>21</sup>.



სურ. 8

ტექნიკა: გამობატულება ღრმადია ნაკვეთი. გულმოდგინედ შესრულებული ტლანქი ნახელავია; აგრეთვე გარკვეული სქემატურობითა და სუმართულობით ხასიათდება. ამასთანავე საჭრისები გაბედულადაა ნახმარი — კვეთას შეჩვეული ხელითაა შესრულებული.

ფრთები სწორხაზოვანი კვეთითაა მოცემული, აქა-იქ ოდნავ გახრილი თუ სავანგებოდ „აცდენილი“ ხაზებით.

ყველაზე ახლო მსგავსებას ფრთოსანი ფიგურა ეროსების გამოსახულებებთან პოულობს<sup>22</sup>. სახელდობრ, ძვ. წ. 445—450 წწ. დათარიღებულ სარდონის სკარაბეიზე ამოჭრილი ეროსი (იხ. G. Richter, Ancient Gems from the Evans and Beatty Collection, New York, MCMXLIII, 20) ასეთივე დიდი ფრთებითა და ანალოგიური თმის ვარცხნილობითაა გამობატული. თმის ვარცხნილობა შდრ. აგრეთვე: Richter, Gems, 90.

ბოზა შდრ. ტარენტუმში აღმოჩენილ, ძვ. წ. IV საუკ. ოქროს ჭირილაფარაკიან ბეჭედზე ამოჭრილ ნიკეს გამობატულებას (იხ. G. Beccatti, Oreficerie antiche, Roma, 1964, LXXXIV, 336). ჯ. ბორდმანი ტარენტუმში აღმოჩენილ ბეჭედს ძვ. წ. V საუკ. მიწურულით ათარიღებს და დასავლურ-ბერძნულ ნახელავად მიიჩნევს (იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 227, 300, № 758). შდრ. აგრეთვე G. Richter, A History of Greek Art in Miniature, I, გვ. 91, 292. Cabinet des Médailles-ში დაცული სარდონის სკარაბეიზე ამოჭრილ ნიკეს გამობატულებას, რომელიც კოჭაობს. ინტალიო (იგი ოქროს „მბრუნავ“ ბეჭედშია ჩასმული) ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება. ამრიგად — ჯ. რიხტერის მიერ გამოცემულ ინტალიოს სიუჟეტზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ გუაიბუს ეროტიც უნდა კოჭაობდეს.

6. ოროსამარხი № 21, თხრილი III. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი; ვიწრო, გარედან გლუვი, შიგნიდან ერთწახნაგისანი რკალი მხრებთან ფართოვდება და მსხვილდება. მხრებთან რკალს შეუმჩნეველი წახნაგი დაჰყვება, იგი უშუ-

21 დაცულობა: პირის კიდეები ადგილ-ადგილ ამოტეხილია, ლითონი პატინის სქელი ფენით არის დაფარული.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ, დიამ. — 28 მმ, ინტალიოს სიგრძე — 20 მმ, განი — 14 მმ, რკალის ვანი — 2 მმ.

22 მ. ტრაპში კაბუკად მიიჩნევს, იხ. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის კრილაგამოხატულებიან ნაწილში „ფარაკში“ (სურ. 9).



სურ. 9

პირზე რთული კომპოზიციისა გამოხატული: ტიტველი ფრთოსანი ქალის ფიგურა სვეტზე ზის. მას მძიმე და მოუქნელი, ულამაზო აღნაგობის სხეული აქვს. მხრებში ოდნავ მოხრილია. მარჯვენა გაშვებული ხელი მუხლზე უდევს. მარცხენა ხელის გულზე ფრთაგამოშლილი ფრინველი უდგას (ტაბ. IV, 10).

ფრთოსანი ქალი ღვთაება უნდა იყოს; რომელი — ჯერჯერობით დასადგენია. ქალღმერთს ფრთა ნახევრად გაშლილი აქვს ისე, რომ კუთხეს ქმნის (დამახასიათებელი თვისება გუადინუს ბეჭდების სტილისათვის). გრძელი, ზევით ავარცხნილი თმა კონადაა შეკრული (შდრ. ეროსისა და „სფინქსის“ თმის ვარცხნილობებს)<sup>23</sup>. თვალი, ნიკაბი, ცხვირი და პირი სხვადასხვა ზომის სფერულა წერტილებითაა აღნიშნული<sup>24</sup>.

ფრინველი პროფილში მარჯვნივ დგას, თავი სუმარულად აქვს გადმოცემული. დიდი ფრთა მისი სხეულის ზომას არ შეესაბამება.

როგორც ქალღმერთის, ასევე ფრინველის ფიგურა ერთ სიბრტყეშია (სალრმეში) ნაკვეთი, ყოველგვარი მოდელირების გარეშე. სხეულის ცალკეული ფორმები დამუშავებული არ არის. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმადაა ნაკვეთი. ტლანქი, ამასთანავე გულმოდგინე და მკაფიო ნახელავია. კვეთის სტილი საერთო სქემატურობითა და ფორმების სუმარული გადმოცემით ხასიათდება.

გამოყენებულია: ბრინჯაოს ნემსი, ფართოპირიანი საჭრისი, პატარა ზომის bouteralle-ი.

ოსტატის მისწრაფებაა რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი არე დატოვოს გამოხატულების გარეშე.

როგორც ცნობილია, ქალღმერთებს შორის ფრთებით დაჯილდოებული არაერთი ღვთაებაა ბერძნულ მითოლოგიაში მოხსენიებული. ამათგან ზოგი მთავარ ღვთაებათა რიგს ეკუთვნის — ნიკე, ათენა-ნიკე, ნემეზიდა; სინკრეტულ ღვთაებებიდან: ფორტუნა-იზიდა. ზოგი მეორეხარისხოვანია: ერისი, ირისი, ერინიები და ა. შ.

გუადინუს ინტალიოს შინაარსის გასარკვევად ნიკესთან (Νίκη — გამარჯვე-

<sup>23</sup> მსგავსი თმის ვარცხნილობა მოდაშია ძვ. წ. V საუკუნიდან, შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, 314 (ლენტინელოში მოპოვებული ინტალიო); — Boardman, Greek Gems and Finger Rings, 447, 448. ძირითადად ხსენებული ვარცხნილობა დასაკლურბერძნულ გემებზეა გავრცელებული. ამას გარდა — სირაკუსულ მონეტებზედაც ხშირია. იხ. Kraay-Himmer, გამ. 90.

<sup>24</sup> და ცულობა: რკალი ქვედა ნაწილში გატეხილია, ლითონი პატინითაა დაფარული. ზომები: სიმაღლე — 32 მმ, დიამ. — 19 მმ, ინტალიოს სიგრძე — 19 მმ, განი — 14 მმ, რკალის განი — 3 მმ.

ბის სიმბოლო, ღვთაებათა პირველ შთამომავლობას აკუთვნებენ<sup>25</sup>, ერისთან ('Eρς — განხეთქილების განსახიერება, ფროსან ვენიად წარმოდგენილი<sup>26</sup>) და ნემეზიდასთან (Νέμεσις — ბედის განსახიერება, აგრეთვე შურისძიების (მისაგებელის) ღვთაება<sup>27</sup>) დაკავშირებული ძველი ბერძნული თქმულებების მოშველიება დაგვიჩვენებს.

7. ორმოსამარხი № 21, თბილისი III. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი. ვიწრო, გარედან წახნავიანი რკალი ოვალური მოყვანილობის ფარაკში — ინტალიონში გადადის, რომელიც ბოლოებისკენ ვიწროვდება (ანუ წაწვეტებულ ოვალს წარმოადგენს). რკალს შიდაპირზე ერთი წახნავი დაჰყვება<sup>28</sup>.

პირზე გამოხატულია ცხენი, პროფილში მარჯვნივ. იგი ოთხით მიდის. წინა ორი ჩლიქი ჰაერში აქვს გაშვებული, უკანა ფეხები სახსრებშია მოხრილი, ძუა აწეული იმგვარად, რომ კუთხეს ქმნის.

გამოხატულება ზედმიწევნით სქემატურადაა შესრულებული. ფორმათა საერთო მოხაზულობა კუთხოვანია. თავი ძალიან სუმარულად არის გადმოცემული, თვალი აღნიშნული არ არის. მთელი სხეული ერთ სიბრტყეშია მოცემული, შინაგანი ნახატი დამუშავებული არ არის. ფეხები ტორსთან შედარებით არაპროპორციულად წვრილია. ნიდაგის ზოლი მხოლოდ უკანა ფეხებთან არის აღნიშნული მოკლე, სწორი ხაზით.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება საკმაოდ ღრმადაა ნაკვეთი, მაგრამ ანაბეჭდზე შედარებით დაბალ რელიეფს იძლევა. კვეთა სუმარულობითა და სქემატურობით ხასიათდება. ხოლო რაც შეეხება მის დამახასიათებელ თავისებურებებს კვლავ შესასწავლია.

8. ორმოსამარხი № 21. საბეჭდავი-ბეჭდის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი, ნაცრისფერი პატინით დაფარული. ბეჭდის რკალი უშუალოდ გადადის ოვალური მოყვანილობის ინტალიონში. ბეჭედი ისეთივე ფორმისა უნდა ყოფილიყო, როგორცაა № 1 ბეჭედი, მაგრამ უფრო დიდი ზომისა. ჩანს მას წვრილი რკალი ჰქონია, მხრებთან ფართოვდებოდა. ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს; ასეთივე ზურგი, რომელზედაც ორი წახნავია გამოყვანილი<sup>29</sup>.

პირზე გამოხატულია დაბალ სკამზე მჯდომარე ქალის ფიგურა, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც ხელში გრძელი, ორღულიანი საკრავი უჭირავს და უკრავს (ტაბ. IV, 11). თმა დამკვრელს ზევით ავარცხნილი და კეფაზე კონად შეკრული აქვს (მღრ. წინაღწერილ ბეჭდებზე გამოხატულ ფიგურათა თმის

<sup>25</sup> Grimal, Mythologie, გვ. 316 a.

<sup>26</sup> Grimal, დასახ. ნაშრ., გვ. 147 a, b.

<sup>27</sup> Grimal, დასახ. ნაშრ., გვ. 312 a.

<sup>28</sup> და ც უ ლ ბ ა: რკალის ნახევარი ჩამოტეხილია, ნაკლებია. ლითონის ცისფერი პატინით არის დაფარული.

ზ ო მ ე ბ ი: ინტალიოს სიგრძე — 25 მმ, განი — 10 მმ, რკალის განი — 3 მმ.

<sup>29</sup> და ც უ ლ ბ ა: რკალი ბეჭედს მოტეხილი აქვს. ლითონი პატინით არის დაფარული (ბეჭედი ცეცხლში უნდა იყოს ნამყოფი).

ზ ო მ ე ბ ი: ინტალიოს სიგრძე — 14 მმ, განი — 10 მმ.

ვარცხნილობას), გრძელსახელოებიანი ქიტონი აცვია. წელს ქვემოთ ჰინსტონის აქვს შემოხვეული ისე, რომ ფეხებიც შიგაა გახვეული. მუხლები ძალიან მოუხრია, ფეხის ტერფები უკანაა წაღებული, დაბალ სკამზე უსვენია. თვით სკამს გახრილი, რკალისებრი ფეხები აქვს. იგი *Κλιση* წარმოადგენს.

დამკვრელის სახე ძალიან სუმარულად არის გადმოცემული, თვალი წერტილითაა აღნიშნული. ამჟამად გამოხატულება მკაფიო არ არის, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ლითონი პატინითაა დაფარული. შესაძლოა ცეცხლშიც არის ნაწყობი.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა, რომელიც თავის დროზე მკაფიო იქნებოდა.

ტექნიკა: გამოხატულება არ არის ღრმად ნაკვეთი. კარგი ნახელავია. სტილი შდრ. მე-5 და მე-6 ბეჭდებს.

ანალოგიური *Κλιση*-ები ძვ. წ. V და ადრე IV სს. გემებზე გვხვდება (შდრ. Richter, *Gems*, 1965 წლის გამოცემა, XV, 85, 84; Boardman, *Greek Gems and Finger Rings*, ტაბ. 676, 717). შდრ. აგრეთვე Richter, *A History of Greek Art in Miniature*, გამ. 274, 275. ჯ. რისტერის მიერ გამოცემული ორივე ინტალიო ოქროს ჭრილადარაკიან ბეჭდებს წარმოადგენს ძვ. წ. ვიან V და ადრე IV საუკუნით დათარიღებულს.

ტანსაცმელი შდრ. იმავე გემებს. ასევე თმის ვარცხნილობა — შდრ. რისტერისეულ № 85 ინტალიოზე გამოხატული ქალის ვარცხნილობას.

საკრავი, რომელიც დამკვრელს უჭირავს, ანტიკურ სამყაროში არსებულ ორმაგულთან ფლექტას წარმოადგენს (შდრ. В. К. Стешко-Купчина, *Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки. I, Флейта Пана*, Тбилиси, 1936, გვ. 82—83, 92—93)<sup>30</sup>.

9. ორმოსამარხი 17, თბრილი III. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ნაკლული. ბეჭდისაგან დარჩენილია ფარაკი მხრებითურთ. ინტალიოს ოვალური და ბრტყელი პირი აქვს. დარჩენილი ფრაგმენტის მიხედვით შესაძლებელი ხდება დავასკვნათ, რომ ბეჭედი ისეთივე ტიპისაა, როგორც 1—4 საბეჭდავები, მხოლოდ, თითქოს, უფრო მომცრო ზომისა.

პირზე გამოხატულია ძლიერი, გრძელნაკრტენიანი ფრთით შემკული რომელიც ფრინველი. მას სქელი და მძიმე ტანი აქვს, ფართო კისერი, შედარებით პატარა თავი; მოკლე გაშლილი ბოლო (ტაბ. IV, 12).

ფრთა ფრინველს უშუალოდ ზურგზე აქვს „მიბმული“; ფრთის ძირი თითქმის კისერთან იწყება (და არა ფერდიდან, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე გადმოცემული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გუადიხუს ყველა ბეჭდის ფრთოსან არსებთანაა ფრთა-ნაკრტენი ერთი სტილითაა შესრულებული. არც ერთ შემთხვევაში არ არის ფრთა ორგანულად დაკავშირებული სხეულთან. იგი, ყოველთვის, საგანგებოდ მიმაგრებული „ატრიბუტის“ სახითაა წარმოდგენილი). ფრთა ზევითაა ამართული — გაშლილ მდგომარეობაში, „შვეულად“, მაგრამ მიუხედავად ამისა ფრთოსანი უძრავ მდგომარეობაშია. გამოხატულებ-

30 მ. ტრაპში მამაკაცად მიიჩნევს დამკვრელს, იხ. დასახელ. ნაშრ., გვ. 255.

ბა, სახელდობრ, თავი და სხეული ფრინველისა იმდენად სუმარულად არჩსულელებული, რომ მისი გარკვევა ჭირს<sup>31</sup>.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმადაა ამოჭრილი. სქემატური და საკმაოდ ტლანქი კვეთით. მთელი სხეული ერთ სიღრმეშია ამოჭრილი, შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია.

მჭრელი ცდილობს გამოხატულების პირი მთლიანად შეავსოს. კვეთისათვის ოსტატს ფართოპირიანი საჭრისი და ბრინჯაოს ნემსი აქვს გამოყენებული.

როგორც ჩანს რომელიღაც მითიურ არსებასთან დაკავშირებული ფრთოსანია ამოჭრილი ბეჭდის ფარაკზე, რაზედაც მისი ძლიერი ფრთები მეტყველებს. ჩვენ კვლავ ძიების პროცესში ვართ<sup>32</sup>.

10. ორმოსამარხი 18. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ფრაგმენტირებული<sup>32</sup>. ბეჭდისაგან დარჩენილია ოვალური ფარაკი რკალის პატარა ნატეხებითურთ. ფარაკ-ინტალიოს ბრტყელი პირი აქვს, იგი სხვა ბეჭდებთან შედარებით უფრო დაბალი (თუ თხელი) არის. ბეჭედი თავისი ფორმით, როგორც ჩანს გუადიხუს სამარხებში მოპოვებული საბეჭდავი-ბეჭდების ტიპს იმეორებს.

პირზე გამოხატულია მაღალზურგიან სკამზე, თუ ტახტზე მჯდომი ქალის ფიგურა, პროფილში მარცხნივ. იგი კვართითა და ჰიმატიონით არის შემოსილი; ფეხები მუხლიანად წამოსასხამში აქვს გახვეული და დაბალ სკამზე უსვენია. ხელში რაღაც გაურკვეველი საგანი უჭირავს, ხის ტოტებს გვაგონებს (შდრ. ტაბ. 6 გამოხატულებას). იმის გამო, რომ ლითონი პატინის სქელი ფენით არის დაფარული, გამოხატულება ბუნდოვანია (ტაბ. IV, 13).

ქალის ფიგურა ტახტზე გამართულად ზის, ზურგით ტახტის ზურგზეა მიყრდნობილი, თავი ოდნავ წინ წაუხრია, თითქოს რაღაცას დასცქერის. ნიადაგის ზოლი გრძელი ხაზით არის აღნიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულება მკაფიოდ არ ჩანს, მაინც შესაძლებელი ხდება იმისი გარჩევა, რომ იგი სავსებით განსხვავდება, როგორც სა-

31 მ. ტრაპუს იგი იხვად აქვს განსაზღვრული (იხ. M. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 246).

დაცულობა: ბეჭედი ნაკლულია.

ზომები: ბეჭდის დიამ. — 18 მმ — 15 მმ, ინტალიოს სიგრძე — 12 მმ, განი — 8 მმ.

32 შენიშვნის სახით: როგორც ცნობილია ძვ. წ. IV საუკუნის იტალიურ მოხატულ ვაზების ერთ წყებაზე გამოხატულ ფრინველთა ჯიშის დადგენა დიდ სიძნელესთან არის ხოლმე დაკავშირებული (იხ. Morin - Jean, Le dessin des animaux en Grèce d'après les vases peints, Paris, 1911, გვ. 230). რაც იმითი აიხსნება, რომ მხატვრები, როგორც ჩანს, ორნითოლოგიას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

ამას გარდა — ხსენებულ ძეგლებზე ფრინველები ალეგორიული მნიშვნელობითაც არიან წარმოდგენილი. — ხომ არ შეიძლება გუადიხუს ფრინველიც ალეგორიულ ფრინველებთან დავეკავშირებინა.

33 ნივთი თავდაპირველად № 18 სამარხში აღმოჩენილად იყო ცნობილი. ამჟამად ი. ტრაპუსის მიერ გამოცემულ მასალებს შორის არ ჩანს (იხ. M. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 242—255), ხოლო ხსენებულ სამარხში მოპოვებულად სულ სხვა საბეჭდავი-ბეჭედია მოხსენიებული — კერძოდ, ცხოველის გამოხატულებიანი (იხ. M. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 247).



ერთო იერით, ასევე სტილით № 2 ბეჭედზე ამოჭრილ გვირგვინოსანი მამულის ფიგურისაგან. ჯდომის პოზა ქალისა ბევრად უფრო მსუბუქი და მოხდენილია. ფორმები შედარებით დახვეწილი, ფიგურა პლასტიკურია.

ტექნიკაზე, გარდა იმისა, რომ არაღრმად ნაკვეთი ინტალიოა, ვერაფერს ვიტყვით პატინის სქელი ფენის გამო. ოსტატის მისწრაფება გამოხატულებით შეავსოს ინტალიოს მთელი პირი<sup>34</sup>.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, გუადისუს სამაროვანში აღმოჩენილი საბეჭდავი-ბეჭდები<sup>35</sup> ყველა რკალშეკრულია. თითქმის ყველას ერთნაირი მოყვანილობის ფარაკები აქვთ — მალაღი და მძიმე. ამდენად რამდენად მიზანშეწონილი იქნება ამგვარი ტიპის ჭრილა ნაწილის ფარაკად განსაზღვრა ჯერ კიდევ დასადგენია. ამგვარი ფარაკები შეიძლება მიჩნეულ იქნეს თვალბუდის მიმბაძველობად.

<sup>34</sup> ჯერ კიდევ დასადგენია სავარძლის ტიპი — სკამია თუ ტახტი (ეს იმ შემთხვევაში მოხერხდება თუ ნივთი ქიმიურ გაწმენდას გაუძლებს). ამის გარდა — დასადგენია რა ატრიბუტი უჭირავს ხელში ქალს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება გარკვევა ღვთაება ფარაკზე ამოჭრილი თუ მომაკვდავი აღამიანი.

<sup>35</sup> რამდენიმე ბეჭედი ამ სამაროვანიდან ჩვენ ხელთ არ გვექონია. — არ იყო მათი შესწავლის შესაძლებლობა (იხ. М. Трапш, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXV, 6, 10, 11, 3). ამდენად, ვიდრე მათ სპეციალურად არ დავამუშავებთ, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ხსენებულ საბეჭდავებზე მსჯელობა.

შენიშვნის სახით: მ. ინაძე ნაშრომში „Причерноморские города древней Колхиды“ (Тбилиси, 1968, стр. 181) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დიოსკურიაში მოპოვებულ საბეჭდავ-ბეჭდებს საცულო ეკვივალენტის მნიშვნელობა ჰქონიათ. „При отсутствии монет в некрополе Дноскурни, здесь обращает внимание обилие бронзовых перстней-печатей античной работы (в некоторых погрязениях их найдено по несколько штук). Указанное обстоятельство наводит на мысль, что эти перстни имели меновое назначение и в данном случае использовались в качестве монеты“. თავისი მოსაზრების დასაბუთებლად ავტორი უთითებს ქსენოფონტეს ცნობას (Анабазис, IV, 7, § 27), აგრეთვე დ. ხახუტაიშვილის მიერ გამოთქმულ შეხედულებას (ქსენოფონტეს ქვემოთყვანილი ცნობის გამო. Анабазис, IV, 7, § 27). შეკითხვის გამოცხადების მიერ ბერძნებს შორის ბეჭდების შეკრავების თაობაზე ხახუტაიშვილი დასაშვებად თვლის, რომ „... შეკითხვებში საცულო (საკაქრო) ეკვივალენტს ძირითად ან ერთ-ერთ სახეობას ბეჭდები წარმოადგენდა“. (იხ. დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 144). მაგრამ მ. ინაძე არ ითვალისწინებს იმ ვიარაგებას, რომ ანაბაზისში ლაპარაკია ბეჭდებზე (*δρακουλίου*) და არა საბეჭდავებზე იხ. § 27. „После этого эллины отпустили вожака домой, подарив ему из общественного имущества коня, серебряную чашу, персидскую одежду и 10 дарников, но он преимущественно просил перстней и набрал их много у солдат“. (მ. მაჭიმოვას თარგმანი, 1951 წლის გამოცემა).

ის, რომ სამარხებში ზოგჯერ რამდენიმე ცალი საბეჭდავი-ბეჭედი აღმოჩენილია, არ არის საკმარისი იმისი მტკიცებისათვის, რომ ხსენებულ ნივთებს მონეტების მაგივრად საცულო ეკვივალენტად იყენებდნენ. ცნობილია, რომ აღრეანტიკურ პერიოდში გამოჩენილი პირების ერთი ნაწილი მრავალ ბეჭედს ხმარობდა (ხელის სამკაულადაც კი). იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des Antiquités Grecques et Romaines, Paris, 1887, II fas., § Annulus, გვ. 293 - 294. თანდათანობით ეს ჩვეულება, როგორც ჩანს, უფრო ფართოდ შედის ყოფაში. ამის თვალსაჩინო მაგალითს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე გამოვლენილი მრავალრიცხოვანი სამარხული მასალა წარმოადგენს.

არც ძველ ავტორებთან ჩანს ცნობები საბეჭდავი-ბეჭდების მონეტის მაგივრად გამოყენების თაობაზე.

დ. ბ. შელოვი (რომელსაც ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მივმართეთ) იზიარებს ჩვენს დამოკიდებულებას მ. ინაძისა და დ. ხახუტაიშვილის ზემოხსენებული მოსაზ-

სტილისტურად, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, სახეებით განსხვავებული ნახელავ ინტალიოებთან გვაქვს საქმე. ამათგან, ჩვენი ვარაუდით შესაძლებელი იქნება გვირგვინოსანი ფიგურისანი № 2 ბეჭდის ცალკე გამოყოფა. იგი მთელ ამ თავისებურ მასალაში, რომელიც სტილისტური თვალსაზრისითაც და შინაარსობრივადაც რთულ კომპლექსს შეადგენს, განცალკევებული ჩანს.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ ძირითად დამახასიათებელ და განსხვავებულ თვისებად გუადიხუს სამაროვანზე აღმოჩენილი ინტალიო-ბეჭდების ნახელავში. ისინი (ძალიან უმნიშვნელო გამოჩაყლისის გარდა და ისიც ნაწილობრივ) თანადროულ ანტიკურ გენებისაგან იკონოგრაფიულადაც და სტილისტურადაც თვალსაჩინოდ განსხვავებულნი არიან. უფრო ზუსტად — მათთვის პირდაპირი ანალოგიების შერჩევა მრავალრიცხოვან გემათა შორის საკმაოდ გაძნელდა (რა თქმა უნდა ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს). ხოლო კლასიკური ხანის ჭრილაფარაკებიანი ბეჭდები, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, თემატურად (ასევე სტილისტურად) ძალიან ახლო კავშირს ავლენენ, სინქრონული ჭრილა ქვების ყველა სახეობასთან.

მას შემდეგ რაც ჩვენ გლობტიკურ მასალებს შორის გუადიხუს ბეჭდებისათვის ანალოგიებსა თუ შორეულ პარალელებს ვერ მივაკვლიეთ, მოგვიხდა მცირე ხელოვნების სხვადასხვა ძეგლის მოშველიება მათი წარმოშობის გასარკვევად. ამ მხრივ, ერთადერთ საგულისხმო წყაროდ მონეტები აღმოჩნდა. სახელდობრ: 1. — კიზიკის მონეტებზე ძირითადი სამონეტო ტიპის გვერდით თინუსი დამატებითი ემბლემის სახითაა წარმოდგენილი<sup>36</sup>.

როგორც ცნობილია თინუსი კიზიკის ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი იყო. ამიტომ კიზიკის მიერ „ეგქსინის პონტოზე“ დაწესებული მებადურობის სიმბოლოდ (რომელიც აგრეთვე ადგილობრივი ვაჭრობის პროდუქტსაც „ნსახებრებდა“ — მ. ლ.) თინუსი ითვლებოდა<sup>37</sup>.

ამრიგად, თინუსის გამოხატულებიანი ყველა მონეტა, რა სახისაც არ უნდა იყოს მისი სამონეტო ტიპი, კიზიკურია<sup>38</sup> (იხ. E. Babelon, დასახ. ნაშრ., იქვე).

რების გამო. მისი ცნობით ფულადი მიმოქცევისადმი მიძღვნილ ისტორიულ ნაშრომებსა და ნუმისმატიკურ ლიტერატურაში ბეჭდებს საცვლელი ეკვივალენტის — ფულის — მნიშვნელობას არავინ აწერს. ხოლო ხარონის ობოლად წარმოდგენილია ერთი და არა რამდენიმე მონეტა.

რაც შეეხება იმას, რომ შვეითი გამცილებელი უბირატესად ბეჭდებს აგროვებდა, არ ნიშნავს იმას, რომ ბეჭდები შვეითებში ფულად მიმოქცევაში იყო. ეს, დ. შელოვის აზრით, სხვა ფაქტორებით აიხსნება და ქსენოფონტეს ამ „ყურე ცნობიდან“ ბეჭდების ფულად მნიშვნელობასთან დაკავშირება, და მით უფრო ამ შეხედულების განვრცობა სხვა ტომებსა და ხალხებზე შეუძლებლად მიაჩნია.

<sup>36</sup> იხ. E. Babelon, *Traité des Monnaies Grecques et Romaines II, Première partie*, pag. 150; შდრ. K. Regling, *Die Griechischen Münzen der Sammlung Warren*, ტაბ. XXXIV, XXXV.

<sup>37</sup> იხ. Babelon, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>38</sup> ა. ზოგრაფი თინუსის გამოხატულებას ქალაქის (კიზიკის) ე. წ. „მეტყველ“ ემბლემად — *παροισιον* მიიჩნევს. იგი აღნიშნავს, რომ კიზიკში ქალაქში *παροισιον* დამატებითი სიმბოლოს მნიშვნელობამდეა დაყვანილი. მაგალითად ისეთი სტატურები მოჰყავს, რომლებზედაც თინუსი სიუჟეტურად უკავშირდება ცხოველების, ადამიანების და სხვათა მრავალრიცხოვან გამოხატულებებს (იხ. A. Зограф, *Античные монеты*, стр. 60, 64).

№ 21 სამარხში აღმოჩენილ ინტალიოზე ამოჭრილი სფინქსი თიხის (იხ. ტაბ. IV, 7). თინუსი ამ შემთხვევაში ნიადაგის მნიშვნელობითაა გამოცემული. საგულისხმოა, რომ კიზიკური მონეტების დიდ ჯგუფზე თინუსი სწორედ „ნიადაგადა“ გამოყენებული, საყრდენის „როლს ასრულებს“; მასზე მიმავალი ცხოველები, მჭდომარე არსებები და სხვა სახეებია წარმოდგენილი<sup>39</sup>.

იგივე კომპოზიცია მეორდება № 17 ორმოსამარხში მოპოვებულ ინტალიო-ბექედზე, იმ განსხვავებით, რომ ამ საბექდავზე სფინქს ტორაწეული ლომი ცვლის (იხ. ტაბ. IV, 8). როგორც ვხედავთ, ჩვენი საბექდავები თემატიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული კიზიკის მონეტებთან. კიდევ მეტიც — მათი წარმომავლობის განსაზღვრის შესაძლებლობას მხოლოდ კიზიკიანებთან დაპირისპირება იძლევა. მასალის ანალიზმა, საბექდავებისა და მონეტების ერთმანეთთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ბექედები კიზიკის აქამდე უცნობ სახელოსნოში შესრულებული<sup>40</sup> ნახელებია ან კიზიკთან უშუალოდ დაკავშირებული მჭრელის მიერაა ნაკეთი<sup>41</sup>.

II. მეორე რთული სიუჟეტი, რომელიც კვლავ ნუმისმატიკური მასალებით გარკვეა, ეს არის № 21 სამარხში აღმოჩენილი ინტალიო-ბექედი მდედრობითი ფრთოსანი ღვთაების გამოხატულებით (იხ. ტაბ. IV, 10). ღვთაების ნიკესთან დაპირისპირებამ დაგვანახა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა ღმერთთან (იგი არც სხვა ფრთოსან ღვთაებათა, გენიათა და ნიმფების მრავალრიცხოვან ტიპს ანსახიერებს). ამას, უპირველეს ყოვლისა, მისი მთავარი ატრიბუტი — ფრინველი მოწმობს (ფრთოსანი არსება ერთი პირობა სფინქსადაც კი წარმოვიდგინეთ), მაგრამ ამასთანავე, იგი ნიკეს გარკვეული ნიშნებით ენათესავება.

დიდი საბერძნეთის მონეტებიდან ჩვენი ყურადღება ტერინას ტაბერებმა მიიპყრო<sup>42</sup>. ამ მონეტების ერთ-ერთ ტიპზე წარმოდგენილია ფრთოსანი ქალღმერთის ფიგურა ფრინველით ხელში იონიური სვეტის კაპიტელზე ანდა Cippus-ზე მჭდომარე<sup>43</sup>. იგი ტერინა-ნიკეს, გამარჯვების ქალღმერთს ასა-

<sup>39</sup> შტრ. Regling, Die Griechischen Münzen der Sammlung Warren, ტაბ. XXXIV, 1468, 1494—1495; 1514, 1515; ტაბ. XXXV, 1544—1553 და ა. შ.

<sup>40</sup> კიზიკში ქვის საჭრელი სახელოსნოს არსებობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში საკითხი ჯერ არ დასმულა.

<sup>41</sup> ჯ. ბორდმანს გამოცემული აქვს ლენინგრადში დაცული ქერჩში მოპოვებული, ძვ. წ. V საუკ. უკანასკნელი მეოთხედით დათარიღებული ოქროს საბექდავი-ბექედი, რომლის პირზე გამოხატულია თინუსზე ამხედრებული ჰაბუჯი. ავტორის ბეჭდის „III ტიპს“ აკუთვნება, ხოლო მის წარმოშობაზე არაფერს ამბობს (იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, 682). იგივე ბეჭდს გაკერით იხსენიებს მ. მაქსიმოვაც ერმიტაჟის ჭრილა ქვების გამოფენის „შეჯიშურში“ (Античные резные камни). არც ერთი ავტორთაგანი არ იძლევა შენაარსის ანაღმს. ჩვენ ვხედავთ ვარაუდით საკუთარი მოსაზრების გამოთქმას ბეჭდის წარმოშობასთან დაკავშირებით. ქერჩში მოპოვებული საბექდავიც კიზიკის „სახელოსნოსთან“ დაკავშირებულ ნახელებთანაა წრეს უნდა ვკუთვნოდეს.

<sup>42</sup> Head, Hist. Num., გვ. 113—114; გამ. 63—64.—K. Regling, Terina, Berlin, 1906 (Winkelmanns programm, 66);—A. Hands, Coins of Magna Graecia, London, 1909.

<sup>43</sup> Enciclopedia Italiana, vol. XXI, Monetazione, გვ. 909b—915a;—Regling, Griechischen Münzen der Sammlung Warren, ტაბ. IV, 183; 66—68;—Head, Hist. Num., გვ. 113—114, გამ. 63—64.



ხიერებს; ქალაქ ტერინას ღვთაებად მიჩნეულს<sup>44</sup>. ზოგი მკვლევარი მას ქალაქის ნიშნებს უწოდებს<sup>45</sup>.

ამრიგად, ძიების შედეგად იმ დასკვნამდე მივდით, რომ გუადიხუს საბეჭდავზე მჭრელს ქალაქ ტერინას მფარველი ღმერთი, ტერინა, წარმოუსახნია. როგორც ირკვევა ტერინა-ნიკეს მოტივი გლიპტიკაში ზედმიწევნით იშვიათი გამონაკლისია. ვიმეორებთ: მრავალრიცხოვან გემა-საბეჭდავთა შორის გუადიხუს ტერინას მსგავსი არ შეგვხვდრია. აღნიშნული ტიპი მხოლოდ ტერინას ძვ. წ. V საუკ. უკანასკნელი მეოთხედითა და IV საუკ. დამდეგით (425—400 წწ.) დათარიღებულ სტატერებზე გავრცელებული. აქედან გამომდინარე ჩვენს საბეჭდავს სამხრეთ იტალიის ბერძნულ სკოლას (ბრუტიუმის ტერიტორიაზე არსებულს, შესაძლოა თვით ტერინაშიც) ვუკავშირებთ. ინტალიო სტილისტურადაც დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოების ანალოგიურ ნაკეთობასთან ამქცადვენებს ახლო ნათესაობას<sup>46</sup>.

რომ გუადიხუს საბეჭდავი-ბეჭდები და ტერინას მონეტები ერთმანეთთან ესოდენ მჭიდრო თემატიკურ კავშირშია, რამდენადმე კანონზომიერიცაა. — კლასიკური ხანის ლითონის საბეჭდავ-ბეჭდებს, გემებსა და მონეტებს შორის ამ მხრივ ძალიან ახლო ნათესაობაა, რომელიც სწორედ დიდი საბერძნეთის მონეტებთან შეიმჩნევა. აღნიშნული ვითარება იმ პერიოდს ემთხვევა, როცა სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში სტუდიოებში (studio) ბერძნეთა აქტიური მოღვაწეობა შესამჩნევია (Boardman, გვ. 200). არსებობს ისეთი კატეგორიის ნივთები, ლითონის ინტალიო-ბეჭდები (ძირითადად) და მონეტები, რომლებიც ჯ. ბორდმანის აზრით ერთი და იგივე ოსტატების მიერაა ნაკვეთი<sup>47</sup>. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მკვლევარს კლასიკური ეპოქის ცნობილი გემების მჭრელების — ოსტატების — ფრიგილოსისა და ოლიმპოსის სახელმოწერილი გემები და მონეტები მოჰყავს<sup>48</sup>. ამას გარდა: ათენში, ამ დროს, საზომ-საწყაავის „დასალუქად“ განკუთვნილ ოფიციალურ საბეჭდავებზე. როგორც წესი, მო-

<sup>44</sup> Enciclopedia Italiana, v. XXI., გვ. 915a; — Head, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>45</sup> Head, Hist. Num., გვ. 113. ჯ. ბეკატისა და ჯ. ბორდმანის მიერ გამოცემულ (Oreficerie antiche, 335; Greek Gems and Finger Rings, 239) ტარენტუმში აღმოჩენილ ერთ-ერთ ოპროს ბეჭედზე გამოხატულია „ფრთოსანი ნიშნა“ კალუციეთა და ფრინველით ხელში. ამ ტიპის ფრთოსან ღვთაებებს მკვლევრებშიც ნიკედ საზღვრავდნენ. ამჟამად ბეჭედზე ამოკრილი ანალოგიური ჯგუფის ფრთოსანი ფიგურების გარკვევა, ტერინასთან კავშირში, შესწავლის საგნადაა ქვეული (სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი შეიქნა ამ საკითხისადმი მიძღვნილი ჯ. ბორდმანის მიერ მოხსენიებული Pozzi-ის სპეციალური ნაშრომი, რომელიც „Klearchos“-ში დაბეჭდილია).

<sup>46</sup> იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 226, 227.

<sup>47</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

<sup>48</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 200, 201.

ძვ. წ. გვიან V საუკ. დასავლურ-ბერძნული ქალაქების (სირაკუზა, თურია, ტერინა) მონეტების რიგი ფრიგილოსის შემოქმედებას ეკუთვნის, მის ავტორობას ხელმოწერა ადასტურებს. იხ. ფრიგილოსის ნახელები მონეტები: А. Зограф, Античные монеты, ტაბ. VII, 2, გვ. 87. აქვე გვინდა შევნიშნოთ: კატანიის მახლობლად მოპოვებული ძვ. წ. IV საუკ. გემა, რომელიც ქალაქის ოფიციალური საბეჭდავი იყო ჰერაკლესა და ლომის ბრძოლის გამოხატულებით, იმეორებს სირაკუზული მონეტის ტიპს. როგორც ირკვევა მონეტაცა და საბეჭდავიც ერთი ოსტატის — ევენეტის ნახელებია (იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 201, ტაბ. 52B). და ბოლოს არქაული პერიოდის ცნობილი ოსტატის სისიას გემები დასავლურ-ბერძნული მონეტების ანალოგიურია.



ნეტების ემბლემები იყო გადმოღებული<sup>49</sup>. ათენის აგორაზე აღმოჩენილ ქუჩაზე შემორჩენილი თიხის ანაბეჭდები იმდენად ახლოა სინქრონულ ტებთან, რომ ჯ. ბორდმანის ვარაუდით ძეგლების ეს ჯგუფიც ერთი ხელის ნაკეთობაა<sup>50</sup>.

არსებული მასალების მიხედვით ძნელია იმისი მტკიცება, თუ სახელდობრა დანიშნულების საბეჭდავებია ზემოხსენებული გუადინხუს ბეჭდები. ამ მიმართულებით ჩვენ ვაგრძელებთ კვლევას.

<sup>49</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

<sup>50</sup> იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 237. ანაბეჭდების მიხედვით საბეჭდავები მრგვალი, ცილინდრისებრი უნდა ყოფილიყო, ლითონისა.

\* შენიშვნის სახით: პ. ვუოლტერსის მიერ მოყვანილი პლატონის ცნობის თანახმად, მხოლოდ ეთიოპელები ხმარობდნენ ჭრილა ქვესს (*λίσσοι ἔγγυλισμένοι*) მონეტებად (იხ. H. Walters, Catalogue of the Engraved Gems, გვ. XXX; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები II. არმაზისხეცა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლობტიკური ძეგლები, გვ. 3).

### 3. ე შ მ რ ა

1968 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში ეშერაში, მდ. გუმისტას მარჯვენა ნაპირზე, გამოვლინდა მამაკაცის მდიდრული სამარხი („მეომარი-ქურუმის სამარხად“ წოდებული)<sup>1</sup>. სამარხეული კომპლექსი ჭრილაფარაკიან ბრინჯაოს ბეჭედსაც შეიცავს, რომელიც ჩვენი კვლევის საგნადაა ქცეული.

ინტალიო-ბეჭედი, ბრინჯაოსი, ნაკლული. ბეჭდისაგან დარჩენილია ფარაკი მხრებითურთ. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა, ბრტყელი და საკმაოდ მაღალი (საბეჭდავი სქელფარაკიანი ბეჭდების ჯგუფს მიეკუთვნება). როგორც ჩანს ბეჭედი ქვევით უნდა ყოფილიყო ოდნავ ჩამოგრძელებული, რკალი შედარებით წვრილი უნდა ჰქონოდა<sup>2</sup>.

პირზე პეპლოსით შემოსილი ქალღმერთის ფიგურაა გამოხატული. იგი ზურგიდან ჩანს, პროფილში მარცხნივია მიმართული. ქალღმერთს ბეჭედი უკან გადაუყრია და დიდი ნაბიჯი გადაუდგამს. მას ზევით ავარცხნილი და თხემზე კონად შეკრული ვარცხნილობა აქვს გაკეთებული. თმები თითქმის ცალკეული ზოლებითაა ვადასერილი. თვალი რელიეფურადაა გამოხატული. მაღალი კისერი დაწვებისა და ნიკაპისაგან საკმაოდ მკაფიოდაა გამოყოფილი<sup>3</sup>. (ტაბ. III, 14).

ქალღმერთს წინ გაწვილ ხელში ანთებული ჩირაღდანი (თუ ჯამისებრი დიდი ჭრაქი) უნდა ეჭიროს. ალის ენები წვეტიანი სამკუთხედების სახითაა გადმოცემული. მარცხენა ხელი არ უჩანს. მხრებზე მოკლე ქლამიდა გადაუგდია, რომლის ბოლო პაერში ფრიალებს. მხრებზე ქალღმერთს მომრგვალებული ფრთა უნდა ჰქონდეს გამოზმული, ხოლო მკერდზე, რომელიც ღეროვანი (თუ წვრილფოთლოვანი) მცენარე ჩანს. ნიადაგის ზოლი თევზიფხურა-

<sup>1</sup> იხ. Г. Шамба, Об одном раннеэллинистическом захоронении представителя древнеабхазской знати из с. Эшера, «Известия» I, Абхазского института языка, литературы и истории, Тб., 1972 გვ. 98—109.

<sup>2</sup> ბეჭედი დასამუშავებლად გ. შამბამ გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვხსენებთ. გ. შამბა სამარხს ძვ. წ. IV—III სს. მიენით ათარილებს: ხოლო ბეჭედზე ამოჭრილ გამოხატულებას „ქალის ფიგურად“ საზღვრავს. რაც შეეხება ნახელავს — „ბერძნულ-სპარსული წრის“ ძეგლებს უკავშირებს. — ამგვარ განსაზღვრას ჩვენ არ ვიზიარებთ.

<sup>3</sup> ზომები: ბეჭდის სიმაღლე (დაახლოებით) — 20 მმ, დიამ. — 15 მმ, ინტალიოს სიგრძე — 17 მმ, განი — 12 მმ.

დაცულობა: ბეჭედი ნაკლული. ფარაკის ნაპირები შემომტერულია; ლითონი პატინის ფენით არის დაფარული.

და გამოხატული. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდულ დაბალ და მკაფიო რელიეფს იძლევა.

**ტექნიკა:** გამოხატულება არაღრმად არის ამოჭრილი; კვეთა გარკვეული სქემატურობით ხასიათდება, ამავე დროს ერთგვარი სიზუსტით გამოირჩევა. ქალღმერთის ფიგურა მოხდენილად დგას, პროპორციები ოსტატს კარგად აქვს დაცული. კვეთისათვის გამოყენებული უნდა იყოს: ბრინჯაოს ნემსი სხვადასხვა წვერისა და ფართობრიანი საჭრისი.

ანალოგიური ტიპის ბეჭდები ძვ. წ. IV საუკ. მეორე ნახევრით თარიღდება<sup>4</sup>. მათი სახესხვაობა ძვ. წ. IV საუკ. ბოლო წლებშიც გვხვდება (შდრ. Richter, A History of Greek Art in Miniature, გვ. 75, გამ. C).

თმის ვარცხნილობა შდრ. ენევის მუზეუმში დაცულ ოქროს ბეჭდის ფარაკზე ამოჭრილ არტემიდას ვარცხნილობას (M.-L. Vollenweider, Une nouvelle bague en or au Musée d'art et d'histoire de Genève, Geneva, XII, 1964 გვ. 55); მისივე, Cylindres, Seaux et Intailles, I, ტაბ. 84, 5, № 220). ბეჭედი ძვ. წ. IV საუკ. მეორე ნახევრით თარიღდება, სახელდობრ 330 წლით.

მხრებზე „გამომწული“ ფრთების მიხედვით ჩვენი ბეჭდის ფარაკზე გამოხატული ქალღმერთი ფსიქეად უნდა განისაზღვროს. მაგრამ მის მკერდზე დამაგრებული მცენარეული სახე (პურის თავთავებს რომ მოგვაგონებს), რომელიც ფსიქეას ატრიბუტებს შორის არ გვხვდება, ღვთაების სინკრეტულობაზე მეტყველებს.

როგორც ვიცით ლამპარი (თუ ჩირაღდანი) დემეტრას ატრიბუტადაც (იხ. Grimal, დასახ. ნაშრ. §. Déméter) არის ცნობილი, თუ განხილული ბეჭდის ქალღმერთის გულმკერდზე დამაგრებულ მცენარეს პურის თავთავებად მივიჩნევდით, მაშინ შეიძლებოდა იგი ნაყოფიერების დიდ ღმერთქალთან — დემეტრასთან დაგვეკავშირებინა.

მაგრამ ჩვენთვის დემეტრა ფსიქეას ატრიბუტით (ე. ი. ფრთებით) არ არის ცნობილი, ამდენად ქალღმერთის განსაზღვრას დადგენილად ვერ ჩავთვლით. საესებოთ დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში ზოგიერთი თავისებური დეტალი თვით მკერდის მდიდარი ფანტაზიის შედეგად არის შეტანილი ნახატში (ამიტომ სიუჟეტის დასაზუსტებლად ჯერ კიდევ ძიებაა საჭირო).

<sup>4</sup> შდრ. J. Boardman, Finger Rings, ტიპი VI, გვ. 214, 217;—Richter, Ancient Gems, ბეჭედი 37.

გუადალეს ტერინასა და ფსიქეას ერთნაირი ვარცხნილობა აქვთ.

<sup>5</sup> P. Grimal, Mythologie, § Psyché, გვ. 400a—401b.

#### 4. დაბლაგომი

დაბლაგომში 1971—1972 წლებში არქეოლოგიური ძიებისას გამოვლენილ სამარხეულ ინვენტარში ორი პრილაფარაკიანი ბეჭედი წარმოდგენილი<sup>1</sup>. ერთი მათგანი, კრამიტით გადახურულ ხის სამარხში აღმოჩენილი, ოქროსაგან არის გაკეთებული; მეორე, № 7 ქვევრსამარხიდან, ბრინჯაოსია<sup>2</sup>. ხსენებული ბეჭედები როგორც ფორმით, ასევე კვეთის თავისებურებითა და სტილით, ერთმანეთისაგან საესეებით განსხვავებული არიან. ოქროს ბეჭედს ტიპური ანტიკური, კლასიკურ ხანაში გავრცელებული, ფორმა აქვს. ბრინჯაოს ბეჭედი რკალ-გახსნილი ბეჭედების იმ ადგილობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ძველ კოლხეთში, მეტ-ნაკლებად სახეშეცვლილი, ძვ. წ. IV და ადრე III საუკუნეებში გვხვდება. სახელდობრ: დაბლაგომში (1936 წელს გათხრილ ქვევრსამარხების კომპლექსებში), დაფნარსა და ქვედა მესხეთში. ხოლო ტიპი ბეჭდისა სხვაზე მეტ მსგავსებას ქვედა მესხეთის ბეჭედებთან იჩენს<sup>3</sup>.

1. ნაციხვარა (ბორცვი, დასავლეთის ფერდი), 1972 წლის არქეოლოგიური კამპანია, კრამიტით გადახურული ხის სამარხი<sup>4</sup>, საველე № დგ — 12/11.

ბეჭედი-ინტალიო, ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული<sup>5</sup>. მრგვალ-ფარაკიან ბეჭედს ვიწრო, გარედან წახნაგამოყვანილი რკალი აქვს. რკალი შიგნიდან ბრტყელია, იგი მხრებთან ოდნავ ფართოვდება და ამასთანავე ჩადრეკილია ისე, რომ ერთი შეხედვით მხრებზევიწრო ბეჭდის შთაბეჭდილებას (რომელიც ერთიანად მხრებდაქანებულ ბეჭედებს გვაგონებს) ახდენს (მხრებთან რკალის განი 5 მმ, ქვედა ნაწ. — 3 მმ).

ფარაკის კიდე არც თუ მაინცდამაინც თანაბრადაა შემოკეთებული, ამიტომ ოვალურ-მრგვალი მოყვანილობის ფარაკების ტიპს გვაგონებს (ცალი

1 ბეჭედები დასამუშავებლად ვ. თოლორდევამ გადმოგვცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

2 ბეჭედები სხვადასხვა სამაროვნებზე გათხრილ სამარხებიდან წარმოსდგება. კრამიტით გადახურული სამარხი იმ ტერიტორიაზეა გამოვლენილი, სადაც 1936 წელს ქვევრსამარხები აღმოჩნდა.

3 ქვედა მესხეთის ბეჭედების შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 97—99.

4 სამარხი მიწაში იყო ჩაჭრილი.

5 ბეჭედი მიცვალებულისგან მოშორებით სხვა ოქროს სამკაულებთან ერთადაა ნაპოვნი, სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ადვილი დასაშვებია, რომ სამკაულები იქვე აღმოჩენილ კოლოფში (ხარდაშხაში) იყო თავის დროზე მოთავსებული, რომლისგანაც, ამაჟამად მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.



მხარე, თითქოს, ოდნავ წაწვეტებულიც კი არის). ფარაკის ზურგი ჩადრფილია, რკალისაგან იგი არაღრმა ღარითაა გამოყოფილი (შიდაპირზე რკალი ფარაკთან 7 მმ-ია)<sup>6</sup>. წახნავი რკალს ცენტრალურ ნაწილზე დაჰყვება და სხვადასხვა „სიმკვეთრის“ (არათანაბარი) რელიეფით გამოირჩევა<sup>7</sup> (სურ. 10; ტაბ. IX, 34),



სურ. 10

ფარაკის ბრტყელ პირზე ამოჭრილია არწივი, რომელიც ბჰყალბით კურდღელს ზურგში ჩაფრენია, პროფილში მარჯვნივ. არწივი ფრთებმოკეცილია და მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი კლანჭებში უჭირავს, იგი მის ზურგზე მჯდომს უფრო ჰგავს, იმგვარადაა გამოხატული. კურდღელი რბენის მომენტშია გადმოცემული, უფრო ზუსტად: რბენისას არის მსხვერპლად ჩადგებული<sup>8</sup> (ტაბ. III, 15).

ფრინველთა მეფეს დიდი, მოკაუჭებული ნისკარტა დაღებულ აქვს; თავი ოდნავ წინ წაუღია, რომელზედაც მკაფიოდ გამოირჩევა რელიეფური თვალი. ნაბრტენით შემოსილი ძლიერი ფრთები საკმაოდ მკვეთრადაა სხეულისაგან გამოყოფილი, ხოლო ბუმბულით დაფარული სქელი კისერი, თითქმის სხეულის სიღრმეზეა ნაკვეთი (ბუმბული მოკლე-მოკლე ხაზების რამდენიმე წყებითაა შესრულებული). მოკლე, ოდნავ აკეცილი ბოლო „პირშეკრული“ რელიეფური რკალებითაა გადმოცემული, ფეხებზე ბუმბული პირობითადაა აღნიშნული, კლანჭებს სწორი ხაზები გამოხატავს.

კურდღელს თავი აუწევია, ნიდავს (ამ შემთხვევაში მას ფარაკის კიდე წარმოადგენს) უკანა ფეხებით ეხება. დიდი ზომის თვალს, პატარა დრუნის, სქელ კუდსა და წინა თავებს რელიეფური „რგოლები“ გამოხატავს. კურდღლის ტორსი თითქმის ერთ სიღრმეშია (სიბრტყეში) ნაკვეთი (განსხვავებული „რელიეფითაა“ შესრულებული კისერი), მოდელირების გარეშე (გავა ძალიან მკრთალადაა გამოყოფილი ტორსის დანარჩენი ნაწილისაგან). სხეულის ცალკეული ფორმები დამუშავებული არ არის.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირსა და ნაწილობრივ პირის კიდეს ეხება, თითქოს ჩარჩოშიაო ჩასმული, იმგვარად არის ფარაკზე მოთავსებული: კურდღელი ფეხებით ებჯინება ინტალიოს კიდეს; არწივის გასწვრივ—თავ-კისერთან, ფრთის ზედა ნაწილთან, ბოლოსთან, სივრცის ძაფისებრი ზოლია დატოვებული. ოსტატის მისწრაფებაა რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი არე დატოვოს გამოხატულების ირგვლივ.

ტექნიკა: ინტალიო საჭრისით არის ამოჭრილი, არცთუ ისე ღრმად, — ამასთანავე სხვადასხვა სიღრმითა და მკაფიოდ (არწივის ფრთის ნაწილი და კურდღლის ტორსი ღრმადაა ნაკვეთი. შედარებით ღრმადაა ამოჭრილი აგრეთ-

6 ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 20 მმ, დიამ. 17—16 მმ, ფარაკის დიამ. — 16 მმ, რკალის განი—5—4 მმ, სისქე — 2 მმ.

დაცულობა: ბეჭედი კარგი შენახულია. პირს ხმარების კვალი ეტყობა.

7 რკალი ფარაკთან ქვევიდან მიდგმულსა ჰგავს.

8 საგულისხმოა, რომ არწივი დაბლაგომის ინტალიოზე ფრთავაშლილი არ არის, ის კაში არ ფრენს, მსხვერპლი არ გაუტაცია.

ვე ცხოველისა და ფრინველის თვალებიც). კარგი ნახელავია, — კვეთას და ფლებული ხელით შესრულებული. ოსტატს რამდენიმე საქრისი აქვს გამოყენებული: ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ნ ე მ ს ი (ნახატის კონტურის გარდა — არწივის ნისკარტის, ნაკრტენის, ბუმბულისა და გამოხატულების საბოლოოდ დამუშავებისათვის), ფ ა რ თ ო პ ი რ ი ა ნ ი ს ა ჯ რ ი ს ი (ფართო მისების ამოსალგად), ს ა ჯ რ ი ს ი მ ო მ რ გ ვ ა ლ ე ბ უ ლ ი წვერითა და პატარა *bouterolle*-ი. *bouterolle*-ი მჭრელს ფრინველისა და კურდღლის თვალების, კურდღლის დრუწნის, კულისა და წინა თათებისთვის გამოუყენებია.

აქა-იქ ნახელავს აცდენილი საქრისის კვალი ეტყობა. რატომღაც მჭრელს, ზოგან, გამოხატულება ბოლომდე აღარ დაუმუშავებია — არ გაუკრიალებია. გამოხატულების ფონი პოლირებულია, მაგრამ არა ისეთი გულმოდგინებით, როგორც მაგალითად ვანის ინტალიო-ბეჭდებისა.

კვეთის სტილი გარკვეული სიმკაცრით ხასიათდება და შესაძლებელია ერთგვარად, სუმარულადაც კი იქნეს მიჩნეული, სახელდობრ, კურდღლის გამოხატულებას ეხება, რომლის შინაგანი ნახატი ოსტატს არ დაუმუშავებია.

არწივის თავდასხმა, ანდა არწივის მიერ კურდღლისა თუ ნუკრის გატაცება ერთ-ერთი შედარებით იშვიათი თემათაგანია ბერძნულ-კლასიკური ხანის გლიპტიკაში, ასევეა ე. წ. ბერძნულ-რომაულ გემებს შორისაც. ამასთანავე ხსენებული მოტივები ფართოდაა გავრცელებული კლასიკური ხანის საბერძნეთისა და დასავლეთის მონეტებზე.

მსხვერპლი ხშირად დამარცხებულია, — ასეთ შემთხვევებში არწივის იგი თავდაყირა უჭირავს კლანჭებში. გარდა კურდღლისა და ნუკრისა როგორც გემებზე, ასევე მონეტებზე მსხვერპლს დელფინი და გველი წარმოადგენენ ხოლმე. კომპოზიცია ამ ტიპის გემებსა და მონეტებზე, უმნიშვნელო გადახრებით, თითქმის ერთია<sup>9</sup>.

კლასიკური ხანის გემებს შორის არწივის მიერ კურდღელზე თავდასხმის მოტივი ჩვენთვის მხოლოდ ჯ. ბორდმანის მიერ გამოცემული ჰერაკლიონში მოპოვებული სკარაბეოიდისა<sup>11</sup> და მის მიერვე მოხსენიებულ, ლენინგრადში დაცულ „ცეცხლში ნაყოფი“ სკარაბეოიდის მიხედვითაა ცნობილი<sup>12</sup>. რაც შეეხ-

9 პ. ფოსინის მიერ გამოცემულია აქატისა და პასტის რამდენიმე გემა, რომელიც კატალოგის „ბერძნულ-რომაულ“ გემათა განყოფილება მოთავსებული (იხ. *Thorvaldsen Museum Catalogue of Engraved Gems and Cameos, Copenhagen, MCM XXIX*, გვ. 200—201).

არც ერთი გემის გარკვეული თარიღი ავტორის მიერ მოცემული არ არის. ზოგადად, ისინი, ძვ. წ. I საუკუნითაა დათარიღებული. წიგნში წარმოდგენილი ტაბულების მიხედვით, ჩვენთვის მათი სტილისტური განსაზღვრა ჭირს (გამოხატულებები არ არის მკაფიოდ გამოსლული).

არწივი მკვდარი კურდღლით იხ. აგრეთვე *A. de Ridder, Collection de Clerq, v. VII, Pierres Gravées, Paris, 1911, 2872*.

<sup>10</sup> *Boardman, Greek Gems and Finger Rings*, გამ. 493, 495, 755;—*OAK, 1870-71 წწ.*, ტაბ. VI, 16;—*OAK, 1869 წ.*, გვ. XIII;—*Fossing, Engraved Gems and Cameos*, ტაბ. XVII, 1441-1445;—*Walters, Gems*, ტაბ. XXVIII, 2436;—*Head, Historia Numorum*, გვ. 420, 421, 359;—*Grose, Catalogue of Greek Coins, v. I*, ტაბ. 65, 15-17 და ა. შ.

<sup>11</sup> *Boardman, Greek Gems and Finger Rings*, გვ. 289, ტაბ. 495 (ცხოველი მკვდარია, ხოლო კურდღლია თუ ნუკრი ავტორის გარკვეული არა აქვს, რადგან ინტალიო ნაკლულია).

<sup>12</sup> *Boardman, დასახ. ნაშრ.*, გვ. 414, აღწერილობა 328. როგორც ჩანს ჯ. ბორდმანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ერმიტაჟში თემირ-გორაზე, მიცვალბულ-

ბა კრილაფარაკიან ლითონის ბეჭედებს მსგავსი თემა — ფრინველი, რომელიც კურდღელს კორტის — წარმოდგენილია საბერძნეთიდან წარმოშობილ ძვ. წ. IV საუკუნის შუა წლებით დათარიღებულ ვერცხლის ერთ-ერთ ინტალიოზე<sup>13</sup>. ჯერჯერობით საბეჭდავ-ბეჭედებს შორის სხვა უფრო ახლო ანალოგიას ვერ მივაკვლიეთ.

სხნებული თემა, როგორც აღნიშნული გეჰონდა, დიდი საბერძნეთის ზოგიერთ ოლქებისა და ქალაქების მონეტებზე ხშირად გვხვდება. სახელდობრ: აგრიგენტისა<sup>14</sup> და ლოკრის<sup>15</sup>. იგი ელიდის<sup>16</sup> მონეტების ემბლემაცაა. სიცილიურ მონეტებზე კურდღელი მკვდარია და არწივი მას მუცელში ჩაფრენია. პელოპონესისაზე — ვატაცებულსა თუ გასაგლეჯად დაჭერილ ცხოველს ფრინველი ზურგზე ჰყავს დამცხრალი. დამლაგომის საბეჭდავი-ბეჭდის წარმომავლობის გასარკვევად შემოხსენებულ დეტალს, თითქოსდა მცირემნიშვნელოვანს, არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ცნობის მოტანა ზევსის კულტისა და მისი საღმრთო ფრინველის — არწივთან — დაკავშირებით.

ელიდა, პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთი მხარე, რომლის დედაქალაქად ელიდა (Elis) ითვლებოდა ოლიმპიელი ზევსისადმი იყო მიძღვნილი — ხელთდასხმული<sup>17</sup>. ბერძნები საყოველთაოდ ოლიმპიელ უზენაეს ღვთაებას მთელი ელინური მოღვმის შემძლებელ მფარველად, ოლიმპიის მეფედ და ღმერთების მამად აღიარებდნენ<sup>18</sup>.

ზევს ოლიმპიაში ორი მნიშვნელობით ცემდნენ თაყვანს: პირველი — როგორც ცის ღვთაებას სტიქიის მბრძანებელს — მეუფეს; ღვთაებას, რომელსაც ძალუძს წვიმა მოიყვანოს, მეხი ჩამოაგდოს. მეორე — იგი გამარჯვებების დამრიგებლად, მიჩნეული უმთავრესად თამაშობათა გამარჯვებებისა<sup>19</sup>. სტიქიის მბრძანებლის სიმბოლო მეხია. თამაშობათა გამარჯვებების დამრიგებელი ღვთაებისა — ნიკე. ნიკე გვირგვინით ხელში<sup>20</sup>. ოლიმპიელი ზევსის სიმბოლო იყო აგრეთვე არწივი რომელსაც კლანჭებში კუ, გველი, კურდღელი ანდა რომელიმე სხვა ცხოველი ეჭირა; — წინამოსწავება გამარჯვებისა<sup>21</sup>. — მსხვერპლზე გამარჯვებული არწივი ძლევაშობილი ზევსის ფრინველად ითვლებოდა, რომელიც თამაშობების ბრძოლას განასახიერებდა.

თა კრემაციის ადგილზე (ნარჩენებს შორის) აღმოჩენილი სკარაბეოიდი (ინვ. № T. G. 7.). მ. მაქსიმოვა არწივის მიერ ვატაცებულ ცხოველს ახალგაზრდა ფურირემად მიიჩნევს. იხ.

Античные резные камни. Путеводитель по выставке, Ленинград, 1926, стр. 45.  
<sup>13</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 422.  
<sup>14</sup> Grose, Catalogue of Greek Coins, v. I (Western Europe, Magna Graecia, Sicily), Cambridge, 1923, ტაბ. 65, 15-17; ტაბ. 66, 2, 4-6;—Head, Hist. Num., გვ. 121.  
<sup>15</sup> P. Gardner, The Types of Greek Coins, Cambridge, 1882, ტაბ. 6, 33.  
<sup>16</sup> Grose, დასახ. ნაშრ., v. II (Peloponesus), 225, 8, 10, 16; Head, დასახ. ნაშრ., გვ. 420, გამ. 227, 228; Regling, Griechische Münzen der Sammlung Warren, ტაბ. XXI, 914, 919.  
<sup>17</sup> Babelon, Monnaies Grecques et Romaines, II, II<sup>e</sup> partie, (Les pays du Centre Hellénique), გვ. 897;—Head, Hist. Num., გვ. 420.  
<sup>18</sup> E. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 883.  
<sup>19</sup> E. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 897.  
<sup>20</sup> E. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 898.  
<sup>21</sup> Head, Historia Numorum, გვ. 420 (Διὸς τέρας ἀϊγύρχειο, II., XII).

ცნობილია, რომ ბერძნების რწმენით ჰაერში მონავარდე არწივის, ან არწივის მსხვერპლთან ჰიდილისას, გამოჩენა გამარჯვების მომასწავებელი ნიშანი იყო<sup>22</sup>. ხოლო როცა ცხოველი არწივის კლანჭებს გაუსხლტებოდა — დამარცხებისა<sup>23</sup> (Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 98).

მას შემდეგ, რაც ოქსილოსმა, გადმოცემის თანახმად, ელიდა გაამაგრა და დედაქალაქად აქცია, ელეელებმა ოლიმპიურ თამაშობებში უპირატესობა მიიპოვეს, პიზანელებს პირველობა ჩამოართვეს და მოკლე ხანში, ამ მხრივ, ყველაზე დიდი სახელი მოიხვეჭეს მთელს საბერძნეთში. — ისინი ვახდნენ მთავარი შემაკავშირებელი ძალა, რომელიც ბერძნებს ერთმანეთთან აერთიანებდა. მიუხედავად არსებული შინაომებისა მათ ბერძნული გუნდებიც კი დაარსეს<sup>24</sup>.

იმის გამო, რომ ელიდა ზევსისადმი იყო ხელთდასხმული ოლიმპიელი ზევსის ტაძარში საყოველთაოდ განთქმული თამაშობანი ეწყობოდა. — ამ ვითარებამ ასახვა მონეტებზედაც პოვა. ელიდას მონეტების ტიპებზედ გამოყენებულია თვით ზევსის, ანდა იმ სიმბოლოთა გამოსახულებები, რომლებიც მის თაყვანსაცემად მოწყობილი იყო დაკავშირებული<sup>25</sup>. ერთ-ერთ ასეთ ემბლემად ელიდას კლასიკური ხანის მონეტებისათვის, კერძოდ ძვ. წ. V საუკ. ვერცხლის სტატერებისათვის<sup>26</sup> (471—421 წწ.) გამოყენებული იყო არწივი, რომელიც კურდღელს ჩაფრენია.

სხენებული მოტივი, როგორც ვთქვით, აგრიგენტის (Αγραγετης) მონეტების ემბლემაცაა (ვიმეორებთ: სიცილიურ მონეტებზე მსხვერპლი ზურგზეა დანარცხებული). ეს იმითი აიხსნება, რომ არწივი ზევს ატაბირიოსის, — როდოსელი უზენაესი ღვთაების, საღმრთო ფრინველად ითვლებოდა, რომლის ცნობილი ტაძარი აგრიგენტში იყო აგებული<sup>27</sup>. აღნიშნული მოტივი ვერცხლის ნახევარდრაქმებსა და ტეტრადრაქმებზეა წარმოდგენილი<sup>28</sup> (ძვ. წ. 413—406; 338—287).

ამრიგად, ფრთებმოკეცილი არწივი, რომელსაც კლანჭები კურდღლის

<sup>22</sup> შეიწყინარა რა აგამემნონის თხოვნა ზევსმა გამარჯვების ნიშნად ბერძნებს არწივი გამოუგზავნა, რომელსაც კლანჭებში ნუკრი ეჭირა (ილიადა, VIII სიმღერა, 246—250):

«... Знаменье дал, да спасется аргвиский народ, не погибнет: Быстро орла ниспослал, между вещей верхней птицу. | Мчащий в когтях орла елени, рождение быстрья лани, | Близ алтаря велелепного Зевсова бросил елени» (перевод И. И. Гнедича, Москва — Ленинград, 1935).

<sup>23</sup> ილიადა, XII სიმღერა, 218—226.

«... В знаменье птица явилась, Свыше летящий орел, пересекающий войнство слева, Мчащий покрытого кровью огромного змея живого; Но его упустил орел, гнезда своего не достигнул».

<sup>24</sup> Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 882; — Страобон, VIII, 357, 389; X, 463; Grimal, დასახ. ნაშრ., § Oxylos, ("Ὀξύλος) გვ. 335.

<sup>25</sup> Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 897.

<sup>26</sup> Head, Historia Numorum, გვ. 420—421; — Grose, Catalogue of Greek Coins, vol. II, გვ. 427—430, გამ. 225—8, 10, 16; Regling, დასახ. ნაშრ. 914, 918.

<sup>27</sup> ზევსის ტაძარი აგრიგენტში ტირან ფალარისის (565—549) მიერაა აგებული (E. Babelon, დასახ. ნაშრ., III-me partie, Grande Grèce—Sicile, გვ. 1549).

<sup>28</sup> ს. Grose, Catalogue of Greek Coins, v. I, ტაბ. 65—15, 16, 17; 66—2, 4, 5, 6; 67—3, 5; — Head, დასახ., ნაშრ., გვ. 121.

ზურგში ჩაუსვია და მის გასაგლეჯად მომზადებულია — ელიდას მონეტების ემბლემას წარმოადგენს (იხ. გვ. 59).

დაბლაგომის ინტალიოზე ამოჭრილი გამოხატულება, კომპოზიციის გააზრებითა<sup>29</sup> და თავისი შინაარსით, ყველაზე ახლო ანალოგიას ელიდას მონეტებს შორის პოულობს და ამდენად მას ოლიმპიელი ზევსის სიმბოლოდ, — „თამაშობებში გამარჯვების მომასწავებელ ნიშნად“ მივიჩნევთ.

ინტალიოსათვის შერჩეული თემა და კვეთის სტილი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მისი მჭრელი იმ ბერძენი ოსტატების წრეს ეკუთვნის, რომლებიც აგრეთვე დასავლურ-ბერძნულ სახელოსნოებთანაც იყვნენ დაკავშირებული.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მფლობელი თვით ირჩევდა ხოლმე საბეჭდავისათვის მფარველი ღვთაებისა თუ სხვა რამ გამოსახულებას, მაშინ დასაშვებად მიგვაჩნია — მისი მფლობელი ოლიმპიელი ზევსის თაყვანისცემლად ვაღიაროთ<sup>30</sup>. აგრეთვე: ბერძნების სათაყვანებელი უზენაესი ღვთაების სიმბოლო, რომელიც გამარჯვებას განასახიერებდა შესაძლებელია მის მფლობელს წარმატების ნიშნად საჩუქრის ან ჯილდოს სახით ჰქონდა მიღებული<sup>31</sup>. შინაარსის მიხედვით, ჩვენი აზრით, ბეჭედი მამაკაცისათვის განკუთვნილ საბეჭდავს უფრო შეეფერება.

ბეჭედი თავისი ფორმის მიხედვით იმეორებს კლასიკურ ხანაში, კერძოდ ძვ. წ. IV საუკ. ბერძნულ სამყაროში მოდამი შემოსულ ტიპს. ტიპს, რომელიც ძვ. წ. 400 წლიდან IV საუკუნის ბოლომდეა გავრცელებული<sup>32</sup>. ხსენებული ბეჭედები ჯ. ბორდმანს კლასიკური ბეჭედების IV ტიპში აქვს გამოყოფილი. ამას გარდა — დაბლაგომის ბეჭედი, ნაწილობრივ, უფრო ზუსტად: მისი ფარაკი რკალში — („მხრებში“) გადასვლის ნაწილითურთ, იმეორებს VIII ტიპის (ბორდმანისეული კლასიფიკაციით) ბეჭედებსაც. აღნიშნული ტიპის ხელის სამკაული ძვ. წ. IV საუკ. შუაწლებიდან ამავე საუკუნის ბოლო წლებამდე ხმარებაში<sup>33</sup>.

ინტალიოზე წარმოდგენილი სიუჟეტი (იგი როგორც ლითონის ასევე ქვის ინტალიოებზე ძვ. წ. IV საუკ. დათარიღებულ ნევთებზე გვხვდება)<sup>34</sup> და კვეთის სტილი<sup>35</sup> ქრონოლოგიურად კარგად ეთანხმება თვით ბეჭდის ფორმას. ყველა ნიშნის გათვალისწინების საფუძველზე საბეჭდავ-ბეჭედს ძვ. წ. IV საუკ. მეორე

<sup>29</sup> კომპოზიციის თვალსაზრისით შეიძლება სხვაზე მეტად, შესაძარებლად მოვიტანოთ ჯ. ბორდმანის მიერ გამოცემული ძვ. წ. IV საუკ. ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედი, რომლის ფარაკზე გამოხატულია არწივი კლანჭებში დელფინით — სინოპური მონეტების ემბლემა — იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 755).

<sup>30</sup> ზემოხსენებული მოსაზრება ვარაუდის სახით გვაქვს გამოთქმული, მისი მტკიცებისათვის საკმარისი მასალები არ ვაგვაჩნია.

<sup>31</sup> იხადება კითხვა: თუ ვინ უნდა ყოფილიყო ბეჭდის მფლობელი ბერძენი თუ კოლხი (უცხო მხარეში ნამყოფი).

<sup>32</sup> შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 214, 217.

<sup>33</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>34</sup> იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 414, 422.

<sup>35</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 300, ტაბ. 755.



ნახევრით ვათარილებთ<sup>36</sup> და კლასიკური ხანის ე. წ. ჩვეულებრივი (უხეშო) სტილის კარგად შესრულებული, ინტალიოთა წრეს ვაკუთვნებთ.

2. — 1971 წლის არქეოლოგიური კამპანია, შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხი № 12, საველე № 41. ბეჭედი-ინტალიო, რკალგახსნილი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან ვაკეთებული. ვიწრო და ბრტყელი, პირი პირზე გადასული რკალი ზევითკენ ოდნავ ფართოვდება და უშუალოდ გადადის ამოკვეთილგამოხატულებიან ნაწილში. აღნიშნული ნაწილი ბეჭედს შედარებით ფართო აქვს და თითქმის შეუქმნევლად ამოზნექილი; გახსნილი ბოლოები სწორადაა წაკვეთილი<sup>37</sup> (სურ. 11).

<sup>36</sup> შესაძლებელია ბეჭედი ძვ. წ. IV საუკ. უკანასკნელ მეოთხედში ამოჭრილი საბეჭდავია, მაგრამ ამჟამად, მასალების სიმცირის გამო, თავს ვიკავებთ მისი უფრო ვიწრო ჩარჩოებით დათარილებისაგან.  
<sup>37</sup> თოლორდავა სამარხს ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევრით ათარილებს.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი ს ა ხ ი თ : დასასრულ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ მეოთხე „შეიღმძისეულ“ ყორღანში (Семибратный курган) მოპოვებულ ხის თასისათვის განკუთვნილ გარსაკრავ ოქროს ბალთას (ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევარი), რომელზედაც ჩვენთვის საინტერესო მოტივია გამოხატული: არწივი კურდღელს ზურგზე ახის და კისერს უკორტნის (იხ. E. O. Прушевская. Торевтика. Античные города Северного Причерноморья, I, М.—Л., 1955, გვ. 338, გამ. 17). ავტორი ნიეთის სადაურობის განსაზღვრის რთულ საკითხად თვლის და დასძენს: „... На первый взгляд бляха производит впечатление греческого изделия. Однако эта вещь не греческая, а лишь отражающая греческое влияние на местного мастера (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 336). მეც უფრო არ იხილავს სიუჟეტის წარმომავლობას. მას, როგორც ჩანს, არც იკონოგრაფიული თვალსაზრისით შეუსწავლია ნიეთი. ამიტომ, ნაშრომში, შედარებითი თუ სტილისტური ანალიზის ცდა არ ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელთ მხოლოდ გარსაკრავი-ბალთის ე. პრუშევსკიას შრომაში მოცემული რეპროდუქცია გვაგაჩნია, თავს უფლებას ვაძლევთ მისი სადაურობის შესახებ ვარაუდი გამოეთქვათ. — ნიეთის დაპირისპირებამ ელიდისა და აქეის სინქრონულ მონეტებთან (ფრინველთა გამოხატულებიანი მონეტები იგულისხმება), დაგვანახა, რომ ისინი სტილისტურად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. რაც ძირითადად, არწივებისა თუ სხვა ფრინველთა შებუმბლვის (ანუ ფრთების, ნაკრტენის და ბოლოს) გადმოცემის ერთნაირი მანერით ხასიათდება (ფრთების ნაკრტენი შედგენილია ორ წყებად დალაგებული, მეტ-ნაკლებად შეკვეცილი, რელიეფურად გამოხატული პარალელური ხაზებისაგან. ამგვარადვე შესრულებული მომრგვალებული ბოლო მაროსებრადია გაშლილი და სხეულისაგან რელიეფური რკალით შევერადგამოყოფილი) (შდ. Regling, Griechischen Münzen der Sammlung Warren, ტაბ. XX, 902, 903; XXI, 910, 913, 914, etc.). იგივე ფორმის ფრთებს ეხვდებიან აგრეთვე კლასიკური ხანის, ძვ. წ. V საუკ. შუა წლებით დათარილებულ, მთის ბროლის ბერძნულ სკარაბეიოდზე (იხ. Richter, History of Greek Art in Miniature, 452; სახელდობრ, მამლის ფრთები გვაქვს მხედველობაში). ზემოხსენებულის საფუძველზე, ამასთანავე მოტივის გათვალისწინებით, ბალთას ბერძენი ოსტატის მიერ შესრულებულ ოქრომჭედლობის ნიმუშებს ვაკუთვნებ. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გადმოსახლებულ ბერძენის ნაკეთობაა გარსაკრავი, თუ საბერძნეთის (შესაძლოა პელოპონესის) რომელიმე სახელოსნოში დამზადებულ იმპორტს წარმოადგანს ამას, ვიმედოვნებთ, სპეციალისტები გაარკვევენ.

ამას გარდა: პ. ფოსინგს მოტანილი აქვს ცნობა, რომ აღნიშნული სიუჟეტის გამოხატვის მაგალითი ჭრატზედაც არის ცნობილი. იგი უთითებს ნიესენის 1911 წელში გამოცემულ კოლექციას Lamp Sammlung Niessen, pl. 82, №1907 (იხ. Fossing, დასახ. ნაშრ., გვ. 200—1441).

<sup>37</sup> ზო მ ბ ე ბ ი : ბეჭდის სიმაღლე — 19 მმ, დიამ. — 18 მმ, „უზარკის“ განი — 7 მმ.  
 დ ა ც უ ლ ო ბ ა : ლითონი პატინის დაუზიანებია, — მყიფე გამხდარა; ტრილა ნაწილს პირის კიდე ჩამოტეხილი აქვს.



პირზე, საკმაოდ სქემატურად, გამოხატულია ლომი, პროფილში, მარჯვენა ნივ, მიმავალი. იმის გამო, რომ ლითონი პატინით არის დაფარული გამოხატულება ბუნდოვანი გამხდარა, მაგრამ ზოგიერთი დეტალების გარკვევა მაინც შესაძლებელია. ლომი პირაშემულია, თხემზე „წამომჯდარი“ ყურები წინ წახრილი აქვს; ფაფარი რელიეფური წერტილების ერთი წყვილითაა აღნიშნული. კუდი ზევით უნდა ჰქონდეს აწეული. მტაცებელის ფეხები სახსრებისა და თათების გარეშეა გამოსახული. სხეულის შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია, იგი ფართო, ორი დაუნაწევრებელი მასისაგან არის შედგენილი—ამიტომ მოუქნელი და გახევებულია.



სურ. 11

ტექნიკა: მიუხედავად იმისა, რომ პატინის ფენამ ინტალიოც დაფარა, კვეთის ტექნიკის შესახებ გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალება მაინც არსებობს. არაღრმად და ბრტყელი კვეთით შესრულებული ინტალიოცი ფაქიზეს მოკლებული ნახელავია. კვეთის სტილს საერთო სუმარულობა ახასიათებს. მშრალი და უსიცოცხლო გამოხატულება; ამასთანავე, გულმოდგინდაა ამოჭრილი, კვეთას შერჩეული ხელი ეტყობა.

მკრეფს სამი საჭრისი მაინც აქვს ნახმარი: ფართოპირიანი, — სხეულის ფართო მასების ამოსაჭრელად, ბრინჯაოს ნემსი, და წამახული საჭრისი ფაფარისათვის.

ჩვენს ინტალიოზე, როგორც ყველა რიგით ნახელავში განსაკუთრებულს ვერაფერს ვამჩნევთ, მაგრამ ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი აღსანიშნავია: ლომი ოსტატს თხემზე წამოზრდილი, უჩვეულოდ აცქვიტილი ყურებით შეუქმია<sup>38</sup>. გამოსახვის ხსენებული მანერა იმ ზომამდე იშვიათია, რომ არა ფაფარი და ტორსის გარემოხაზულობა — მტაცებელს რომელიმე სხვა მხეცად (მაგ. ტურად, მგლად) მივიჩნევდით.

ანალოგიური ფორმის ბეჭდები, რომლებსაც ჩვენ რკალგახსნილ რგოლებს ვუწოდებთ რადგან ისინი ერთიანი ფირფიტისგან არიან ვაკეთებული, საქართველოში მხოლოდ ძველ კოლხეთში გვხვდება. სახელდობრ, ქვედა მესხეთის ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდები<sup>39</sup> და ზემოთ აღწერილი ბეჭედი ერთი ტიპისანი არიან.

კვეთის მანერა და გამოხატულების სტილიც ქვედა მესხეთის ინტალიო-ბეჭდებთან ამქლავნებს მსგავსებას. კერძოდ: მაიაკაცისა და დაბალ სვეტზე მკდომარე მუხლმოყრილი ადამიანის გამოსახულებიან ინტალიოებთან<sup>40</sup>. ბეჭდის ფორმისა და კვეთის მანერის მიხედვით ნივთი ძვ. წ. III საუკუნეს მიეკუთვნება<sup>41</sup>. ლომების მრავალრიცხოვან გამოხატულებათა შორის, სტილისტუ-

<sup>38</sup> ჩვენთვის მსგავსი მანერით შესრულებული ყურების მხოლოდ ერთი მაგალითია ცნობილი როდოსში აღმოჩენილი კლასიკური ხანის ქალედიონის სკარაბეიდიის მიხედვით (იხ. G. Richter, History of Greek Art in Miniature, 378, ძვ. წ. V საუკ. მეორე ნახევარი).

<sup>39</sup> ბეჭდები მოპოვებულია № 1 ქვეარსამარხში 1961 წელს. სამარხში სამი ბეჭედი აღმოჩნდა (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი I, 33-47, 97-99).

<sup>40</sup> შდრ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, ტაბ. V, 63, 64.

<sup>41</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91-99.



რი თვალსაზრისით, ანტიკურ მასალებში, ჩვენს გამოსახლებას პარალელებში არ ეძებნება. ბეჭედი ამ მხრივ მკიდროდ უკავშირდება კოლხეთში აღმოჩენილ, ლითონის ადგილობრივ ინტალიო-ბეჭედებს, რის საფუძველზეც ადგილობრივი მჭრელის ნახელავად ვსაზღვრავთ.

ჩვენი ვარაუდით, დაბლაგომის ინტალიოს მჭრელის ხელობაზე ერთგვარი გავლენა არქაული ხანის დასავლურ-ბერძნულ (დასაშვებია — სიცილიის პროვინციულსაც) სახელოსნოებიდან გამოსულ ნიმუშებს მოუხდენია<sup>42</sup>. რადგან ამ სახელოსნოებში ნაკვეთი ზოგიერთი ინტალიოს შესრულების ტექნიკა (მხედველობაში გვაქვს ფაფარის გადმოცემის მანერა) მკრთალად, მაგრამ მაინც ასახულია მის ნახატში.

მხატვრული ღირებულებით ბეჭედი არ გამოირჩევა, იგი არც შინაარსობრივად იპყრობს ყურადღებას, და ალბათ „რიგითი მომხმარებლისათვის“ განკუთვნილ საბეჭდავს წარმოადგენდა. ამისადა მიუხედავად ინტალიო-ბეჭედს, როგორც ადგილობრივ ნახელავს, ძველი საქართველოს გლიპტიკის განვითარების ისტორიისათვის, კერძოდ — კოლხეთში, ადრეანტიკურ ხანაში, სპეციალური სახელოსნოს არსებობის საკითხების კვლევისათვის ვარკვეული ადგილი ენიჭება.

ამრიგად, დაბლაგომის სამაროვნებში გამოვლენილ მცირერიცხოვან საბეჭდავ-ბეჭედებს შორის (სულ ხუთი ნივთია ჩვენთვის ცნობილი) უმრავლესობა, სახელდობრ ქვევრსამარხებში მოპოვებული, ადგილობრივი მჭრელების მიერაა ნაკვეთი. 1936 წელში აღმოჩენილი მასალები<sup>43</sup> უფრო ადრეულიცაა (ძვ. წ. IV საუკ. თარიღდება) და ამასთანავე როგორც ფორმით, ასევე სტილით განსხვავდება ჩვენ მიერ განხილული ბეჭდისაგან (იხ. გვ. 55, 61)<sup>44</sup>. რაც შეეხება საბერძნეთიდან შემოტანილ იმპორტს — ამჟამად მხოლოდ ოქროს-ფარაჯიანი ბეჭდითაა დამოწმებული.

42 შდრ. დასავლეთში ნაკეთებ ლომის ფაფარს (მთის ბროლის სკარაბეოიდი) — Boardman, *Archaic Greek Gems*, 373, გვ. 125; Becatti, *Oreficerie Antiche*, LXXV, 303 (იხ. მკლის ტყავი. ოქროს საბეჭდავი - ბეჭედი ანელო შუქსაროს ნეკროპოლიდან) ძვ. წ. VII საუკ. პროვინციული სიცილიური ნახელავია (იხ. Richter, *Greek Art in Miniature*, გვ. 71, ტაბ. 202).

43 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კობახუი I, გვ. 86—87.

44 ი ქ ვ ე.

ვ. თოლორდავა № 12 სამარხს ძვ. წ. III. საუკუნის მიწურულით ათარიღებს კრამიტით გადახურული სამარხის კომპლექსის ნაწილს იგი. ძვ. წ. IV საუკუნის გვიანდელ ხანას აქუთვნებს (იხ. მისი: არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—71 წწ. და მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II).



## 5. დ ა ფ ნ ა რ ი

დაფნარში მოპოვებული კრილაფარაკიანი ბეჭდები, ყველა, ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული<sup>1</sup>. ამათგან ერთი ნაწილი ქვევრსამარხებიდან (№ 3 და № 11) წარმოდგება (1967—1968 წწ. არქეოლოგიური კამპანია), მეორე — შემთხვევით აღმოჩენებს წარმოადგენს<sup>2</sup>.

ამ მცირერიცხოვან ჯგუფში სამი განსხვავებული ტიპის ბეჭედი წარმოდგენილი. კერძოდ: რკალშეკრული ფარაკიანი ბეჭედი, რკალგახსნილი ფარაკიანი ბეჭედი და მთლიანი რგოლი. ხოლო მათ შორის სახესხვაობების გამოყოფა შესაძლებელი — ფარაკის მოყვანილობისა, რკალის ტიპისა; ფარაკისა და რკალის ერთიმეორესთან „მიმართებით“.

რკალგახსნილი ბეჭდები ჩვენში აღმოჩენილი მასალების იმ ჯგუფს უკავშირდება, რომლებიც ადგილობრივი ფორმის ბეჭდებზე გვაქვს განსაზღვრული. სახელდობრ — ისინი დაბლაგომის ქვევრსამარხებში გამოვლენილ ძვ. წ. IV საუკ. დათარიღებულ ინტალიო-ბეჭდებსა და ერთგვარად ქვიანას სამაროვანში (ცხინვალის ნაცარგორა) მოპოვებულ საბეჭდავ-ბეჭდებს ენათესავება<sup>3</sup>.

დაფნარის ინტალიოთა ძირითადი შემადგენლობა, სტილისტურად დიდ მსგავსებას იჩენს (უფრო ზუსტად — სტილისტური ერთგვარობით ხასიათდება) დაბლაგომის საბეჭდავ-ბეჭდების გამოხატულებებთან<sup>4</sup>. აგრეთვე — კვეთის მანერა და შესრულების ტექნიკა საესებით ერთნაირი ჩანს (ივულის-ხმება ადგილობრივი მასალები).

კვეთა გამოირჩევა სქემატიზმითა და ხაზოვანი სტილით. ნახატი უმეტესად გრაფიკული ხასიათისაა. გამოხატულება, როგორც წესი, ბრტყელადაა ნაკვეთი. ყველა შემთხვევაში ინტალიოს (ფარაკის) პირი მთლიანადაა შევსებული, პირის კიდეებამდე. ბეჭდები, მეტწილად, ლითონის თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული. ფარაკები ბეჭდებს სხვადასხვა მოყვანილობისა აქვთ: მრგვალი, ოვალური და მართკუთხედის ფორმისა. გვხვდება, აგრეთვე, „ფიგურული“ — შეკრიბვერდებიანი ფარაკიც<sup>5</sup>. ხსენებული ბეჭდები ზოგადად ძვ. წ. IV—III სს. მიეკუთვნება.

1 კრილაფარაკიანი ბეჭედი დაფნარში, ჯერჯერობით, 1967—1968 წწ. 7 ცალია მოპოვებული.

2 მადლობას მოვახსენებ ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელს ნ. კოდურაძეს, რომელმაც მასალა გადმოგვცა დასამუშავებლად.

3 მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 46, 86—87, სურ. 42; გვ. 43, სურ. 32 a, b.

4 შდრ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, ტაბ. IV, გამ. 43, 44, 45. გვ. 86—87.

5 ე. წ. ფიგურულფარაკიანი ბეჭედი, ძველი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბეჭდებიდან, მხოლოდ დაფნარიდანაა ცნობილი.

ინტალიო-ბეჭედებს შორის, დაფნარის მასალებში, მკვეთრად მხოლოდ ერთი ბეჭედი გამოირჩევა, როგორც სტილით ასევე ფორმით. — ეს არის ბრინჯაოს წერილრკალიანი და ოვალურფარაკიანი ტიპური ანტიკური ფორმის, ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული, ბეჭედი (აღწერილობა იხ. გვ. 71) ანტიკური წარმოშობის გლიპტიკურ ძეგლებზე გავრცელებული სიუჟეტირ. სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით ინტალიო-ბეჭედი, უდავოდ, იმპორტულ ნივთად უნდა იყოს მიჩნეული (დაწერილებით ანალიზი იხ. გვ. 71—73). გადავდივართ ბეჭედების ანალიზზე:

1. 1968 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 11, საველე № 68/9. ბეჭედი-ინტალიო, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან გაკეთებული; ფრაგმენტირებულია. მრგვალფარაკიან ბეჭედს ვიწრო და ბრტყელი რკალი ჰქონია. ამჟამად რკალისაგან უმნიშვნელო ნატეხია დარჩენილი, მაგრამ ბეჭდის საერთო მოხაზულობის მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იგი პირხსნილ რკალიანი ბეჭედების ჯგუფს მიეკუთვნება<sup>6</sup>.

ბრტყელ პირზე, არაღრმად და ხაზოვანი კვეთით გამოხატულია ხუთქიმიანი მნათობისებრი სახე. იგი ხუთი ტოლფერდა სამკუთხედისაგანაა შედგენილი, ცენტრსა და ფერდებს შორის „წიწვოვანი“ ორნამენტით შემკული. ამას გარდა — ფერდებს შორის მოთავსებული არეების ნაწილი ოდნავ შესამჩნევად წერტილების წყებით არის შევსებული, რომელიც ერთიანად „ბადურა ორნამენტის“ შთაბეჭდილებას ახდენს. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს.

წიწვოვანი ორნამენტი ყველაზე მეტად და მკაფიოდ „მნათობის“ შუაგულშია გამოყენებული. მცენარეული ორნამენტის დეკორის სახით გამოყენება საქართველოში აღმოჩენილ ჭრილაფარაკიან ბეჭედებში იშვიათი მოვლენაა. უფრო სწორად — ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

ტექნიკა: გამოხატულება ზედმიწევნით ხაზოვანი კვეთითაა შესრულებული, ძალიან ზედაპირულად და არაღრმად. იმდენად, რომ ერთი შეხედვით „ამოკაწრული გამოხატულების“ შთაბეჭდილებას ახდენს. გამოხატულების ამოსაჭრელად გამოყენებულია, როგორც ჩანს, ლითონის წმინდაპირიანი ნემსი.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულება წმინდა ხაზებისგან არის შედგენილი იგი არ გამოირჩევა სიფაქიზით, — ტლანქია. ნახელავი შესრულების პრიმიტიული დონით ხასიათდება.

ტოლფერდა სამკუთხედებისაგან შედგენილი, ვარსკვლავისებრი, გეომეტრიული სახე, ერთგვარად განსხვავებული ტიპისა, დაბლაგომის №21 ქვევრსამარხში (1936 წლის არქეოლოგიური კამპანია) მოპოვებულ ბეჭედზეა წარმო-

<sup>6</sup> ანალოგიური მასალა იხ. ბეჭდის აღწერილობასთან.

<sup>7</sup> ზომეტი: ბეჭდის სიმაღლე — (ამჟამად ვერ დავადგენთ), ფარაკის დიამეტრი — 17 მმ, რკალის განი — 6 მმ.

დაკულობა: ბეჭდისაგან დარჩენილია ინტალიო-ფარაკი რკალის მცირე ნატეხითურთ. ლითონი პატინითაა დაფარული, დაზიანებულია.



დგენილი<sup>8</sup>. დაფნარის გამოსახულებასა და დაბლაგომის „ვარსკვლავს“<sup>9</sup> შედარებით განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დაბლაგომის მნათობი ექვსკიმიანია, მჭიდროდ შეკრული გარეგანი კონტურებით. ქიმები ერთიმეორესთან სწორი ხაზებითაა შეერთებული, ხოლო თვით ხაზები კონად იყრის თავს მნათობის ცენტრში — შუაგულში (ტაბ. VII, a).

მნათობი წერტილოვანი ორნამენტის მჭიდრო არშით არის გარშემოვლებული. წერტილოვანი სალტე ფარაკის კიდემდე აღწევს. ტ ე ქ ი ნ ი კ ა ც მცირედ განსხვავებულია, სახელობრ — კვეთის მანერა: უფრო ღრმად ნაკვეთი (თუმცა დაბლაგომისეული მნათობიც სქემატური სახეა) და მკაფიოდ გამოხატულია<sup>9</sup>.

საერთო ნიშნები ამ ორი ნივთისა, რაც მეტად საგულისხმოა დაფნარის ინტალიო-ბეჭდის წარმომავლობის დასადგენად, ისაა, რომ ორივე ხაზოვანი კვეთის სტილითაა შესრულებული. მნათობთა გარეგნული იერი ერთნაირია, განსხვავებული უცხო, ანალოგიური გამოხატულებებისაგან (შდრ. H. Walters, Catalogue of the Engraved Gems., ტაბ. VI, 296).

2. 1968 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 11, საველე № 68/7. ბეჭედი-ინტალიო ფურცლოვანი ბრინჯაოსაგანაა გაკეთებული. ბეჭედი ნაკლულია, ამდენად ფორმის ზუსტი აღდგენა ძნელია. „ფიგურული“ ფარაკი თითის გასწვრივ არის წაგრძელებული (რკალთან შეფარდებით გარდიგარდმოა მოთავსებული)<sup>10</sup>. ვიწრო და ბრტყელი რკალი უშუალოდ ფარაკში გადადის. ადვილი შესაძლებელია, რომ რკალი პირხსნილი იყო (ბეჭდის ფრაგმენტის საერთო იერი და ლითონის სისქე გვაფარაუდებინებს მისი ხსენებული ტიპისადმი მიკუთვნებას)<sup>11</sup>.

ბრტყელ პირზე გამოხატულია ფრინველი, პროფილში მარცხნივ. თავი ძალიან ბუნდოვნად ჩანს, საკმაოდ გრძელი კისერი უნდა ჰქონდეს. დიდი ვაშლი ბოლო რელიეფური ზოლებითაა გადმოცემული; გრძელი, სწორი ხაზებით შესრულებულ ფეხებს სქელი ბრტყალები აბოლოებს. შედარებით დიდი ზომის ფრთა შევული ფართო ხაზისა და რამდენიმე ჰორიზონტალურისაგან არის

8 მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 86—87, ტაბ. IV (ბეჭედი ძვ. წ. IV საუკუნით გვაქვს დათარიღებული).

დაბლაგომის ბეჭედი გამოცემული აქვს ბ. კუფტინს, იხ. — Материалы к археологии Колхиды II, Тбилиси, 1930, გვ. 44—45 (იგი ქვევრსამარხების ინვენტარს ზოგადად ძვ. წ. VI-IV სს. ათარიღებს).

9 დაფნარის № 11 ქვის სამარხშივეა მოპოვებული ფიგურულფარაკიანი ინტალიო-ბეჭედი № 68 და მართკუთხედის ფორმის ფარაკიანი ბეჭედი № 68/8.

5. კილურაძე სამარხს ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებს.

10 მსგავსი ფარაკი, ჭრჭერობით, ზემოხსენებული ბეჭდით არის ქართულ მასალებს შორის წარმოდგენილი.

სამთავროში ჰრილა ქვებით შემკული ბეჭდებიდან მხოლოდ ერთი ანალოგიური შემთხვევაა დადასტურებული: — № 600 ქვაყუთში (№ უბანი, 1947 წლის მონაპოვარი) აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭდის რკალზე, სარდიონის გემით შემკული ბუდე გარდიგარდმოა დარჩილული (იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმა I, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გეგმების კატალოგი, თბილისი, 1954, ტაბ. 3, ვამ. 587).

11 ზ ო მ ე ბ ი: ფარაკის სიგრძე — 16 მმ, რკალის ვანი — 7 მმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ლითონი ბაზინის სქელი ფენით არის დაფარული. ბეჭედი ნაკლულია.

შედგენილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დალიან დაბალ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება საჭრისით არის ამოჭრილი, როგორც ჩანს — ბრინჯაოს ნემსით. არაღრმად—ბრტყელი კვეთით შესრულებული ნახელავი სქემატურია. ნახელავი ერთიანად პრიმიტიული შესრულების დონით ხასიათდება, ამასთანავე გულმოდგინე ნამუშევარია. გამოხატულება, მთლიანობაში, სუბარულია — ერთიანი, დაუნაწევრებელი სიბრტყითაა გადმოცემული.

სტილისტურად და კვეთის თავისებურების მიხედვით დაფნარის ფრინველი პირდაპირ მსგავსებას პოულობს დაბლაგომის ფარაკიან ბეჭედზე (ქვევრსამარხი № 1 და ქვევრსამარხი № 24; 1936 წლის არქეოლოგიური კამპანია) გამოხატულ ფრინველებთან<sup>12</sup>. — „შეეულად“ გადმოცემულია ფრთის მოყვანილობა, ნაკრტენის მიმართულება ბოლოსა და ფრთაზე; ფეხების სამ-სამი ბრტყალით დაბოლოება იმგვარად, რომ ხის საყრდენს მეტად ჰგავს ვიდრე სხეულის ნაწილს (ამ მხრივ გამოხატულება № 24 ქვევრსამარხში მოპოვებულ ბეჭედს უფრო ემსგავსება)<sup>13</sup>.

ისევე, როგორც დაბლაგომის ფარაკიან ბეჭედთა გამოხატულებებს, დაფნარის ხსენებული ბეჭდის ინტალიო ხაზოვან-სიბრტყობრივი სტილით გამოირჩევა<sup>14</sup>. ჩვენი ვარაუდით დაფნარის ინტალიო-ბეჭედი და დაბლაგომის ორი ზემოხსენებული ბეჭედი ერთი სახელოსნოდან გამოსული ნახელავია. ამის დასაბუთებლად ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მეცადინეობას ამ მიმართულებით, მაგრამ ხსენებული სამი ნივთის ერთიანი სტილი იმდენად თვალნათლად ჩანს, რომ ჩვენი, ვარაუდით გამოთქმული, მოსაზრება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

3. 1968 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 11, საველე № 68/8. ბეჭედი-ინტალიო, ფრაგმენტირებული, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგანაა გაკეთებული. ბრტყელი რკალი მართკუთხედის მოყვანილობის ფარაკში გადადის. რკალი, უშუალოდ ფარაკთან, გადასვლის ადგილზე, ოდნავ შესამჩნევად ფართოვდება (სურ. 12).



სურ. 12

ბეჭედი ნაკლულია, ასევე ფარაკიც; ლითონი პატინის სქელი ფენით არის დაფარული, ამიტომ — ფორმის ზუსტი აღდგენა და გამოხატულების გარკვევა ძნელია. ჩანს ბეჭედი დიდი ზომისა ყოფილა, ფრაგმენტების მოყვანილობის მიხედვით იგი პირხსნილ რკალებიანი ბეჭედების ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს.

გამოხატულება, როგორც აღვნიშნეთ, არ იკითხება პატინის სქელი ფენის გამო<sup>15</sup>. მხოლოდ ერთი დეტალის გარკვევა ხდება შესაძლებელი: გამოხა-

<sup>12</sup> შდრ. მარგ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, ტაბ. IV, 43, 45.

<sup>13</sup> შდრ. მარგ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV, 45.

<sup>14</sup> დაბლაგომში აღმოჩენილი ჭრილაფარაკიანი ბეჭედები, სტილისტური თვალსაზრისით, ძველ საქართველოში მოპოვებული მასალებისაგან განსხვავდება რიგი დეტალებით, რაც მათი განცალკევებით გამოყოფის საშუალებას გვაძლევს.

<sup>15</sup> დაცულობა: ბეჭედი იმდენად შეჭმულია და დაზიანებული კოროზიისაგან, რომ მისი კიმიურად გაწმენდა სახიფათოა.

ზომები: ფარაკის სიგრძე — 16 მმ, დაახლ. დიამ. — 21 მმ.

ტულება ჩასმული იყო ჩარჩოში. ჩარჩო ქდეებისგან შედგენილ რელიეფურ ხაზს წარმოადგენს, რომელიც პირის კიდეზეა ამოჭრილი.

ძალიან პირობითად, იმ ბუნდოვანი კონტურის მიხედვით, რომელიც კოროზირებულ ფარაკზეა შემორჩენილი, ჩვენ გამოხატულებაში ვხედავთ მკდომარე ადამიანის ფიგურას<sup>16</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ფარაკიან ბეჭედებს, როგორც წესი, ოვალური და მრგვალი მოყვანილობის ინტალიოები აქვთ ხოლმე. მართკუთხედის ფორმის ფარაკები გამოჩაყლისს შეადგენს<sup>17</sup>.

ტ ე ქ ნ ი კ ა ზ ე ვერაფერს ვიტყვით ლითონის ცუდი მდგომარეობის გამო.

4. 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 3. ბეჭედი-ინტალიო, ბრინჯაოსგან გაკეთებული. ოვალური მოყვანილობის ბრტყელი და დიდი ფარაკი, ოდნავ გვერდებისკენ განზიდულ რკალს უერთდება<sup>18</sup>. რკალი საკმაოდ ფართოა და ბრტყელი; უშუალოდ ფარაკთან მცირედ გაფართოებული<sup>19</sup> (სურ. 13; ტაბ. X, 35).



სურ. 13

ბეჭდის ბრტყელ ფარაკზე ზემიწევნით სადა სახეა ამოჭრილი. ინტალიოს მთელი პირი გაბნეული წერტილების დიდი რაოდენობითაა დაფარული. წერტილები ანაბეჭდზე შეუმჩნეველ რელიეფს იძლევა, პატარა ქინძისთვის ოდენას, ხოლო თვით ფარაკზე—ოდნავ გულამოღებული წერტილებს წარმოადგენს (სურ. 13).

ინტალიოს ხასიათის მიხედვით აღწერილ ბეჭედს ჩვენ ვერ მივიჩნევთ საბეჭდად. რაც შეეხება პუნქტირით დატანილ „სახეს“, შესაძლებლად მიგვაჩნია იგი, ვარაუდით, წარწერის ცდად განვსაზღვროთ (პუნქტირით შესრულებული წარწერა იხ. Richter, A History of Greek Art in Miniature, 486).

ტ ე ქ ნ ი კ ა: წერტილები ნემსისებრი საჭრისითაა ამოჭრილი, საკმაოდ ზედაპირულად.

ბეჭედს ტიპური ანტიკური ფორმა აქვს. სახელდობრ, ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძნულ ბეჭედებს შორის ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს.

5. 1967 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 3, ინტალიო-ბე-

16 ამავე სამარხიდან არის მოპოვებული ბეჭედები: 68/9 და 68/7.

17 აღმოსავლეთ საქართველოში იხ. თეთრწყაროში მოპოვებული ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი (ძვ. წ. VI საუკ. დასაწყისი). შდრ. მარგ. ლ ო რ თ ქ ი ვ ა ნ ი ძ ე, კორპუსი I, გვ. 41, სურ. 30; აგრეთვე — უფრო მკვეთრად გამოხატული ფარაკით, იხ. უფლისციხეში „ბამბები“ (1960 წელს გათხრილი) № 4 ორმოსამარხის ბეჭედი (ძვ. წ. V—IV საუკ.). შდრ. მ. ლ ო რ თ ქ ი ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 102, რიგითი № 70 (სავ. № 54).

18 ზ ო მ ე ბ ი: ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ., დიამ. — 21 მმ., ფარაკის სიგრძე — 22 მმ., ფარაკის განი — 16 მმ., რკალის განი — 7 მმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ლითონი პატინის სქელი ფენით არის დაფარული, მყიფეა, ფარაკისა და რკალის ნაპირები შემოკბილულია.

19 ამავე სამარხიდან არის № 5 ბეჭედი. ნ. კილურაძე სამარხს ძვ. წ. IV—III სს. ათარილებს.



ქედი, ბრინჯაოსაგან გაკეთებული<sup>20</sup>. ვიწრო, პირხსნილი რკალი უშუალოდ ქვეყნული რაკთან მკვეთრად ფართოვდება და ოვალურ ინტალიოში გადადის. ინტალიოში ფარაკი თხელი ლითონის ფირფიტისაა, ბრტყელი. ბეჭედი პატარა ზომისაა<sup>21</sup> (სურ. 14, ტაბ. X, 36).

პირზე, პროფილში მარცხნივ, გამოხატულია ფრთოსანი „არსება“, რომელსაც მისი თავისა, ნისკარტისა და სხეულის აღნაგობის მიხედვით ფრინველად ვერ მივიჩნევთ. — გამოხატულება სტილიზებული ჩანს. ჩვენი აზრით, ფარაკზე გრიფონი უნდა იყოს გამოხატული, შედარებით პატარა ფრთითა და ძლიერი ნისკარტით. იგი საკმაოდ მაღალ ფეხებზე დგას. სახსრებში მოხრილ ფეხებს პორიზონტალური ხაზებით გადმოცემული ბრჭყალები აბოლოებს. გრიფონს დაბალი კისერი აქვს; ფრთის ძირი უშუალოდ კისერთან იწყება. მომრგვალებული გულმკერდი და კისერი ნაკრტენითაა დაფარული, რასაც პატარ-პატარა წერტილ-ქდეები გამოხატავს. გრიფონის წინ მცენარე (თუ ქვეწარმავალია?), ფეხქვეშ, მოშორებით ნახევარი მთვარე ჩანს, რქებით ქვევითკენ მიქცეული; ზურგზე პაწია ფრინველი უნდა აჯდეს (ტაბ. VII, 16).



სურ. 14

გამოხატულება მთლიანად ავსებს ფარაკის პირს, ანაბეჭდზე ბრტყელ და დაბალ რელიეფს იძლევა<sup>22</sup>.

ტექნიკა გამოხატულება არაღრმა და უაღრესად ბრტყელი კვეთით არის შესრულებული. ნახელავი, ერთიანად, სქემატურობითა და ფორმითა სუპარული გადმოცემით ხასიათდება. მთელი სხეული ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული; გულმკერდია მხოლოდ ქვეწერტილებით გამოყოფილი, რელიეფის ყოველგვარი გრადაციის გარეშე. მჭრელს ბრინჯაოს ნემსი აქვს გამოყენებული, შესაძლებელია — boutonelle-სებრი საჭრისიც.

სტილისტურად ინტალიო მსგავსებას იჩენს დაბლაგომის მასალებთან (შდრ. № 1 და № 24 ქვევრსამარხებში აღმოჩენილ ფარაკიან ბეჭდებს. იხ. ჩვენი, კორპუსი I, ბეჭდები: 43, 45). კომპოზიციის თვალსაზრისითაც ზოგი რამ საერთო აქვს ბეჭდებს: დაფნარის გრიფონი და დაბლაგომის ფრინველი ერთნაირად არიან მოთავსებული მცენარის წინ (თითქმის თანაბარი მანძილითაც დაშორებული); ორივენი თავაწეულნი არიან. ორივეგან ნახევარი მთვარეა სივრცეში გამოსახული. — იმ განსხვავებით, რომ დაფნარის ინტალიოზე, როგორც ნათქვამი გვქონდა, ნახევარი მთვარე ფეხების გასწვრივ ჩანს. დაბლაგომისაზე — ფრინველის ზურგს უკან არის მოთავსებული.

იმის გამო, რომ დაბლაგომის საბეჭდავი-ბეჭდების დამუშავების პროცეს-

20 ამავე სამარხიდან არის ბეჭედი № 4.  
 22 ზომა: ბეჭდის სიმაღლე—15 მმ, დიამ. — 14 მმ, ფარაკის სიგრძე — 16 მმ, რკალის განი — 4 მმ.  
 დაცულია: ლითონი აეთვისებინა პატინით არის დაფარული, რის გამოც გამოხატულება დაბინდულია.  
 22 ამავე წესითაა შევსებული დაბლაგომის ბეჭდების ფარაკები გამოხატულებებით.

ში ჩვენ სათანადო მასალებს ვერ მივაკვლიეთ, ფარაქებზე ამოჭრილი გამოსახულებების შინაარსის ანალიზისაგან თავი შევიკავეთ. და მხოლოდ მათი დაწვრილებითი აღწერილობით დავკმაყოფილდით. (მხედველობაში გვაქვს სახელდობო ფრინველის გამოხატულებებიანი ინტალიო-ბეჭდები, რომლებიც ამჟამად დაფნარის ზემოთ აღწერილი ბეჭდის განსაზღვრასთან დაკავშირებით გვინტერესებს, იხ. ჩვენი, კორპუსი I, №№ 43, 45).

ამრიგად — ფრინველების წინ აღმართული ქვეწარმავლისა (?) და მცენარისათვის ახსნა არ მიგვიცია<sup>23</sup>.

ადვილი დასაშვებია, რომ ხსენებული გამოხატულებების ახსნისათვის ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური მითის მოშველიება დავგვმარება. კერძოდ მითი ორი ვოლიათის — დღისა და ღამის — შესახებ<sup>24</sup>. ჩვენ ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მეცადინეობას, მაგრამ ზოგიერთი ცალკეული დეტალის ახსნას მაინც შევეცდებით.

დაფნარის ინტალიო-ფარაქზე გამოხატული გრიფონის თავი მოყვანილობითა და ნისკარტის ფორმით ძალიან ახლო მსგავსებას პოულობს ე. წ. „ცის მბრძანებლის“ გამოხატულებასთან (შდრ. Le Comte du Mensil du Buisson, Les deux Géants du jour et de la nuit, გვ. 12, გამ. 7, 1)<sup>25</sup>.

გრიფონის წინ აღმართული მცენარე თუ ქვეწარმავალი, შესაძლებელია „გველი ცისათა“ — (ციური გველი) იყოს (შდრ. du Buisson, დასახ. ნაშრ., გვ. 27, გამ. 19).

6. 1967 წელი, შემთხვევითი მონაპოვარი. ბეჭედი-ინტალიო, ბრინჯაოსი. ბეჭედი წარმოადგენს ერთიან რგოლს, ფართო მრგვალი რკალით. ზედა ნაწილში (ფარაქისა ან სათვალზედ ადვილას) ბეჭედი გაფართოებულია, იგი სქელი ფირფიტისგან არის გაკეთებული. ბეჭედი ნაკლულია — ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ მისი ფორმის აღდგენას. ინტალიო რკალშეკრული ბეჭდის შემადგენელი (ზედა) ნაწილზეა ამოჭრილი, პირამობურცულია. ბეჭედი ქვევითკენ უნდა ყოფილიყო ოდნავ ჩამოგრძელებული (ტაბ. X, 37).

ინტალიოს პირი პატინის სქელი ფენით არის დაფარული, ამიტომ გამოხატულება ძნელი გასარჩევია. ადამიანის ფიგურა უნდა იყოს ამოჭრილი, რომელსაც მარცხენა ხელი წინ აქვს გაწვდილი. — ისეთ მდგომარეობაში თითქმის მშვილდი დაუქიმავს<sup>26</sup>.

ტ ე ქ ნ ი კ ა : ვერაფერს ვამბობთ კვეთაზე, რადგან პატინა არ იძლევა ამის საშუალებას.

23 იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 86, 87.

24 Le Comte R. du Mensil du Buisson, Le myth Oriental des deux Géants du jour et de la nuit, Archaeologia Iranica, Miscellanea in Honorem R. Ghirshman, Leiden, 1970, Iranica Antiqua, VIII, გვ. 1—33.

25 იხ. E. Porada, Iran Ancien, გვ. 30, გამ. 13.

26 ზომეზი: ბეჭდის დიამ. — 16 მმ, რკალის ვანი — 5 მმ, ინტალიოს სიგრძე — 11 მმ.

და ე უ ლ ო ბ ა : ბეჭედი ნაკლულია. ლითონი პატინის სქელი ფენითაა დაფარული. აქვე გვიანდა შევნიშნეთ, რომ დაფნარის საბეჭდავი-ბეჭდების ქიმიურად გაწმენდა სახიფათოა, რადგან ლითონი ანაბეჭდის ალუმის დროსაც კი იშლება და გამოხატულებები ზიანდება. შესაძლებელია მხოლოდ მათი გამაგრება.

7. 1967 წლის შემთხვევითი მონაბოვარი. საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოსაგან გაკეთებული<sup>27</sup>. წვრილი, გარედან ბრტყელი და შიდაშრიდან მკრთალწახნაგისანი რკალი უშუალოდ ფარაქის ძირთან შეუმჩნეველად ფართოვდება. რკალი თხელი ფირფიტის, ოვალური მოყვანილობის ფარაქში გადადის. ცალ მხარეს, ბოლოში, ფარაქი თითქოს შევიწროებული — წაწვეტებულია (სურ. 15; ტაბ. X, 38).

პირზე გამოხატულია გრძელი კვართითა და წა-  
მოსასამით შემოსილი ფსიქეა, პროფილში მარჯვნივ,  
რომელიც სწრაფად მიემართება წინ ანთებული ჭრ-  
აქით ხელში. დიდი ზომის, ჯამისებური ჭრაქი ფსიქეას  
მარცხენა ხელში უჭირავს, მარჯვენა ხელი წინ  
აქვს გაწვდილი. ქალღმერთს დიდი ნაბიჯი გადაუდ-  
გამს — მარჯვენა ტერფით მიწას ებჯინება, მარჯვენათი  
მხოლოდ თითის წვერებით ეხება.



სურ. 15

თავი საქმაოდ სუმაართლად არის შესრულებული, ამდენად ცალკეული დე-  
ტალების გარკვევა ძნელია. მკაფიოდაა გადმოცემული თმის გარცხნილობა.  
ზევით ავარცხნილი თმა, ფსიქეას, თხემზე კონად აქვს შეკრული. კონად შეკ-  
რული თმის ბოლოები გადაშლილია. მომრგვალებული პატარა ფრთები ღვთა-  
ებას გაუშლია; სწრაფი მოძრაობისაგან მისი კვართის კალთაც გაშლილია, ხო-  
ლო შედარებით მოკლე წამოსასხამის ბოლო — ჰაერში ფრიალებს. სამოსას  
გამპვირვალე ქსოვილი სქემატურადაა გადმოცემული; ნაკეციები და ნაოჭები  
სწორხაზოვანია (ტაბ. III, 17).

მიუხედავად იმისა, რომ ნახელავი არცთუ მაინცდამაინც ფაქიზი შესრუ-  
ლებით გამოირჩევა ფსიქეას ფიგურა ზედმიწევნით პრობორციულია.

ნიადაგის ზოლი სწორი და მკაფიო ხაზითაა აღნიშნული. გამოხატულე-  
ბა მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმა და სქემატურია, ნაწილობრივ სუ-  
მარული შესრულებითაც ხასიათდება. კერძოდ — ფსიქეას თავი, ხელის მტევ-  
ნები და ფეხის ტერფები. კვეთა ხაზოვანი და მკაფიოა, გულმოდგინე ნახელა-  
ვია, რომელიც მხატვრული სიფაქიზით არ გამოირჩევა. გამოხატულების ამო-  
საჭრელად ნახმარია: წმინდა, ბრინჯაოს, ნემსი და საჭრისი მომრგვალებული  
წვერით, რომელსაც შედარებით ფართო პირი უნდა ჰქონოდა.

ფსიქეა — სული მოგვიანო ხანის ბერძნულ ისტორიასა და ხელოვნებაში  
პეპლის სახით გვევლინება, ხოლო პეპელას ფრთებიან ქალიშვილად — ძვ. წ.  
IV საუკუნიდან<sup>28</sup>. ელინისტურსა და მომდევნო ხანის გამოხატულებებზედაც

<sup>27</sup> ზომა: ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ, დიამ. — 15 მმ, ფარაქის სიგრძე — 22 მმ,  
განი — 15 მმ.

დაცულობა: ბეჭედი კარგი შენახულია.

<sup>28</sup> იხ. Osborne, Engraved Gems, გვ. 223.



ამგვარადაა იგი წარმოდგენილი; თითქმის ყოველთვის შემოსილია (ზოგჯერ წითელი ფერით), ფრთოსანია; უმეტესად პეპელას ფრთები აქვს გამოზრდილი. ფსიქეა (Ψυχή) — სულის სახელია; აგრეთვე ეს არის აპულეიოსის „მეტამორფოზების“ ერთ-ერთი „გარდაქცევის“ — ამბის გმირი ქალი<sup>30</sup>. ფსიქეა მეფის ასული იყო, მას ორი და ჰყავდა. მეფის სამივე ქალიშვილი შეუღარბებული სილამაზით გამოირჩეოდა, ხოლო ფსიქეა ზემიწიერს ჰგავდა. მის სანახავად ყოველი მხრიდან მოდიოდნენ, მაგრამ ასულის ცოლად შერთვას ერიდებოდნენ. მთხოვნელებს ფსიქეას სილამაზე აშინებდათ<sup>31</sup>.

იმედდაკარგულმა მამამ (იმით, რომ ქალს ვერასდროს გაათხოვებდა) მისანს მიმართა კითხვით როგორ მოქცეულიყო. მისანმა უპასუხა — რომ ქალიშვილი სადედოფლოდ უნდა მოერთოთ (თითქოს ქორწილისათვის გამზადებული) და კლდეზე მოეთავსებინათ, სადაც მას საშინელი ურჩხული მოაკითხავდა წასაყვანად.

ქალის მშობლები დალოდნენ, მაგრამ მაინც შემოსეს იგი და მგლოვიარე ამალით, მთის წვერამდე მიაცილეს; იქ სადაც მისანმა მიუთითა, მარტო დატოვეს, თითონ კი სასახლეში დაბრუნდნენ. ფსიქეა სასოწარკვეთილებას მიეცა. უეტრად იგრძნო, რომ ქარმა წაიღო და ჰაერში გააქროლა. ქარს ქალი ფრთხილად „ეჭირა“, როცა იგი ღრმა ხევს უახლოვდებოდა და რბილ მოღზე ჯდებოდა. მთაბეტდილებებით დაღლილ ასულს ღრმად ჩაეძინა. გაღვიძებისას დაინახა, რომ ოქროსა და მარმარილოსაგან ნაგებ შესანიშნავი სასახლის ბაღში იმყოფებოდა. მან ოთახებს მიაშურა, რომლის კარებები მის წინ თითონ იღებოდა. იქ მას მხოლოდ „ხმები“ შეხვდნენ, რომლებიც ზგას ასწავლიდნენ. „ხმებმა“ აუწყეს, რომ მისი მონა-მორჩილი არიან „არახორციელი“ ხმები. მთელი დღის მანძილზე საკვირველება საკვირველებას ცვლიდა: ტრაპეზის დროს, როცა ასულს უხილავი ხმები ემსახურებოდნენ, ასევე „უხილავის“ ხმა შესანიშნავი სიმღერითა და ჩანგზე დაკვრით ატკბობდა. საღამო ხანს ფსიქეამ „ვილაციის ყოფნა“ იგრძნო — ეს მისი უხილავი მეუღლე იყო (ის, რომლის შესახებაც მისანმა იწინასწარმეტყველა). მეუღლემ არ გაუშხილა თავის ვინაობა და გააფრთხილა: თუ ფსიქეა იხილავდა მას — სამუდამოდ დაქარგავდა. დრო ამგვარად გადიოდა... დღის განმავლობაში ფსიქეა უხილავი ხმების აპარა იყო სასახლეში, ღამე — უხილავი მეუღლე ეახლებოდა ხოლმე.

ერთ დღეს მშობლები გაიხსენა, სინანულის გრძნობამ შეიპყრო და მეუღლეს, ცოტა ხნით, მშობლიურ სახლში დაბრუნების ნებართვა სთხოვა. ბევრი ურჩია მეუღლემ განზრახვაზე ხელი აეღო, ვინაიდან მის წასვლას საფრთხე მოჰყვებოდა, მაგრამ ვერ დაიყოლია. ფსიქეა კვლავ ქარმა გადაიტანა მთის წვერზე, ხოლო იქიდან თითონ ჩავიდა სახლში<sup>32</sup>. შვილის დაბრუნებასთან და-

<sup>29</sup> პეპელა ფსიქეას სიმბოლო იყო — მას ასახეობდა. ამიტომ, ხშირად, გემებზე სივრცეში ანუ თავისუფალ არეზეა გამოხატული, რომელიმე ფიგურასთან ან თავთან, — სახის, ფსიქეასთან გაიგივებას ნიშნავდა.

ბერძნულ-რომაულ ხელოვნებაში იგი ხშირად ჰერმესის კვერთხის (caduceus) სახით არის ხოლმე გამოხატული. ჰერმესის „ფსიქომპური“ ხსიათის სიმბოლო.

<sup>30</sup> იხ. Апулей, *Метаморфозы* IV, 23—VI, 21.

<sup>31</sup> იხ. Тренчени-Вальдапфель Имре, *Мифология*, Москва, 1959, გვ. 452-461; — Grimal, *Dictionnaire de la Mythologie*, § Psyché, 400a,b—401a.

<sup>32</sup> იხ. Grimal, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 400.

ზოგიერთი ვერსიის მიხედვით ფსიქეას ღებმა თვითონ მოაგნეს.

კავშირებით მეფემ დიდი დღესასწაული გადაიხადა; დაკარგული დის სანახევარი ვად უფროსი დებიც ჩამოვიდნენ.

ფსიქეას ბედნიერებამ და დიდმა სიმდიდრემ (მან დები ძვირფასი ნივთებით დასაჩუქრა) დებს მისადმი შური აღუძრა. მათ ეჭვიც კი დაებადათ, რომ მათი „უხილავი სიძე“ ღმერთი უნდა ყოფილიყო და — გადაწყვიტეს უმცროსი დის დაღუპვა, რადგან ღმერთის მეუღლედ მიიჩნიეს. დებმა ვერაგულად გამოტყვეს ფსიქეა. ათქმევინეს, რომ საკუთარი მეუღლე არ იცის ვინ არის და როგორია, რადგან არასდროს უნახავს იგი. დარწმუნდნენ რა ფსიქეას დები თავისი ვარაუდის სისწორეში (ფსიქეას ღმერთი ჰყოლია მეუღლელო) შემდეგი ურჩიეს: ოთახში ჭრაქი დაემალა, რათა როცა მის „უხილავ მეუღლეს“ ჩაეძინებოდა — სინათლის შუქზე გაერკვია როგორი შესახედაობა ჰქონდა „უხილავს“, რას წარმოადგენდა.

დაუბრუნდა ფსიქეა თავის სასახლეს და დების რჩევაც შეასრულა. ანთებული ჭრაქის სინათლეზე მეუღლე იხილა, — შესანიშნავი სილამაზის ჭაბუკი. მაგრამ ამ აღმოჩენამ იმდენად განაცვიფრა და ააღელვა, რომ ჭრაქის მალა აწვევისას ხელი აუკანკალდა და შიგ მოთავსებული ცხელი ზეთის წვეთა, უნებლიედ, ჭაბუკის მხარს დააღვენთა. მისანის მიერ მოხსენიებული მრისხანე ურჩხული ამური აღმოჩნდა, რომელიც ცხელმა ზეთის წვეთმა გააღვიძა — ღვთაება ზეწამოიჭრა და უეცრად გაქრა რათა აღარასოდეს არ დაბრუნებულიყო.

მითის თხრობის გაგრძელებას ჩვენ აღარ შევუდგებით, რადგან ჩვენთვის მხოლოდ ზემოხსენებული ნაწილია ამჯერად საინტერესო. დაფნარის გემაზე, როგორც აღნიშნული გვექონდა, ფსიქეას მარჯვენა ხელში ანთებული ჭრაქი უჭირავს, რაც საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღვთაება<sup>33</sup> „უხილავი მეუღლის“ ვინაობის გარკვევის პროცესშია გამოხატული.

ბექდის ფორმის მიხედვით საბეჭდავი ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება. იგი ბორდმანისეულ VII ტიპის სახეხევაობას წარმოადგენს (შდრ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 217). კვეთისა და სტილისტური თავისებურებებით საბეჭდავ-ბეჭედს დასავლურ-ბერძნულ ნახელავს ვაკუთვნებთ (შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 229, გამ. 242, 245; გვ. 227, გამ. 236, 239 და ა. შ.).

<sup>33</sup> ამურმა ფსიქეასთან ხელმოკრედ შეუღლების შემდეგ ზეცს მისი უკვდავება გამოსთხოვა (იხ. Grimal, Mythologie, §Psyché, გვ. 401).

## 6. ბ ა ტ ნ ა ო ხ ო რ უ

ერთი შეხედვით ბატნაოხოორუს სამაროვანში აღმოჩენილი ბეჭდები თითქოს სადა, დიდი ღირებულების ნივთებს არ წარმოადგენს<sup>1</sup>. მაგრამ ნახელავის გულმოდგინე შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ მათი სახით ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობის ბეჭდებთან გვაქვს საქმე. ინტალიოებთან, რომელთა საბოლოო გარკვევა (მათი წარმომავლობის გარდა, შეძლებისდაგვარად, მჭრელთა სადაურობაც უნდა დადგინდეს) შუქს მოჰფენს იონიის ერთ-ერთი უდიდესი სკოლისა და კოლხეთში არსებული სახელოსნოს ურთიერთობის საკითხს<sup>2</sup>.

1971 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში გათხრილ № 2 ქვევრ-სამარხში, სხვა ნივთებს შორის, აღმოჩნდა ორი, სავსებით ერთნაირი მოყვანილობის, ფარაკიანი ბეჭედი ჭრილა გამოხატულებებით. ბეჭდები ლითონის თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული. მათი საერთო ფორმის მიხედვით ვასკვნი, რომ ისინი პირხსნილი ბეჭდების ტიპს მიეკუთვნება, ხოლო პირი-პირზე იყო გადასული თუ პირი-პირთან ჰქონდა მისული — ამჟამად ამისი ზუსტი დადგენა ჭირს, ვინაიდან ორივე ნივთი ნაკლულია.

ორივე ბეჭდის ფარაკი დიდი ზომისაა (დიამ. — 16 მმ), მრგვალი და ბრტყელი; რკალიც ბრტყელი და ფართო აქვს, რომელიც, როგორც ჩანს, ქვედა ნაწილისაკენ თანდათანობით ვიწროვდება. „ბოლოები“ რკალს სწორად წაყვეთილი უნდა ჰქონოდა.

ორივე ინტალიო ყურადღებას იპყრობს არა მარტო შინაარსობრივად (საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მოპოვებულ გლიპტიკურ ძეგლებს შორის ანალოგიური, თანადროული, მასალები არ არის ცნობილი), არამედ შესრულების მაღალი დონით, რაც დახვეწილ კვეთაში მქალავდება.

1. 1971 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 2. ჭრილაფარაკიანი ბეჭედი<sup>3</sup> ბრინჯაოს თხელი ფირფიტისგან არის გაკეთებული. დიდი ზო-

<sup>1</sup> მასალის ერთი ნაწილი ბატნაოხოორუდან ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. გრიგოლიამ გადმოგვცა დასამუშავებლად, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>2</sup> ჩვენ კვლავ ძიების პროცესში ვართ და ზემოხსენებული მოსაზრება, მხოლოდ და მხოლოდ, წინასწარი ვარაუდის სახით გვაქვს გამოთქმული. მიუხედავად ამისა დასაშვებად მივგანჩნია ფრთხილად დავაყენოთ საკითხი, სახელდობრ ქიოსურ სკოლასთან ურთიერთობისა.

ზემოხსენებულის მტკიცებისათვის ჯერ კიდევ მასალების შეკრებაა საჭირო და ამავე სამაროვნის სხვა ინტალიო-ბეჭდების დამუშავება.

<sup>3</sup> ბეჭედი აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამაჩრებთან ერთად. — იხ. სავლე დავთარი.

მის (დიამ. — 16 მმ) მრგვალი და ბრტყელი ფარაკი მკვეთრად გადადის ფართო და ასევე ბრტყელ რკალში; ბეჭედს „დაშვებული მხრები“ აქვს, იგი პირი-პირთან ხსნილი უნდა ყოფილიყო. ხოლო პირი-პირზე იყო გადასული თუ პირი-პირთან ჰქონდა მისული — ამისი ზუსტი დადგენა ჭირს, ვინაიდან სამკაული ნაკლებულია (რკალს ქვედა ნაწილი 1/3 მოტეხილი აქვს). როგორც ჩანს რკალი, შუა ადგილიდან მოყოლებული, ქვევითკენ თანდათანობით ვიწროვდება და სწორად წაკვეთილი „ბოლოებით“ მთავრდებოდა (სურ. 16).

პირხსნილი ბეჭედების ზემოთ აღწერილი ტიპი საქართველოში დაბლაგომში აღმოჩენილი მასალების (სახელდობრ 1936 წლის №№ 21 და 24 ქვევრსამარხების ინვენტარის) მიხედვითაა ცნობილი<sup>4</sup>.


არსებითი განსხვავება ბატნაოხორუსა და დაბლაგომის ჭირღაფარაკიანი ბეჭედების ფორმებს შორის ერთი შეხედვით თითქოს არ ჩანს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ბატნაოხორუს ქვევრსამარხში მოპოვებული თითის სამკაულის ერთიანი ფორმა უფრო დახვეწილი და სრულყოფილია.

ფარაკის პირზე, ზედმიწევნით ფაქიზი კვეთით, გამოხატულია ჰაერში აფრენილი ფრინველი (ტაბ. VIII, 18). ნისკარტისა, თავ-კისრის მოყვანილობისა, ფრთებისა (ნაკრტენის მიმართულებითა თუ განლაგებით) და ბოლოს ფორმის მიხედვით, ფრინველი ბატს წარმოადგენს, რომელიც სისინით მიფრინავს. ფრინველის წაგრძელებული კისერი რბილად გადადის მოგრძო თავში; დიდი ზომის ცხვირ-ნისკარტი მკაფიოადაა ამოჭრილი. გულამოღებულ წერტილით ვადმოცემული თვალი წვრილი რელიეფური ზოლითაა გარშემოვლებული. კისერზე ნაკვეთები ოდნავ შესამჩნევი ჩაღრმავებებით არის აღნიშნული. შედარებით ღრმად ამოჭრილი გულ-მუცელი ანაბეჭდუნდაც უფრო რელიეფურადაა გამოსახული. საერთოდ კი მთელი სხეული თითქმის ერთი სიღრმითაა ნაკვეთი — ერთ სიბრტყეში; მხოლოდ კუდის მიმართულებით იკლებს სიღრმეცა და, ამის გამო, ანაბეჭდუნე — რელიეფიც. ფართოდ გაშლილ ფრთებს მომრგვალებულკუთხოვანი კონტური აქვს. ხოლო ზომისა და აღნაგობის მიხედვით — ძლიერი ფრინველის ფრთებს შეედრება დიდი გულმოდგინებით შესრულებული ნაკრტენი შეეული რიგებითაა ქვევითკენ მიმართული. სახსრებში მცირედ მოხრილი ფეხები კობტა მტევენებით ბოლოვდება.

უკან გაშვებული, გაშლილი ბოლო სწორი—რელიეფური ხაზებითაა ვადმოცემული. ბოლო — ანუ ნაკრტენი სხეულისაგან მკვეთრადაა ვამოყოფილი — წვრილი რელიეფური შეეული ხაზით.

ბატი ფრთებით, კიდიდან-კიდემდე, პირის ნაპირს ეხება; ნისკარტ-ცხვირიც უშუალოდ პირის კიდეზე აქვს მიბჯენილი. ფრინველი ფარაკის პირზე იმგვარადაა მოლაგებული, რომ მისი გულმკერდი ინტალიოს ცენტრალურ ნაწილში ხვდება. ფრინველის ირვკლივ, სივრცის მოცულობა ყველაზე მეტია მის თავს ზემოთ. შედარებით ნაკლებია ფეხებ ქვეშ. დაბალი და შედარებით



სურ. 16

<sup>4</sup> ვნარ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლაბტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი, 1969, გვ. 86—87. ბეჭედები ვამოცემული აქვს ბ. კუჭანის იხ. Материалы к археологии Копхиды, II, Тбилиси, 1950, стр. 44—45.

ტექნიკა: არაღრმად და მკაფიოდ ამოჭრილი გამოხატულება ფაქიზი და სრულყოფილი ოსტატობით გამოირჩევა. განსაკუთრებულადაა შესრულებული ერთიანად ფრთები ნაკრტენითურთ და ფრინველის თავი. ყოველი დეტალი: ნისკარტი, თვალი თუ თვით თავის მოხაზულობა საგანგებოა და დამუშავებული.

შესანიშნავად აქვს ვადმოცემული ოსტატს აგრეთვე აფრენის მომენტი და ფრინველის შემდგომი მდგომარეობა ჰაერში, ანუ ფრენის განვრცობა. ამ შემთხვევაში მჭრელი ავლენს თავს როგორც მაღალი ხელოვანი.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნახატს დამაჯერებლობას მატებს — სახელდობრ სივრცის შეგრძნებას ჰქმნის — იმჟამად ლითონზე გადაკრული მოცისფრო-ფიროსფერი პატინა. გამოხატულების ამოსატრელად რამდენიმე საჭრისია გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, საჭრისი მომრგვალებული წვერითა და საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით.

იყო თუ არა გაპრილებული ლითონი — ამისი დადგენა შეუძლებელია მასზე გადაკრული პატინის ფენის გამო.

მფრინავი პატის გამოხატულებები არცთუ იშვიათი თემია ძველ ბერძნულ გლიპტიკურ ძეგლებზე. ასევე — ქრილაფარაკიან ბეჭდებზეც ხშირადაა წარმოდგენილი ხსენებული სიუჟეტი.

2. 1971 წლის არქეოლოგიური კამპანია, ქვევრსამარხი № 2. ჭრილაფარაკიანი ბეჭედი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული<sup>7</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდისაგან ამჟამად დარჩენილია ფარაკი რკალის ნაწილითურთ — მხრებითურთ, და რამდენიმე პაწია ნატეხი, შესაძლებლად მივიჩნევ



სურ. 17

პირი პირზე იყო რკალი გადასული თუ პირი პირთან ჰქონდა მისული, ისევე როგორც № 1 ბეჭედს, ამ შემთხვევაშიც გაურკვეველი რჩება. ბეჭდის ფა-

მისი ფორმის აღდგენას. სახელდობრ — იგი უნდა იმეორებდეს № 1 ბეჭდის ფორმას. ე. ი. წარმოადგენს პირხსნილი ბეჭდის ერთ-ერთ ტიპს, კერძოდ ფართო და ბრტყელრკალიანი ბეჭდისას, რომელსაც სწორად წაკვეთილი „ბოლოები“ უნდა ჰქონოდა (სურ. 17).

<sup>5</sup> და ცულობა: ბეჭედს რკალის 1/3 მოტეხილი აქვს და აკლია. ფარაკის ნაწილი ჩამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია. ლითონი პრიალა ფიროსფერი პატინითაა დაფარული. ლითონი მყიფე და მსხვრევადი.

<sup>6</sup> ზომები: ბეჭდის დიამ. — 20 მმ. ფარაკის დიამ. — 16 მმ. რკალის განი — 6 — 5 მმ.

<sup>7</sup> შდრ. Imhoof-Blümer und Otto Keller, Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen, XXII, 30 (ბრატანეთის მუზეუმის აქატის გემა. სტილისტურად განსხვავებულია); L. Stephani, Comptes Rendus, St. Petersburg, 1864, გვ. 182, V, 10 (ერმიტაჟი, ნიკომოლიდან); — Furtwängler, Antiken Gemmen X, 14, XIV, 2; — Lippold, Gemmen und Kameen, 95, 7; — G. Richter, Animals, გამ. 198; — Richter, A History of Greek Art in Miniature, 456; — Boardman, Greek Gems and Finger Rings, 489; — O. Keller, Antike Tierwelt, B. I, 15.

<sup>8</sup> აღმოჩნდა სამარხის ცენტრში, ჩრდილოეთით, სამაჯრთან ერთად; იხ. სავლელ დავთარი.

რაკი მრგვალი და ბრტყელი, დიდი ზომისა; იგი მკვეთრად გადადის „დაშვებულ მხარებში“. რკალი ქვედა ნაწილისკენ ვიწროვდებოდა (ასე ჩანს იმ ფრაგმენტების მიხედვით, რომლებიც ბეჭედს თან ახლავს). ბეჭედი სახეებით ისეთივე მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო, როგორც ამავე სამარხში მოპოვებული კრილაფარაკიანი ბეჭედი ბატის გამოხატულებით (იხ. აღწერილობა, გვ. 75).

ფარაკის პირზე გამოხატულია ფრთოსანი რაში, პეგასი, პროფილში მარცხნივ; იგი მიფრინავს. მოქნილი და პროპორციული სხეული თითქმის ერთ სიბრტყეშია მოცემული. კოხტა თავი, აცქვეტილი ყური, დრუნჩი-პირი და რელიეფური წერტილით აღნიშნული თვალი გადმოცემის ერთგვარი პირობითობით ხასიათდება, ამასთანავე მკაფიო და ფაქიზია. ლამაზად მოხრილ მაღალ კისერსა და თავს დიდი ფაფარი შემოჰყვება, რომელიც მოკლე-მოკლე რელიეფური ხაზებისა და ქდეებისაგან არის შედგენილი. კისერი ყოველგვარი გრადაციის გარეშე გადადის ტორსში, იგი თანაბარი რელიეფით არის გადმოცემული (ტაბ. VIII, 19).

წინა ფეხები რაშს წინ გაუშვებია — ჰაერს „აბობს“, უკანა — სახსრებში ოდნავ მოუხრია; ჩლიქები მორკალული ხაზებითაა შესრულებული. ძუა ქვევით აქვს ჩაშვებული.

რაშის სხეული ლამაზი აღნაგობისაა, პროპორციული. — შეუღმნეველად გახრილი ზურგზე მაღალი ფრთა არის ამართული, ოდნავ მორკალული — თავისკენ წვერწახრილი და პარალელურ-პორიზონტალური ხაზების წყებისაგან შედგენილი. რაშს ქვევით ნახევარმთვარისებრი რკალია გამოხატული<sup>7-8</sup>, მუცლით პეგასისკენ მიმართული.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს ისე, რომ ფარაკის კიდე მის „ჩარჩოს“ როლს ასრულებს. თავის ნაწილი ყურებითურთ, ფრთის წვერი, ძუის ბოლო, უკანა ჩლიქები და ნახევარი მთვარის რქები უშუალოდ პირის კიდეს ებჯინება.

ტექნიკა: არაღრმა და ბრტყელი კვეთით შესრულებული გამოხატულება მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. ნახელავი ფორმათა პლასტიკურობითა და კარგად დაცული პროპორციებით იპრობს ყურადღებას. რაც იმას მოწმობს, რომ მჭრელი კარგადაა დაუფლებული ცხოველთა ტანის ანატომიას. ნახატის გარეგანი კონტური მდინარა ხაზითაა „შემოფარგლული“. — საჭრისი არსად არ ჩანს აცდენილი და პირველადი სამუშაოს კვალი გულმოდგინედ არის დამუშავებული.

აღწერილი ბეჭდის გამოხატულებას, ისევე როგორც ბატის გამოხატულებიან ინტალიო-ბეჭედს, შესანიშნავ ფონს უქმნის ლითონზე წარმოქმნილი ბაცი ფირუზისფერი პატინა.

გამოხატულების ამოსაჭრელად რამდენიმე საჭრისია გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, საჭრისი მომრგვალებული წვერითა და ძალიან წვრილთავიანი bouterolle-ისებრი საჭრისი — დრუნჩისა, თვალისა და ჩლიქების ამოსაჭ-

<sup>7-8</sup> ანალოგიური „სიმბოლო“ გამოხატულია ყაზბეგის ერთ-ერთ საბეჭდავ-ბეჭედზე, იხ. მარჯ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი, 1969, გვ 85, რიგითი № 40 (ბეჭედი ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება. იხ. № 287).

რელად. შინაგანი ნახატი აქა-იქ წმინდა წვერიანი საჭრისითა დამუშავებული.

გაპრიალებული იყო ინტალიო თუ მქრქალი — ამის შესახებ ამჟამად ვერაფერს ვიტყვივით პატინის ფენის გამო ლითონზე<sup>8</sup>.

ადრეანტიკურ ჭრილა ქვებსა და საბეჭდავებზე პეგასის დამოუკიდებელი სახე, მიუხედავად იმისა, რომ მას ბერძნულ მითოლოგიაში გარკვეული როლი ენიჭება<sup>9</sup>, არ ჩანს ფართოდ გავრცელებული (ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ვასკენით). ხოლო იმ მასალებს შორის, რომლებთანაც საშუალება გვაქონდა ჩვენი ინტალიო შეგვედარებინა — ჯერჯერობით მხოლოდ ი. იმპოფის და ო. კელერის მიერ გამოცემული აქატის გემის მოტანა შეგვიძლია შორეული ანალოგიის სახით<sup>10</sup>.

ლითონის ჭრილაფარაკიან ბეჭდებზე, განსაკუთრებით არქაული ხანის საბეჭდავ-ბეჭდებზე (ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლები, ძვ. წ. 500 წელი) ფრთოსანი ცხენები რთულ კომპოზიციებში არიან ჩართული<sup>11</sup>.

პეგასი (Πήγασος) ბერძნული მითოლოგიის თანახმად ჯადოქრული რაშია, რომელიც პერსეოსის მიერ განგმირული მედუზას სხეულიდან წარმოიშვა, გადმოცემით იგი „ოკეანეს წყაროებთან“ — „სათავესთან“ დაიბადა. მისი სახელი ბერძნულსიტყვიდან მომდინარეობს და „წყაროს“ ნიშნავს (ზოგი ვერსიის მიხედვით იგი პოსეიდონისა და გორგონას შვილია). დაბადებისთანავე პეგასი ოლიმპოსზე აიჭრა სადაც იგი ზევს ემსახურებოდა — მეხს მთარმევდა ხოლმე<sup>12</sup>. ბელეროფონტის სიკვდილის შემდეგ პეგასი კვლავ დაუბრუნდება ღმერთებს (ზოგიერთი ვერსიის თანახმად რაში გმირს თვით ღმერთებმა მიჰგვარეს)<sup>13</sup> და გადმოცემით, ცაზე იქნა მოთავსებული პეგასის თანავარსკვლავედის სახით.

სახელდობრ როგორი მნიშვნელობით არის გამოხატული ვანსილულ ინტალიოზე პეგასი, ვიდრე მის შესატყვისის გამოსახულებას მივაკვლევდეთ — ძნელი განსასაზღვრავია.

<sup>8</sup> დ ა ც უ ლ ბ ა: რკალისაგან დარჩენილია მხოლოდ მხრების ნაწილი და რამდენიმე პატარა ფრაგმენტი. ფარაკი აქა-იქ მცირედ შემოკბილულია; ლითონს გადაკრული აქვს პრილა პატინის ფენა. ერთი შეხედვით თითქოს კუთილშობილ პატინას ჰგავს.

ზ ო მ ე ბ ი: ფარაკის დიამ. — 16 მმ, რკალის განი — 8—5 მმ.

<sup>9</sup> იხ. მითები პერსეოსისა და ბელეროფონტის შესახებ.

<sup>10</sup> შდრ. Imhoof u. Keller, Tier und Pflanzenbilder, XXVI, 15 (სტილისტურად განსხვავებულია. მითითრი არსების მდგომარეობაც სხვაგვარია).

<sup>11</sup> იხ. Boardman, Archaic Finger Rings, ტაბ. 2, B II, 3, 4; ტაბ. P3, B II, 34, 35; ტაბ. 5, F8 (ამათგან 34 და 35 ეტრურიაშია ნაკეთები). სხენებულ მასალებს ჩვენ შედარებითი ანალიზისათვის არ ვიყენებთ.

მფრინავი პეგასი ანტიკურ მონეტებზე (კორინთულ, სირაკუზულ, არკადიულ სტრატეგებსა და დრაქიმებზე) მრავლად გვხვდება შდრ. Imhoof u. Keller, დასახ. ნაშრ., VI, 28; XII, 13, 19; —A. Зорграф, Античные монеты, VIII, 1, 5, 6—13. ბატნაოზორუს პეგასის ტიპი სავსებით განსხვავებულია.

<sup>12</sup> იხ. Grimal, Mythologie, § Πήγασος, გვ. 351a—351b.

<sup>13</sup> იხ. Grimal, იქვე.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ამჟამად ჩვენ ბეჭდების დათარგმნება კვეთის მანერისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით შესაძლებლად მიგვაჩნია. ისინი როგორც ჩანს ძვ. წ. IV საუკ. მეორე ნახევრის ნახელავია. საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ორივე ბეჭედი-ინტალიო კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ სახელოსნოდან გამოსული ნახელავია. ხოლო ადგილობრივი, კოლხი, ოსტატია მათი მჭრელი თუ უცხო — ამას მომავალი ძიება დაგვიდასტურებს.



## 7.3 ა ნ 0

ვანში აღმოჩენილი გლიბტიკური მასალისა და ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების შესწავლას ჩვენ სპეციალური გამოკვლევები დაევთმეთ იხ. „ვანის გლიბტიკური ძეგლები“, ხელთნაბეჭდი, 1967; „არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან“, ვანი II, 1975; „წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6 სამარხიდან“, ვანი II. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში შესულ სხვა მასალებისაგან განსხვავებით, მათი ვრცლად განხილვა მიზანშეწონილად არ მივიჩნით. ამჯერად მოშველიებული ვვაქვს 1961, 1969 წწ. არქეოლოგიური კამპანიების განმავლობაში გამოვლენილი და 1917 წელს შემთხვევით ნაპოვნი ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები.

მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. საყურადღებოა იგი შინაარსობრივადაც და შესრულების თვალსაზრისითაც; სტილისტური თავისებურებებითაცა და თავისი მნიშვნელობითაც. ხსენებული ძეგლების მიხედვით, მათი მხატვრულ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რაოდენ განსხვავებული იყო პრივილეგირებული ფენის მატერიალური შესაძლებლობანი, — რამდენად მაღალი იყო ეკონომიური დონე ადგილობრვი საზოგადოებისა, ვისთან ჰქონდა მას კულტურული ურთიერთობა, და ბოლოს — რა ტიპისა თუ სახის საბეჭდავს იყენებდნენ ისინი ყოფაში.

ძეგლების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საბეჭდავი-ბეჭდების ერთი ჯგუფი იონიური სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავია. მასალაში (ერთეულების სახით) არქაული, ორიენტალიზირებული და კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნების (ატიკის უცნობ სახელოსნოში ამოჭრილი) შესანიშნავი ნიმუშებია წარმოდგენილი<sup>1</sup>. შესრულებას ტექნიკის მხრივ — დახვეწილი და სრულყოფილი.

ბეჭდების ერთ წყებას (სამარხეული ინვენტარი იგულისხმება) ტიპიური არქაული ფორმა აქვს: ბოლოებწაწვეტებული ოვალური ფარაკი, რომლის ოდნავ განზიდული რკალი ქვედა ნაწილში გამსხვილებულია (იხ. ტაბ. VIII).

საბეჭდავი-ბეჭდების მეორე რიგი კლასიკურ ხანაში გავრცელებული ტიპით—დიდფარაკიანი ბეჭდებითაა წარმოდგენილი (იხ. ტაბ. IX, 44—48).

ამრიგად, ვანს იონიისა და ბერძნულ, პირველხარისხოვან, ქვისსაჭრელ სახელოსნოებთან ჰქონია უშუალო კავშირი. ხოლო ხსენებულ სახელოსნოებში შექმნილი ნაწარმოებები, მხატვრული და მატერიალური ღირებულებას

<sup>1</sup> იგულისხმება 1917 წელს „ახელდიანთ ეზოში“ ნაპოვნი ბეჭედი.

თვალსაზრისით, როგორც ამას წინათაც აღვნიშნავდით, ხელმისაწვდომი იყო მალალი ფენის, მხოლოდ დიდი შესაძლებლობების მქონე წარმომადგენლები-სათვის<sup>2</sup>.

ვანში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ გლიბტიკურ ძეგლებს იმპორტული ნახელავი წარმოადგენს, რომლის ძირითადი ნაწილი VI უბანზე 1961 წელს გათხრილი № 6 მდიდრულ სამარხიდან წარმოსდგება<sup>3</sup>.

სამარხში მრავლად წარმოდგენილ მაღალმხატვრული ღირებულების კეთილშობილი ლითონების ნივთებსა და სამკაულებს შორის<sup>4</sup>, რომლებიც ჰედური ხელოვნებისა და ოქრომჭედლობის შედეგებს წარმოადგენს, ოქროს ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი და ქარვის ერთი ორმხრივი ინტალიოა ნაპოვნი. ბეჭდებს ტიპიური არქაული ფორმა აქვთ—ოვალური, ბოლოებზე წვეტიანი ფარაკი ოდნავ განზიდული და ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალითურთ (იხ. სურ. 18—22).

ბერძნული არქაიზმის დამახასიათებელი ნიშნები, გარდა ბეჭდის ფორმისა, თვით გამოხატულებების შესრულების მანერასა და სტილშიც აშკარად ჩანს, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ჩვენ არქაული გლიბტიკის ნიმუშებთან გვაქვს საქმე.

მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი-ბეჭედები ერთი ფორმისა და სხვადასხვა ზომისაა. სამი მათგანი დიამეტრის მიხედვით, სხვადასხვა თითებზე სატარებლად უნდა ყოფილიყო გამიზნული; მეოთხე, რომელიც თავისი სიდიდით შესამჩნევად აღემატება სამ დანარჩენს, ჩვენის ვარაუდით მამაკაცისათვის განკუთვნილ საბეჭდავსა თუ სამკაულს წარმოადგენდა<sup>5</sup>. გადავდვივართ ცალკეული ნივთების დახასიათებაზე:

1. საველე № 3—61/662<sup>41</sup>. ბეჭედი-ინტალიო, ფარაკიანი, ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული. მრგვალი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალი ფარაკის მიმართულებით შეუმჩნევლად წვრილდება და ოვალური მოყვანილობის წაწვეტილებლობებიან ფარაკში გადადის (იხ. სურ. 18; ტაბ. VIII, 39).

პირზე ჩვენთვის უცნობი კომპოზიციისა გამოხატული, — წვეროსან ადამიანისებურ არსებასა თუ ღვთაებას, რომელიც მუცელზეა გარტხმული, თავს „ესხმის“ მტაცებელი. არსებაცა და მტაცებელიც პროფილში მარცხნივ არიან მიმართული. წვეროსანი ფიგურა ისეთ მდგომარეობაშია გამოხატული, რომ მოცურავე ადამიანად ანდა წყლის



სურ. 18

<sup>2</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6 სამარხიდან.

<sup>3</sup> სამარხის აღწავლისა და მისი მოპოვების ვითარების შესახებ იხ. რ. ფუთურაძე, ნ. ხოშტარია, ა. ტყეშელაშვილი, ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები, ვანი I, გვ. 111 - 117; Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани (предварительные сообщения), კავკასიურ-ასოლოგიური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 65-80.

<sup>4</sup> იხ. ნ. ხოშტარია, დასახ. ნაშრ.

<sup>5</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6 სამარხიდან.

6. მ. ლორთქიფანიძე



ღვთაებად უნდა იქნეს მიჩნეული. — იგი გულდაღმა წევს; წინა კიდური, რომელიც აღნავობით ხელის მტევანს წარმოადგენს (ხუთი თითით ბოლოვდება), ზევით აქვს აღმართული და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს წყალს მიაპობსო. ფეხები (თუ ქვედა კიდურები) მუხლებში ოდნავ მოუხრია და ტერფები ზევით აუქნევია; თავი უკან გადაუგდია — თითქოს წყლის ზედაპირზე უჭირავს; თვალი პირობითად, შეუმჩნეველი ჩაღრმავებით არის აღნიშნული. ნისკარტისებრი ცხვირი აქვს, მოკლე კისერი. თავზე, თითქოს ჩაფხუტი ახურავს. ღვთაების ზურგს ზემოთ მოთავსებულ მტაცებელ ცხოველს გრძელი აცქვეტილი ყურები და მოკლე კუდი აქვს. ოდნავ გაბრტყელებული თავი სუმარულადაა გადმოცემული; ცხოველი ადამიანს დასცქერის (იხ. ტაბ. V, 20).

გამოხატულების ირგვლივ, პირის კედესთან (1 მმ მანძილზე), ღარია ამოღებული, რომელიც ლურჯი ფერის მინისებრი პასტითაა ამოვსებული, აღნიშნული სალტე გამოხატულების ჩარჩოს წარმოადგენს.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და საკმაოდ მკაფიოდ არის ნაკვეთი. კვეთა სქემატიზმითა და სუმარულობით ხასიათდება, ამასთანავე ნახატში გარკვეული ოსტატობა ჩანს და გაბედული, ასე ვთქვათ, პროფესიონალური ხელი. — მჭრელს, გარდა კონტურის დასატანი ნემსისა, ორი სახის საჭრისი აქვს გამოყენებული: საჭრისი სწორკუთხოვანი წვერითა და მომრგვალებულ პირიანი საჭრისი<sup>6</sup>.

სიუჟეტის საბოლოო გარკვევისათვის ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ კვლევას. შესაძლებლად მიგვაჩნია მოცურავის წყლის ღვთაებად—მდინარის ღმერთად განსაზღვრა<sup>7</sup>. — მისი დაკავშირება „საზარელნიკაპიან მდინარის ღმერთთან“, რომელსაც ფილოსტრატე უმცროსი — IV (ახ. წ. II—III სს.) იხსენიებს<sup>8</sup>.

რაც შეეხება კომპოზიციას<sup>9</sup> ოსტატმა ცხოველის ფიგურა, როგორც ჩანს, მხოლოდ ცარიელი არის შევსების მიზნით გამოსახა, რაც არქაული ხანის გლიპტიკისათვის ჩვეულებრივი მხატვრული ხერხია.

ამოჭრის მანერისა და სტილისტური თავისებურების მიხედვით — (ნახატით შევსებულია ინტალიოს მთელი პირი, გამოხატულებას ნაცვლად ნაკვეთი „არშისა“ მინისებრი პასტის ჩარჩო აქვს გარშემოვლებული; კვეთა ზუსტია) ინტალიო არქაული ეპოქის ნახელავს წარმოადგენს<sup>10</sup>. ამასვე ადასტურებს ბექედის ფორმა, რომლის მიხედვით საბეჭდავი-ბეჭედი ძალიან კარგად თარიღდება, სახელდობრ, ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით<sup>11</sup>.

6 ნომერი: ბექედის დამ. — 16 მმ, ფარაკის სიგრძე — 13 მმ, ვანი — 5 მმ.

დაკუთვლილი: მინანქარი გამოფიტულია და აქა-იქ ამოცვენილი.

7 მ. ლორთქიფანიძე, წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები.

8 აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, თბილისი, 1964, გვ. 450—451.

9 ფიგურის მდგომარეობა და სტილი შდრ. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. XV, 36, 37, 38.

10 შდრ. Richter, Catalogue of Engraved Gems, II გამოცემა, ტაბ. V, 29; ტაბ. VI, 35 და ი. შ.

11 შდრ. Marshall, Catalogue of the Finger Rings, გვ. 8—28.

2. საველე № 3—61/662<sub>2</sub>. ბექედი-ინტალიო, ფარაკიანი, ღია ყვითელი-ოქროსაგან გაკეთებული, მრგვალი, ქვედა ნაწილში საგრძნობლად გამსხვილებული რკალი ზევითკენ (ფარაკის მიმართულებით) მკვეთრად წვრილდება და ოვალური მოყვანილობის წაწვეტებულბოლოებიან ფარაკში გადადის. ფარაკი ბრტყელი და საკმაოდ სქელი ფირფიტისაა (იხ. სურ. 19, ტაბ. VIII, 40).



სურ. 19

პირზე მტაცებელი ცხოველია გამოხატული, პროფილში მარჯვნივ, კატის ოჯახისა უნდა იყოს. მტაცებელი პირაშკრულია, ვრძელი და მოქნილი სხეული აქვს, წელეიწროა, კონტა თათებიანი მაღალი ფეხებით. ბლანი, რომლითაც მთელი სხეულია დაფარული, გულმკერდიდან გავამდე, მორკალულ-რელიეფური და ამოღარული ერთიანი ზოლებითაა გადმოცემული (ტაბ. I, 21).

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად, ამასთანავე ზედმიწევნით მკაფიოდ და ფაქიზად არის ამოჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ერთ სიბრტყეშია ნაკვეთი შინაგანი ნახატი იმგვარადაა დამუშავებული, რომ მჭრელი სკულპტურულობას აღწევს. კვეთა უაღრესად ზუსტია და სუფთა, პროპორციები სრულყოფილი, პოზა — მოქნილი.

ბექედი, ისევე, როგორც წინ განხილული ინტალიო, ტიპური არქაული ნიმუშია და ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით თარიღდება<sup>12</sup>. ამასვე ადასტურებს კვეთის მანერა და სტილი. ხოლო რაც შეეხება სიუჟეტს ცხოველთა გამოხატულებებში ერთ-ერთი გავრცელებული თემათაგანია არქაულ გლიპტიკაში<sup>13</sup>. იონიურია.

3. სავ. № 3—61/662<sub>2</sub>. ასევე შესანიშნავს და უზადო ნახელავს წარმოადგენს ამავე სამარხში მოპოვებული მესამე საბექდავი-ბექედი ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული.

ოვალური მოყვანილობის ბოლოებწაწვეტებული ფარაკი უშუალოდ გადადის მრგვალ და საკმაოდ მასიურ რკალში. რკალი ქვედა ნაწილში უფრო მსხვილია, ვიდრე სამხრებთან, ფარაკის მიმართულებით კი შეუშინევლად წვრილდება. ბექედი გვერდებისკენ განზიდულია, მაგრამ ისევე, როგორც ორი წინ განხილული ინტალიო-ბექედი, ამასაც წაგრძელებული ნივთის იერი აქვს. (სურ. 20, ტაბ. VIII, 41) ფარაკის ზურგი ოვალური და ბრტყელია. ბექედი ჩამოსხმული უნდა იყოს, შემდეგ კი ჰედვითაა დამუშავებული.

<sup>12</sup> შდრ. შრ. Marshall, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9 გამ. 43, 44, 45.

<sup>13</sup> შდრ. Furtwängler, Die antiken Gemmen, II, ტაბ. V, 62, 63. Imhoof-Blümer und Keller, Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen, ტაბ. I-I; — Walters, Catalogue of the Engraved Gems, გვ. XXXII; იხ. მ. ლორთქიფანიძე, წარჩინებული კოლხი ქლის საბექდავები № 6 სამარხიდან.

პირზე წინა ფეხებზე წაჩოქილი ნიამორია გამოხატული<sup>14</sup>, პროფილი  
მარცხნივ. გამოხატულებას გარს ავლია წერტილოვანი რკალი, რომელსაც წაწ-



ვეტებული ოვალის ფორმის ჩარჩოს სახე აქვს. ეს ჩარჩო  
ინტალიოს გამოჰყოფს ფარაქისაგან, იგი რელიეფური წერ-  
ტილების წყებისაგან არის შედგენილი (ტაბ. I, 22).




სურ. 20

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და ძალიან  
მკაფიოდ არის ამოჭრილი. იგი ზუსტი და ზედმიწევნით  
ოსტატური კვეთით გამოირჩევა. ოსტატს რამდენიმე სახის  
საჭრისი გამოუყენებია.

განსაკუთრებული სიზუსტით დაცული პროპორციები,  
სიცოცხლით აღსავსე სხეულის მოქნალობა, ფორმის პლას-  
ტიკურობა — ეს არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც ჩვენ  
მიერ განხილული საბეჭდავი-ბეჭედი გამოირჩევა. სტილისტურად მსგავს ძეგ-  
ლებთან შედარების შედეგად, სახელდობრ, არქაული პერიოდის იონიურ გე-  
მებთან<sup>15</sup>, აგრეთვე თვით ბეჭდის<sup>16</sup> ფორმის მიხედვით, ჩვენ შესაძლებლად მი-  
ვიჩნევთ. ვანის ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით დავათარი-  
დოთ. იონიურია.

4. სავ. № 3—61/662<sub>28</sub>. სამარხში მოპოვებული მეოთხე ინტალიოც ფა-  
რაქიანი საბეჭდავი-ბეჭედეა. ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან ვაკეთებული.  
მრგვალი და საკმაოდ სქელი რკალი ფარაქის მიმართულებით შეუმჩნევლად  
წვრილდება და ოვალური მოყვანილობის, წაწვეტებულბოლოებიან ფარაქში—  
ინტალიოში გადადის (სურ. 21, ტაბ. VIII, 42).

პირზე გარეული თხა არის გამოხატული, პროფილ-  
ში მარჯვნივ, მიმავალი. გრძელი, შუბლთან ამართული  
და ზურგის პარალელურად გახრილი რქა აქვს. საკმა-  
ოდ გრძელ წვერს პაწია მორაკალული ხაზი გამოხატავს,  
დიდი ზომის თვალს — რელიეფური წერტილი. თხას  
მალალი ფეხები აქვს, მკაფიოდ გამოხატული ჩლიქე-  
ბით. გამოხატულებას გარს ავლია ორი წყებისაგან შედ-  
გენილი წერტილოვანი რკალი, რაც გამოჰყოფს ინტა-  
ლიოს ფარაქისაგან (ტაბ. I, 23).



სურ. 21

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და ამასთანავე ზედმიწევნით მკა-  
ფიოდ არის ამოჭრილი, თავი საკმაოდ ბრტყელი კვეთითაა შესრულებული,  
ფაქიზად და ზუსტად.

<sup>14</sup> შდრ. Ihoof-Blumer und Keller, Tier und Pflanzenbilder, ტაბ. XVII, 41.

<sup>15</sup> სტილისტურად შდრ. Walters, Catalogue of Engraved Gems, გამ. 445, 446, 452  
და შდრ.;—Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. IX, 17; — Walters, The Art of  
the Greeks, London, 1926, ტაბ. 90, 30.


<sup>16</sup> შდრ. Marshall, Catalogue of the Finger Rings, გვ. 8, 38.

განხილულ ბეჭედს პირდაპირი ანალოგია ეძებნება ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ კოლექციებს შორის, სახელდობრ, არქაული ზანის ოქროს საბეჭედ-ბეჭედებს შორის<sup>17</sup>. ანალოგურია არა მარტო ფორმა ნივთისა, არამედ იმდენად ემთხვევა კომპოზიციას<sup>18</sup>, სტილი და ამოჭრის მანერა ამ ორი ბეჭედისა, რომ ჩვენი ვარაუდით ისინი ერთი ცენტრიდან გამოსული ნახელავია. და მათი მჭრელი ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო. საბეჭედავი-ბეჭედი კარგად თარიღდება ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებით. იონიურია.

1969 წლის კამპანიისას გამოვლენილი წარჩინებული კოლხი ქალის № 11 სამარხის კუთვნილი ბეჭედიც არქაულ ბერძნულ გლიპტიკას უკავშირდება შესრულების მანერითა და საერთო სტილით. იგი თავის გარეგნული ფორმითაც იმეორებს № 6 მდიდრული სამარხის ბეჭედებს და ტიპიც ერთია (შდრ. სურ. 18—21).

5. საველე № 3—69/104 ინტალიო-ბეჭედი მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგანაა გაკეთებული. ქვედა ნაწილში გამსხვილებული მრგვალი რკალი ზვევითკენ წვრილდება და წაწვეტებულბოლოებიან ფარაკს უკავშირდება (სურ. 22, ტაბ. VIII, 43).

ფარაკის პირზე ფანტასტიკური-სინკრეტული არსებაა ამოჭრილი, ლომკაცი, რომელიც ახსნას ძნელად ექვემდებარება<sup>19</sup>. ლომკაცში შერწყმულია ლომის პროტომა წინა კიდურებითურთ და ადაშიანის ტორსი ფეხებითურთ. არსება კუზიანია. წინა კიდურებისა და ფეხების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლომკაცი მიცურავს. გამოხატულება ორმაგ წერტილოვან ჩარჩოშია ჩასმული (ტაბ. V, 24).



სურ. 22

ტექნიკა: კვეთა სქემატურობითა და ფორმათა სუმარული გადმოცემით ხასიათდება. ნახატი სტილიზებულია. თვალში საცემია ქვედა კიდურების სისქე-სიდიდის შეუსაბამობა. არაღრმად ამოჭრილი გამოხატულება სხვადასხვა სიღრმითაა ნაკვეთი.

მჭრელს რამდენიმე საჭრისი აქვს გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, წამახული საჭრისი, საჭრისი მომრგვალებული წვერითა და პატარა *bouterolle*-ი.

<sup>17</sup> შდრ. Marshall, Catalogue of the Finger Rings, გვ. 8, 36.

<sup>18</sup> მცირეოდენი განსხვავება ამ ორ ინტალიოს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ბეჭედზე დამატებითი პატარა მცენარე და ნახევარი მთვარეა გამოხატული (იხ. მ. ლორთქიფანიძე, წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭედავები).

<sup>19</sup> ინტალიო-ბეჭედის შესახებ დაწვრილებით იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭედავი-ბეჭედი ვანიდან.

ზომები: ბეჭედის დიამ. — 14—17 მმ, ფარაკის სიგრძე — 17 მმ, განი — 17 მმ.

დაცულობა: ბეჭედი კარგი შენახულია.



აღწერილ საბეჭდავ-ბეჭედზე წარმოდგენილი სინკრეტული არსება, გავრცელებული იყვნენ ვნული იერიით ძალიან თავისებური და განსხვავებულია. მას ჯერჯერობით ვერც პირდაპირი და ვერც შესაბამისი ანალოგია ვერ ეძებნება სინკრეტულ არსებათა და ურჩხულთა მრავალრიცხოვან გამოხატულებათა შორის. სახელდობრ, ბერძნულ არქაულ გლობიკაში ფართოდ გავრცელებულ ცხოველისთავიან ადამიანის ფიგურებს შორისაც ვერ მივაკვლიეთ შესატყვის გამოხატულებას. იქ მრავალადა წარმოდგენილი ჯიქის, ტახის, ხარის, ირმის, ძილის, კურდღლის, და ა. შ. პროტოაშურდელი ადამიანის ფიგურები<sup>20</sup>. (როგორც ცნობილია, ამ გამოხატულებათა გავრცელებას აღმოსავლურ-ბერძნულ ხელოვნების ძეგლებზე ხელი შეუწყო იმან, რომ ბერძნებისათვის ეგვიპტური ცხოველისთავებიანი ღვთაებები კარგად იყო ცნობილი<sup>21</sup>). ამას გარდა, ზემოხსენებული გემების ერთი სერია ოდისევსა და მის გრძნებით შეკრულ თანამგზავრებს უკავშირდება<sup>22</sup>.

ვანის საბეჭდავ-ბეჭედზე ამოჭრილი გამოხატულების გასარკვევად ზოგიერთი ძველი ბერძნული თქმულების გათვალისწინება დაგვირდა<sup>23, 24</sup>. — გრძნულ ქალად ცნობილი კირკეს, მზის ასულსა და კოლხეთის მეფის აიეტის დას, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი როგორც „ოდისეაში“<sup>25</sup>, ასევე არგონავტების შესახებ არსებულ თქმულებებში<sup>26</sup>.

კირკეს გარემოს აღწერისას აპოლონიოს როდოსელი იხსენიებს ადამიანთა და სხვადასხვა ცხოველთა შერწყმულ სხეულებს<sup>27</sup>. ამ შერწყმულსხეულებიანი არსებებით იყო გარშემორტყმული გრძნული ქალი, როცა იგი პირველად იხილეს არგონავტებმა. თქმულების მიხედვით კირკე — „მბრძანებელი აიეტის და“ (ასე იხსენიებს მას აპოლონიოს როდოსელი)<sup>28</sup>, არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან უშუალოდაა დაკავშირებული. სახელდობრ, ოქროს საწმისის მოტაცების შემდგომ მომხდარ ამბებთან. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კირკეს შესახებ არსებული მითები თუ ლეგენდები, ჩვენი აზრით, კოლხეთისა და კოლხებისათვის ისეთივე ნაცნობი და შეთვისებული უნდა ყოფილიყო, როგორც თქმულებები მედეასა და პრომეთეზე. კირკეს გარკვეული დამოკიდებულება აქვს კოლხურ გარემოსთან, სხვას გარდა — „მჭიდრო ნათესაური“ ურთიერთობა აკავშირებს მასთან<sup>29</sup>, რაც საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მის ჯადოსნურ წრეში მოქცეული სახეები შეიძლება კოლ-

<sup>20</sup> იხ. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. 8, 13; ტაბ. 7, 44; ტაბ. 67, 7; მი-სივე, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin, 1896, ტაბ. 4, 18; Boardman, Archaic Greek Gems, 577; 576; 293, 589; გვ. 104, 155, 157; — Fossing, Engraved Gems and Cameos, ტაბ. II, 83; — Lippold, Gemmen und Cameen, ტაბ. 80, 11.

<sup>21</sup> იხ. Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 105.

<sup>22</sup> იხ. Fossing, დასახ. ნაშრ., გვ. 41, ტაბ. II, 8; — Furtwängler, Antiken Gemmen, I, ტაბ. 18, 44.

<sup>23-24</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი არქაული და „არქაოზირებული“ საბეჭდავ-ბეჭედები ვანიდან.

<sup>25</sup> იხ. Одиссея X, 133—574.

<sup>26</sup> Аполлоний Родосский, Аргонавтика, IV, 559—754 (გრ. წერეთლის თარგმანი. 1964 წლის აკრებული).

<sup>27</sup> გრ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით შემდეგს ამბობს: «У Аполлонии ее (კირკესი—მ. ლ.) свитой являются первоначальные порождения земли, созданные землей еще до принятия ею окончательного вида, — не звери, не люди, но смесь разных тел. Тут на Аполлония безусловно сказалось влияние Эмпидокла» დასახ. ნაშრ., „Примечания“, 672.

<sup>28</sup> Ап. Род., Аргонавтика, IV, 685.

<sup>29</sup> ძველ ბერძენ ავტორთა მიერ კირკე აიეტის დად არის აღიარებული.



ხეთის (ან კოლხეთისათვის განკუთვნილი უცხო მხრიდან შემოტანილი) სხვადასხვა სახის ხელოვნების ძეგლებზედაც ასახულიყო. ამდენად, ჩვენ, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია — კოლხი წარჩინებული ქალის სამარხში ჩატანებულ საბეჭდავ-ბეჭედზე ამოჭრილი ლომკაცი კირკეს ჯადოქრობასა და მის გარემოსთან დამოკიდებული შინაარსის მქონე ციკლის გამოხატულებებს დავეუკავშიროთ. ამრიგად, ხსენებული მითიური პერსონაჟის არჩევანი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.

თავისთავად, ინტალიოზე ამოჭრილი მოტივი — ცხოველისა და ადამიანის შერწყმული პროტომა, არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულსა და უჩვეულოს ბერძნული ხელოვნებისათვის. საერთო იერით იგი, თითქოს, შეიძლება მიჩნეული იქნას ბერძენი მკრელის ნახელავად, მაგრამ ნახატისა და კვეთის ხასიათი რამდენადმე განსხვავებულია წმინდა ბერძნული არქაული სტილისაგან; კერძოდ: ლომკაცის სხეული ანატომიური თვალსაზრისით არასწორადაა გადმოცემული. უზუსტობანი ამ მხრივ საკმაოდ მკვეთრია (მარცხენა ფეხი ზედმიწევნით დაწვრილებულია; ტორი, მხარში, მეტად გამოსვილებული და უხეიროა დაკავშირებული სხეულთან იხ. ტაბ. V, 24), გამოხატულება შესრულებულია თითქმის ყოველგვარი მოდელირების გარეშე (იხ. აღწერილობა, გვ. 85). ხოლო არქაული ხანის ოსტატები შესანიშნავდ არიან დაუფლებულები სხეულის ანატომიას, მათ ნახელავში სხეულის სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთთან ჰარმონიულადაა შერწყმული, ფორმა რბილი და ხორცშესხმულია<sup>30</sup>.

სტილისტურად და კვეთის თავისებურებით ზემოაღწერილი ინტალიო ძალიან ახლო დგას, უკეთ რომ ვთქვათ, — იმეორებს,  $\text{Xc}$  ნ სამარხში აღმოჩენილ „საზარღნიკაპიანი მდინარის ღმერთის“ გამოხატულებას (მდრ. ტაბ.)<sup>31</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ვანის მდინარის ღმერთს“ პარალელები ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე გავრცელებულ ზღვისა და წყლის მრავალრიცხოვან ღვთაებათა თუ ურჩხულთა შორის არ ეძებნება (იგი არც ძველი აღმოსავლეთის მასალებში ჩანს)<sup>32</sup>.

ვანის მდინარის ღმერთი თავისებურად — ახლებურად გააზრებული ტიპი უნდა იყოს. სავარაუდებელია, რომ წყლის ღვთაების ხსენებული სახე ბერძნული ორიენტალიზირებული ხელოვნების გავლენით ჩამოყალიბდა<sup>33</sup>.

<sup>30</sup> იხ. G. Perrot et Ch. Chipiez, *Histoire de l'art dans l'antiquité. La Grèce archaïque*, Paris, 1903, ტ. VIII;—M. Collignon, *L'archéologie grecque*, Paris, 1903, გვ. 144.

<sup>31</sup> მ. ლორთქიფანიძე, ვანის გლიბტიკური ძეგლები, ხელნაბეჭდი.

<sup>32</sup> ხსენებული ღმერთი ფილოსტრატე უმეტროსის (IV) მიხედვით (სურათები 8, „მოთამაშენი“) „ფაზისში ლერწმარში“ ბინადრობს (იხ. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, თბილისი, 1964, გვ. 450—451), В. Латышев, *Scythica et Caucasia*, *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе*, I, СПб., 1883—1900, в. 1, стр. 348. დაწვრილებით იხ. ჩვენი, წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები.

<sup>33</sup> უახლესი უცხოელ გამოცემებშიც კი ვერ მივაკვლიეთ რაიმე მსგავს არსებას (იხ. K. Shepard, *The Fish-tailed Monster in Greek and Etruscan Art*, New York, 1940; H. Frankfort, *Cylinder Seals. A Documentary Essay on the Art and Religion in the Ancient Near East*, London, 1939, და ა. შ.).

წყლის ღვთაების მხატვრული ტიპის წარმოშობას ძველ აღმოსავლეთს უკავშირებენ. საბერძნეთში იგი პირველად ორიენტალიზირებული (ადრეული პერიოდის) ძეგლებზე ჩნდება (იხ. Shepard, დასახ. ნაშრ., გვ. 92).





ორივე გამოხატულებაში ყურადღებას იპყრობს თუ როგორაა გადაწყვეტილი მისწრაფება მოძრაობისადმი. იგი ორივეგან პირობათობით ხასიათდება: ძალიან წინ გაშვებული კიდურების საშუალებითაა გამოცემული.

ვანის ზემოხსენებული საბეჭდავი-ბეჭდების გამოსახულებათა შედარებითმა ანალიზმა სხვადასხვა სახელოსნოებიდან გამოსულ ნახელავთან (კვეთის მანერა, სტილი, შინაარსი)<sup>34</sup>, დავგარწმუნა იმაში, რომ ისინი ახალ, დღემდე ჩვენთვის უცნობ, ადგილობრივ სახელოსნოდან მომდინარეობენ. სახელოსნოდან, რომელსაც უდავოდ ბერძენი მკვედლები ხელმძღვანელობდნენ, სახელობობ, ისინი, ვინც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აღმოსავლურ-ბერძნულ სკოლებთან და მის ხელოვნებასთან.

ფორმის მიხედვით წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავი-ბეჭედი კარგად თარიღდება კვიპროსსა და მარიონში აღმოჩენილი ანალოგიური მასალებით ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით, სახელობობ, ძვ. წ. 500 წლით<sup>35</sup>.

ვანის საბეჭდავი-ბეჭდების, მცირე, მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფი კლასიკურ ხანას მიეკუთვნება. ჩვენ ამ ჯგუფის განხილვას წარჩინებულ კოლხი მეომრის სამარხით (1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, სამარხი № 9) ვიწყებთ: სამარხში ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი მოპოვებული: ორი ოქროსი და ორი ვერცხლისა.

წარჩინებული კოლხის საბეჭდავს შორის განსაკუთრებულ ინტერესს ოქროს საბეჭდავი-ბეჭდები იმსახურებს, რომელთაგან ერთი გამორჩეულია და ამდენად ჩვენ მასზე შევაჩერებთ ყურადღებას.

6. სავ. № 3—69/292. მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული საბეჭდავ-ბეჭედს წახანაგებიანი რკალი აქვს. რკალი უშუალოდ ფარაკთან მსხვილდება და ოდნავ ფართოვდება. ფარაკი დიდი ზომისაა, ოვალური, დაწახანაგებულ-ამობურცული ზურგით (სურ. 23, ტაბ. IX, 44)<sup>36</sup>.

ბეჭდის ფარაკზე გრძელსახელოებიანი კვართითა და ჰიმატიონით შემოსილი ხანში შესული, ულამაზო, გორბო და მედიდური იერის ქალია გამოხატული, რომელიც უზურგო ტანტზე ოქროსზე ზის<sup>37</sup>. მას ჰიმატიონში გახვე-

34 შდრ. იონიურს, ბერძნულ-ფინიკურს, „აღმოსავლურს“, ეტრუსკულს, სამხრეთ იტალიურსა და ა. შ. იხ. Boardman: Archaic Greek Gems; Archaic Finger Rings და South Italian Finger Rings; — Furtwängler, Antiken Gemmen. (თავი — არქაული გლიპტიკის შესახებ); Richter, Gems, II გამოცემა (თავი არქაული გლიპტიკის შესახებ); — Richter, Greek Art in Miniature (§ არქაული გლიპტიკის შესახებ) და ა. შ.

35 იხ. Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 25.

ძვ. წ. V საუკ. შუა ხანით თარიღებს ოთ. ლორთქიფანიძე ამავე სამარხში მოპოვებულ ოქროს დიადემას (იხ. მისი, მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტორიისათვის (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით) თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, B 1(138), თბ., 1971, გვ. 55).

36. ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 22 მმ, დიამ. — 19 მმ, ფარაკის სიგრძე — 19 მმ, ვანი — 15 მმ.

დაცულია: ბეჭედი კარგადაა დაცული.

37 ბეჭდის შესახებ დაწერილებით იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან.

ულ მარჯვენა ხელში ფიალა უჭირავს; მუხლზე დადებულ მარცხენა ხელში პალმის ტოტი. მის ზურგს უკან ასეთივე ჯიშის მცენარეა აღმართული. მალაო

კისერს გრძელსაკიდებიანი ორმაგი მანიაკი უმკობს, ყურზე მანიაკის ტიპის გრძელსაკიდიანი საყურე უკეთია, ხოლო ფეხებზე საწვივე რგოლები აქვს შეცმული. სირაკუზელი ქალების მსგავსად დავარცხნილ თმას ბადურა თავსამკაული უშვებებს.

ქალის ფიგურის უკან, ამოჭრილია, ერთსტრიქონად, ბერძნული წარწერა ΔΕΛΑΤΟΣ დ ე ღ ა ტ ო ს (ტაბ. VI, 25).



სურ. 23

ტექნიკა: მკაფიოდ ნაკვეთი გამოხატულება სხვადასხვა სიღრმითაა ამოჭრილი. კვეთა სქემატიზმით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით ქსოვილისა და თმის შესრულებაში მქლავდება. — ქსოვილის ნაკვეთები და თვით სამოსიც, ძირითადად ვერტიკალური და ჰორიზონტალური სქემატური ხაზების საშუალებითაა გადმოცემული.

მჭრელს რამდენიმე სახის საჭრისი აქვს გამოყენებული — საკმაოდ გაბეღულად. ძირითადად ნახშირია ბრინჯაოს ნემსი (ორი სახისა — ერთი ძალიან წმინდაწვერიანი ყოფილა) და საჭრისი მომრგვალებული საჭრელი წვერით; bouterolle-სებრი და ფართობირიანი საჭრისები.

მკდომარე ქალის ფიგურა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემათაგანია ძვ. წ. V საუკ. მიწურულისა და IV საუკ. ბერძნულ ფარაკიან ბეჭდებზე<sup>38</sup>. აღნიშნული რიგის ბეჭდებზე სხვადასხვა საქმით გართული ქალია ხოლმე წარმოდგენილი (იგი ან წერს, ან უკრავს, ხან ცხოველებს ეთამაშება; ყვავილები, თითისტარი ან ფრინველი უჭირავს)<sup>39</sup>. ჩვენი ბეჭდის ფარაკზე ამოჭრილი ქალის გამოხატულება ანალოგიებს ვერ პოულობს.

მტკიცება იმისა თუ სახელდობრ ვინ არის გამოხატული ბეჭდის ფარაკზე ჯერჯერობით ძნელია. ერთი უდავოა — საბეჭდავ-ბეჭედზე არაბერძენი ქალია წარმოდგენილი. სახე არა უბრალო მომაკვდავისა, არამედ გარკვეული სახე ღვთაებისა ანდა ღმერთქალთან გატოლებული დიდგვაროვანისა. ერთ-ერთი ატრიბუტის — მცენარის ტოტების მიხედვით იგი მ ც ე ნ ა რ ე უ ლ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაება უნდა იყოს.

ნახელავში აშკარად ჩანს მჭრელის მისწრაფება ნატურალიზმისაკენ. ოსტატი არ ალამაზებს მის მიერ შექმნილ სახეს, როგორც ეს ბერძნული წარმოშობის ბეჭდებისთვისაა დამახასიათებელი. პირიქით, იგი ხაზს უსვამს მის მიერ წარმოდგენილი სახის ყველა ინდივიდუალურ თავისებურებას. მჭრელისათვის, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მთავარი აღამიანის გარეგნული იერი კი არ არის, არამედ მისი მნიშვნელობა და ღირსება.

<sup>38</sup> იხ. M. - L. Vollenweider, Catalogue Raisonné des Sceaux, Cylindres et Intailles, გვ. 161.

<sup>39</sup> იხ. Walters, British Museum Catalogue of Gems, გამ. 533; — Genava, XII, 1964, ტაბ. II, 5, გვ. 62; — Becatti, Oreficerie antiche, ტაბ. LXXX, 324; — Marshall, Finger Rings გამ. 1036; — Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 17; — Richter, A History of Greek Art in Miniature, 274, 278. და ა. შ.



წარჩინებული კოლხი მეომრის საბეჭდავი-ბეჭდის ფუნქციონალური და ნიშნულების გარკვევისათვის, აუცილებელია დადგინდეს — როგორი მნიშვნელობით იყო ამოჭრილი ბეჭდის ფარაზე წარწერა. როგორც ცნობილია, საბეჭდავებსა და გემებზე გამოხატულებასთან ერთად ამოჭრილი წარწერები სხვადასხვა ხასიათისაა. წარწერა ძირითადად ან ბეჭდის მფლობელის სახელის აღმნიშვნელია ან ოსტატის ხელმოწერაა; არის შემთხვევები, როდესაც წარწერას განმარტებითი ხასიათი აქვს — გამოხატული მითოლოგიური პერსონაჟის ან გმირის სახელს წარმოადგენს<sup>40</sup> (ამგვარი წარწერები ხანდახან უშუალოდ ინტალიოდან იკითხება).

მჭრელის ხელმოწერა გემა-საბეჭდავებზე, ბეჭდის მფლობელის სახელისაგან განსხვავებით, კომპოზიციასთან არ არის ორგანულად დაკავშირებული; იგი, როგორც წესი, პატარა ზომის, წმინდა ასოებით არის შესრულებული, ოსტატი ცდილობს, რომ მისი ხელმოწერა ნაკლებად შესამჩნევი იყოს<sup>41</sup>. მჭრელის სახელი უფრო ხშირად ნომინატივში გვხვდება<sup>42</sup> (როცა ოსტატი ხელმოწერას გენტივში იძლევა, ყოველთვის *Ξρῶν* — „ნახელავია“ უმატებს).

ძვ. წ. VII საუკუნიდან მოყოლებული ბერძენებმა, ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, გემებზე საბეჭდავის მფლობელის სახელის ამოჭრა დაიწყეს<sup>43</sup>. ბეჭდის მფლობელის სახელი ყოველთვის კომპოზიციის ნაწილს შეადგენს და, თავიდანვე, მჭრელის მიერ ისეა გააზრებული, რომ ყურადღება მიიპყროს. — მუდამ თვალსაჩინოდ ადგილზეა მოთავსებული, ამასთანავე დიდი ზომის ასოებით შესრულებული და შედარებით მკვეთრად მოხაზული — ღრმად ამოჭრილია<sup>44</sup>.

საბეჭდავის მფლობელის სახელის გარდა, მჭრელები იგივე წესს იცავენ კრილა ქვასა და საბეჭდავზე გამოხატული პიროვნების სახელის აღსანიშნავად. ორივე შემთხვევაში — მფლობელისა თუ გამოხატული პიროვნების — სახელი „ხაზგასმულია“. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ჩვენში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის კრილა ქვების მოტანა შეიძლება, სახელდობრ: ასპავრუკ ერ-

40 მაგ. ძვ. წ. 400—380 წ. დათარიღებულ ოქროს საბეჭდავ-ბეჭედზე კასანდრას გამოხატულებით, ამოჭრილია ბერძნული წარწერა — *Κασάνδρα*. (იხ. Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 22, ტაბ. XIV, 80) ერთ-ერთ არქაულ გემაზე კასტორისა და პოლიდეკეს გამოხატულებით ვკითხულობთ — «*Πόσειδονος*» — განმარტებითი წარწერებს შორის (უცხოურ ლიტერატურაში «აღწერილობით წარწერას» უწოდებენ) იშვიათ მაგალითს წარმოადგენს (იხ. Osborne, Gems, გვ. 43, ტაბ. VIII, 2). განმარტებით წარწერებთან დაკავშირებით იხ. Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 174, მსგავსი მაგალითები იხ. აგრეთვე Osborne, დასახ. ნაშრ., გვ. 120, 127.

41 იხ. Richter, Gems, II გამოცემა, გვ. XXXII. გემები ცნობილი ოსტატების ხელმოწერით იხ. A. Furtwängler, Studien über die Gemmen mit Künstlerinschriften. Kleine Schriften, II, Berlin, 1888 - 1889, გვ. 147—291; — Richter, A History of Greek Art in Miniature, გვ. 14—19.

42 ნომინატივში მოცემულ სახელებს ზოგჯერ ახლავს «*Ξάνει*» «გაყეთა ივი». (იხ. Richter, Gems, I გამოცემა, გვ. XXVI; — მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“ XVII—B, თბ., 1953, გვ. 245—246.

43 იხ. E. Babelon, La gravure en pierres fines, Paris, 1894, გვ. 97—98; — მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელის პლატონის ნახელავი, გვ. 245.

44 იხ. მ. ლორთქიფანიძე, ქვის მჭრელი პლატონის ნახელავი, გვ. 246; — არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭედები ვანიდან.



ისთავის საბეჭდავი-ბეჭდისა, ასპაერუჟ ერისთავის ბალთაში ჩასმული კარბაქონული  
სა და ზევახის გამოხატულებანი, წარწერით დამოწმებული გემისა; სამთავრო-  
ში მოპოვებული „კოვაკის“ საბეჭდავისა, დაბოლოს — ალექსანდრე მაკედონე-  
ლის პორტრეტიანი გემისა, ოსტატი პლატონის ხელმოწერით<sup>45</sup>.

წარწერის—ΔΕΔΑΤΟΣ—სტრუქტურის, უფრო სწორად — ბოლოიდურის  
მიხედვით დასტურდება, რომ ჩვენ მამაკაცის საკუთარ სახელთან გვაქვს საქმე;  
იგი, ჩვენი ვარაუდით, არაბერძნული წარმოშობისაა. ჩვენ მიერ შესწავლილ ეპი-  
გრაფიკულ მასალებში პირთა მრავალრიცხოვან სახელებს შორის<sup>46</sup>, ჯერჯერო-  
ბით „დედატოსი“ არ შეგვხვდებოდა<sup>47</sup>. ვინაიდან ინტალიონზე ქალის ფი-  
გურაა გამონახული — წარწერა არ შეიძლება განმარტე-  
ბითი ხასიათისა იყო. ეჭვგარეშეა, რომ დედატოსი არც მჭრელის სა-  
ხელია, რომელმაც კოლხი მეომრის საბეჭდავი-ბეჭედი გააკეთა, ამის დასაბ-  
უთლებლად ყველაზე უკეთ თვით წარწერის შესრულების მანერა მეტყვე-  
ლებს (იხ. ტაბ. VI, 25).

ჩვენი საბეჭდავის წარწერა ძალიან თვალსაჩინოა, იგი ისეა გაზარებული,  
რომ კომპოზიციაში თანაბარი მნიშვნელობითაა შესული, ამასთანავე მკვეთრად  
გამორჩევა და ადვილად იკითხება ერთი შეხედვისთანავე; ზემოხსენებულიდან  
გამომდინარე ვასკვნით, რომ მფლობელის სახელთან გვაქვს  
საქმე.

წარწერა ისეა ჩაფიქრებული, რომ, პირველ რიგში, მაყურებელს თვალ-  
ში ΔΕΔΑΤΟΣ-ი ეცემა, რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ მფლობელის  
სახელს ამ შემთხვევაში პირველხარისხოვანი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა. მისი სახელი დასმულ ბეჭედზე ყურადღების ცენტრ-  
ში უნდა მოქცეულიყო.

ამრიგად — საბეჭდავის მფლობელი ვინმე დედატოსი  
ყოფილა. როგორც ჩანს, დიდად წარჩინებული და უფლებამოსილი პირი  
(ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ ვარაუდით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სა-  
მარხში დაკრძალული კოლხი მეომარი დედატოსია. სხვაგვარად ძნელი ასახს-  
ნელი იქნებოდა, თუ რატომ მოხდა სამარხში მფლობელის სახელიანი საბეჭ-  
დავი). ფრაკზე მისი სახელის ამოკვეთა გარკვეული მოსაზრებით იყო გა-  
მოწვეული: ხსენებული ბეჭედი მის ინსიგნიას წარმოად-  
გენდა — ოფიციალური საჭიროებისათვის განკუთვნილ  
უფლებრივ საბეჭდავს. დედატოსის უფლებებსა და წარჩინებულ-

<sup>45</sup> იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, საქართველოს მუზეუმის გემები II, არმაზისხე-  
სა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიტიკური ძეგლები, თბილისი, 1958, გვ. 18, 56, 59—60;  
52; ჩვენ ივე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების გემები, I, თბილისი, 1954, გვ. 30;  
ჩვენივე, ქვის მჭრელის პლატონის ნახეაფი, გვ. 243—250; ძველი საქართველოს გლიტი-  
კური ძეგლები, I, გვ. 54—55, 128.

<sup>46</sup> L. Zgusta, Kleinasiatische Personennamen, Prag, 1964; Monumenta Asia  
Minoris Antiqua, Manchester, 1928, I—VIII; W. Pape, Wörterbuch der griechischen  
Eigennamen. Neu Bearbeitet von G. E. Benseler, Braunschweig, 1884; L. Robert,  
Etudes anatoliennes, Recherches sur les inscriptions grecques de l'Asie Mineure, Paris, 1937.

<sup>47</sup> თავისი აღწავლით იგი ყველაზე ახლო მსგავსებას მცირეაზიულ სახელთა შორის პო-  
ულობს, კერძოდ კადალიკურ სახელთან Δαδαιης Καπαδονιζ (იხ. Zgusta, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 683).



ბაზე, სხვას გარდა სამარხში ჩატანებული საბეჭდავი-ბეჭდების რაოდენობის მეტყველებს (იხ. გვ. 88)<sup>48</sup>.

საბეჭდავი-ბეჭდის თარიღს კარგად საზღვრავს თვით ბეჭდის ტიპი, რომელიც ძვ. წ. IV საუკ. პირველ ნახევარს მიეკუთვნება<sup>49</sup>. ამავე თარიღს ადასტურებს თრონოსის ტიპი<sup>50</sup> და ღვთაების თმისვარცხნილობა<sup>51</sup>. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამარხში ფილიპე II მაკედონელის მონეტა (ძვ. წ. 353—336 წწ.) მოპოვებული. და ბოლოს — წარწერაში სხვაზე უკეთ დამთარიღებელ ელემენტს „Σ“ წარმოადგენს, რომელიც მოხაზულობის მიხედვით ძვ. წ. IV საუკ. პირველი ნახევრით დათარიღებულ წარწერებში გვხვდება (იგულისხმება საკუთარსახელიანი გემები)<sup>52</sup>.

დედატოსის ბეჭდის მჭრელის ნახელავი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად არის შესრულებული კვეთას დაუფლებული ოსტატის მიერ, საერთო სტილით განირჩევა ანტიკური თანადროული გამოხატულებებისაგან ზოგიერთი პრიმიტიული თვისებებით, რაც ხსენებული პერიოდის — ძვ. წ. V—IV სს. ანტიკური, კერძოდ, ბერძნული ხელოვნებისათვის უცხოა.

ზოგადად მთელი გამოხატულება გარკვეული სქემატიზმით ხასიათდება. მასში, ერთგვარად, მკაცრი არქაული სტილის გლიპტიკის ნაწილობრივი გავლენა ჩანს (პოზის შებოჭილობა, ამასთანავე, ოსტატი ცდილობს გააცოცხლოს ფიგურა სამოსის საშუალებით. — უკეთ, შეძლებისდაგვარად აქვს დამუშავებული ქსოვილი) და ბერძნულ ჭრილა ქვების იმ ჯგუფს უკავშირდება, რომელიც გარდამავალ ეპოქას — მკაცრი სტილიდან თავისუფალზე მიეკუთვნება: მაგრამ ამასთანავე ინდივიდუალური თვისებებიც საკმარისად გააჩნია იმისათვის, რომ იგი არაბერძენი ოსტატის ნახელავად მივიჩნიოთ.

<sup>48</sup> კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ საბეჭდავებს მათი მფლობელი უკველაღ სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდა, რაც მისი პიროვნების მნიშვნელობაზე მიუთითებს.

<sup>49</sup> ჩვენ არ შევეუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რაოდენ ძვირფასი და მაღალნაბატრული ღირებულების ნივთები ჩატანებოთ მეომრისათვის სამარხში. შევნიშნავთ მხოლოდ: სავანგებო ყურადღებას იმსახურებს დამარხვის წესი. უკეთ — სამარხის იარაღით (თანაც ასეთი რაოდენობით) შემოფარგვლა. მსგავსი შემთხვევა, ჩვენ, არამცხეთა ჩვენში სხვა ცნობილ ძეგლებს შორისაც არ ვხვდებით. ეს ფაქტიც დაკრძალული პიროვნების განსაკუთრებით მაღალ მდგომარეობაზე მეტყველებს.

<sup>49</sup> შდრ. Hoffmann—Davidson, Greek Jewelry, გამ. 108, 109, 111.

<sup>50</sup> შდრ. G. Richter, The Furniture of Greeks, Etruscans and Romans, London, 1966, გვ. 21—23; მისივე, Ancient Furniture, Oxford, 1926, გამ. 69, 77, 291, 294.

<sup>51</sup> ასეთივე უზურგო თრონისია გამოხატული Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 91, ტაბ. LI, 408.

<sup>52</sup> დედატოსის ბეჭდზე გამოხატულ ქალღმერთს თმის ვარცხნილობა ბერძენი და სირაკუზელი ქალების მოღის მიხედვით აქვთ გაკეთებული; სახელდობრ, ძვ. წ. V საუკ. მიწურულსა და ახ. წ. IV საუკ. დასაწყისში გავრცელებული (შდრ. Bacatti, Oreficerie antiche გვ. 187, №328;—Vollenweider, Catalogue Raisonné des Sceaux, cylindres et Intailles. I, 218, 219; — Ch. Seltman, Greek Coins, London, 1955, ტაბ. XXII; II; A. H. Зорпаф, Античные монеты, ტაბ. VI, 16, VII, 5, 7;—G. Richter, Unpublished Gems in various Collections, AJA. 1957, 61, №3, ტაბ. 80, 2.

<sup>52</sup> შდრ. A. Furtwängler, Studien über die Gemmen mit Künftlerschriften, Kleine Schriften; II, გვ. 190—196, 201—204. დაწერილებით იხ. ჩვენის, არქაული და „არქაიზირებული საბეჭდავი-ბეჭდები...“

არც ასოების მსგავსი ასიმეტრიული განლაგებაა ბუნებრივი იმ პერიოდის წარმომავლობით ბერძენი და იონიელი მჭრელებისათვის, რაც ზემოხსენებული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვასკვნით, რომ დღე-ტოსის საბეჭდავი ადგილობრივ სახელოსნოში, ადგილობრივი—კოლხი ოსტატის მიერაა შექმნილი.

7. სამარხი № 9, წარჩინებული მეომრისა, საველე № 3—69/293.

საბეჭდავი-ბეჭედი, მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული, დიდი ზომის ფარაკიან ბეჭედს ვიწრო, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც ფარაკის მიმართულებით მსხვილდება. რკალი უშუალოდ ფარაკთან ანუ სამხრებთან გაფართოებულია. რკალი ოთხწახნაგაიანია მის ზედაპირზე გამოყვანილი წიბო მკვეთრკონტურია, ამასთანავე იგი მხრებთან ქრება (ცალ მხარეს წახნაგი უფრო მეტად გასდევს მხარს). (სურ. 24; ტაბ. IX, 45).

საბეჭდავი-ბეჭედის პირზე გამოხატულია მხედარი, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი მოუმარჯვებია სატყორცნელად. იგი რქოსან ცხენზე ზის, მარცხენა ხელი ავშარასთვის წაუვლია. ცხენი ოთხით მიდის, — ზედ ამხედრებული მხედარი კი თითქოს შეტევაზეა გადასული (ტაბ. VI, 26).

ცხენი — მარტორქა ტორსის აგებულებით ჯორს მეტად ენათესავება, ვიდრე ცხენს. — პირტყვის მძიმე ტორსი, ყოველგვარი მოდელირების გარეშე, ერთ სიბრტყეშია ამოჭრილი ერთი სიღრმით ანუ თანაბარი სიღრმითაა ნაკვეთი. მას ფართო გავა და ამობერილი გულმუცელი აქვს. მკერდი ყოველგვარი გრადაციის გარეშე, უშუალოდ გადადის ღონიერსა და დაბალ კისერში, რომელიც სისქით ტანს უტოლდება. პატარა თავი კისრისაგან მკაფიოდაა ავშარით გამოყოფილი.



სურ. 24

ცხენს კისერზე, ავშარას ქვემოთ, შებმული აქვს უცნაური ატრიბუტი, რომელიც პირველი შეხედვით შეიძლება მიჩნეული იქნეს დიდი ზომის ეყვანად. „ეყვანის“ გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო სამკაულთან ან ნივთთან, არამედ გარკვეულ ატრიბუტთან. სახელდობრ: იგი წარმოადგენს ფართომუხლიანი მელოტი მამაკაცის, დიდი თავის ნიღაბს, პაჭუა ცხვირით, გრძელი ულვაშებით; დიდი წინ წამოწეული წაწვეტებული ყურით.

ყურადღებას იპყრობს თავისებური შესრულებითა და ტიპით უნაგირი. მას უზნავი არ ახლავს (—მხედრის ფეხის ტერფი ცხენის მუცლის ქვეშაა ამოდებული), ხოლო საძეუ გავაზეა დამაგრებული. ერთიანად კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხედარი უბელო ცხენზე ზის.

წელს ზემოთ მხედარი, სამი მეოთხედით, პირდაპირ არის შემოტრიალებული. მას ზონარივით ქაშარი აქვს მკერდს ქვემოთ შემოჭვრილი. სხვა რა სამოსი აცვია — გარკვევა თითქმის შეუძლებელია, რადგან ნახატის ამ მხარისათვის მჭრელს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია.

მხედარს დიდი თავი აქვს; მოკლე, მხრებში ჩავარდნილი კისერი, მოზრდილი ცხვირი და მძიმე ნიკაბი. სახე ზედმიწევნით სუმარულადაა შესრულებული.

აღნიშნულია მხოლოდ გამობერილი ლოყა და, მცირედენი ჩაღრმავებით, თვლი. პირი, ორი სავებით შეუმჩნეველი, პაწია შტრიხითაა მინიშნებული. მხედარს კონუსური მოყვანილობის თავსაბურავი ახურავს, შესაძლებელია მუზარადი იყოს.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმად არის ნაკვეთი. ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ტლანქი ნახელავია, ამასთანავე ვულმოღვინე და გაბედული ზელი ჩანს ოსტატისა.

კვეთა სქემატურობითა და სუმარულობით ხასიათდება. ფიგურები მოკლე და მძიმე პროპორციებით გამოირჩევა. მჭრელი არცთუ კარგადაა დაუფლებული ადამიანის სხეულის ანატომიას. იგივე ითქმის პირუტყვის შესახებაც. თუქვა, თითქოს, პროპორციები ამ შემთხვევაში უკეთ არის დაცული. მხედრის კიდურები ტორსთან შეფარდებით შეუსაბამოდ წვრილია; განსაკუთრებით ხელები, — ჯოხებსა ჰგავს. ხოლო ხელისმტევანი — რამდენიმე წაწვეტებული მოკლე ხაზით არის გადმოცემული (მდრ. მდინარის ღმერთის ხელისმტევანს. იხ. ტაბ. V, 20).

გამოხატულების ამოსატრეულად ძირითადად გამოყენებულია: ბრინჯაოს ნემსი, საჭრისი მომრგვალებული წვერით და საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით.

სიუჟეტის საბოლოო განსაზღვრა გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული იმ ატრიბუტის მიხედვით, რომელიც „მარტორქა-ცხენს“ აქვს შებმული და, უდავოდ, უშუალო კავშირშია მხედრის გამოხატულებასთან. ამას გარდა — ჯერ კიდევ დასადგენია სახელდობრ რა პირუტყვი გამოხატა მჭრელმა, წარმოსახვით, ინტალიოზე.—რქოსანი ცხენია თუ რქოსანი ვირი, — კლავდიუს ელიანუსის ცნობით „სკვითის ქვეყანაში“ რომ ბინადრობს<sup>53</sup>.

პირუტყვის კისერზე შებმული ატრიბუტი, როგორც აღნიშნული გვექონდა, მელოტი მამაკაცის ნიღაბს წარმოადგენს. გამოხატულების შედარების შედეგად სხვადასხვა ნიღებთან (კომიკურთან, ტრაგიკულთან, მცენარეულ წვერიანთან, რომელიც თავის მხრივ დიონისეს უკავშირდება; დიონისეს, სატირისა და სილენის ნიღებთან)<sup>54</sup> ირკვევა, რომ ჩვენს ინტალიოზე წვერიანი სატირის ნიღაბია ამოჭრილი<sup>55</sup>. ნიღაბი საერთო იერით მსგავსებას პოულობს სილენის ნიღაბთან.

<sup>53</sup> იხ. *Alivart, Peri Grotou*. X, 40. — „სკვითის ქვეყანაში არიან რქოსანი ვირები. მათი რქის ყანწებში ინახვენ არკადიულ წყალს სტიქისად წოდებულს...“ (თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბილისი, 1969, კლავდიუს ელიანუსი, ცხოველთა ბუნების შესახებ, გვ. 163).

<sup>54</sup> იხ. *Daremberg—Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines*, O. Navarre-ის სტატია, *Persona-Πρόσωπον*, გამ. 5586 — 5594. აგრეთვე, ჩვენის, არქაული და „არქაოზირებული“ საბეჭდო-ბეჭდები ვინიდან.

<sup>55</sup> მდრ. სიცილიაში აღმოჩენილ ძვ. წ. IV საუკ. დასავლურ-ბერძნულ ოქროს ბეჭედს სატირის თავის რელიეფური გამოხატულებით (იხ. *Hoffmann—Davidson, Greek Jewellery*, გვ. 246, გამ. 104. მდრ. აგრეთვე ნიღების გამოხატულებებს ჭრილა ქვებზე: *Fossing, Thorvaldsen Museum Catalogue of Gems*, №№ 4, 288, 293, 1828, 682, 294, 297, 1251-1253, 1988-1989, 1569, 18, 1248—1259, 1238—1247 და ა. შ. (ტრაგიკული, კომიკური, დიონისეს, პანის, სატირისა და სილენის ნიღებია).

სატირის გამოხატულებები იხ. *K. Zahn, Ausstellung von Schmuckarbeiten aus Edelmetall aus den Staatlichen Museen zu Berlin*, Berlin, 1923, გვ. 38, გამ. 14 (ძვ. წ. IV საუკ. სიცილიაში მოპოვებული); — *Becatti, Oreficerie antiche*, №321; ტიპისათვის იხ. *Marshall, Finger Rings*, №213.

ჩენი ვარაუდით, „მარტორქა-ცხენის“ კისერზე შებმული სატირის ნიღაბი, — დიონისეს ამაღლის — ერთ-ერთი პერსონაჟის სახით, მეღვინეობის უზენაეს ღვთაებას, გასაოცარი მისტერიების წინამძღოლს — დიონისეს უკავშირდება. შესაძლებელია თვით მას ანსახიერებდეს.

ჩვენ ჭერ ვერ მივაკვლიეთ სათანადო მასალებს შინაარსის გასახსნელად (ამ მიმართულებით ძიებას კვლავ ვაგრძელებთ). — რქოსანი ცხენი და შუბოსანი მხედარი უცხო არ არის საქართველოში აღმოჩენილ საბეჭდავ-ბეჭედების თემატიკაში (რქიანი ცხენების მოტივი ცნობილია ორი საბეჭდავ-ბეჭედის მიხედვით: ქვიანას სამაროვანის, ცხინვალის ნაცარგორასთან<sup>56</sup> და ყანჩაეთიდან)<sup>57</sup>. მაგრამ სხენებული გამოხატულებების არსებობა არ არის საკმარისი იმ რთული კომპოზიციის გარკვევისათვის, რომელიც ოსტატმა წარმოგვიდგინა დელატოსის მეორე, ოქროს, საბეჭდავზე (ფეიქრობთ, ეს საბეჭდავიც, ოფიციალური დანიშნულების — უფლებრივი იყო. — მას ერთიანად (მასალა, გამოხატულება) „პარადული“ ხასიათი აქვს)<sup>58</sup>.

საკითხის გარკვევას ისიც ართულებს, რომ გლიპტიკურ ძეგლებსა და საბეჭდავებზე წარმოდგენილ შეიარაღებულ მხედართა, სახელდობრ—შუბოსან მხედართა მრავალრიცხოვან გამოსახულებათა შორის (მეომარებისა, ბრძოლაში ჩაბმული თუ შეტევაზე გადასული მეფეებისა და წარჩინებული პირებისა, ცხენოსნებისა, მონადირეებისა და სხვ.)<sup>59</sup> მსგავს ან თუნდაც მიმსგავსებულატრიბუტიან ცხენს ვერსად მივაკვლიეთ<sup>60</sup>.

როგორც ჩანს ვანის ინტალიოს მკრელის მიერ წარმოდგენილი კომპოზი-

<sup>56</sup> იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლებსა კორპუსი I, გვ. 85. ძვ. წ. VI საუკ. ბრინჯაოს საბეჭდავ-ბეჭედი მოპოვებულია 1948 წელს № 7 სამარხში, იხ. ტაბ. IV, 41. იხ. საბეჭდავიც ალგეთის სამარხიდან, იქვე, ტაბ. V, 52.

<sup>57</sup> ყანჩაეთში, 1969 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში მოპოვებულია ძვ. წ. V საუკ. დათარიღებული ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედი; ერთ მთვანზე გამოხატულია შუბოსანი მხედარი რქოსან ცხენზე ამხედრებული. აღნიშნულ გამოხატულებას ი. გავოშიძე მთვარის ღვთაებად („მებრძოლი მხედარი“) მიიჩნევს (იხ. ი. გავოშიძე, აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 39, ტაბ. II, 8). რქოსანი ცხენის გამოხატულება იხ. ტაბ. II, 7.

<sup>58</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხენებული გამოხატულებები სტილისტურად განსხვავებულია. ამას ვარდა რქა ვანის გემაზე ბევრად უფრო მაღალი და ამართულია. ამ მხრივ „ცხენის“ თავი ქვიანას საბეჭდავ-ბეჭედზე ამოკრილ „რქოსანს“ უფრო უახლოვდება.

<sup>59</sup> შენიშვნის სახით მოგვყავს შემდეგი ცნობა: ძვ. წ. IV საუკუნეში რომში ოქროს ბეჭედების ტარების პრივილეგიით სარგებლობდნენ ცხენოსანი მეომრები — „equites“, რომლებიც რომაული კავალერიის შემადგენლობაში შედიოდნენ (იხ. Voll nweider, Catalogue Raisonné, I, გვ. 177).

<sup>60</sup> იხ. აქემენიდურ ჭრილა ქვეშე გამოხატული შებრძოლებისა და ნადირობის სცენები: H. Seyrig, Cachets achéménides, ტაბ. XXXI, 1, 2; (ძვ. წ. IV საუკ. ეტრუსკულ სკარაბეიზე—შუბოსანი მხედრის);— Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 91, გამ. 242;— Fossing, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, 68 (ძვ. წ. V-IV სს. მცირეზოულ სკარაბეოიდზე და ბერძნულ-სპარსულ გემებზე. მხედარი - მონადირე); Furtwängler, Antiken Gemmen, 4, 6, 8 (ძვ. წ. 450-400-წწ. ბერძნულ-სპარსულ სკარაბეოიდზე—ბერძენი ჯარისკაცისა და სპარსელის შებრძოლება) და ა. შ.

<sup>60</sup> ერთადერთი ნიღაბი, რომლის მოსხენიებაც შეეძებოდა ცხენოსან ფიგურასთან დაკავშირებით — ეს არის პანტერას ნიღაბი საფოსში აღმოჩენილ სარდიონის სკარაბეიზე წარმოდგენილი; იგი გემის თავისუფალ არეზე, მხედარს ქვემოთ არის მოთავსებული (ნივთი დაკულია ლონდონში, იხ. Boardman, Archaic Greek Gems, ტაბ. XIII, 200; გვ. 80, აღწერილობა 203). ჯ. ბორდმანი აღნიშნავს, რომ ნიღბების ემბლემატიკა სხვაზე მეტად. ფინიკიურ გემებს უკავშირდება (იხ. Boardman, დასახ. ნაშრ. გვ. 80).





ცია ანტიკური ნიმუშის მიხედვითაა შესრულებული. ამასთანავე მის ნახევარში აღვილობრივი სტილის დამახასიათებელი თავისებურებები ჰპარბოს (ის თავისებურებანი, რომელიც განსაკუთრებული თვალსაჩინოებით, ჩვენ მიერ, III ჯგუფში გამოყოფილ საბეჭდავებში შეიმჩნევა)<sup>61</sup>. ცხენოსნის ფიგურა საკმაოდ არაპროპორციული და კუთხოვანია (ამ მხრივ ოსტატი სრულებით ვერ იცავს ანტიკურ კანონს). მკრელისათვის ძნელი დასაძლევია ჩანს ფიგურის სუფთა პროფილში გამოხატვა; ამით აიხსნება ის, რომ ტორსის ნაწილი წელს ზევით პირდაპირაა მოცემული და ისიც ერთი შეხედვით ძნელი გასარჩევია მაყურებლისკენ ზურგით ზის თუ მკერდშემომბრუნებულია (თავი, ფეხები, წელს ქვევით ტორსი სუფთა პროფილშია). შუბოსანი ცხენზე მოუხერხებლად ზის, — მისი ჯდომის პოზა ამაზონურ მანერას წააგავს<sup>62</sup>. ამის გარდა: ხელების მოძრაობა მკვეთრი და მოუქნელია. გამოხატულება ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული; დეტალები ძალიან პირობითად, ზოგჯერ მხოლოდ მინიმუმებით, არის გადმოცემული.

ძვ. წ. V—IV სს. ბერძენ მკრელთა ნახელავისაგან განსხვავებით, ჩვენს საბეჭდავზე გამოხატული ცხენის სწრაფი რბოლა დამაჯერებელი არ არის (იგი გაშეშებულსა ჰგავს)<sup>63</sup>. მოდელირების გარეშე შესრულებული სხეულის ზედაპირიც გლუვია. მკრელი არ ხატავს, მის მიერ გამოსახული კომპოზიცია უაღრესად სუმარული კვეთით გამოირჩევა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა მკრელმა მინც შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ მხედარი და ცხენი ერთ გამომსახველ მხატვრულ სახეში გაეერთიანებინა. ამრიგად, ჩვენი საბეჭდავის მკრელი მხოლოდ ადგილობრივი ოსტატი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ბერძენებთან უსწავლია, მათი გავლენა განუცდია და ამასთანავე საკუთარი (მხატვრული) დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია. მის ნახელავში შეიმჩნევა, რომ მისთვის უცხო არ არის არქაულ გლიპტიკაში დამკვიდრებული ტრადიციები — მისი გამოხატულება, კიდიდან-კიდემდე, სრულად აესებს საბეჭდავის პირს.

8. საველე № 3—69/299. საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისა. — დიდი ზომის ბეჭედს წვრილი, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც მხრებთან ფართოდება. იგი ოვალური მოყვანილობის ამობრუტულზურგიან, დაწახნაგებულ, ფარაკს უერთდება. ფარაკი ბრტყელპირიანია<sup>64</sup>, ბოლოებზევიწროებული (იხ. სურ. 25; ტაბ. IX, 46).

61 იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 39—48.


62 ცხენზე ჯდომის ამაზონური მანერა იხ. Vollenweider, დასახ. ნაშრ. ტაბ. 91, გამ. 242;—P. Zazoff, Gemmen in Kassel, Archäologischer Anzeiger, 1965, № 25;—Richter, Gems. II გამოცემა, № 185.

63 ბერძენი ოსტატები შესანიშნავად დაეუფლენ ადამიანთა და ცხოველთა მოძრაობის ყოველგვარი მომენტების თავისუფლად გამოხატვას. განსაკუთრებული ხელოვნებითაა ხოლმე გადმოცემული პირუტყვების რბოლა, მათ შორის ცხენებისა (შდრ. Hoffmann—Davidson, დასახ. ნაშრ. გვ. 352, გამ. 109;—J. Beazley, The Lewes Hous Collection of Ancient Gems Oxford, 1920, ტაბ. 4, გამ. 54.

64 ზომები: ბეჭედის სიმაღლე — 26 მმ, ღიამ. — 21—19 მმ, ფარაკის სიმაღლე — 5 მმ, სიგრძე — 22 მმ, ვანი — 15 მმ.

დაცულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული.

პირზე გამოხატულია მტაცებლისა და ცხოველის ბრძოლა: ხარ-ირემს ჯიქი კბილებით ჩაჰფრენია ზურგში და გავლევას უპირებს. ორივენი, ჯიქიცა და ირემიც, პროფილში მარცხნივ არიან წარმოდგენილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს (ტაბ. V, 27)<sup>65</sup>.



სურ. 25

ტექნიკა: გამოხატულება არათანაბარი სიღრმითაა ნაკვეთი და, პირველი შეხედვით, ბრტყელი კვეთით შესრულებული ნახელავის შთაბეჭდილებას ახდენს. კვეთა სუმარულობითა და სქემატურობით ხასიათდება, ამავე დროს გარკვეული სითამამე და მოქნილი ხელი ჩანს მჭრელისა.

მჭრელს ძირითადად გამოყენებული აქვს: საჭრისი მიმრგვალებული საჭრელი წვერით და ბრინჯაოს ნემსი; შესაძლებელია, რომ ჯიქის თათების ამოსაჭრელად ნახმარია საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით.

ორი ცხოველის ბრძოლის თემას ძველი საქართველოს გლობტიკაშიც წყვეტილი, მაგრამ ხანგრძლივი ისტორია აქვს. უკეთ — ამ შინაარსის მქონე პირველი ჭრილა ქვები ჩვენში ძვ. წ. VIII საუკ. ბოლო წლებითა და VII საუკ. დასაწყისით დათარიღებული ქვიშაქვის დისკოსებრი საბეჭდავი-ამულეტით არის წარმოდგენილი (ხოვლეგორა, 1954 წლის მონაპოვარი), რომელიც ჩვენ მიერ აღგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული<sup>66</sup> (საბეჭდავი ორმხრივია, ამდენად მას ორი პირი აქვს; თემაში ოსტატს, ყოველი პირისათვის, განსხვავებული შინაარსი ჩაუქსოვია და კომპოზიციაც სათანადოდ გაუზარებია)<sup>67</sup>.

არსებული განათხარი მასალების მიხედვით ჩვენ ვასკენით, რომ მომდევნო საუკუნეებში, — ვიდრე, ძვ. წ. V საუკ. II ნახევრამდე, მტაცებლისა და ცხოველის ბრძოლის მოტივი საბეჭდავებზე აღარ გამეორებულა. ხოლო გვიანაქემენიდურ ხანაში, სახელდობრ, ძვ. წ. V—IV სს., მან მცირე აზიიდან შემოტანილი მასალების საშუალებით შემოაწვია იბერიაში (იგულისხმება: მცირეაზიული საბეჭდავების ლურჯი მინის მრავალწახნაგა იბერიული პირების ერთი ჯგუფი. — კერძოდ, ლომისა და ირმის ბრძოლის გამოხატულებით. აგრეთვე, ძვ. წ. IV საუკ. ვერცხლის ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო, კლდეუთიდან, იგივე სიუჟეტი)<sup>68</sup>.

ჯ. ბორდმანი თავის ახალ ნაშრომში — Archaic Greek Gems, ხსენებული თემის ანალიზის შედეგად, კომპოზიციასზე დაყრდნობით რამდენიმე „სქე-

65 იხ. მ. ლორთქიფანიძე, არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი-ბეჭდები ვანიდან.

66 იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი I, გვ. 33—34, 77—78; ტაბ. III, 28, სურ. 25.

67 საბეჭდავის „RV“-ზე ამოჭრილი სცენა სიმბოლური ხასიათისა; ჩვენ აქ არ შევეუდგებით მის გარჩევას, რადგან იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული ვანის საბეჭდავი-ბეჭდის გამოხატულებასთან.

68 იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 48—53; 104—118; ტაბ. VI, 91—95; — მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, თბილისი, 1961, გვ. 10—11, ტაბ. I, 1.



მას“ გამოჰყოფს იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ზდება მტაცებლის ცხოველის შებრძოლება<sup>69</sup>. ხშირად ლომისა და ჭიჭის ტიპის მტაცებლის ხატულებიან გემებს აღმოსავლურ-ბერძნულად მიიჩნევს. ამრიგად — მკვლევარი ახლებურად წარმოგვიდგენს ორი ცხოველის ბრძოლისმოტივიან გლობტიკური ძეგლების კლასიფიკაციას.

წარჩინებული მეომრის საბეჭდავი-ბეჭედი კომპოზიციისა და მტაცებლის ტიპის მიხედვით სწორედ იმ წრეში თავსდება, რომელიც აღმოსავლურ-ბერძნულ გემებს უკავშირდება<sup>70</sup>. რაც შეეხება კვეთის თავისებურებასა და სტილს — თვალსაჩინოდ განსხვავებული და, ხსენებულ ძეგლებთან შედარებით, პრიმიტიულია. — ორივე ფიგურა, ირმისაც და მტაცებლისაც, შესრულებულია თითქმის ყოველგვარი რეალისტური დეტალების გარეშე, შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია; საერთოდ ფორმების მხატვრული გადმოცემა სუსტია, — კუნთები სკულპტურულად დამუშავებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სცენა შედარებით ცოცხლად არის ასახული, ორივე ცხოველის პოზა უძრავი და გახევებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია კიდურების მდგომარეობა. მჭრელმა ვერ მოახერხა მათი სახსრებში მოხრა და არათანაბარი სისქის გაღუნული კვანძებით წარმოგვიდგინა. ასეთივე გახევებულია კუდიც<sup>71</sup>. დამახასიათებელია აგრეთვე ლომის ზედიმწევნით წაგრძელებული თავ-პირი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება იმას მოწმობს, რომ აღწერილი ბეჭედი არაბერძენი ოსტატის მიერაა ნაკვეთი, ხოლო კვეთის მანერა და სტილი გამოხატულებისა სავსებით იმეორებს ძველი საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ადრეული ჭრილაფარაკიანი ბეჭდებისა და საბეჭდავების იმ ჯგუფს, რომელთაც ჩვენ ადგილობრივად მივიჩნევთ<sup>72</sup>.

ბეჭედი თავისი ფორმით ბერძნული ბეჭდების იმ ტიპს იმეორებს, რომელიც ძვ. წ. V საუკ. ჩნდება და IV საუკუნისათვის, ოდნავ სახეშეცვლილი (ფარაკის ოვალი იცვლის გარე მოხაზულობას, მეტ-ნაკლებად მსხვილდება რკაული) საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. ხსენებული ბეჭდის ტიპი კარგადაა შესწავლილი და ამდენად მისი დათარიღება არცთუ ისე ძნელია. ჩვენს მიერ განხილული საბეჭდავი-ბეჭედი ანალოგიურ მასალების საფუძველზე<sup>73</sup> ძვ. წ. IV საუკ. პირველი ნახევრით თარიღდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვანის ბეჭედი ბერძნულ ბეჭდებისაგან განსხვავებით „დამძიმებული ფორმით“ გამოირჩევა. ეს, შედარებით უმნიშვნელო, სახეცვლილება ბერძნული ბეჭდის ფორმი-

<sup>69</sup> იხ. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 122—124.

<sup>70</sup> სიუჟეტი შდრ. Hoffmann—Davidson, Greek Gold Jewelry, გვ. 254-255, გამ. 113 (ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი ძვ. წ. IV საუკ. დათარიღებული);—A. De Ridder, Catalogue sommaire des bijoux antique du Musée du Louvre, Paris, 1924, გამ. 1085;—E. Diehl, Antiken Gemmen, Bd. II, ტაბ. 39, გამ. 175;—Walters, British Museum Catalogue of Gems, გვ. 66, ტაბ. IX, 540.

<sup>71</sup> შდრ. Boardman, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIX, 400. კუდის ამ სახით გადმოცემას ვხვდებით მხოლოდ კვიპროსში მოპოვებულ სარდიონის სკარაბებზე ლომების ბრძოლის სცენით.

<sup>72</sup> იხ. ჩენი, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი, I.

<sup>73</sup> შდრ. M.-L. Vollenweider, Catalogue Raisonné des Sceaux, v. I, გვ. 159, ტაბ. 82, 215; Hoffmann—Davidson, დასახ. ნაშრ., გვ. 250-255.

სა იმას უნდა მოწმობდეს, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა ხსენებული ტექნიკის თავისი გამოგონების მიხედვით „გადაამუშავეს“, — ალბათ, ადგილობრივი მომხმარებლის გამოგონებებს შეუფარდეს.

9. გადავიდეთ მეორე ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდის განხილვაზე: საველე № 3—69/298.

საბეჭდავი-ბეჭედი ვერცხლისა. დიდი ზომის ბეჭედს წვრილი, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც მხრებთან ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის ამოზურცულზურგიან დაწახნაგებულ, ფარაკს უერთდება. ფარაკი ბრტყელპირიანია, ბოლოებზე იწროებული<sup>74</sup> (სურ. 26, ტაბ. IX, 47).


პირზე გამოხატულია დედალ-მამალი, ერთიმეორის უკან მიმავალი, პროფილში მარცხნივ. ნახატი სუმარულია, ამდენად ცალკეული დეტალები არ არის დამუშავებული და ძირითადად პირობითადაა აღნიშნული. (ტაბ. V, 28).

ტექნიკა: გამოხატულება ღრმადაა ნაკვეთი, სუმარულობითა და სქემატურობით ხასიათდება. — ცალკეული დეტალები დამუშავებული არ არის, ტლანქი ნახელავია.

შინაური ფრინველები, კერძოდ: მამალი და ქათამი, სხვადასხვა კომპოზიციებში — ცალ-ცალკე, ერთად, თუ სხვა ცხოველებთან დამოკიდებულებაში, საკმაოდ გავრცელებულ მოტივს წარმოადგენს ანტიკურ გლობტიკაში<sup>75</sup>.

სტილისტურად და შესრულების მანერის მიხედვით აღწერილი ინტალიოს ბევრი საერთო აქვს წინ განხილულ საბეჭდავთან. სახელობრ: სუმარული და ტლანქი კვეთა, დაუმუშავებელი ნახატი, მოძრაობის უსიცოცხლობა და ა. შ. ამდენად, ჩვენ შესაძლებლად ვთვლით, ეს საბეჭდავი-ბეჭედიც იმავე სახელოსნოდან გამოსულ ნახელავად მივიჩნით.

ორივე ბეჭდის ტიპი ერთია. განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ზომამია. № 8 საბეჭდავი-ბეჭედი, ცხოველების ბრძოლის გამოხატულებით, უფრო დიდია (საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხსენებული სამარხის ბეჭედები დიდი ზომით გამოირჩევა)<sup>76</sup>. ჩვენი ბეჭედების მსგავსებისა და ანალოგიური მასალების საფუძველზე იგი ძვ. წ. IV საუკ. I ნახევრით თარიღდება<sup>77</sup>.



სურ. 26

<sup>74</sup> ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 25 მმ, დიამ. — 18—20 მმ, ფარაკის სიმაღლე — 4მმ, სიგრძე — 19 მმ; ვანი — 12 მმ.

და ცულობა: პირი ერთგვარად გავრცელებულია, სახელობრ, მამლის მკერდთან, პატინას და უზიანებია. სხვაგვარი ბეჭედი კარგადაა შენახული.

<sup>75</sup> იხ. Boardman, *Archaic Greek Gems*, 145, 372—373, 424;—Fossing, *Thorvaldsen Museum Gems*, გამ. 1483-1494; Imhoof-Keller, *დასახ.*, ნაშრ., ტაბ. XXI, 38-40; Walters, *დასახ.*, ნაშრ., გამ. 555; Richter, *A History of Greek Art in Miniature*, გამ. 452.

<sup>76</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როგორც ჩანს ბეჭედი ქვედა ნაწილში გახსნილი ყოფილა — მოღუწული და შემდეგ შეკავშირებული.

<sup>77</sup> ანალოგიები იხ. გვ. 98.



მხატვრობითა და შესრულების სრულყოფილი ტექნიკით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ახვლედიანთ ეზოში“ შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი აფროდიტეს გამონახულებით<sup>78</sup>.

10. ინვ. № 2363. ბეჭედი მუქი ყვითელი ოქროსაგან არის გაკეთებული. ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და ოვალურ-მრგვალ ფარაკში გადადის. ფარაკის პირზე თიმიატერიონის წინ მქდომარე აფროდიტეა ამოჭრილი, ეროტისა და მისი საღმრთო ფრინველებით — გელითა და ყანხით,



სურ. 27

გარშემორტყმული. აფროდიტე უზურგო სკამზე — ტაბურეტზე ზის (ტაბ. II, 29). მრავალნაოქიანი კვართით არის შემოსილი; სხეულის ნაწილი წამოსახამში აქვს გახვეული. მარცხენა ხელი ღვთაებას თიმიატერიონისკენ გაუწვდია. ქალღმერთთან მოფრენილ ეროტს მისთვის გვირგვინი მოაქვს.

ტექნიკა: გამონახულება ზედმიწევნით ფაქიზად და მაღალი ოსტატობით არის ამოჭრილი. უზადოდ დაცული პროპორციები იმას მოწმობს, რომ მჭრელი ადამიანის სხეულის ანატომიას სრულყოფილად იცნობს. ოსტატს ოთხი სახის საჭრისი უნდა ჰქონდეს ნახმარი: აღმასის ნემსი, საჭრისი მომრგვალებული წვერით, პატარა bouterolle-ი და წამახული<sup>79</sup>.

ბეჭედს ტიპიური ბერძნული ფორმა აქვს, იგი იმ სერიის ბეჭედებს მიეკუთვნება, რომლებიც ძვ. წ. V საუკ. მეორე ნახევრით თარიღდება, სახელდობრ, V საუკ. ბოლო წლებით<sup>80</sup>. ამგვარ დათარიღებას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, სტილი და კვეთის მანერა; ამას გარდა, რაც აგრეთვე ანგარიშგასაწევია: თიმიატერიონისა და სკამის ფორმა. ანალოგიური უზურგო სკამები დამუზღულა მაღალი ფეხებით, რომელთაც ტაბურეტის ფორმა აქვს, ძვ. წ. V საუკ. ბერძნულ ავეჯს შორის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს<sup>81</sup>. ხოლო რაც შეეხებ-

<sup>78</sup> ბეჭედი ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება. ე. თაყაიშვილის ცნობით ნიეთი ნაოვნია „ძველ ნაქალაქეში“. (იხ. „საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის დავთარი 1917 წ.). ბეჭედი სპეციალურად შესწავლილი გვაქვს „ვანის გლიბტიკური ძეგლები“, გვ. 33—42. ხელნაბეჭდი.

<sup>79</sup> ზომები: ბეჭდის დიამ. — 15 მმ, ფარაკის სიგრძე — 23 მმ, განი — 21 მმ. დაცულობა: ნიეთი კარგი შენახულია.

<sup>80</sup> იხ. M.-L. Vollenweider, Une nouvelle bague en or au Musée d'art et d'histoire de Genève, Genava, XII, Genève, 1964.

<sup>81</sup> იხ. М. И. Максимова, Резные камни Эрмитажа (Путеводитель по выставке), Ленинград, 1926, ტაბ. II, 10; Furtwängler, Antiken Gemmen, II, ტაბ. XIV, 1; Vollenweider, დასახ. ნაშრ., გვ. 62, 2; Richter, A History of Greek Art in Miniature, გამ. 277; M. Collignon, L'archéologie grecque, Paris, 1907, გვ. 348, გამ. 208 (დექსამენეს მიერ შესრულებული ქალცედონის ინტალი; ინახება კემბრიჯში, Fitz-William მუზეუმში).



ბა თიმიატერიონის ტიპს ისიც ძვ. წ. V საუკუნისათვის დამახასიათებელი მოყვანილობისაა — დამუხლული, პირგადაშლილი „სვეტი“ სამ ფეხზე დგას. ანალოგიური ფორმის თიმიატერიონები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ ძეგლებზე<sup>82</sup>.

ვანის ინტალიო-ბეჭედი მხატვრული კვეთის ხელოვნების სრულყოფილ ნიმუშს წარმოადგენს. — ნახელავში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ფორმისა და პროპორციების დახვეწილობა, სხეულის მოქნილობა და კომპოზიციის გაწონასწორებულობა. ვანსაკუთრებული ოსტატობითაა შესრულებული თმა და ფრინველთა ნაერთები; ასევე ქსოვილის ნაკეციები, ხან რბილი (იხ. პიმატიონი), ხან კი მკაცრი ხაზებითაა გადმოცემული (იხ. კვართის კალთა), რაშიც გარკვეული კანონზომიერებაა დატული (პიმატიონის ნაკეციები მხრებზე, თეძოებსა და მუცელზე რბილი ხაზებითაა შესრულებული. ზოლო იმ ადგილებში სადაც ქსოვილი სხეულს არ ედება, მისი ნაკეციები სწორხაზოვანია).

კვეთის თავისებურების და სტილის მიხედვით ჩვენ საბეჭდავ-ბეჭედს კლასიკური ეპოქის ატიკურ ნახელავად მივიჩნევთ<sup>83</sup>.

1971 წელს ვანის მკვიდრმა, ვინმე ირაკლი ცაბაძემ, საკუთარ ეზოში მუშაობის დროს დიდი ზომის რკალგახსნილი ჭრილფარაკიანი ბეჭედი აღმოაჩინა. გარეგნული ფორმისა და ზომის მიხედვით ნივთი თითზე შესაცემელ საბეჭდავს არ უნდა წარმოადგენდეს<sup>84</sup>. იგი როგორც ჩანს ხელში დასაქერი საბეჭდავი, რომელიც რკალგახსნილი ბეჭდების ტიპისაა. ამგვარი ფორმის ლითონის საბეჭდავი საქართველოში მოპოვებული — სხვა არ გვევლინება.

ვინაიდან საბეჭდავი ბეჭდის ფორმისა და, ამასთანავე, ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი შესწავლაც.

11. საბეჭდავი-„ბეჭედი“ ბრინჯაოსგან არის გაკეთებული. სქელი, მძიმე და შედარებით ვიწრო რკალი ზევითკენ — მხრებთან ფართოვდება და დიდი ზომის მრგვალ ფარაკში გადადის. ფარაკი თხელია; პირხსნილ რკალს პირიპირთან აქვს მისული (ტაბ. X, 49).

<sup>82</sup> იხ. Richter, A History of Greek Art in Miniature, გამ. 286; Furtwängler, Gemmen, III, 91; Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 25; Boardman, Greek Gems and Finger Rings, 749, 753, 754.

<sup>83</sup> ვინაიდან ინტალიო ვრცლად გვაქვს შესწავლილი შრომაში — ვანის გლიბტიკური ძეგლები, აქ მისი მოკლე განხილვით ვიფარგლებით.

ხსენებული საბეჭდავი ი-ბ ეჭედ დი გამოცემული აქვს ს. ბარნაველს, რომელიც მას „გემას“ უწოდებს. ვინაიდან ნივთი ლითონისაა იგი ინტალიოდ უნდა განისაზღვროს. მაგრამ ავტორი არ აზუსტებს ხსენებული ნივთის წარმომავლობის საკითხს: იგი დასაშვებად თვლის, რომ ინტალიო დექსამენეს მიერ შექმნილ ძეგლად განისაზღვროს. ამასთანავე კოლხეთში მოღვაწე ბერძენი ოსტატის ნახელავადც მიიჩნის (იხ. ს. ბარნაველი, გემა საჩინოდან (ვანი), Ars Georgica, 5, თბ., 1959, გვ. 68, 69).

<sup>84</sup> ზომები: სიმაღლე — 30 მმ, დიამ. — 32—22 — მმ, ფარაკის დიამ. — 38 მმ, რკალის განი 10—6 მმ.

დაცულობა: ლითონი არაკეთილშობილი ბატინით იყო დფარული, რასაც მისი ზედაპირი დაუზიანებია; ამის გამო გამოხატულებაც დაიბინდა.



ერთი შეხედვით ბეჭედი თითქოს დეფორმირებულია, მაგრამ როგორც ჩანს ეს ოსტატის მიერ დაშვებული უზუსტობაა. — ცალი მხარი რკალისაგან შეუმჩნევლად არის გამოყოფილი, მეორე მკვეთრად დაქანებული და ჩამოგრძელებული. მხრების სისქეშიც განსხვავებაა<sup>85</sup>.

ფარაკის პირზე გამოხატულია ირემი რბენის მდგომარეობაში, პროფილში მარცხნივ. მის წინ, მკერდის გასწვრივ, ნახევარი მთვარეა ამოჭრილი, რქებით ფარაკის კიდეს მიბჯენილი; ზურგს უკან — მცენარე. ირმის გვერდით თითქმის ფეხთ შორის, ნუკრი უნდა იდგეს (ტაბ. V, 30).

გამოხატულება ზედმიწევნით სქემატურია, რის გამოც მის შესახებ მხოლოდ ზოგადი ნიშნებისა და გარემოხაზულობის მიხედვით შეიძლება მსჯელობა. — ირემს დიდი, „მეჩხერტოტებიანი“ რქები აქვს, გრძელი დრუნჩი; მაღალი ფეხები, მკვეთრად ხაზგასმული ჩლიქებით; მკაფიოდ აღნიშნული კუდი. ყურები და თვალები არ ჩანს. ცხოველის დაუნაწევრებელი ტანი თითქმის თანაბარ რელიეფშია მოცემული. ასევე სქემატურადაა შესრულებული კომპოზიციის სხვა, დამატებითი ელემენტები. გამოხატულება მთლიანად ავსებს (კიდიდან-კიდემდე) ინტალიოს პირს; საკმაოდ გამოხატულს, მაგრამ ამასთანავე დაბინდულ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: სქემატური და ტლანქი ნახელავია. გამოხატულება ჩამოსხმული უნდა იყოს შემდეგ კი საჭრისით დამუშავებული. ნახელავი სუპარული ხასიათით გამოირჩევა. — დრუნჩიდან მოყოლებული ცხოველის ტანი სრულებით დაუნაწევრებელია, — ერთიან მასას წარმოადგენს.

მსგავსი კომპოზიციები, რომლებშიც ცენტრალურ ცხოველს ირემი, ძროხა ან ცხენი წარმოადგენს, ერთ-ერთი დამატებითი ელემენტის გამოკლებით (ანდა რომელიმე სხვასთან ერთად) ჰრილა ქვებსა და ლიოონის საბეჭდავებს შორის მეტ-ნაკლებად გავრცელებული თემათაგანია<sup>86</sup>. ამისდა მიუხედავად ვანის ინტალიოსათვის პირდაპირი ანალოგია ვერ შევარჩიეთ. ამ მხრივ ყველაზე მეტად ჩვენი საბეჭდავი ძეგლების იმ ჯგუფს ენათესავენ, რომელიც „აღმოსავლეთის გავლენის პერიოდის“ ბერძნულ ნახელავადაა მიჩნეული<sup>87</sup>.

თემის წარმოშობის საკითხზე ამჯერად გარკვეული აზრის გამოტანისაგან თავს ვიკავებთ (ნივთის შესწავლა ამ მხრივ დასრულებულად არ მიგვაჩნია). ამასთანავე მისი განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება

<sup>85</sup> ასიმეტრიული ბეჭედი ვანში სხვაც გვხვდება.

<sup>86</sup> შტრ. მ. ლოთქიფანიძე, გვიანქმენილური ხანის მცირეაბიული საბეჭდავების იბერიული პირები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „შომამე“, 6, თბ., 1963, ტაბ. I, 2—6; L. Delaporte, Catalogue des cylindres, cachets et pierres gravées de style oriental, Musée du Louvre, II, Paris, 1923, Aquisitions ტაბ. 103—A. 1065, 1066; Walters, British Museum Gems, ტაბ. VI, 308.

<sup>87</sup> შტრ. Richter, History of Greek Art in Miniature, ტაბ. 26 (ძვ. წ. VI საუკ. ჰემატიის სკარაბეოიდი).

დაახლოებით მსგავსი მოტივი ზემო რაქის ბრინჯაოს ბალთებზედაც გვხვდება (იხ. გ. გოზეჯიშვილი, ანგარიში სოფ. ლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა „ენიმკის შომამე“, IV, თბ., 1939, გვ. 348—361; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია I, თბილისი, 1944, გვ. 90—91). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სიუჟეტის ინტერპრეტაციისათვის, მათი მოტანა არ იქნებოდა გამართლებული.



მივაქციოთ, უფრო ზუსტად: გავითვალისწინოთ აღმოსავლური მითი ოტორი  
 გოლიათის — დღისა და ღამის შესახებ<sup>88</sup>. წინასწარი ვარაუდის სახით, თავს  
 უფლებას ვაძლევთ, ვანის ბეჭდის თემა, სახელდობრ ირემი, ღამის დამთავრე-  
 ბის სიმბოლოს დაეუკავშიროთ. სიმბოლოს, რომელსაც აღმოსავლურ ძეგლებ-  
 ზე ხშირად ანტილოპა<sup>89</sup> განასახიერებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით ბეჭედი საბეჭდავია, სტილი და კვე-  
 თა მის ადგილობრივობაზე მეტყველებს, ფორმის მიხედვით ალბათ უფრო  
 ელინისტური პერიოდის შუა ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

<sup>88</sup> იხ. Le comte R. Du Mensil du Buisson, *Le Mythe Oriental des deux Géants du Jour et de la Nuit*, *Archaeologia Iranica. Miscellanea in Honorem R. Ghirshman*, Leiden, 1970 (*Iranica Antiqua*, VIII, გვ. 1—33).

<sup>89</sup> იხ. Du Mensil du Buisson, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 16, 32.



## 8. თ ა გ ი ლ ო ნ ი

ზუგდიდის მუზეუმში ინახება „რელიეფური“ გამოხატულებით შემკული ფარაკიანი ოქროს ბეჭედი<sup>1</sup>, რომელიც თითქოს თავილონში უნდა იყოს მოპოვებული<sup>2</sup>. როგორც ცნობილია 1930 წელს თავილონში შემთხვევით იქნა აღმოჩენილი მდიდრული სამარხის ინვენტარი, რომელიც მთლიანად გამოკვამული აქვს ა. ბოლტუნოვა-ამირანაშვილს (იხ. А. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингура, Тифлис, 1935). აღსანიშნავია, რომ ინვენტარს არც ერთი ბეჭედი არ ახლავს. ამრიგად თუ ჩვენი ბეჭედი (რომელიც ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში ხსენებულ მასალასთან ერთად ინახება) თავილონიდანაა — სხვა სამარხსა ან ადგილიდან წარმოსდგება.

ბეჭედი განსხვავებული ტიპისა და ტექნიკით შესრულებულ ნივთს წარმოადგენს; ამას გარდა შინაარსობრივადაც ანგარიშგასაწევს კოლხეთის მასალების კვლევისას. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით მისი გამოყენება. მით უმეტეს, რომ კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მის სიუჟეტში მეტი გარკვეულობის შეტანა.

თავილონის ბეჭედი, კოლხეთში მოპოვებული ყველა სხვა გამოხატულებიან ლითონის ბეჭდებისგან განსხვავებით (და არა მხოლოდ კოლხეთისა, არამედ სხვა „ქართული“ მასალებისა) „რელიეფური კვეთითაა“ შესრულებული (ტერმინს ამ შემთხვევაში პირობითად ვხმარობთ). ბეჭდის ხსენებული ტიპი მოსართავ ბეჭედს წარმოადგენს — სამკაულია, და, ბუნებრივია, საბეჭდავის დანიშნულებით ვერ იხმარებოდა.

რელიეფურგამოხატულებიანი ლითონის ბეჭდები ადრეანტიკურ ხანიდანაა ცნობილი. არქაული პერიოდის საბერძნეთში ისინი იშვიათ გამოხაჯკლისს შეადგენენ. აღნიშნული ფორმა ძვ. წ. VI საუკუნეში ეტრურიასა და იტალიაში (სახელდობრ, სამხრეთ იტალიაში სადაც ეს ტიპი ძვ. წ. V საუკუნემდე შემორჩა) საკმაოდ იყო გავრცელებული<sup>3</sup>. ამ ბეჭდებს განსხვავებული ფორმები

<sup>1</sup> ბეჭედი გამოკვამულია. იხ. ჩვენი, კორპუსი I, გვ. 129—130. შრომაში ბეჭდის თარიღი მოცემული არ გვაქვს, არც სიუჟეტი საბოლოოდ გარკვეული.

<sup>2</sup> სამწუხაროდ, ნივთის (№ 33/876) აღმოჩენის ვითარების დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან მას პასპორტი არ ახლავს; ვერც საინვენტარო დავთრებისა და სხვა დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლო.

<sup>3</sup> Boardman, Greek Gems and Finger Rings, გვ. 232. სამხრეთ იტალიაში დიდი რაოდენობითაა შემონახული ანალოგიური მინიატურული ტყვის უპრალო ბეჭდები (იხ. Boardman, იქვე).



და შემკულობა აქვთ; ძირითადად ისინი ჩვეულებრივი ბერძნული ბეჭდების ფორმების მიმბაძველობას წარმოადგენენ<sup>4</sup>. ზოგიერთი მათგანი ლითონის ინტალიო-ბეჭდების კერძოდ: I, III და VII ტიპებს (ჯ. ბორდმანის მიხედვით) იმეორებენ (—თხელი ფირფიტისგან გაკეთებულს ფართო—წაწვეტებულსა და ოვალურფარაკიანს) ყოველგვარი გადაკეთების გარეშე. ტექნიკის თავისებურების მიხედვით, ჯ. ბორდმანის ვარაუდით, ხსენებული ტიპის ბეჭდების მჭრელების სამუშაო ადგილსამყოფელი ოქრომჭედელთა სახელოსნოებში უნდა ყოფილიყო მოთავსებული<sup>5</sup>.

გამოსახულებები, რომლებიც ჩვეულებრივად ინტალიოთა მიმბაძველობითაა შესრულებული, ჩამოსხმული, ანდა უფრო ხშირად, თხელი ოქროს ბრტყელი ფირფიტისგან არის ხოლმე გამოჭედილი<sup>6</sup>. ფარაკი ბეჭედს, თითქმის როგორც წესი, ფუყე აქვს (იგულისხმება მაღალი ფარაკისებრი ნაწილი თვალბუდეს რომ ჰგავს. — მ. ლ.) არის შემთხვევა როცა ოქროსაგან ნაკეთები გამოხატულება ვერცხლის ფონზეა „დაკრული“<sup>7</sup>; ბეჭედი ორფერია.

ანალოგიური ბეჭდების გარკვეული ნაწილი ბრინჯაოსა და რკინისაგანაც არის ნაკეთები. ისინი უმეტესად გვიანი IV და III სს. თარიღდებიან. ხსენებულ ბეჭდებზე ყველაზე გავრცელებული თემა პორტრეტული (თაგების) გამოსახულებებია<sup>8</sup>.

თაგილონის ბეჭედიც მოსართავია, ე. წ. დეკორატიული ბეჭედი<sup>9</sup>, მიუხედავად იმისა, რომ შესრულების ტექნიკით განსხვავებულია და მის ტიპშიც გარკვეული ცვლილებაა ამის გამო შეტანილი. გადავდივართ ნივთის ანალიზზე:

ღია ყვითელი ფურცლოვანი ოქროსაგან გაკეთებულ ბეჭედს, მრგვალი ფარაკი და ბრტყელი, ვიწრო რკალი აქვს. ფარაკის კიდეზე შემორჩენილია წვრილი ჭედული მავთულის ფრაგმენტი, რომელიც ერთი შეხედვით გრეხილ სირმას ჰგავს. ფარაკზე თხელი, ცალკე, ოქროსავე ფირფიტისგან ამოჭრილი გამოხატულებაა „დაკრული“, — რჩილვით უნდა იყოს დამაგრებული.

გამოხატულება წარმოადგენს იონიურ სვეტებიან ტაძარს<sup>10</sup> რომლის ფსაადი ორი სვეტითაა შემკული (ნაგებობა — ანტიებიანი ტაძარია), ხოლო ფრონტონის შუა და გვერდით კუთხეებზე დარჩილულია ლურჯი მინით შემკული მრგვალი, პაწია ოქროს ბუდეები. აღნიშნული ბუდეები აკროტერიებს წარმოადგენენ. ტაძრის კიბე ოქროს სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული, მისი „რელიეფი“ აღემატება გამოსახულების დანარჩენ ნაწილს.

ტაძარში, შესასვლელის ცენტრში, გვირგვინოსანი (?) ღვთაება ზის და-

<sup>4</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

<sup>5</sup> Boardman, იქვე.

<sup>6</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 233.

<sup>7</sup> Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე, ფურადი ტაბ. გვ. 217, 7; 784.

<sup>8</sup> შდრ. Becatti, Oreficerie antiche;—Richter, Gems.

<sup>9</sup> ტერმინი ნახშირი აქვს Boardman-ს დასახელებულ ნაშრომში და Higgins, Greek and Roman Jewellery.

<sup>10</sup> შდრ. G. Richter, A Handbook of Greek Art, London, 1965, გვ. 13, გამ. 6; — M. Collignon, L'archéologie grecque, Paris, 1907, გვ. 46, 66.

ბალ ტახტზე, პირდაპირ. ღვთაება ზედმიწევნით სუმარულადაა შესრულებული ამიტომ გარკვევა იმისა ქალღმერთია თუ მამრობითი სქესის ღმერთი — საკმაოდ ჭირს. ღვთაება წელსზევით ტიტველია, სხეულის ქვედა ნაწილი და ფეხები ჰიმატიონში აქვს გახვეული (მარჯვენა ფეხზე, უკნიდან, მარცხენა შემოდებული). გვერდზე გაწვილი მარჯვენა ხელში დისკოსებრი საგანი უჭირავს, პატერას გვაგონებს (აგრეთვე ციმბალსაც შეიძლება მივამსგავსოთ)<sup>11</sup>; ზეაპყრობილ მარჯვენა ხელში — გაურკვეველი ატრიბუტი. შესაძლებელია რაღაც ჭურჭელი იყოს<sup>12</sup>. ტლანქი და მძიმე ტორსი თითქმის ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული: განიერი მხრები, ფართო გულმკერდი და წელი დაუნაწევრებელია, ცალკეული ფორმები დამუშავებული არ არის. თავი სუმარულადაა გადმოცემული, — სახის ნაკვეთი ერთ სიბრტყეში გაერთიანებული. ღვთაების ფიგურა მძიმე, პროპორციებით გამოირჩევა, მონუმენტალურია (ტაბ. V, 31).

ტექნიკა: გამოხატულება რელიეფში შესრულებული ბექდებისგან განსხვავებით (ამის შესახებ იხ. გვ. 104—105) არც ჩამოსხმულია და არც მხოლოდ ჰედვით გაკეთებული. იგი ოქროს თხელი ფირფიტისაგან არის ამოჭრილი; ამასთანავე შედგენილია, ძირითადად ორი შედარებით მოზრდილი ნაწილისაგან (მაგ., ფრონტონი აკროტერიებით ცალკე ნაწილს შეადგენს) და „აპლაკაის“ სახით დაკრულია თხელ ფარაკზე. ნაწილები ერთმანეთთან მეტნაკლები სიზუსტითაა მიდგმული. რაც შეეხება ღვთაების გამოხატულებას — ტლანქი და საკმაოდ პრემიტიული ნახელავია; იმდენად, რომ დაუღვეარი ნაკეთობის ანდა დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ახდენს<sup>13</sup> (შესაძლებელია გამოხატულება ვიდრე ამოიჭრებოდა, ფირფიტაზე ტვიფარით იყო გაკეთებული). შინაგანი ნახატი სავსებით დაუმუშავებელია. მკრელისათვის (რომელიც უფრო ხელოსანია და არა ოსტატი) უცხოა ადამიანის სხეულის ანატომია; იგი ვერც ნახატსა და საკვეთ იარაღს დაუფლებია (მისი ნახატი სიზუსტეს მოკლებულია, თვალში საცემია სვეტების დისპროპორციულობა: ტორსის და ქვედა კიდურების ზომების შეუსაბამოა და ა. შ.).

ტაძარში მჯდომარე ღვთაებათა გამოსახულებები კლასიკურ გლიპტიკაში, ისევე როგორც მომდევნო ეპოქებში, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ იშვიათ შემთხვევებშია წარმოდგენილი. კლასიკური ხანის ძეგლებიდან ჩემთვის მხოლოდ IV საუკუნის ოქროს ინტალიო-ბექედია ცნობილი, რომელზედაც წარმოდგენილია კიბეულა „ტავრუცში“<sup>14</sup>. რაც შეეხება რელიეფურ გამოხატულებებიან ლითონის ბექედებს — მივაკვლიეთ „რომაული ხანით“ დათარიღებულ ორ ფარაკს (ვერ-

<sup>11</sup> ზოგიერთი ატრიბუტი ახლებურად გვაქვს განსაზღვრული, იხ. ჩვენი, კორპუსი I, გვ. 129—130.

<sup>12</sup> ერთი პირობა, შორეულად, მოკლე, ფართობიანი სიხვის ყანწს მივამსგავსეთ. საერთო მოხაზულობით თითქოს ჩირაღდანსაც ჰგავს.

<sup>13</sup> დასრულებული ნივთია, სხვაგვარად თვლებჩასმული ბუდეები დარჩილული არ ექნებოდა ფრონტონზე.

<sup>14</sup> იხ. Boardman, Greek Gems and Finger Rings, ტაბ. 748. აღნიშნულ მოტივს ჯ. ბორდმანი უკავშირებს თანადროულ ვოტივერ რელიეფებს, რომლებიც აღმოსავლეთ საბერძნეთისა და მცირე აზიისთვისაა დამახასიათებელი.

ცხლისას და ბრინჯაოსას); ორივე ფარაკზე ტაძარში მკდომარე კიბელაა გამოხატული<sup>15</sup>.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ღვთაების სქესის დადგენა ჰირს, რადგან ნახატი დაუმუშავებელია. სხეულის ზედა ნაწილზე, სახელდობრ გულმკერდზე, თითქოს კუნთებია მინიშნებული და ამ მხრივ იგი მამრობით ღვთაებად შეიძლება განსაზღვრულიყო. მაგრამ ატრიბუტები სხვაგვარი ვარაუდის საშუალებასაც იძლევა.

საზგასასმელი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ბეჭედზე, ჩვენი აზრით, რომელიც ადგილობრივი ღვთაების (შესაძლებელია ქალაქის ღვთაების) საკულტო ტაძარია წარმოსახული. ღვთაების ფიგურა მონუმენტალური სკულპტურას უნეირო პირს უნდა წარმოადგენდეს და არა, წარმოსახვის შედეგად შექმნილ, დამოუკიდებელ შემოქმედებას. იგი არც მცირე ხელოვნების რომელიმე სხვა სახის ძეგლის პირია. ნახელავს აშკარად ეტყობა ადგილობრივი მკერდის ხელი.

ღვთაება სხეულის აღნაგობის მიხედვით მამაკაცის ტორსს მკტად ენათესავება (გულმკერდს გარდა მუცელზედაც კუნთებია მინიშნებული), ამიტომ მას, ჭერჭერობით ვარაუდით, მამრობითი სქესის „სინკრეტულ“ ღვთაებად ვსაზღვრავთ. მისი სინკრეტულობის შესახებ მსჯელობა ატრიბუტების მიხედვითაა შესაძლებელი:

1. როგორც აღნიშნული გვექონდა, ღვთაებას მარჯვენა ხელში თასი უნდა ეჭიროს, მარცხენაში ჩირაღდანი, ანდა სიუხვის ყანწი. თუ საბოლოოდ დადგინდება, რომ ღმერთს თასი და სიუხვის ყანწი უჭირავს, მაშინ იგი დიონისეს უნდა დავუკავშიროთ. თასი ღვინის სასმისს უნდა წარმოადგენდეს, ხოლო მარცხენა ხელში რაც უპყრია — სიუხვის ყანწს<sup>16</sup>. ღვინისათვის განკუთვნილი თასი მისი ერთ-ერთი ჩვეულებრივი ატრიბუტთაგანია; რაც შეეხება სიუხვის ყანწს (რომელიც სახვითი ხელოვნების ძეგლებზე თითქმის არ გვხვდება) ამ შემთხვევაში (და უნდა ვიფიქროთ ყოველთვის — მ. ლ.) იმაზე მიუთითებს, რომ დიონისე ნაყოფიერების ღმერთს განასახიერებს.

2. ჩირაღდანი იშვიათი გამოჩაყლისის სახით მარსის ატრიბუტსაც შეადგენს<sup>17</sup>, რაც საშუალებას გვაძლევს ღვთაების არესთან გაიგივებისას<sup>18</sup>.

ამჟამად ძნელია მტკიცება იმისა, თუ სახელდობრ რომელ ღვთაებას მივაკუთვნოთ ტაძარი (სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში ნიშანდობლივ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ), მაგრამ ბერძნული პანთეონის უშუალო გავლენა აშკარაა, რაც სავსებით ბუნებრივია იმ ეპოქისათვის, რომელსაც ბეჭედი მიეკუთვნება.

კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხების კვლევისას,

<sup>15</sup> იხ. А. А. Захаров, Геммы Государственного Исторического Музея, РАНИОН. М., 1928, таб. IV, 174, 175. ვ. წ. ბერძნულ-რომაულ გემებს შორის ტაძარში მკდომარე ღვთაებებიდან წარმოდგენილია: ზესი, ასკლეპიოსი, სერაპისი (იხ. Walters, British Museum Gems 1242, 1684, 1773).

<sup>16</sup> დიონისე სიუხვის ყანწით ცნობილია ეტრუსკული სკარაბეის მიხედვით (იხ. Osborne, Gems, გვ. 224).

<sup>17</sup> იხ. Osborne, Gems, გვ. 219.

<sup>18</sup> აპოლონოს როდისელი იხსენიებს არესისადმი ხელთდასხმულ, კოლხეთში არსებულ, ქალას „... Поле далее шло Ареса и роща святая Бога, где змей караулила руно“ (იხ. Ap. Rhod., Argonautica, II, 1268, გრ. წერეთლის თარგმანი).



არსებული კულტებისა და, აგრეთვე, ძველი საქართველოს არქიტექტურის, გეოგრაფიკული ვითარების ისტორიის შესწავლისას „თავილონის ტაძარს“, მცირეს მაგარს — მცხეთის მონასტრის ინცი ნივთიერ წყაროს (როგორც საბუთს იმისას, რომ ჩვენში იონიური ორდერის ნაგებობა უნდა არსებულებოდა) უთუოდ საყურადღებო მნიშვნელობა აქვს.

შენიშვნის სახით: ერთი პირობა, საგანი, რომელიც ღვთაებას მარჯვენა ხელში აქვს კიშპალოსად მივიჩნიეთ, მარცხენაში — ჩირაღდანად. ატრიბუტებისა და შესრულების დაბალი დონის გათვალისწინებით (მჭრელმა სათანადოდ ვერ შეძლო ყველა დეტალის დამუშავება) შესაძლებლად დავინახეთ კიდის სინკრეტული გამოხატულება ხომ არ უნდა იყოს წარმოსახული. კიშპალოსი ფრიგიის დიდი ღმერთქალის კიბელას ერთ-ერთი ატრიბუტთაგანია; ჩირაღდანი — ნიადაგისა და ხორბლეულის დედის (დედა მიწისა) ატრემიდას, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთქალის, ატრიბუტი.

კოლხეთში დიდი დედის კულტის არსებობა დადასტურებულია არიანეს ცნობით<sup>19</sup>; იგი ფაზისის მარცხენა სანაპიროზე აღმართულ ქანდაკებას „ფასიანელ ქალღმერთს“ უწოდებს და რეას ამსგავსებს<sup>20</sup>. ზოსიმეს მიხედვით ფაზისში „ფასიანელი არტემიდას“ ტაძარი იდგა<sup>21</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ სამყაროში ყველაზე მეტად განთქმული არტემიდას ტაძარი ეფესოში მდებარეობდა, სადაც არტემიდა ასიმილირებული იყო აზიურ ერთ უძველეს ნაყოფიერების ქალღმერთთან<sup>22</sup>. ხომ არ შეიძლებოდა ზემოხსენებულის საფუძველზე „თავილონის“ ტაძარი ფასიანელი „რეა“ — „არტემიდას“, დიდი დედის, კულტთან დაგვეკავშირებინა მიუხედავად იმისა, რომ ღმერთქალი მისი ერთ-ერთი მთავარ სიმბოლოს, ლომების, გარეშეა წარმოსახული (ჩვენ ამ მიმართულებით კვლევას კვლავ ვაგრძელებთ)<sup>23</sup>.

<sup>19</sup> იხ. Arr., PPE, I, 9; SC, 1, გვ. 220.

<sup>20</sup> „ფაზისში რომ შეღიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანელი (Φασιανή θεός). გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდასის ქანდაკება ათენის მეტრონში. „Arr“., იქვე. (ნ. კეჭალაძის თარგმანი, თბილისი, 1961).

<sup>21</sup> იხ. Zosimus, Historia nova I, 28; SC, 1, 2, გვ. 791.

<sup>22</sup> იხ. Grimal, Mythologie, გვ. 52b.

<sup>23</sup> დიდი დედის კულტის არსებობას კოლხეთში აღიარებენ: მ. ინაძე, (იხ. Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1963); გ. ლორთქიფანიძე (იხ. К истории древней Колхиды, Тбилиси, стр. 117), ვ. ბარდაველიძე (იხ. Древнейшие религиозные верования и сбрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, стр. 81—93).

## დასკვნები

მასალის მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის შედეგად შესაძლებლად მივიჩნევთ, შემდეგი მოსაზრება გამოეთქვათ: ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ლითონის საბეჭდავი-ბეჭდების დაპირისპირებამ სათანადო მასალებთან (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის განათხარ კომპლექსებთან, საბერძნეთის, სამხრეთ იტალიის, სიცილიის, მცირე აზიის, კვიპროსის და ა. შ. არქეოლოგიურ მონაპოვართან) დაგვანახა, რომ ჩვენი საბეჭდავების ერთი ჯგუფი საგულისხმო მნიშვნელობის ძეგლებია. ისინი წარმოადგენენ სტილისტურად განსხვავებულს, კვეთის მხრივ თავისებურსა და შინაარსობრივად რთულად გააზრებულ ნივთებს. ამ, აქამდე უცნობი, მასალის გარკვევასა და კლასიფიკაციას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ძველი საქართველოს გლიპტიკის განვითარების შესწავლისათვის, არამედ მხატვრული ხელოსნობის ხსენებული დარგის განვითარების ზოგადი ისტორიისათვისაც.

ჭრილაფარაკებიანი ლითონის ბეჭდების არცთუ მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი აღმოჩენები საშუალებას იძლევა დაახლოებით სრულად წარმოვიდგინოთ, თუ, სახელდობრ, ბერძნული სამყაროს რომელ ნაწილთან არის დაკავშირებული ანტიკური ხანის კოლხეთის იმპორტული საბეჭდავები. — რომელმა სახელოსნო-სკოლებმა მოახდინა გავლენა ადგილობრივი გლიპტიკის განვითარებაზე.

დგინდება, რომ ადრეანტიკური ხანის კოლხეთში ძირითადად გავრცელებულია იმპორტული — ბერძნულ სახელოსნოებში ნაკეთები ჭრილაფარაკებიანი ლითონის ბეჭდები. ამასთანავე, ადგილობრივ სახელოსნოებში ნაკეთი სინქრონული ინტალიო-ბეჭდების საგულისხმო რაოდენობა იმას მოწმობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ იმპორტული ნახელავი. — და კოლხეთში საკუთარი — სპეციალური სახელოსნოს დაარსება აუცილებელ პირობად მიუჩნევიან.

იმპორტულ მასალებში გამოყოფილი გვაქვს სამი მნიშვნელოვანი ჯგუფი: I — მატერიკული საბერძნეთის სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავი, II — დიდი საბერძნეთის სხვადასხვა სახელოსნოების ნაკეთობა, III — ბეჭდები, რომელიც აღმოსავლურ-ბერძნულ სახელოსნოებიდან მომდინარეობს.

როგორც ირკვევა კოლხეთს ძვ. წ. VI საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული ვიდრე IV საუკუნის ბოლომდე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იონიის სახელოსნო ცენტრებთან<sup>1</sup>. ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრიდან

<sup>1</sup> კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობას, ხსენებულ ხანაში, იონიასთან კარგად ადასტურებს სხვა სახის სახელოსნო ნაწარმი, სახელდობრ კერამიკა (იხ. ით. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 68—73; ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971, გვ. 109.



კოლხეთი, როგორც ჩანს, კავშირს ამყარებს ატიკის<sup>2</sup>, პელოპონესის, სანაპირო იტალიის, სიცილიისა და მცირე აზიის ზოგიერთ ბერძნულ სახელოსნოებთან. ურთიერთობამ გვიანკლასიკურ ხანაში გასტანა (ბუნებრივია — ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაზე მსჯელობა ხსენებულ ცენტრებთან ნადრეგია, მასალის სიმცირის გამო). დასავლურ-ბერძნული ნაკეთობა კოლხეთის ზღვისპირეთშია შემოტანილი (გუადიხუ, ქობულეთი—ფიჭვნარი, ეშერა). ხოლო რაც შეეხება აღმოსავლურ-ბერძნულს, — იონიური სახელოსნოების ნახელავს — ვანში ჭარბობს.

ორკვევა, რომ კოლხეთში ხსენებულ ხანაში, საბერძნეთისაგან განსხვავებით, საბეჭდავის ძირითად ტიპს, ყოფაში ფართოდ შესულს, პრილაფარაკიანი ლითონის ბეჭედი წარმოადგენდა. ქვის საბეჭდავები ან გემა ჩასმული ბეჭედები — იშვიათი გამოჩაყლისია (ვასკენით განთხარი მასალის მიხედვით).

პრილაფარაკიანი ბეჭდის მთავარი დანიშნულება საბეჭდავი იყო, მაგრამ ამასთანავე თანაარსებობდა მხოლოდ სამკაულად (თაგილონი) ან ავეგაროზად განკუთვნილი (ფიჭვნარი) ბეჭედებიც. და შესაძლებელია, კიდევ: წარჩინების ნიშნად „რეგალიის“ სახით მიღებული ბეჭედი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სამკაულიც იყო და საბეჭდავიც (დაბლაგომი).

კოლხეთის ბეჭედებს შორის რამდენიმე დანიშნულების საბეჭდავი გვაქვს გამოყოფილი: I — უფლებრივი საბეჭდავები, ნიშნადობის მიხედვით განსხვავებული: ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის უფლებრივი საბეჭდავი. ეს არის დედატოსის წარწერით დამოწმებული ინსიგნია (ვანი. წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხი), რომელსაც ან „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ან გარკვეული ქალაქის ოფიციალურ საბეჭდავად იყო დამტკიცებული (თავს უფლებას ვაძლევთ საბეჭდავის ფუნქცია ამგვარად განვსაზღვროთ)<sup>3</sup>. ბ) „საზოგადოებრივი“ (ტერმინს ჯერ პირობითად ვხმარობთ) მნიშვნელობის უფლებრივი საბეჭდავი, (ოფიციალური საბეჭდავი, მნიშვნელობით ინსიგნიაზე მცირე). ნაკლებად საგულისხმო (საერთო-საზოგადოებრივ) შემთხვევებში ხმარებული (იგულისხმება დედატოსის მეორე ოქროს ბეჭედი მხედრის გამოსახულებით).

II — უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა აგრეთვე საერთო დანიშნულებების საბეჭდავი, რომელიც გარკვეული თანამდებობისა ან ნდობით აღჭურვილი პირის გამგებლობაში იმყოფებოდა<sup>4</sup>. ჩვენი აზრით, ეს საბეჭ-

<sup>2</sup> ატიკური იმპორტის შემოტანა კოლხეთში, კვლავ კერამიკის სახით, როგორც ცნობილია ძვ. წ. VI საუკ. უკანასკნელ მეთოთხედლიდან იწყება. ძვ. წ. V საუკ. პირველი ნახევრიდან ვიდრე IV საუკ. ბოლომდე, ატიკური ნაწარმი ფართოდ იკვლევს გზას; ფიჭვნარში შემოტანილი მოხატული და სადაშავლაკიანი კერამიკის უდიდესი ნაწილი ძვ. წ. V—IV სს. მიეკუთვნება (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79—80; ა. კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135—136).

<sup>3</sup> წარჩინებულ კოლხს, რომელსაც ჩვენ ბელადად მივიჩნევთ, ჩატანებული ჰქონდა ოთხი საბეჭდავი-ბეჭედი, ორი ოქროსი და ორი ვერცხლისა. ვერცხლის ბეჭედები დედატოსის ინდივიდუალურ, პირადი (ასე ვთქვათ „შინაური“) საპირობისათვის განკუთვნილი საბეჭდავებია (საკითხი ვრცლად განხილული გვაქვს ჩვენს ნაშრომში: არქაული და „არქაოზირებული“ საბეჭდავი-ბეჭედები ვანიდან).

<sup>4</sup> საერთო დანიშნულების საბეჭდავები ძველ საქართველოში ძვ. წ. XIV საუკუნიდანაა ხმარებაში (მათ შესახებ იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლების კორპუსი, I, გვ. 24, 62, 63).

დავი საზოგადოებრივი თუ რომელიღაც სხვა საერთო ქონების დასაბეჭდად უნდა გამოვიყენოთ და ყოფილიყო განკუთვნილი. — ხოლო რწმუნებულს, მისი ხელყოფისგან დასაცავად — ბეჭდის დასმა ევალებოდა. ამ რიგის საბეჭდავად ჩვენ ვანიხნავთ „დიდ ბეჭედს“ (ირმისგამოსახულებიანს. იხ. გვ. 101—103) მივიჩნევთ.

III — ინდივიდუალური ანუ პირადი საბეჭდავები, რომელთა შორის შესაძლებელი გახდა მამაკაცებისა და ქალების საბეჭდავების ცალკე ტიპების გამოყოფა (ამგვარი კლასიფიკაციის საშუალებას ჯერ მხოლოდ მდიდრული სამარხეული ინვენტარი იძლევა). ხსენებულ ბეჭედებს იმავე დროს სამკაულადაც ხმარობდნენ. პირადი საბეჭდავები, რომელსაც მფლობელი ყოველდღიური საქმიანობისათვის იყენებდა, მოსახლეობის სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ფენებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ამის მეტყველ საბუთს ბრინჯაოს, მდარე ხელობის, ბეჭედები წარმოადგენს (დაფნარი, დაბლაგომი).

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ უცხოეთიდან შემოტანილი ბეჭედები წარჩინებული, მდიდარი (ოქრო და ვერცხლი) და, უნდა ვივარაუდოთ, შეძლებული (ვერცხლი და ბრინჯაო) პირების კუთვნილებას შეადგენდა. კიდევ მეტი — იონიის, ატიკისა და პელოპონესის სახელოსნოების იმპორტი მხოლოდ წარჩინებულთა და მდიდრულ სამარხებიდან წარმოსდგება. — ივთები მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა, შესრულების დახვეწილი სტილი და კვება, შერჩეული თემატიკა, საბეჭდავის ფორმა, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ეპოქის საუკეთესო ანონიმი ოსტატების შემოქმედებაა.

ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: უფლებრივი საბეჭდავები ადგილობრივ სახელოსნოში კოლხი მჭრელების მიერ ანაკვეთი და საბეჭდავებზე წარმოდგენილი სიუჟეტებიც კოლხეთში გავრცელებულ კულტებს უკავშირდება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „კოლხურ“ ლითონზე გლიპტიკის განვითარებაზე გავლენა ძირითადად იონიურსა და ნაწილობრივ დასავლურ-ბერძნულ სკოლებს მოუხდენია, ხოლო სახელოსნოებში, როგორც ამას ადრეც აღვნიშნავდით, ადგილობრივი მჭრელები გლიპტიკის ხელოვნებას ჩამოსულ ბერძენ ოსტატებთან ეუფლებოდნენ. მტკიცებისათვის, რომ ხელოსნობის ეს რთული დარგი ადგილობრივმა მჭრელებმა ოსტატურად აითვისეს — ვანის ბეჭედები და ბატნაოხორუს მცირე მასალები გამოგვაადგება. ხსენებული ძეგლები კოლხი ოსტატების ნაყოფიერი შრომისა და დაუღალავი ძიების შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს.

საყურადღებო მოვლენად ისიცაა ჩასათვლელი, რომ კოლხური გლიპტიკის აღმავლობის პერიოდი ბერძნული გლიპტიკის აყვავების ხანას ემ-

5 დედატოსის ორი დანარჩენი საბეჭდავიც ადგილობრივი ნაყოფია.  
